ბ) *აშშ-ჩინეთის მზარდი კონკურენცია*. - ბოლო წლებში ჩინეთის ეკონომიკის სწრაფი ზრდის გამო გამოიკვეთა ჩინეთ-ამერიკის დაპირისპირება არა მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონში, არამედ გლობალურად, მათ შორის ეს კარგად იგრძნობოდა ამ რამდენიმე წლის წინ აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს განცხადებაში ანაკლიის პორტის მშენებლობაზე ჩინეთის დაშვების მიუღებლობის თაობაზე. ამას-

თან, ჩინეთს „თვალი უჭირავს“ ტაივანზე, რომელიც მსოფლიო ლიდერია მიკროპროცესორებისა და მიკროჩიპების წარმოებაში. ამ ასპექტით, ჩინეთის კონტროლის დამყარება ტაივანზე მკვეთრად გაზრდიდა სამრეწველო წარმოებაში ჩინეთის უპირობო ლიდერობას და დაასრულებდა აშშ-ის ეკონომიკური და ფინანსური ბატონობის ერას, რომელიც ისედაც სერიოზული გამოცდის წინაშე დგას, მათ შორის ბრიქსის იოჰანესბურგის სამიტის გადაწყვეტილებით (2023 წ. აგვისტო) აღნიშნული ორგანიზაციის პერსპექტიულ გაფართოებაზე. ჩინეთი აქტიურად ეძებს გლობალურ მოკავშირეებს, რომლითაც ის უფრო მყარად იგრძნობს თავს ამერიკასთან კონკურენციაში.

მსგავს ნაბიჯებს დგამს აშშ-იც, რომლის იდეაც G20-ის სამიტის ბოლოს ინდოეთის ოკეანის მარშრუტის თაობაზე პირდაპირ ისახავს ჩინეთისა და მისი „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ როლის დაკნინებას და მაქსიმალურად „თამაშგარე მდგომარეობაში“ დატოვებას.

გ) *რუსეთ-უკრაინის ომი*. ამ ომის გამო რუსეთისადმი დაწესებულმა სანქციებმა მნიშვნელოვნად დააჩქარა გლობალური ბაზრების გადანაწილება. ამასთან, ამ ომში რუსეთის გამარჯვება წახალისებდა ჩინეთს, ძალისმიერი გზით გადაეწყვიტა თავისი სტრატეგიული, ზემოხსენებული პრობლემა - ტაივანის შემოერთება. რუსეთის გამარჯვება დაასამარებს ცივილიზებულ მსოფლიო წესრიგს, ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, გზას გაუხსნის საერთაშორისო ასპარეზზე ძალისმიერ, რეიდერულ ქვევას, სადაც საკუთარი ინტერესების რეალიზაციის საფუძველი მხოლოდ ძალა, ძალისმიერი მეთოდები იქნება. რუსეთის გამარჯვებისა და სხვა სახელმწიფოსათვის ძალისმიერი გზით ტერიტორიის წართმევის პრეცედენტი მსოფლიო წესრიგში სრულ ქაოსსა და განუკითხაობას

შემოიტანდა.

ასეთ პირობებში ოპტიმალური იქნებოდა რუსეთის დამარცხება და მრავალპოლუსიანი მსოფლიო. ამას უკვე აშშ-იც აღიარებს სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის პირით, რომელმაც განაცხადა, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიო დამთავრდა⁵.

ერთი რამე, რაც თვალშისაცემია პოსტპანდემიურ პერიოდში, ესაა ტრანსნაციონალური კორპორაციების როლისა და მნიშვნელობის საგრძნობი ზრდა. უკვე დღეს მსოფლიოს 10 უმსხვილესი კომპანიის აქტივების ჯამური ღირებულება (თითქმის 11 ტრილიონი აშშ დოლარი) აღემატება მსოფლიოს ყველაზე ღარიბი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) 160-ზე მეტი ქვეყნის ჯამურ ეროვნულ პროდუქტს, ისევე როგორც გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, იტალიისა და კანადის ერთობლივ პროდუქტთა ჯამს.

ასეთ პირობებში, არ შეიძლება, რომ არ გაიზარდოს წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, პიროვნული თავისუფლებისა და სუვერენიტეტის სფეროების პრაქტიკულ რეალიზაციასა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოსა და ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის გაძლიერებას შორის.

ამასთან, სახელმწიფოს როლისა და საზოგადოების წევრთა პიროვნულ თავისუფლებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენის პროცესში სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის კონკურენტი, სწორედ მსხვილი კომპანიები და ტრანსნაციონალური კორპორაციები გამოდიან. მათ შორის ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით ხორციელდება და საბოლოო ჯამში, მსხვილი კაპიტალის ინტერესების რეალიზაციას ემსახურება.

⁵ Antony Blinken: The Post-Cold-War Era is Over. 13 September, 2023. <https://washingtondc.jhu.edu/news/antony-blinken-the-post-cold-war-era-is-over/>

ორი მაგალითი:

1952 წლიდან, „ჯენერალ მოტორსის“ პრეზიდენტ ჩარლზ უილსონის მიერ სენატში აშშ თავდაცვის მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებულ მოსმენებზე გაკეთებული განცხადება - „რაც კარგია „ჯენერალ მოტორსისთვის“, ის კარგია ამერიკისათვის“; ხატოვან გამოთქმად იქცა და ათეული წლების მანძილზე ამ ქვეყნის თავისუფალი ბაზრის სიმბოლოდ აღიქმებოდა. თუმცა 2020 წელს COVID-19 პანდემიის პერიოდში აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამ კომპანიას ხისტად მოსთხოვა საქმიანობის პროფილის შეცვლა და სასუნთქი აპარატების წარმოების დაწყება კორონავირუსით დაავადებულთა დასახმარებლად, სახელმწიფომ ფაქტობრივად „ჯენერალ მოტორსს“ უთხრა, რომ მან უნდა აწარმოოს ის პროდუქცია და იმ რაოდენობით, რაც კარგია, საჭიროა, აუცილებელია ამერიკისა და მისი მოსახლეობისათვის. და სახელმწიფოს ამ პოლიტ-ეკონომიკურ ვერდიქტს ეს კომპანია უდრტვინველად დაემორჩილა...

მეორე მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუტები დგამენ ნაბიჯებს, რაც მსხვილ კაპიტალს, კორპორაციებს „სუნთქვას უადვილებს“ და უზრუნველყოფს მათ კომერციულად მომგებიან ფუნქციონირებას. აშშ მთავრობამ 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისისაგან ქვეყნის ფინანსური სისტემის, პირველ რიგში, საბანკო სექტორის დასაცავად მაშინდელი ფინანსთა მინისტრის პოლსონის ინიციატივით, ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყო 700 მილიარდი აშშ დოლარი.

პანდემიის პირობებში სახელმწიფოს როლის გაძლიერებამ და რესურსების მობილიზაციამ და მათმა გამოყენებამ დიდი როლი შეასრულეს პანდემიის შედარებით მოკლე ვადებში დაძლევაში. თუმცა ამას აღარ მოყოლია სახელმწიფოს როლის „საწყის“, პანდემიამდელ დონეზე დაბრუნება.

- მაგალითად, ევროკავშირში პანდემიის პირველსავე წელს საბიუჯეტო ხარჯების მოცულობა 4 პუნქტით გაიზარდა. ანალოგიურ ტენდენციას ჰქონდა ადგილი საქართველოშიც, სადაც 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 21.4-პროცენტის ზრდისას (იმ წელს მშპ-ის 3.8%-ით შემცირების პირობებში) ხარჯები ჯანდაცვაზე გაიზარდა 53.2 პროცენტით, ხოლო სოციალურ დაცვაზე - 43.9 პროცენტით. საპირისპირო სურათი გვაქვს პოსტპანდემიური პერიოდისთვის: 2022 წელს 2020 წელთან შედარებით ჯანდაცვის ხარჯები გაიზარდა მხოლოდ 9.9 პროცენტით, სოციალური დაცვის ხარჯები - კიდევ უფრო ნაკლებად 4.2 პროცენტით, სამაგიეროდ ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე მოიმატა 26.0 პროცენტით.

მაგრამ სახელმწიფოს გააქტიურებას და მის მზარდ როლს ეროვნული პროდუქტის გადანაწილებაში აქვს თანმდევი ნეგატიური ეფექტიც: სახელმწიფოს მზარდი როლი არა მარტო ზღუდავს ბაზარს, არამედ სერიოზულად აზიანებს კონკურენციას, როგორც განვითარების ფაქტორს. - გარანტირებული შეკვეთები, სახელმწიფო სახსრების საფუძველზე წარმოებული პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფა და აშ., ცალკეულ ბიზნესებს გარკვეულ პრივილეგიურებულ, ხოლო დანარჩენებს - აპრიორი არათანაბარ პირობებში აყენებს, აძლიერებს საზოგადოებაში უსამართლობის განცდას და ნეგატიურად მოქმედებს სოციალური სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

პანდემიამ წერტილი დაუსვა მითს ბაზრის ყოვლისშემძლეობის შესახებ. ეს მითი, დერივატივების ფასეულობის თაობაზე გაბერილი საპნის ბუშტის მსგავსად გასკდა, რომლის მაპროვოცირებელი როლი სწორედ კოვიდპანდემიამ შეასრულა. ათეული წლების მანძილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საბაზრო ურთიერთობების მიზან-

მიმართულმა აბსოლუტიზაციამ ამ ურთიერთობების ფეტიშიზაცია გამოიწვია, რასაც ბუნებრივად მოყვა მზარდი წინააღმდეგობა ეკონომიკის სამომხმარებლო პროფილსა და რესურსების სულ უფრო მეტ შეზღუდულობას შორის. ამ პირობებში სახელმწიფოები ცდილობენ აღიდგინონ და გაიმყარონ საკუთარი როლი და ფუნქციები ეკონომიკური პროცესების ფორმირებასა და მართვაში, ისევე როგორც საზოგადოებრივი დოვლათის გადანაწილებასა და კონტროლში.

რა მოიტანა პოსტპანდემიურმა პერიოდმა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხაზით?

პანდემიამ მძლავრი იმპულსი მისცა ისეთ ნოვაციებს, ტექნოლოგიურ სიახლეებს, როგორებიცაა ინტერნეტ-ვაჭრობა, შეკვეთით საქონლის მიტანა, ამანათებით საქონლის მიწოდება; დრონები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საქონლის ადრესატამდე მისატანად⁶, რობოტოტექნიკისა და

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროში. ეს მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს არამარტო სამუშაო ადგილებისა და დასაქმების სტრუქტურაში. - ამ დროს კომპანიებიცა და მათი აქციონერების მოგების ზრდასთან ერთად უმუშევრად რჩება მომუშავეთა საგრძნობი ნაწილი, ხდება მათი გაღარიბება. მცირდება სოციალური ლიფტების მასშტაბები, მათი სიჩქარე და „ტვირთაძვეობა“.

პანდემიურმა პერიოდმა აშკარად გამოაჩინა რესურსების უფრო რაციონალურად ყირათიანად გამოყენების აუცილებლობა. და ეს ტრენდი ვრცელდება არამარტო საზოგადოებრივ წარმოებაზე, არამედ ინდივიდუალურ მოხმარებასა და პიროვნულ ზრდაზე. ამ უკანასკნელი ნიშნით დაბანდებული თანხა ემსახურება შრომის მწარმოებლურობისა და მშპ-ის ზრდას.

პოსტპანდემიურ პერიოდში დასაქმების ოვლანინ ფორმატი ნელ-ნელა იბრუნებს პანდემიის დროს დაკარგულ პოზიციებს, თუმცა სრულ დაბრუნებაზე საუბარი, დიდი ალბათობით, აღარ იქნება. მართალია, ონლაინ საქმიანობა გაცილებით იაფი ჯდება, მაგრამ იგი ამავე დროს იწვევს კოლექტივის ატომიზაციას, ერთიანობის კოროზიას. ამიტომ, ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე განვითარების დონე იძლევა შესაძლებლობას, უშუალოდ ოფისში სამუშაოდ დარჩნენ „შეუცვლელი“ თანამშრომლები, რომელთა საქმიანობა დაუკავშირდება მართვის, კოორდინაციისა და ახალი იდეების გენერირების საკითხებს, ან ის თანამშრომლები, რომელთა ადგილზე ყოფნა განპირობებულია სამუშაოს ტექნოლოგიური და ორგანიზაციული თავისებურებებით.

ოფისების შეკუმშვასა და დისტანციურ,

⁶ 2014 წელს ინტერნეტ-ვაჭრობის მოცულობამ 1.3 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2021 წელს მან თითქმის 5 ტრილიონ დოლარს მიაღწია, ხოლო 2026 წლისთვის, სულ ცოტა, 8 ტრილიონი დოლარი იქნება.

მთელი საცალო ვაჭრობის 18% ელექტრონულ ვაჭრობაზე მოდის და ის ყოველწლიურად საშუალოდ 25 %-ით იზრდება.

სწრაფად იზრდება ამანათებით საქონლის მიწოდება. 2006 წელს მათი რაოდენობა 13-ჯერ ჩამორჩებოდა წერილების რაოდენობას, 2020 წელს თანაფარდობა იყო უკვე 1:2-თან, ხოლო 2025 წლისთვის მათი რაოდენობა გაუთანაბრდება ერთმანეთს.

დღის წესრიგში დგას მიწოდების პროცესის ავტომატიზაცია. ამის შემდეგი ნაბიჯი იქნება მიწოდებაში უპილოტო ავტომობილების და საფრენი აპარატების გამოყენება. ამასთან, დრონების ექსპლუატაცია 40-70 პროცენტით უფრო იაფი ჯდება შიგაწვის ძრავის მქონე ავტომობილებთან შედარებით.

შეკვეთილი საქონლის მიწოდებისათვის მსოფლიოში ამჟამად გამოიყენება 20 ათასი დრონი, რომელთა რაოდენობა 2026 წლისთვის გაიზრდება ერთ მილიონამდე. - იხ.: Место притяжения Как интернет-торговля делает жизнь миллионов людей лучше и поможет сэкономить. lenta.ru, 7.12.2021

<https://lenta.ru/brief/2021/12/07/zader/>

მათ შორის სახლიდან მუშაობას, თავისი ზღვარი აქვს. ბიზნესს და მეცნიერებას ავითარებენ ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ ინფორმაციისა და იდეების ურთიერთგაცვლას, ამ ურთიერთობის შედეგად ახალი იდეებითა და შთაგონებით დამუხტვას. ამიტომ სამეწარმეო და ბიზნეს-სფეროში **სამუშაო სივრცის** ცნება სულ უფრო მეტად დაიტვირთება **საკლუბო ფუნქციებით**. ამავე დროს, დასაქმების დისტანციურ, ონ-ლაინ ფორმას საკმაოდ წარმატებით იყენებენ აშშ-ში, სადაც მომსახურების ცალკეულ სახეობებზე, ინფორმაციის მიწოდებაზე თუ სასურველი შეკვეთის მიღებაზე ონ-ლაინ რეჟიმში ოპერატორების ფუნქციებს ასრულებენ შემკვეთებიდან 10 ათასზე მეტი კილომეტრით დაშორებული თანამშრომლები, რომლებიც ადგილმდებარეობით და მოქალაქეობრივი სტატუსით შედარებით სუსტად განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ (მაგალითად, პაკისტანელი და ინდოელი თანამშრომლები) და რომელთა ხელფასი აშშ-ის მოქალაქეთა ანალოგიურ ანაზღაურებაზე დაახლოებით 5-6-ჯერ ნაკლებია.

ორი მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რაც აღნიშნულმა პერიოდმა მოიტანა:

ჯერ ერთი, აშკარაა, რომ მეცნიერულ-ტექვადი ჯანდაცვა და სამედიცინო ტექნოლოგიები გახდებიან ეკონომიკური ზრდისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ამალღების სულ უფრო მზარდი და ანგარიშგასაწევი ფაქტორები;

მეორე - პანდემიის პერიოდმა დაადასტურა, რომ ბაზრის ყოვლისშემძლეობის მითი, როგორც უკვე ითქვა, საბოლოოდ დაძლეულია, ხოლო კრიზისის დროს ბაზრის უკიდველად თავისუფლების მომხრეების რაოდენობა, ისევე როგორც ომის დროს სანგარში მყოფი ათეისტებისა - კატასტროფულად მცირდება.

უახლოესი მომავლის ძირითად ტრენდებად უნდა მივიჩნიოთ მოქნილი სამუ-

შაო გრაფიკი და ინფორმაციული ტექნოლოგიების დამატებითი სერვისის კატეგორიიდან ახალ თვისობრიობაში გადასვლა - ახალი ბიზნეს-მოდელების რეალიზაციის საფუძველად გადაქცევა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება წარმოუდგენელია ადამიანთაშორისი ურთიერთობების ფორმების დახვეწისა და თვისებრივად გაუმჯობესებული კომუნიკაციური პლატფორმების გარეშე. ეს პროცესი უკავშირდება სრულ თუ ზეავტომატიზაციას, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს თანამშრომელთა და ზოგადად, ადამიანების შესახებ ინფორმაციის ერთ ბაზაში თავმოყრაში. უკვე ამჟამად ტექნოლოგიები იძლევიან საქმიანობის, აქტივობის სახეობის გამოცნობის შესაძლებლობას ადამიანთა მოძრაობების საფუძველზე. ეს, ერთი მხრივ, ზრდის ამ პერსონალის და ზოგადად, საზოგადოების წევრების კონტროლის შესაძლებლობას „უფროსი ძმის“ (- სახელმწიფოს) მიერ, მეორე მხრივ კი ქმნის საქმიანობის ეფექტიანობის ამალღების მნიშვნელოვან რესურსს.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში, ერთი მხრივ, გაიზრდება რესურსების გადაადგილების სიჩქარე დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში, მეორე მხრივ კი სულ უფრო გაიზრდება ადგილობრივი რესურსების როლი წარმოების საბოლოო შედეგების მიღწევაში, რაც გამოხატულებას ჰპოვებს წარმოების აბსოლუტური გლობალიზაციიდან შეფარდებით ლოკალიზაციაზე გადასვლაში.

მთლიანობაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, მისი საყოველთაო ხელმიწვდომობა შესაძლებლობას იძლევა, რომ ცხოვრება მნიშვნელოვნად გაიოლდეს და გაუმჯობესდეს. ამასთან, ეკონომიკის გაციფრების, ციფრული ტექნოლოგიების ფართომასშტაბიან გამოყენების თანმდევი ნეგატიური პროცესებია კიბერშეტევები, დესტრუქციული კონტენტისა და ფეიკური

ინფორმაციის გავრცელება, მგრძობიარე, პირადი ინფორმაციის გაჟონვა და ა.შ., რის წინააღმდეგაც მიმართული სამართლებრივი ბრძოლის საშუალებები და ფორმატი ჯერჯერობით აშკარად ჩამორჩება ხსენებული გამოწვევებით მიყენებულ ეკონომიკურ და რეპუტაციულ ზარალს. ამ მიმართულებით კანონშემოქმედებითი პროცესის „სიჩქარე - ინტერნეტამდელია“, მაშინ როდესაც ცვლილებები ტექნოლოგიებში „კოსმოსური სიჩქარით“ გვახსენებენ თავს. ამის გამო, როგორც რიკარდოსეული შეფარდებითი უპირატესობის თეორიის გამართლებით და რეალიზაციით უპირატესად ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები სარგებლობდნენ, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და გაციფრების ეპოქაში უპირატესად სარგებლობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების ისეთი გიგანტები, როგორებიცაა Amazon, Apple, Meta (Facebook) და Microsoft, რომლებიც მსოფლიო საზოგადოებრიობას და მომხმარებლებს სთავაზობენ საკუთარ უალტერნატივო კორპორაციულ წესებს, ახდენენ კონტენტის მოდიფიკაციას, შლიან ინფორმაციას ან პირიქით, ტოპ-დონეზე აჰყავთ ის და ა.შ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პარალელურად ასევე სწრაფად იცვლებიან გაციფრების სფეროს ტრენდებიც. - ხელოვნური ინტელექტი უკვე აღარ წარმოადგენს „ეზოტიკურ ხილს“ ბიზნეს-საქმიანობაში, ის სულ უფრო მეტი კომპანიისთვის ყოველდღიური საქმიანობის რუტინული კომპონენტი ხდება. თვით ტერმინი „გაციფრება“ ბევრს უკვე მოძველებულ ტერმინად მიაჩნია და აყენებს საკითხს მისი თანამედროვე რეალობის უფრო შესატყვისი სახელწოდებით ჩანაცვლებაზე.

დასკვნა

პანდემიამ, ადამიანურ და ეკონომიკურ ზარალთან ერთად, გარკვეული პოზიტიური, ერთგვარი ტრიგერის როლიც შეასრულა მეცნიერების განვითარებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებაში, წარმოების, შრომის, მომსახურებისა და სწავლების ორგანიზებაში. იმას, რასაც ადრინდელ პირობებში წლები და ბიუროკრატიული ბარიერების თანდათანობითი დაძლევა დასჭირდებოდა, ეხლა სულ რამდენიმე თვეში გახდა შესაძლებელი.

აღნიშნული პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. შესაბამისად, **აუცილებლად მოხდება სამრეწველო რენესანსი** - ციფრული პლატფორმისა და ხელოვნური ინტელექტის, აგრეთვე ინტერნეტის, ბლოკჩეინის, რობოტიზაციისა და ა.შ. საფუძველზე.

ეკონომიკურ მიზანშეწონილებაში ოფშორიზაციისა და აუტსორსინგის ადგილს სულ უფრო მეტად დაიკავებს ე.წ. **friendshoring** - ანუ უპირატესობის მინიჭება ბიზნესის წარმოებისათვის არა იქ და არა იმათთან ერთად, ვისთანაც ეკონომიკურად მიზანშეწონილია, არამედ იქ და იმათთან, ვისი იურისდიქციაც შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ და „მეგობრულად“. ესაა ფაქტობრივად მსოფლიო ეკონომიკის „გლობალური ფრაგმენტიზაცია“, რისი მომსწრეებიც ჩვენ ამჟამად ვართ.

ამასთან, კოვიდ-19-მა და ომმა უკრაინაში ფაქტობრივად დაუსვა წერტილი გლობალიზაციის იმ ფორმას, რომელსაც ჰქონდა ადგილი თითქმის რვა ათეული წლის მანძილზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და რომლის დასრულების პირველი ნიშნები ჯერ კიდევ 2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს გამოჩნდა. ამჟამად წინა პლანზე გამოდიან ეროვნული უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკების საკითხები. ასეთ პირობებში არა თუ რჩება, არამედ ძლიერდება საფრთხე ხელისუფლებისა და ტრანს-ნაცი-

ონალური კომპანიების პასუხისმგებლობის შემცირებისა როგორც კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობისადმი, ისე გლობალურად - საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოებისადმი. რუსეთ-უკრაინის ომმა აჩვენა, რომ ადგილი აქვს ერთი სახელმწიფოს (- რუსეთის) მცდელობას, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საბაზით განახორციელოს აგრესია სხვა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

პოსტპანდემიურმა პერიოდმა აშკარად გამოკვეთა რამდენიმე არსებითი გარემოება, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ეკონომიკური პროცესების ორგანიზებასა და სამომხმარებლო ქცევაში.

ჯერ ერთი, შეიძლება უკვე თამამად ითქვას, რომ კოვიდ-პანდემიის პერიოდის ხანგრძლივობაზე მეტი მისი ნეგატიური შედეგების სრული დაძლევისათვის საჭირო პერიოდი იქნება. პირველ ეტაპზე ეს გამოვლინდა ლოჯისტიკურ კრიზისში და ინფლაციაში.⁷

მაგრამ მაღალი ინფლაცია ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს უზიძვებს გაზარდონ მონეტარული განაკვეთები. ჩნდება სესხებთან დაკავშირებული დეფოლტის საფრთხე. 2022 წელს გლობალური საგარეო ვალის მოცულობამ (235 ტრილიონი დოლარი) გლობალური ეკონომიკის 238 პროცენტი შეადგინა. - ეს 9 პუნქტით აღემატება 2019 წლის დონეს, ხოლო წინა, 2021 წლის

დონეს - 200 მილიარდი დოლარით.⁸ ეს კი, თავის მხრივ, დაარტყამს დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობების ეკონომიკურ კეთილდღეობას, მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელიც იბრძვის გაკოტრების თავიდან აცილებისათვის.

მეორე, პოსტპანდემიურ პერიოდში შეინიშნება **სამომხმარებლო განწყობის, მოტივაციისა და ქცევის ცვალებადობა**. ეს ეხება როგორც საქონლის შეძენის ფორმატის ცვლილებას, ისე სამომხმარებლო დოვლათის სამომხმარებლო კულტურის ცვლილებასაც. სერიოზული პრობლემები შეექმნათ სავაჭრო ცენტრებს - მოლესს, მათ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ ონლაინ ვაჭრობის სახით.⁹ ბევრმა თავი დააღწია ბრენდულ ფეტიშიზაციას, აქცენტი ბრენდული საქონლიდან გადაიტანა ყოველდღიური, პრაქტიკული მოხმარების საქონელზე. თანაც კოვიდის პერიოდში სოციალური ურთიერთობების ონლაინ ფორმატი მისაღები და მოსახერხებელი აღმოჩნდა საქონლის შეძენებისთვის - პიცადან და შაურმადან დაწყებული, ძვირადღირებული ნივთებით დამთავრებული.

მესამე, პოსტპანდემიურ პერიოდში იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, შესაბამისად - წარმოება, მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. ეს კი, ზრდის როგორც დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და ამ ასპექტივაც

⁷ ამის თვალსაჩინო მაგალითია კონტეინერების ფრახტის საკმაო დროის მანძილზე კრიზისამდელ დონესთან შედარებით 6-ჯერ და მეტად გაძვირება უფრო ძვირი ღირდა, ხოლო ინფლაციის ტემპი აშშ-ში, ევროკავშირისა და ბევრ სხვა სახელმწიფოში ბოლო 40-წლიანი პერიოდის მაქსიმუმზე იყო. მაგალითად, აშშ-ში ინფლაციის ტემპი 2019 წელს იყო 1.8%, 2020 წელს იგი დაეცა 1.2%-მდე, თუმცა უკვე 2021 წელს იგი გაიზარდა 4.7%-მდე, ხოლო 2022 წელს - 8.0%-მდე. - ამაზე მაღალი ინფლაცია დაფიქსირდა მხოლოდ 1981 წელს - 10.3%.

ანალოგიური ტრენდი იყო ევროკავშირშიც. - აქ 2019 წელს წლიური ინფლაცია იყო 1.63%, 2020 წელს - 0.48%, 2021 წელს - 2.55% და 2022 წელს - 8.83%

⁸ იხ. Global Debt Is Returning To Its Rising Trend – Analysis. - eurasiareview., 16.09.2023 <https://www.eurasiareview.com/16092023-global-debt-is-returning-to-its-rising-trend-analysis/> მთლიანობაში, მსოფლიოში გლობალური სახელმწიფო ვალის სიდიდე ბოლო 4 წელიწადში 4-ჯერ და მეტად გაიზარდა - 2019 წლის 70 ტრილიონი აშშ დოლარიდან 2023 წლის 305 ტრილიონ დოლარამდე, ანუ გლობალური მშპ-ის 80.5 პროცენტიდან 290.5 პროცენტამდე.

⁹ ამერიკაში ვარაუდობენ ხუთიოდე წელიწადში მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება დაახლოებით 150-მდე (ამჟამად 700-მდე), 1980-იან წლებში კი 2500-ზე მეტი იყო. - იხ. Георгий Бовт, Добро пожаловать в торговый центр «Зомби-лэнд», «Газета.Ru», 10.09.2023

ამლიერებს ინფლაციის ტემპს.

მეოთხე, პოსტპანდემიური პერიოდი, სწრაფი, რევოლუციური გარღვევების საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში ახალი ტექნოლოგიების მიგნებისა და დანერგვის პროცესის დაჩქარების პირობებში ქმნის ნოყიერ ნიადაგს ცალკეულ პირთა თუ ამა თუ იმ საქმიანობის პროცესში ჩართულ პირთა შემოსავლების საშუალო ქვეყნისმიერ დონეზე უფრო მაღალი ტემპებით ზრდისთვის. ამის საფუძველზე სერიოზული პრობლემები შეექმნებათ ე.წ. „სოციალური ლიფტების“ მოძრაობას. მდიდრები საფუძვლიან განათლებას მისცემენ თავიანთ შვილებს, რის შესაძლებლობა აღარ ან ნაკლებად ექნებათ ღარიბი ოჯახის წევრებს, რის გამოც სიმდიდრე და სიღარიბე უკვე ავტონომიურ რეჟიმში იქნებიან კვლავწარმოებულნი. შესაბამისად, რეალური ხდება საფრთხე ქონებრივი პოლარიზაციისა და საზოგადოების სხვადასხვა ფე-

ნებს შორის წინააღმდეგობის ზრდისკენ. მზარდმა უთანაბრობამ შეიძლება გამოიწვიოს „არსებობის საშუალებების კრიზისი“. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს დევნილთა რაოდენობის ზრდას. იძულებითი მიგრაცია შეიძლება გახდეს უახლოესი ათწლეულში ერთერთი სერიოზული გლობალური გამოწვევა, რაც მაპროვოცირებელი ფაქტორის როლს შეასრულებს გეოპოლიტიკურ კონფლიქტებისა და ქვეყნებს შიგნით სოციალურ დაძაბულობის წარმოქმნისათვის, იქნება პირდაპირი რეპუტაციული და ეკონომიკური დარტყმა გლობალიზაციის პროცესებისათვის.

მსოფლიო შედის ეკონომიკური კავშირებისათვის სერიოზული გამოწვევებისა და რყევების პერიოდში, რომლის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ დემოგრაფიული შედეგები ჯერ კიდევ არაა ბოლომდე გაცნობიერებული...

გამოყენებული ლიტერატურა

- იოსებ არჩვაძე (2020) კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტ-ეკონომიკური ასპექტი). თბილისი, „მწიგნობარი“
- იოსებ არჩვაძე (2021) პანდემიის რეგიონული თავისებურებანი საქართველოში კორონავირუსის საწყის ეტაპზე. „გლობალიზაცია და ბიზნესი“ N11, გვ. 25-34
- იოსებ არჩვაძე (2021) ეკონომიკის დინამიკის კოვიდპანდემიაზე დამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტის შესახებ. „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ ტ. 8, გამოცემა 2
- იოსებ არჩვაძე (2021) პანდემიის სტარტის კორონასოციოლოგიური და კორონაეკონომიკური შედეგები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული “XXI ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები”, გვ. 106-114
- ვლადიმერ პაპავა (2023) საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში. V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია “საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში”, თბილისი, გვ. 8-18
- Global Debt Is Returning To Its Rising Trend – Analysis. - eurasiareview, 16.09.2023
- Carolina Sanchez-Paramo (2021) COVID-19 leaves a legacy of rising poverty and widening inequality. World Bank Blog. <https://blogs.worldbank.org/developmenttalk/covid-19-leaves-legacy-rising-poverty-and-widening-inequality>
- Alexander Tvalchrelidze (2022) World economy after the COVID-19 pandemic: Opportunities and challenges. Nanotechnology Perceptions Vol. 18
- The Coronavirus Pandemic Will Forever Alter the World Order. WSJ, 3.04.2020.
- Jenna Ross. Mapped: GDP Growth by Country in 2021, 19.05.2022. - <https://advisor.visualcapitalist.com/gdp-growth-by-country-in-2021/>
- Георгий Бовт (2023) Добро пожаловать в торговый центр «Зомби-лэнд», «Газета.Ru», 10.09.2023
- Kolodko Grzegorz W. (2022) Необратимость глобализации. Project Syndicate, 5.09.2022
- IMF World Outlook, October, 2023. <https://ec.europa.eu/eurostat>
- www.geostat.ge

The Main Features and Characteristics of the Post-Pandemic Period of the Economy

Joseph Archvadze

Doctor of Economics, Professor, Kutaisi University
ioseb.archvadze@unik.edu.ge

Abstract

The article discusses the changes that have taken place in the process of globalization and public life in the post-pandemic period. It is emphasized that there is not the end of globalization, but the transformation of the globalization process, the slowing down of the globalization process instead of hyper-globalization and the formation of new political, military and regional ties and alliances under its roof: the process of aggressive globalization is replaced by the open protectionism of countries, the formation of financial and economic blocs and the corresponding With an industrial policy based on a regional principle and a certain ideological concept, narrative, value system and segmental or systemic convergence of economic interests.

This was caused by such processes and events of global importance, such as the Covid pandemic, the growing US-China competition and the Russia-Ukraine war.

In the mentioned conditions, the national states are not gradually regaining their political positions, but they are moving to a "strategic attack" in terms of exercising their rights, capabilities and influence and control over the members of the society. At the same time, the role and importance of transnational corporations is growing significantly. All this leads to an increase in the contradiction between, on the one hand, the practical realization of the spheres of personal freedom and sovereignty, and, on the other hand, the strengthening of the role of the state and transnational corporations.

The activation of the state and its growing role in redistributing the national product also has a negative effect: the growing role of the state not only restricts the market, but also seriously damages competition as a development factor. - Guaranteed orders, provision of keys to products produced on the basis of state funds, etc., puts certain privileged businesses and others in a priori unequal conditions, strengthens the feeling of injustice in society and has a negative effect on ensuring social stability and sustainable development.

Under the conditions of using modern technologies, on the one hand, the speed of movement of resources from one corner of the earth to another will increase, and on the other hand, the role of local resources in achieving the final results of production will increase, which is expressed in the transition from absolute globalization of production to relative localization.

The pandemic gave a powerful impetus to such innovations, technological innovations as Internet-trade, delivery of goods by order, delivery of goods by parcels; Drones are increasingly being used to deliver goods to their destination, robotics and artificial intelligence are being used in virtually every field of activity. This leads to significant changes not only in the structure of jobs and employment. - At this time, along with the increase in the profits of companies and their shareholders, a considerable part of the working people remains unemployed, they become impoverished. The scale of social elevators, their speed and "carrying capacity" are decreasing. Consequently, the threat of property polarization and growing opposition between different layers of society becomes real.

Rising inequality can lead to a "crisis of the means of existence". This, in turn, will lead to an increase in the number of IDPs. Forced migration may become one of the most serious global challenges in the next decade, which will act as a provoking factor for geopolitical conflicts and social tensions within countries, and will be a direct reputational and economic blow to globalization processes.

It can already be safely said that the period needed to fully overcome its negative consequences will be longer than the duration of the Covid-pandemic period.

Keywords: pandemic, state, economy, resources, development

JEL: E6; F6

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.2>

For citation: Archvadze J. (2023) The Main Features and Characteristics of the Post-Pandemic Period of the Economy. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 34 - 46. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.2>

References

- Ioseb Archvadze (2020) Global changes related to the coronavirus pandemic (political-economic aspect). Tbilisi, "Scribe"
- Ioseb Archvadze (2021) Regional features of the pandemic in Georgia at the initial stage of the coronavirus. "Globalization and Business" N11, p. 25-34
- Ioseb Archvadze (2021) on some aspects of dependence of economic dynamics on the covid pandemic. "Innovative Economy and Management" Vol. 8, Issue 2
- Ioseb Archvadze (2021) Corona-sociological and corona-economic consequences of the start of the pandemic in Georgia. Collection of materials of the international scientific conference "XXI economic, social, ecological and technological challenges", p. 106-114
- Vladimir Papava (2023) The main challenges of Georgian economy in the conditions of confrontational globalization. 5th National Scientific Conference "Positioning of Georgian Economy in Confrontational Globalization Conditions", Tbilisi, p. 8-18
- Global Debt Is Returning To Its Rising Trend – Analysis. - eurasiareview, 16.09.2023
- Carolina Sanchez-Paramo (2021) COVID-19 leaves a legacy of rising poverty and widening inequality. World Bank Blog. <https://blogs.worldbank.org/developmenttalk/covid-19-leaves-legacy-rising-poverty-and-widening-inequality>
- Alexander Tvalchrelidze (2022) World economy after the COVID-19 pandemic: Opportunities and challenges. Nanotechnology Perceptions Vol. 18
- The Coronavirus Pandemic Will Forever Alter the World Order. WSJ, 3.04.2020.
- Jenna Ross. Mapped: GDP Growth by Country in 2021, 19.05.2022. - <https://advisor.visualcapitalist.com/gdp-growth-by-country-in-2021/>
- Георгий Бовт (2023) Добро пожаловать в торговый центр «Зомби-ленд», «Газета.Ру», 10.09.2023
- Kolodko Grzegorz W. (2022) Необратимость глобализации. Project Syndicate, 5.09.2022
- IMF World Outlook, October, 2023.
<https://ec.europa.eu/eurostat>
www.geostat.ge

საინვესტიციო გარემოს, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები

რამინ ცინარიძე,

ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

გიორგი აბუსელიძე,

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
george.abuselidze@bsu.edu.ge

ლაშა ბერიძე,

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი,
წმინდა ტბელ აბუსერისძეს სასწავლო უნივერსიტეტი
lashalasha0103@gmail.com

აბსტრაქტი

ქვეყნის საინვესტიციო ურთიერთობების ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის სწორი შეფასების სისტემის დანერგვა, სახელწიფოს მხრიდან ისეთი ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო გარემოში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, მის გაუმჯობესებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

უცხოელი ინვესტორი კაპიტალურ რესურსებს აბანდებს მხოლოდ სტაბილური საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნებში, რომლებიც თავის მხრივ ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდება. ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯანსაღი საინვესტიციო გარემო, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე. მაშასადამე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით წარმოებული საქმიანობა წარმოადგენს გლობალური ბიზნეს ურთიერთობის ფორმას, რომელიც ღია საბაზრო ეკონომიკის მასტიმულირებელი ფაქტორის განუყოფელი ნაწილია.

მიუხედავად უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საინვესტიციო გარემოს არსისა და მისი შეფასების მეთოდოლოგიური საკითხების ფართოდ განხილვისა, ის განსაკუთრებით აქტუალური გახდა კოვიდ-პანდემიის კრიზისის თუ შემდეგ რუსეთ-უკრაინის საომარი კონფლიქტის შემდეგ. ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციის მიხედვით, მსოფლიო ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური სისტემა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მიმართულია ინვესტიციათა ნაკადების ზრდისკენ. ეს ტენდენცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა პოსტკოვიდური პერიოდის ეკონომიკის რეაბილიტაცია და განვითარებისათვის. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება და შესაბამისი გარემოს შექმნა, რაც განსაზღვრავს ამ პროცესის ეფექტიანობას.

კვლევის ამოცანა არის საქართველოში თანამედროვე ეტაპზე არსებული საინვესტიციო გარემოს, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაგმატული ხასიათის ასპექტების გამოვლენა. კვლევის შედეგების საფუძველზე წინადადებებისა და რეკომენდაციების ფორმირება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში საინვესტიციო კლიმატის როლის შესახებ.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს მაგალითზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი მნიშვნელობა მიმღები ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საინვესტიციო კლიმატი და უცხოური ინვესტიციების როლი მისი გაუმჯობესების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო, საინვესტიციო კლიმატი, ეკონომიკური განვითარება.

JEL: E22; F21; G11; H54; O16; R42

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.3>

ციტირებისათვის: ცინარიძე რ., აბუსელიძე გ., ბერიძე ლ. (2023) საინვესტიციო გარემოს, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 47 - 58. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.3>

შესავალი

ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის ეკონომიკაში საინვესტიციო რესურსების არსებობის დონე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი კლიმატისა და მათი ეფექტიანი გამოყენების მექანიზმების ჩამოყალიბება. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური ზრდის მისაღები პარამეტრების უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი როლი ინვესტიციებმა უნდა შეასრულონ, ამიტომაც ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად არის წარმოდგენილი.

საინვესტიციო გარემო (კლიმატი), როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოდგენს ეკონომიკურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი, გეოპოლიტიკურ-ეკოლოგიური ურთიერთობების ფართო სისტემას. იგი ყალიბდება მჭიდროდ დაკავშირებული პროცესების და მოვლენების ზეგავლენით მართვის მაკრო, მეზო თუ მიკრო დონეზე და ახდენს მყარი ინვესტიციური მოტივების წარმოშობას.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი შეფარდება მშპ-სთან ხშირად გამოიყენება ქვეყნის საინვესტიციო კლიმატისა და კონკურენტუნარიანობის საზომად. ბლომსტორის (Blomstrom, M., Kokko, A., 1998) თანახმად განვითარებადი ქვეყნები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით ახერხებენ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პრო-

დუქციის ექსპორტს. ინვესტიციები ადამიანურ განვითარებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირია (Colen Liesbeth, Miet Maertens, Johan Swinnen, 2008), უშუალოდ უზრუნველყოფენ კაცობრიობის ეკონომიკურ ზრდას და პროგრესს.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, ბევრმა ქვეყანამ, რომლებიც გარდამავალ ეტაპზე იმყოფებოდა, ეკონომიკურ სიძლიერეს ინვესტიციების ზრდის შედეგად მიაღწია. ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაცია, ინვესტიციების ზრდა დამოკიდებულია ხელსაყრელი, რაციონალური საინვესტიციო გარემოს შექმნაზე, რაც გულისხმობს იმ ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც კომპანიებს აძლევს შესაძლებლობებს, სტიმულებს კაპიტალის ავანსირების გზით გააფართოვონ საქმიანობის სფეროები, ბიზნესის მასშტაბები. საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხოური კაპიტალი, რომელიც არის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, თანამედროვე მართვის მეთოდების გამოყენების და ადგილობრივი ინოვაციური პროექტების განხორციელების მთავარი საშუალება. უცხოურ ინვესტიციები ასევე შესაძლებელია გახდეს ადგილობრივი ინვესტიციებისთვის მამოტივირებელი ფაქტორი და ხელი შეუწყოს ჯანსაღ კონკურენციას და მონოპოლიის არ არსებობას (Tsinaridze, R., Makharadze, N., 2023). საუკეთესო, რაციონალური საინვესტიციო გარემო იწვევს ინვესტიციების დიდი ოდენობით მოზიდვას. თავის მხრივ, ინვესტიციები ასრულებს კატალიზატორის როლს ეკონომიკური

ზრდისათვის, განვითარებისათვის, ის განსაკუთრებით ეფექტიანია განვითარებად ქვეყნებში (Barry P. Bosworth, Susan M. Collins and Carmen M. Reinhart, 1999), (YOEL HECHT, ASSAF RAZIN, NITZAN, GAD SHINAR, 2004). ეკონომიკური ზრდის, განვითარების მისაღები დონე და მიღწეული მიკრო, მაკროეკონომიკური პირობები თავის მხრივ აუცილებელი პირობაა ინვესტიციური აქტიურობისთვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს სამამულო საქონელმწარმოებლების კონკურენტუნარიანობის და საბოლოო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

მსოფლიო ქვეყნების საინვესტიციო მიმზიდველობის კომპლექსურ რეიტინგებს პერიოდულად აქვეყნებენ წამყვანი ეკონომიკური ჟურნალები: „Euromoney“, „Fortune“, რომელთაგან ყველაზე პოპულარულად ითვლება „Euromoney“. აღნიშნული ჟურნალი წელიწადში ორჯერ (მარტში და სექტემბერში) აცნობს მკითხველს მსოფლიოს ქვეყნების საინვესტიციო რისკისა და საიმედოობის რეიტინგს 10 ბალიანი სისტემით - საექსპერტო ანგარიშებით - ანალიტიკური გზით მიღებულ შედეგებს. საანალიზო მაჩვენებლად იყენებენ მაჩვენებელთა ცხრა ჯგუფს: ეკონომიკის ეფექტიანობა, პოლიტიკური რისკის დონე, ვალის მომსახურების მდგომარეობა, კრედიტუნარიანობა, საბანკო დაკრედიტების მისაწვდომობა, მოკლევადიანი ფინანსების მისაწვდომობა, გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მისაწვდომობა, ფორსმაჟორული გარემოების წარმოქმნის ალბათობა (Euromoney, 2023).

საინვესტიციო გარემოს შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის თვალსაზრისით საყურადღებო პრაქტიკა აქვთ აშშ-სა და იაპონიას. აშშ-ში საინვესტიციო გარემოს შეფასების მიზნით ისეთი ფაქტორებიც გამოიყენება, როგორცაა ცალკეულ შტატებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური

შეხედულებები და ეკოლოგიური მოძრაობები. საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორების ბაზაზე აქვეყნებენ ცალკეული შტატების მიხედვით „ყოველწლიურ სტატისტიკურ რუკას“, რომელიც შეიცავს ოთხ განზოგადებულ მაჩვენებელს. ეს მაჩვენებლებია: ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა, საქმიანი ქმედუნარიანობა, ტერიტორიის განვითარების პოტენციალი და საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი შემადგენლობები.

იაპონიაში დანერგილია საინვესტიციო გარემოს აღწერითი დახასიათება მისი რაოდენობრივი შეფასების გარეშე. აღნიშნული მეთოდები შედარებით მარტივია, თუმცა სუბიექტურობის ელემენტებსაც შეიცავს.

საინვესტიციო გარემოს შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მიმართულებით დომინირებს ძირითადად სამი მთავარი მიმდინარეობა.

პირველის მიხედვით საინვესტიციო გარემოს შეფასება ემყარება შემდეგ მაჩვენებელთა სისტემის ანალიზს: მშპ-ის, ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების დინამიკა, ეროვნული შემოსავლის განაწილების დინამიკა და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში დაგროვებისა და მოხმარების თანაფარდობა, პრივატიზაციის მიმდინარეობა, საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მდგომარეობა, საინვესტიციო ბაზრის ცალკეული სახეების (მათ შორის საფონდო და ფულადი ბაზის) მდგომარეობა (ბასარია, რ., მესხია ი., 1995).

მეორე მიმდინარეობა ითვალისწინებს უამრავ ფაქტორთა ერთობლიობის შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საინვესტიციო გარემოზე. ეს ფაქტორები შვიდ გამსხვილებულ ბლოკებად არიან დაჯგუფებული, რომლებიც, თავის მხრივ, შეიცავენ მრავალ ფაქტორს.

მესამე მიდგომის მომხრეები საინვეს-

ტიციო გარემოს შემადგენელ ფაქტორებად განიხილავენ ორ ძირითად ვარიანტს: საინვესტიციო პოტენციალი და საინვესტიციო რისკი ან საინვესტიციო რისკი და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი (ქოქიაური, 2017).


პირველი ვარიანტის მიხედვით საინვესტიციო პოტენციალს აფასებენ მაკროეკონომიკური მახასიათებლების საფუძველზე, რომელიც შეიცავს: მოცემულ ტერიტორიაზე წარმოების ფაქტორების არსებობას (მათ შორის შრომით რესურსებს მათი საგანმანათლებლო დონის გათვალისწინებით), სამომხმარებლო მოთხოვნას, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, მეცნიერების განვითარებისა და მისი მიღწევების დანერგვის დონეს, საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარებას, კომპლექსური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას (დათუნაშვილი, 2000).

მეორე ვარიანტს საფუძვლად უდევს საინვესტიციო გარემოს დონე რეგიონული საზოგადოებრივი სისტემის განვითარების თვალთახედვიდან. აქ სხვა უამრავ ფაქტორებს შორის ითვალისწინებენ: ადამიანურ

პოტენციალს, განვითარების მატერიალურ ბაზას, სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და პოლიტიკური რისკის ფაქტორებს, ეკონომიკის მდგომარეობას და მისი მართვის დონეს (აბესაძე, 2002); (ქოქიაური ლ., ბებიაშვილი ნ., 2010).

განვიხილოთ საერთაშორისო სუვერენული და სარეიტინგო კომპანიების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები საქართველოსთან მიმართებით, ასევე ასეთი წარმოდგენის დროს უნდა გამოიყოს და შეფასდეს განსაკუთრებით ისეთი ფაქტორები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ინვესტორის გადაწყვეტილებაზე, მაგალითად: Doing Business, მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

Doing Business მიერ გამოქვეყნებული ანგარიში და წარმოვადგინოთ ინფორმაცია შესაბამისი ინდიკატორების მიხედვით (დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. საინვესტიციო კლიმატი საქართველოში „Doing Business“-ის მიხედვით, პოზიცია ინდიკატორების მიხედვით (Doing Business, 2023)

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო მონაცემების მიხედვით (რომელიც გამოქვეყნებულია სამინისტროს საიტზე ფიქსირდება 2022 წლით) საერთო პოზიციის მიხედვით

საქართველოს 190 ქვეყანას შორის მე-7 ადგილი უკავია, რაც რა თქმა უნდა არ არის ცუდი, პირიქით უნდა შეფასდეს, როგორც დადებითი შედეგი, ასევე მნიშვნელოვანია

აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კომპონენტების/ინდიკატორების მიხედვით საქართველოს უფიქსირდება ყველა კომპონენტში გაუმჯობესების შედეგი ბოლო 12 წლის განმავლობაში, რაც ზოგადად მეტყველებს ბიზნეს გარემოს, მისი მარეგულირებელი თუ მასზე მოქმედი ფაქტორების რეგულირებაზე.

ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოწვევად რჩება გადახდისუნარიობის კომპონენტი, აღნიშნული დაკავშირებულია ბიზნეს/საინვესტიციო საქმიანობის დახურვასთან, რაც ხშირად დროში გაწელილი პროცესია და ინვესტირებას უწევთ საწარმოს დახურვის ნაცვლად დაარეგისტრირონ ახალი საწარმოები. აღნიშნულის მოსაწესრიგებლად სახელწმიფოს მხრიდან გატარებული იქნა რამდენიმე რეფორმა, მათ შორის, 2008, 2011, 2013 და 2018 წლებში, მაგრამ როგორც ნახაზიდან ჩანს მდგომარეობა არ არის სახარბიელო.

ასევე შედარებით ცუდი პოზიცია ფიქსირდება ელექტრო მომარაგებისა და

მშენებლობის ნებართვის ინდიკატორების პოზიციებთან მიმართებით. ორივე ინდიკატორის შეფასების ძირითად ელემენტებს წარმოადგენს დრო და რა თქმა უნდა დანახარჯი, სამწუხაროდ განაშენიანების გეგმების არ არსებობა ძირითადი საინვესტიციო ქალაქების მიმართ კიდევ უფრო მეტად ართულებს მშენებლობის მიღების ნებართვის ვადებს, მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით აჭარის რეგიონი 2018-2019 წლებში გაცემული მშენებლობის ნებართვების მიხედვით მეორე პოზიციას იკავებდა თბილისის შემდეგ, ხოლო 2020 წლიდან მე-4, მე-5 პოზიციას იკავებს, რაც ქალაქ ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგია, რომლითაც უნდა მომზადდეს ქალაქ ბათუმის განაშენიანების გეგმა, ხოლო განაშენიანების გეგმის მომზადების დროს ნებართვების გაცემა ნაწილობრივ შეჩერებულია (ყოველ შემთხვევაში ასეთი შეჩერების საფუძველი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული).




დიაგრამა 2. ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვების შესახებ, რეგიონების მიხედვით 2018-2022 (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023)

მეტი სიცხადისათვის საქართველოსთან მიმართებით განვიხილოთ მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი კომპონენტების მიხედვით (დიაგრამა 3).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ამ ინდექსით მსოფლიოში მე-5 ადგილზეა, მაგრამ შედარებით დაბალი ქულები ფიქსირდება სამართლებრივი სტრუქტურისა და საკუთრების უფლების დაცვის ინდიკატორში, სადაც სასამართლო დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებელ სასამართლოს ყველაზე დაბალი ქულები ფიქსირდება 5.42 და 5.91, რაც ნამდვილად არ აისახება დადებითად ინვესტორის გადაწყვეტილებაზე (მით უმეტეს თუ ეს ეხება უცხოურ ინვესტიციებს), რამეთუ უფლების დაცვისა და რეალიზაციის გა-


რანტიებს სწორედაც რომ დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო უნდა ჰქმნიდეს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გამოქვეყნებულია 2021 წელს, სადაც ასახულია 2019 წლის პერიოდი). საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპზე იქნება დაფუძნებული. აღნიშნულ გარემოებას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ასახელებენ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებიც (Tsinaridze, R., Rizhvadze G, 2023).



დიაგრამა 3. მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება, საქართველოს ქულები ინდიკატორების მიხედვით, 2021 (მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება, 2023)

ასევე, საკმაოდ მნიშვნელოვან წარმოდგენებს საინვესტიციო გარემოზე გვაძლევს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელიც შეიცავს 4 მიმართულებას 98 კომპონენტის მიხედვით, ყველა ამ კომპონენტის განხილვა შეუძლებელი იქნება, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ინდექსით საქართველო 2018 წელს

მსოფლიოში 66-ე ადგილზეა. გამოვყოთ რამდენიმე მიმართულება თავისი კომპონენტების მიხედვით, სადაც ყველაზე დაბალი შეფასებები აქვს საქართველოს, ესენია: ფინანსური სისტემა 88-ე პოზიცია, ინოვაციური უნარ-ჩვევები 85-ე პოზიცია (დიაგრამა 4, 5). (გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2023)



დიაგრამა 4. ფინანსური სისტემა - ქულა 54.1 (88-ე პოზიცია)



დიაგრამა 5. ინოვაციური უნარ-ჩვევები 32.7 ქულა (85-ე პოზიცია)

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ინვესტიციების მიმართულების ერთ-ერთ განსაკუთრებულ მოთხოვნას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების არსებობა, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ინტელექტუალურ და საპატენტო დარგების განვითარებასთან. ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ კომპონენტებზე - კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, დანიშნულების კვლევასა და განვითარებაზე, ასევე საერთაშორისო თანაგამოგონება, რაშიც საქართველოს ძალიან დაბალი ქულები უფიქსირდება (მაქსიმალური 10.7 ქულა), მაშინ, როცა თანამედროვე სამყაროში ინვესტიციების გარემოს ფორმირების ერთ-ერთ მი-

რიტად კომპონენტს სწორედ ეს მიმართულება წარმოადგენს, ამიტომ ამ მხრივ სახელმწიფოს მართლაც ბევრი რეფორმის გატარება მოუწევს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დადებითი მხარეების მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლები შეიცავენ მთელ რიგ უარყოფით მომენტებს, რომლებიც ფაქტურად ამნელებენ, ან შეუძლებელსაა კი ხდინან მათ პრაქტიკულ გამოყენებას. უარყოფით მომენტებს შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს მაჩვენებელთა სიმრავლე და მათი მოპოვების, დამუშავების სირთულე, მაღალი შრომატევადობა. ამ მაჩვენებელთა ცვალებადობა დროში, მიღებული შედეგების ზოგადი ხასიათი, რომ-

ლებიც კონკრეტული ინვესტორებისათვის ხშირად არანაირ ღირებულ ინფორმაციას არ შეიცავს. თანაც საინვესტიციო გარემოს შეფასებას ართულებს და მიღებულ შედეგებს არასაიმედოს ხდის ცალკეულ მეთოდოლოგიებში სხვადასხვა ბლოკებში ჩართული მთელი რიგი მაჩვენებლების განმეორება. ამას ისიც ემატება, რომ ყოველი ცალკეული მაჩვენებელი, ან მაჩვენებელთა სისტემა, უმეტესწილად ეფუძნება რა დარგობრივი სიდიდეების ანალიზს და განზოგადებას, რომლებიც, როგორც წესი, ყალიბდებიან სხვადასხვა (დარგთა კომპლექსის განვითარების) თავისებურებათა ზემოქმედების შედეგად, თავისთავში ასახავენ სწორედ მათი დინამიკის კანონზომიერებას, შესაბამისად დარგობრივი და არა მთლიანი სახელმწიფოებრივი, ან რეგიონული ინვესტიციური გარემოს ფორმირებას.

სწორედ ამის გამო იზრდება ალბათობა იმისა, რომ მაგალითად, ერთი რომელიმე მაჩვენებლის (მაჩვენებელთა ნაკრების) მიხედვით ესა თუ ის ქვეყანა (რეგიონი) მივაკუთვნოთ ხელსაყრელი ინვესტიციების ზონას, ხოლო მეორე მაჩვენებლის (მაჩვენებელთა ნაკრების) მიხედვით - არახელსაყრელს. ასეთი მდგომარეობა არ გვამლევს იმის საფუძველს, რომ საბოლოო დასკვნა გამოვიტანოთ მაჩვენებელთა ისეთი ერთობლიობითაც კი, როგორცაა ინვესტიციების მოცულობის დაცემა, კაპიტალური დაბანდებების ტექნოლოგიური დარგობრივი სტრუქტურა, მოსახლეობის განწყობა მთავრობის მიმართ და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს შემოთავაზებულ მეთოდოლოგიებში მაჩვენებელთა ჩართვის მიზნით მათ მისაღებად ჩატარებული ძვირად ღირებული გამოკითხვები, გამოკვლევები, რომლებშიც მრავალრიცხოვან ექსპერტთა ჯგუფები მონაწილეობენ და სხვა.

დასკვნა

ინვესტიციური გარემო კომპლექსური ცნებაა და გულისხმობს ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ანუ თუ რამდენად ხელსაყრელია კაპიტალდაბანდება როგორც იდეოლოგიურ ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ამისათვის უნდა გაანალიზდეს ფინანსური ბაზრის მდგომარეობა ქვეყანაში, მოზიდულ და ეროვნულ ინვესტიციებს შორის თანაფარდობა, ინვესტიციების ეფექტიანობის ყველა ფაქტორი და განსაზღვროს საინვესტიციო პროექტების განხორციელების რისკი. თანაც საინვესტიციო გარემოს შეფასება თვითმიზანი არ არის. მისი მთავარი დანიშნულებაა დააინტერესოს პოტენციური ინვესტორი მოცემულ ქვეყანაში, რეგიონში, კონკრეტულ პროექტში დააბანდოს თავისი სახსრები. ამდენად მისი ფსიქოლოგიური განწყობა დიდ მნიშვნელობას იძენს.

საინვესტიციო გარემოს შეფასებისას თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების გარდა გათვალისწინებული უნდა იქნეს მოცემული ქვეყნის, რეგიონის სივრცეზე არსებული ტრადიციული ფაქტორებიც, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უარყოფითად ზემოქმედებენ ინვესტიციური პროცესების მსვლელობაზე და ამ სივრცეში ეკონომიკური რეფორმების შედეგებზე. მხედველობაში გვაქვს ცალკეულ სახელმწიფოების გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ, საომარი კონფლიქტები, მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაზე დამოკიდებულება, ბაზარის მცირე ტევადობა და ორიენტირება მხოლოდ საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე და სხვა.

უცხოურ კაპიტალზე დაყრდნობა სრულიადაც არ ნიშნავს სამამულო ინვესტორთა იგნორირებას, მათ ფინანსური შესაძლებლობის შეზღუდვას. ეკონომიკის იმ სექტორში, სადაც ადგილობრივ ინვესტორებს შესწევთ უნარი აამოქმედონ წარმოე-

ბა, უპირატესობა მათ უნდა მიენიჭოთ, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინვესტიციების რაოდენობა, არამედ მათი ხარისხი. უცხოური ინვესტიციები კი ეს არის უმთავრესად ახალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, უფრო სრულყოფილი მართვის სისტემები, პროდუქციის მაღალი ხარისხი.

თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე საგულისხმოა, რომ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობს ხელს (იგი უძველესი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია). დღეს განსაკუთრებით ქვეყანას საშუალება ეძლევა მაქსიმალური დატვირთვით გამოიყენოს მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და მილსადენი მარშრუტები, რადგანაც საქართველოში წარმოებული ბიზნესისათვის სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა. ცალკე აღსანიშნავია, რომ უცხოური კაპიტალისათვის მომგებიანი ე.წ. სპეციალიზაციის გავლენით საქართველოში უპირატესად ვითარდება შრომატევადი და არა მეცნიერება და კაპიტალტევადი დარგები, რადგან უცხოური კაპიტალი, ძირითადად კვლავ იაფი მუშახელისა და ბუნებრივი რესურსების გამო შემოდის ჩვენს ქვეყანაში.

საერთო შეფასებით საქართველოში მიმდინარე რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება ისევ და ისევ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს და სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკის განხორციელებაში შეტანილი ცვლილებები შეიძლება შევაფასოთ, როგორც დადებითი მოვლენა, რომელი გამოხატავს პრაქტიკაში ინვესტიცი-

ბის საბაზრო პრინციპების რეალიზებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებაში მონაწილე ორივე მხარე ღებულობს სარგებელს. ინვესტორების სარგებელს წარმოადგენს მიმღები ქვეყნის რესურსების გამოყენება, სამუშაო პერსონალი, აქტივები. ხოლო რეციპიენტი ქვეყანა სარგებლობს თანამედროვე ტექნოლოგიებით და მონაწილეობს მიმდინარე საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირების პროცესში, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა რომელიმე მასტიმულირებელ ფორმას, არამედ ქვეყანაში ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს ფორმირებას, რომელიც მრავალ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული. თანაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივების ანალიზის დროს აუცილებელია სამამულო დამზოგველთა საინვესტიციო შესაძლებლობათა და საინვესტიციო პროცესში მათი როლის შეფასება. პოლიტიკა უცხოელი ინვესტორების მიმართ სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მტკიცე კავშირი სამამულო ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებებსა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას შორის, ეკონომიკის და ფინანსების ამ ორი წყაროს ურთიერთგავლენა განაპირობებს მათი კომპლექსური შესწავლის მიზანშეწონილობას.

საქართველოში ინვესტიციური ურთიერთობების მოწესრიგება, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, საერთოდ საინვესტიციო საქმიანობის შეფასების სწორი სისტემის განვითარება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტიანი დაბანდება, ინვესტიციების ბაზრის სწორი ფუნქციონირება, ინვესტიციური ბანკების შექმნა და სხვა აქტუალური საკითხების კვლევა ერთგვარი წინადადებული ნაბიჯი იქ-

ნება საინვესტიციო საქმიანობაში არსებული პრობლემების დაძლევის გზაზე.

სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება ყოვლად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე. ინვესტიციები ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის

ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პროცესში. სახელმწიფო კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ლი არქაული წესი აღარაა საკმარისი მისი და უმარავი სხვა კულტურის წარმოების უზრუნველსაყოფად. თანამედროვე ტექნოლოგიამ, რომელმაც დასავლეთ ქვეყნებთან ერთად აზიაც მოიცვა ჩვენთან ჯერ ვერ შემოაღწია, წლებია უკვე არა მარტო კანადაში, ყაზახეთშიც სიმინდის სარეკორდო მოსავალი 40 ტონას შეადგენს ჰექტარზე. სოფლის მეურნეობა ჩვენი ქვეყნისთვის სპეციფიურად მნიშვნელოვანი სეგმეტია, მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს და ეს დარგით, ისიც ქვეყნის გარედან ფინანსური დახმარებით, ეკონომიკის მხოლოდ 8% ქმნის და ისე რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ძირითადი სახეობიდან უმეტესსზე გარედან მოწოდებულ პროდუქტზე ვართ დამოკიდებული. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია ადამიანურ კაპიტალთან, დარგში უმნიშვნელო წვლილი უჭირავს თანამედროვე ტექნოლოგიებს. ჰოლანდია აწარმოებს, დედამიწაზე წარმოებული პომიდვრის 35%-ს, კიტრის 26%, ჯამურად ყველა ქვეყნიდან ექსპორტზე გატანილი ყველის 60%-ს. შესაბამისი ყვავილის მისთვის უცხო სახეობა, დარგის მნიშვნელოვან სეგმენტად აქცია, და ამ და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულია მოსახლეობის 1% და დარგი ეკონომიკის 28% ქმნის, აშშ-ს შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს სასოფლო სამეურნეო პროდუქტის მიწოდებაში, დარგში ხელით შრომას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აკისრია. ადამიანური კაპიტალის ამ სეგმეტისათვის საჭირო უთანამედროვესი მოთხოვნების საპასუხოდ სრულფასოვან რესურსად გადაქცევა ადამიანებს გაიყვანს სხვა სოცოიალურ დონეზე, ამასთან ქვეყანას გაუჩნდება საკვები პროდუქტების საკუთარი რესურსები, გაიზრდება ქვეყნის ეკონომიკაში დარგის მიერ შეტანილი წვლილი, ერთიცაა გასათვალისწინებელი, ხშირად ადამიანური კაპიტალის სასარგებლო რესურსად გადასაქცევის მიზნით, სა-

ჭირო ტექნოლოგიების მოზიდვის მიზნით ცოდნის დაუფლების გარდა, შესაბამისი ინსტიტუციების დაგვიანებით მაგრამ სასწრაფოდ დანერგვის გარეშე სასურველი შედეგი არ დადგება. სოფლის მეურნეობაში სათანადო შედეგებზე გასვლა კოოპერირების გარეშე ფუჭი ილუზიაა, ამ მიმართულებით შედეგის მიღწევის მიზნით ყველა მცდელობა ფუჭი მონდომებაა. ქვეყანაში შეიქმნა 1600-ზე მეტი კოოპერირება, იაპონიაში ასეტი სულ 800-ია. და გაიცა დიდი მოცულობის უამრავი გრანტი. ბრენდად ქცეული თუნდაც ერთი კოოპერატივის დასახელება ვერცერთ გამოკითხვებით ვერ დაფიქსირდება.

სამეურნეო საქმიანობის სხვა მიმართულებებშიც არსებობს მნიშვნელოვანი და ხშირად მწვავე გამოწვევები, სადაც გადაუდებლად და უსწრაფესადაა მისაღები სათანადო გადაწყვეტილებები, მიღებულია კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა, „მწვანე მშენებლობა“, შენობა ნაგებობების ენერგოეფექტურობა ცივილიზაციის თანამედროვე გამოწვევაა და არა მარტო ევროპას, ამერიკასა, იაპონიასა თუ კანადაში, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სხვა ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებშიც დიდი ხანია იქნა მიღებული. ბოლო სამი წლის მანძილზე აგებულ „მწვანე სახლების“ VIP ხუთეულში, ვიეტნამში აგებული ნაგებობაც მოხვდა, მაშინ როცა სახეზეა ენერგო მატარებლებზე ფასების ცვლილების დინამიკა. ამ მიმართულებით სათანადო პროცესების დაგვიანება არანაირად არ იქნება სახარბიელო, ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიმართულებით, სად თუ არა ამ მიმართულებებითაა უკიდურესად საჭირო თანამედროვე გამოწვევებზე მკვეთრად და კონკრეტულად ორიენტირებული რესურსებით აღჭურვილი პროფესიონალთა დიდი გუნდი. ადამიანის საქმიანობის შესაბა-

მისი სახეობის წარმოებისას სათანადო ღონისძიებების გატარების დაგვიანება მკვეთრად ზრდის ამ თვალსაზრისით პრობლემად გადაზრდის შესაძლებლობებს, მაშინ როცა საქმიანობის ამ სახეობის მიმართ არსებული გამოწვევები ადამიანური კაპიტალის მათთვის და საზოგადოებისათვის უკიდურესად სასარგებლო რესურსად გადაქცევის მიზნით მნიშვნელოვანი მოტივატორებია.

დასკვნა

როგორც მანქანა-დანადგარების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება მკაცრად განსაზღვრული და მარტივად საანგარიშო მარგი ქმედების კოეფიციენტის მეშვეობითაა შესაძლებელი, ადამიანური კაპიტალის როგორც რესურსის შეფასებასას გამოყენებული უნდა იქნას მსგავსი მიდგომა და მისი მეშვეობით უნდა შეფასდეს სასწავლო პროგრამების მიერ მიცემული ცოდნა და ამ ცოდნის შედეგად ადამიანური კაპიტალი რა ხარისხის რესურსად ჩამოყალიბდა და როგორია მისი რეალიზებით მიღებული უკუგება. ეს მაჩვენებელი არსებითად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებულ სოციალურ ეკონომიკურ ფონს, გლობალურ სივრცეში ქვეყნის არსებითი მახასიათებლებით ადგილის კუთვნილებას და მის როგორც სტაბილურად განვითარებად გარანტირებულ მომავალს.

ზუსტად უნდა იქნას შესწავლილი ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები და უახლოეს მომავალში მათ საპასუხოდ განსახორციელებელი ღონისძიებები, მათ შორის დადგენილი უნდა იქნას ადამიანური რესურსებზე კონკრეტული მოთხოვნები და განისაზღვროს შესაბამისად მოტოვირებული ახლგაზრდების ადამიანური კაპიტალის კონკრეტულ მაღალ ფასეულ რესურსად გადაქცევის მრავალფაქტორიანი პირობები.

არსებობს ადამიანური კაპიტალის მაღალი ხარისხის რესურსად ქცევის შემ-

თხვევაში დამდგარი შედეგის თვალსაჩინო მაგალითები.

სინგაპური - სივრცე სადაც არ არსებობს არანაირი ბუნებრივი რესურსი, უკიდურეს სიღარიბეში და მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების გარეშე. ადგილობრივი მოსახლეობა ყველა სიღუფიერესთან ერთად სასმელი წყლის მძიმე დეფიციტსაც განიცდიდა. ქვეყნის პრემიერად მოვიდა ადამიანი რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული ადამიანური კაპიტალის როგორც უმაღლესი კატეგორიის რესურსის, როგორც მნიშვნელოვანი ცვლილებების უზრუნველყოფის შესაძლებლობებში და მკვიდრი მოსახლეობის სწორედ ადამიანური კაპიტალის როგორც არსებითი რესურსის ხარისხობრივი მაჩვენებლის მკვეთრად ზრდის პირობებით, მოკლე დროში იქნა შესაძლებელი ის საოცრება, რითაც სინგაპურის სწრაფი განვითარება და მისი წარმატებული ქვეყნების გვერდით დაყენება იქნა უზრუნველყოფილი. საყურადღებო ისაა, რომ ქვეყანას ამ მიმართულებით ოდითგან ჰქონდა საკმარისი გამოცდილება, გელათის აკადემიაში, იგივე ასუად ათინადში, „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმში“ სასწავლო პროგრამების: „ქვეყნის საზომლოდ“, „რიცხუნი“, „სამოსოდ“ და კვადრიუმის „საქმეთი, მხედველობითი და განმსიტყუელობითი“, „თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“, „ვარსკვლავთმრიცხველობა“ გავლით ცოდნა მიღებულმა არა ერთმა, მომავალში დიდმა მოღვაწემ მაშინდელი დასავლური სამყაროს განვითარებაში შეიტანეს გადამწყვეტი მნიშვნელობის წვლილი.

და კითხვაზე, არსებობს სავარაუდო და არცთუ ისე სახარბიელო პასუხი, ეს და სხვა უამრავი მსგავს შედეგებზე გასული ადამიანები, რომლებმაც მსოფლიო პროგრესის განვითარებას დაატყვეს თავის არსებითი ხასიათის კვალი, ვინ იქნებოდნენ და რისი მიღწევას შეძლებდნენ აქ დარჩენი-

ლები წარმატების მიღწევის გზაზე ? - ჯორჯ კობი (გრიგოლ კობახიძე)-მინის ჯადოქარი, გიორგი მაჩაბელი-პარფიუმერი, ალექსანდრე ქართველიშვილი (ალექსანდრე ქართველი)-ავიაკონსტრუქტორი, ალექსანდრე (ლექსო) თორაძე-პიანისტი, გიორგი ბალანჩივაძე (ჯორჯ ბალანჩინი)-ბალეტმეისტერი, ლეო ბოკერია-ცნობილი კარდიოქირურგი. და სანამ მოხერხდება აქ ამ მიმართულებით არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანით ახლი პროგრესის თანმხვედრი თუ არა, მას კვალში მიდევნებული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, ვინ იცის კიდე ქვეყნის მკვიდრი მომავალში რამდენი დაემატება ამ სიას, რომლებიც სხვაგან მოახდენენ თავის უდიდეს რესურსად ქცეულ ადამიანური კაპიტალით ცივილიზაციის განვითარებაში წვლილის შეტანას.

საყოველთაოდ ცნობილია ბევრი რესურსებით მიდარი ქვეყანა, არ გამოირჩევა განვითარებული ეკონომიკით, ისინი ვერ ქმნიან საკუთარი ქვეყნების და მით უფრო მსოფლიო მასშტაბით ახალი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიმღები სასარგებლოდ ინსტრუმენტებს, ტექნოლოგიებს და მეთოდებს. რესურსად ქცეული ადამიანური კაპიტალი, რომ უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ბუნებრივი რესურსები ამას ფინეთის, იაპონიის თუ სინგაპურის მაგალითიც ადასტურებს. ამ ქვეყნების წარმატებები იქ თავის დროზე მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებითაა განპირობებული, მათ შორის, მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ ცოდნის მიწოდება ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკიდან იწყება და ეს არაა ტრივიალური პროცესი, სწავლის ყველა ეტაპი ადამიანის შესაძლებლობის კონკრეტულ ახალი გამოწვევების საპასუხოდ რესურსად ქცევის დასრულებული პერიოდია. იაპონიაში სკოლამდელ ასაკში ბავშვს თეორიული წიაღსვლების გარეშე აძლევენ შესაძლებ-

ლობას მკაფიოდ გაიაზროს რას გულის-
ხმობს პროცესის ოპტიმიზაცია და დიდ
თუ პატარა პრობლემის დაძლევისას რო-
გორ შეიძლება მიღებული იქნას რაციონა-
ლური გადაწყვეტილება. ჩვენც ოპტიმა-
ლური და თან რაციონალურიც მივიღეთ
გადაწყვეტილება და დიდი თუ მცირე წი-
ნააღმდგეგობის დაძლევა ქვეყნის დატო-
ვებით გადავწყვიტეთ. ან სასწრაფოდ ვი-

წყებთ რეალურ ცვილილებებს ადამიანური
კაპიტალის, უხლოესი გამოწვევების შესა-
ბამის რესურსად ქცევის მიზნით, ან და
უკეთეს შემთხვევაში ახლო მომავლიდან
ხელოვნურ ინტელექტის მიერ მიღებული
გადაწყვეტილებებით იმ ხალხს ყოფა
ვინც მომავლის დაგეგმვისას არ ან ვერ
მიიღებს დროულ გადაწყვეტილებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექ-
სპორტის გარეშე) 2022 წლის იანვარი-მარტი. 19.04.2022 www.geostat.ge
- სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია: სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისთვის? “ევრო-
პული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი” თბილისი, URL: <http://ei-lat.ge>
- Goldin C, Katz LF (2008) The race between education and technology. Belknap, Cambridge, MA
- Engerman SL, Sokoloff KL (2012) Economic development in the Americas since 1500: endowments and
institutions. Cambridge University Press, Cambridge

Human Capital as a Crucial Resource for Delivering Results on Essential Challenges

Merab Baratashvili

Associate Professor, Akaki Tsereteli State University
merabib@gmail.com

Tornike Baratashvili
PhD student

Abstract

Human capital has always attracted the attention of many people, for the purpose of studying it and various social events related to it, works have been created by many authoritative researchers. Parallels are drawn that make it clear what results the possibility of turning human capital into an essential resource can bring for the owner of the resource and society as a whole, the main types of human activity are presented, according to which directions it is necessary to take appropriate decisions in a timely manner, including those equipped with intellectual and professional resources corresponding to modern requirements. In order to form multi-professional teams of people.

Keywords: Human capital, human resources, cooperative, green construction, energy efficiency, training and retraining

JEL: O15

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.12>

For citation: Baratashvili M., Baratashvili T. (2023) Human Capital as a Crucial Resource for Delivering Results on Essential Challenges. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 96-103. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.12>

References

Statistics National Service of Georgia. Local export (export without re-export) January-March 2022. (19.04.2022) URL: www.geostat.ge

Singapore, Estonia, Switzerland: target models for Georgian transformation? "European Initiative - Liberal Academy Tbilisi", Tbilisi, <http://ei-lat.ge>

Goldin C, Katz LF (2008) The race between education and technology. Belknap, Cambridge, MA

Engerman SL, Sokoloff KL (2012) Economic development in the Americas since 1500: endowments and institutions. Cambridge University Press, Cambridge

ნებაყოფლობითი კერძო პენსიის რეფორმა საქართველოში

თამილა ნუცუბიძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი
tamila.nutsubidze@unik.edu.ge

ხათუნა ნუცუბიძე

კონსულტანტი სოციალური პოლიტიკის დარგში

აბსტრაქტი

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების განვითარება არის მნიშვნელოვანი მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებისათვის საქართველოში. ნებაყოფლობითი კერძო პენსიის რეფორმის მნიშვნელობა მაღალია როგორც საპენსიო სისტემის ინსტიტუციური განვითარებისთვის, ასევე ქვეყანაში სამუშაო ძალის განვითარების, დანაზოგების მოცულობის ზრდის და მთლიანობაში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების განვითარებას საქართველოში აქვს პოტენციალი, აღნიშნული სქემები ძირითადად არის გათვალისწინებული მაღალშემოსავლიან მუშაკებზე. შედეგად, ყურადღების გარეშე რჩებიან დაბალშემოსავლიანი მუშაკები და სხვა მუშაკები, რომლებიც არ არიან ჩართულები ფორმალურად ორგანიზებულ სამუშაო პროცესში. არსებული მწვავე დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით (ხანდაზმულთა რიცხოვნობის ზრდა, შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის კლება) არაფორმალური სექტორის სიდიდე და დამოუკიდებელ / თვითდასაქმებულ მუშაკთა მაღალი რიცხოვნობა განსაკუთრებულად უნდა ახდენდეს გავლენას სახელმწიფო პოლიტიკაზე, რათა ხელი შეეწყოს აღნიშნული კატეგორიის მუშაკთა მიერ საპენსიო დანაზოგების შექმნას და მათთვის ფინანსური დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მომსახურება, ნებაყოფლობითი პენსია, საპენსიო რეფორმა

JEL: I38

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.13>

ციტირებისათვის: ნუცუბიძე თ., ნუცუბიძე ხ.(2023) ნებაყოფლობითი კერძო პენსიის რეფორმა საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 104 - 111. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.13>

2023 წლის 31 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ კანონპროექტი. ახალი კანონის „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ მიღებით უქმდება 1998 წელს მიღებული კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ“. ახალი კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ინსტიტუციონალური ფაქტორებით და დემოგრაფიული ტენდენციებით. ყველაზე მნიშვნელოვანია აღსანიშნავად - აუცილებლობა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს და განვითარდეს თანამედროვე დემოკრატიული ინსტიტუტები რაც

მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ახალი კანონის მიღება მნიშვნელოვანწილად საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებითაა განპირობებული. შესაბამისად, კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროდირექტივებთან, რაც საფუძველს უყრის ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების ინსტიტუციურ განვითარებას; საპენსიო სქემების ორგანიზების, რეგულირების და მათზე ზედამხედველობის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის პოტენციურ შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-

ში არსებული ნაბაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები წარმოადგენენ თანამედროვე საპენსიო სისტემის განუყრელ ნაწილს, მოქმედი ნაბაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების როლი ეკონომიკაში არის უმნიშვნელოდ წარმოდგენილი. 2022 წლის მდგომარეობით, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში რეგისტრირებულია ოთხი არასახელმწიფო საპენსიო სქემა, რომელთაგანაც სამი სქემის დამფუძნებლებს წარმოადგენენ სადაზღვევო ორგანიზაციები (სს "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო,, (საპენსიო სქემა რეგისტრირებულია 2008 წ.); სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი,, (საპენსიო სქემა რეგისტრირებულია 2004 წ.); სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპი აი ჰოლდინგი,, (საპენსიო სქემა რეგისტრირებულია 2010 წ.)). ხოლო ერთი სქემა დაფუძნებულია არამზღვეველი იურიდიული პირის მიერ (შპს "საქაერონავიგაცია,, (რეგისტრირებულია 2015 წ.)) საკუთარი დასაქმებულებისათვის. აღნიშნული საპენსიო სქემების მონაწილეთა რაოდენობა 2022 წლის მდგომარეობით, არ აღემატება 15,723 მონაწილეს, ხოლო საპენსიო ბენეფიტების მიმღებთა რიცხვი უმნიშვნელოდ მცირეა დღესდღეობით, ის 18 ბენეფიციარს შეადგენს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საპენსიო რეზერვები 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით დაახლოებით 34 მილიონ ლარს აღწევს, რაც ნიშნავს საპენსიო რეზერვების ჯამური მოცულობის გასამმაგებას ბოლო ათი წლის განმავლობაში. ცხრილი 1 აღწერს ნაბაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების განვითარების დინამიკას 2012 წლიდან 2022 წლის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ბოლო დეკადის განმავლობაში იცვლებოდა როგორც საპენსიო სქემების დამფუძნებლები და მათი რაოდენობა, ასევე საპენსიო სქემების მონაწილეთა

რიცხოვნობა, რომელსაც შემცირების მკაფიო ტენდენცია ახასიათებს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2019 წლიდან დაწყებული. აღნიშნული შემცირების ტენდენცია გამოწვეულია დაგროვებითი სავალდებულო პენსიის დანერგვით, რაც ამავე წელს 2018 წლის კანონით „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ ძალაში შესვლით იყო განპირობებული (იხილეთ ცხრილი 1 და 2). აღნიშნული საპენსიო სქემები დე-ფაქტო მისაწვდომია ფორმალურ სექტორში დასაქმებულთათვის (Insurance State Supervision Service of Georgia, 2023). სწორედ ახალი კანონმდებლობის ძალაში შესვლის მიზანია არსებული საპენსიო სისტემის კერძო ნებაყოფლობითი დაგროვებითი პენსიის კომპონენტის ინსტიტუციური რეფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ნებაყოფლობითი პენსიების განვითარებას საქართველოში. ამასთან ერთად, აღსანიშნავია რომ შესაბამისი მასტიმულირებელი ზომები უნდა განხორციელდეს რომ წახალისდეს მუშაკების აქტიური მონაწილეობა კერძო ნებაყოფლობით საპენსიო სქემებში. ასეთ ზომები უნდა მოიცავდეს როგორც მუშაკთა ფინანსური განათლების განვითარებას მაიოპიის (myopia) ტენდენციის შესამცირებლად, ასევე, და რაც უმთავრესია, დამსაქმებლების სტიმულირებას რათა მოახდინონ მუშაკებისთვის საპენსიო სქემების აქტიური შეთავაზება.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული საპენსიო რეფორმის მეთოდოლოგიის თანახმად (World Bank, 2005) და ასევე, საუკეთესო საერთაშორისოდ დანერგილი პრაქტიკის გათვალისწინებით, მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემები რომლებიც მოიცავენ სხვა და სხვა ტიპის საპენსიო სქემებს (სახელმწიფოს და კერძოს, სავალდებულოს და ნებაყოფლობითს) და რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური დაცვის და მუშაკთა სოციალური დაზღვე-

ვის ფუნქციებს, წარმოადგენენ პენსიონერთა და ზოგადად ხანდაზმული მოსახლეობის ფინანსური უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმს. ამასთან ერთად, მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემები ქმნიან მნიშვნელოვან „უსაფრთხოების ბადეს“ („safety

net“) მთლიანობაში საზოგადოებისთვის, ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფების განურჩევლად, პენსიის მრავალი, მათ შორის თაობათაშორისი გადანაწილებითი ფუნქციის ტარების შედეგად.

წელი	საპენსიო შენატანები	მონაწილეთა რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა, ვინც იღებს პენსიას	ბაცემული პენსიის ოდენობა	საპენსიო სქემიდან გატანილი სახსრები	საპენსიო რეზერვები წლის ბოლოს	საპენსიო სქემების საინვესტიციო შემოსავალი
2012	2 407 256	18 397	0	0	990 468	11 289 694	1 006 177
2013	2 779 415	18 909	0	0	1 866 308	12 924 893	1 117 963
2014	3 542 068	19 632	0	0	1 897 170	15 289 649	1 144 803
2015	4 730 599	20 653	0	0	2 056 660	18 831 828	1 369 511
2016	4 065 667	21 822	0	0	1 936 559	22 221 102	1 863 236
2017	6 385 211	23 077	0	0	3 209 294	26 740 038	1 997 782
2018	6 652 797	21 924	0	0	7 710 593	27 604 907	2 472 167
2019	4 182 393	15 957	0	0	16 405 783	16 724 785	1 616 883
2020	4 906 168	15 842	0	0	1 430 863	21 948 831	2 002 585
2021	5 333 850	15 790	0	0	1 557 108	27 236 786	2 355 782
2022	6 059 665	15 723	18	197 260	740 315	33 723 584	2 831 804

ცხრილი 1. კერძო საპენსიო სქემების განვითარება, საპენსიო სქემების ჯამური მონაცემები, 2012 – 2022 წწ. წყარო: ავტორის მიერ შედგენილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, 2023

საქართველოს მთავრობა ათვიცნობიერებს და აღიარებს რომ მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემის განვითარება აუცილებელია ქვეყანაში სამუშაო ძალის განვითარებისთვის და მოსახლეობის ადეკვატური საპენსიო შემოსავლებით უზრუნველყოფისთვის. 2005 წლიდან, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მიღებით, თანმიმდევრულად ვითარდებოდა საპენსიო სისტემა თანამედროვე საქართველოში. დღეს-დღეობით, სახელმწიფო საყოველთაო (სოციალური) პენსია არის საპენსიო სიტემის უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბენეფიციართა რაოდენობის (დაახლოებით 800,000) და ქვეყანაში სიღარიბის დაძ-

ლევის ეფექტის გათვალისწინებით. სახელმწიფო პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტის (საშუალო ხელფასთან შეფარდებით) დაახლოებით 23-პროცენტის ნიშნულის შენარჩუნება მნიშვნელოვან ფისკალურ გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფო პენსიის გასაცემად გამოყოფილი საბიუჯეტო ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენენ (იხილეთ ცხრილი 2). ხოლო მისი საპროგნოზო ხარჯი 10 პროცენტს აღწევს 2060 წლისთვის, რაც ამავდროულად ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების მესამედს გაუთანაბრდება (ADB, 2022).

კრიტერიუმები და პარამეტრები	სახელმწიფო სოციალური და დაგროვებითი პენსია		
	სახელმწიფო სოციალური პენსია	დაგროვებითი სავალდებულო პენსია	ნებაყოფლობითი კერძო პენსია
პენსიის მიმღებთა რაოდენობა (მამაკაცები 65+ და ქალები 60+)	მოსახლეობის დაახლოებით 100%	ყველა დასაქმებული და თვითდასაქმებული: 1 858 (2022 წ.)	ფორმალურ სექტორში დასაქმებული: 18 (2023 წ.)
მონაწილეები - ბენეფიციარები (2022 წ.)	822 385	1 119 628	15 723
მონაწილეობა	საყოველთაო	ყველა დამსაქმებელი და დასაქმებული; (ნებაყოფლობითი თვითდასაქმებულთათვის)	ნებაყოფლობითი
ხელფასის ჩანაცვლების კოეფიციენტი, %	დაახლოებით 23%	დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე და მიღებულ მოგებაზე	დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე და მიღებულ მოგებაზე
საბიუჯეტო ხარჯი	5%, მშპ (2022 წ.)	დაახლ. 250-300 მლნ.ლ. (2022-2025 წწ.)	0 %

ცხრილი 2. საქართველოს საპენსიო სისტემა. წყარო: ავტორის მიერ შედგენილი

ასეთი ვითარება გამოწვეულია დემოგრაფიული ცვლილებებით. პენსიონერთა რაოდენობა მთლიან მოსახლეობასთან შეფარდებით თანამედროვე მდგომარეობით 20 პროცენტთან, 30 პროცენტამდე გაიზრდება 2070 წლისთვის. ასევე, ორმაგად და მეტად გაიზრდება ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტი (პენსიონერთა რაოდენობა სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობასთან შეფარდებით) და 2070 წლისთვის 60 პროცენტს მიაღწევს (Nutsubidze, 2017). სახელმწიფოს ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, ფორმალურ სექტორში დასაქმების გაზრდის, მოსახლეობის სამუშაო ძალაში ჩართულობის და მათ მიერ დანაზოგების შექმნის სტიმულირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ

2018 წელს მიიღო კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, რომელიც დასაქმებულთათვის და თვითდასაქმებულთათვის მნიშვნელოვან შეღავათებს და გარანტიებს გულისხმობს. საპროგნოზო მაჩვენებლებით, საყოველთაო სახელმწიფო პენსია და სავალდებულო დაგროვებითი პენსია ერთობლივად უზრუნველყოფს საშუალო შემოსავლების მქონე მუშაკებისთვის (35-წლიანი სამუშაო სტაჟის გათვალისწინებით) საშუალო ხელფასის დაახლოებით 37 პროცენტის ჩანაცვლებას (Ministry of Economy and Sustainable Development, 2016). ფორმალურ სექტორში დასაქმებული უმრავლესი მუშაკებისთვის, ხელფასის ასეთი ჩანაცვლების კოეფიციენტი, ახდენს სამუშაო ძალაში ჩართულობის და დაგროვების სტიმულირებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მაღალი შემოსავლების

მქონე მუშაკებისთვის, მიზანშეწონილი იქნება დამატებით ნაბაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემებში მონაწილეობა და მეტი ადეკვატური ხელფასის ჩანაცვლების კოეფიციენტის მოლოდინში ყოფნა.

წლების განმავლობაში საპენსიო სისტემის განხორციელებულმა სისტემურმა და პარამეტრულმა რეფორმებმა ხელი შეუწყვეს არა მხოლოდ სიღარიბის დაძლევის მექანიზმის ჩამოყალიბებას ქვეყანაში (სახელმწიფო საყოველთაო სოციალური პენსიის გაცემის საშუალებით), არამედ, საპენსიო ასაკში მუშაკთა პოტენციური ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი საინვესტიციო შესაძლებლობების განვითარებას დაგროვებითი, სავალდებულო და ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების დანერგვის მეშვეობით.

როგორც აღნიშნულია ზემოდ, გარკვეულწილად განსხვავებულია ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ძირითადი დანიშნულება. მათი ძირითადი დანიშნულება არის მაღალი და საშუალო შემოსავლების მქონე მუშაკების კეთილდღეობის შენარჩუნება საპენსიო ასაკში. ამ საპენსიო სქემების ასეთი ფუნქცია, როგორც მეთოდოლოგიურად, ასევე საერთაშორისო პრაქტიკით მტკიცდება. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (გაერთიანებულ სამეფოში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გერმანიაში, ბელგიაში, ირლანდიაში) კერძო ნებაყოფლობითი პენსიები სხვა არსებულ პენსიებთან ერთად უზრუნველყოფენ მონაწილეთა ხელფასების ჩანაცვლებას საშუალოდ 60 – 100 პროცენტით. ეს მაჩვენებელი მერყეობს ქვეყნებს შორის, და ადასტურებს დამატებითი, ნებაყოფლობითი საპენსიო სქემებში ჩართულობის მიზანშეწონილობას მუშაკებისთვის (Rochlitz, 2015). ეკონომიკის

სამინისტროს გრძელვადიანი საპროგნოზო მაკროეკონომიკურ და საფინანსო (აქტივების მართვის მოსაკრებლების და რეალური ამონაგების საშუალო ოდენობის (3,5 პროცენტი)) მაჩვენებლებზე დაყრდნობით (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2016) შესაძლებელია ვივარაუდოთ რომ ქვეყნის მაღალშემოსავლიანი მუშაკების (თვიური ხელფასი 2500 ლარიდან და ზემოდ) კერძო დაგროვებითი პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი შესაძლებელია საერთაშორისო პრაქტიკით დადასტურებულ ზემოდაღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებლებს უტოლდებოდეს.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების ბენეფიციართა ფინანსური შედეგები დამოკიდებულია ძირითადად საპენსიო ბაზრის კონიუნქტურაზე, მაკროეკონომიკურ, და ასევე სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორზე, საპენსიო სქემების მონაწილეთა რაოდენობაზე, განხორციელებული შენატანების მოცულობაზე, აკუმულირებული საპენსიო აქტივების მართვის მიდგომებზე და გრძელვადიან პერიოდში საინვესტიციო მოგების მაჩვენებლებზე. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ასეთი საპენსიო სქემების განვითარების შედეგები დიდწილად არის დამოკიდებული კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებაზე და მათი განვითარების დონეზე. ერთის მხრივ, ეს მტკიცებულება გამაფრთხილებლად ჟღერს. ხოლო მეორეს მხრივ, საერთაშორისო პრაქტიკა ასევე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საპენსიო ბაზრების განვითარება ხელს უწყობს დანაზოგების განვითარებას და შესაბამისად, ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრების ინსტიტუციონალურ განვითარებას. ამიტომაც პოლიტიკურად გამართლებულია საპენსიო სისტემების თანმიმდევრული ეტაპობრივი ჩამოყალიბება, მათ შორის საქართველოშიც.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ კერძო ნებაყოფლობითი პენსიის რეფორმა საქართველოში დადებითად უნდა აისახოს ეკონომიკურ ზრდაზე გრძელვადიან პერიოდში. გარდა მონაწილეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისა საპენსიო ასაკში, არანაკლებ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი დანაზოგების აკუმულირება, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო შესაძლებლობას რომ დანაზოგების ინვესტირება განხორციელდეს კაპიტალის ბაზარზე ქვეყნის შიგნით. 2022 წლის მდგომარეობით, საქართველოში მთლიანი დანაზოგების მოცულობა 12 პროცენტს შეადგენდა, რაც წარმოადგენს საშუალოდ ორჯერ ნაკლებ მაჩვენებელს, სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანასთან თუ შევადარებთ. საქართველოს კანონის „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ მიღებით, შესაძლებლობა მიეცემა საქართველოს ყველა მოქალაქეს გაწევრიანდეს ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებში. ახალი კანონი ქმნის გარანტიებს, რომელთა მიხედვით კერძო საპენსიო სქემები იქნება ნებაყოფლობითი როგორც დამსაქმებლისთვის, ასევე დასაქმებულისთვის. კერძო საპენსიო სქემებში მონაწილეობა შეეძლება როგორც დასაქმებულ ფიზიკურ პირებს, ასევე ნებისმიერ სხვა ფიზიკურ პირებს, მათ შორის თვითდასაქმებულებს (Parliament of Georgia, 2023). შესაბამისად, კანონი ანიჭებს უფლებას ნებისმიერ პირს გაწევრიანდეს კერძო საპენსიო სქემებში, დასაქმების ფორმებისაგან დამოუკიდებლად, რაც მუშაკთა ყველა კატეგორიას მისცემს გრძელვადიანი დანაზოგების შექმნის შესაძლებლობას.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ლიტერატურა და პრაქტიკა ადასტურებს რომ თვითდასაქმებულების, დაბალშემოსავლიანი მუშაკების და სხვა „ატიპიურად“, „არასტანდარტულად“ დასაქმებული მუშაკების (რომლებიც დასაქმებულები

არიან ნახევარ განაკვეთზე, სეზონურად და დასაქმების სხვა არატრადიციული და არასტაბილური ფორმით) ჩართულობა, მოზიდვა კერძო ნებაყოფლობით საპენსიო სქემებში დიდ გამოწვევას წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე რომ საქართველოში თვითდასაქმებულთა, დამოუკიდებელ მუშაკთა რაოდენობა მაღალია და აღემატება სულ დასაქმებული მოსახლეობის მეოთხედს, ხოლო არაფორმალური სექტორი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან არის წარმოდგენილი (30 პროცენტამდე მხოლოდ არასასოფლო-სამეურნეო სფეროში (GeoStat, 2023)), განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას; ფორმალური სექტორის გაზრდას და ასევე, მუშაკთა სამუშაო ასაკში და ხანდაზმულობის პერიოდში ყოფნისას შემოსავლების უზრუნველყოფის ხელისშეწყობას (მათ შორის, საპენსიო შემოსავლებით უზრუნველსაყოფად). ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეტაპზე ხანდაზმულთა მთლიანი რიცხოვნობის შორის ჭარბობს ქალთა-პენსიონერთა რაოდენობა, რომელიც 2022 წლის მდგომარეობით დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს (GeoStat, 2023). შესაბამისად, მწვავე დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით, ქალთა-მუშაკების საპენსიო შემოსავლებით უზრუნველყოფის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო პოლიტიკის მხრიდან. აუცილებელია პოლიტიკის ზომების განხორციელება ქალთა სამუშაო ძალაში ინტენსიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად და სახელმწიფოს მხრიდან ქალი-მუშაკების სოციალური გარანტიებით მხარდაჭერა. პოლიტიკის აღნიშნული მიმართულებები ხელს შე-

უწყობს თავის მხრივ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების განვითარებას საქართველოში.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოდ განხილული ყველა გამოწვევებისა, საპენსიო სისტემის მიმდინარე რეფორმა და მისი ინ-

სტიტუციონალური განვითარება მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მუშაკთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის და ზოგადად ქვეყნის სამუშაო ძალის და ადამიანური კაპიტალის განვითარების საქმეში საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Asian Development Bank, 2023. "Pension Reform Note,"
Insurance State Supervision Service of Georgia, 2023. Private Voluntary Pension Insurance and registered Pension Schemes' Statistics. Available at სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (insurance.gov.ge)
Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2016. "Pension Reform in Georgia," the Report of the Government of Georgia, Tbilisi, Georgia
National Statistics Office of Georgia, 2023. Statistics, Population and Demography; Employment and Wages. Available at: Population and Demography - National Statistics Office of Georgia (geostat.ge)
Nutsbidze T., Khatuna Nutsbidze, 2017. "The Challenge of Pension Reform in Georgia: Non-contributory Pensions and Elderly Poverty." *International Social Security Review*. Volume 70, Issue 1, pages 79-108.
Parliament of Georgia, 2023. Draft Law: „On Voluntary Private Pension.“ „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-2/193/10, ინიცირებული ვარიანტი, საქართველოს კანონის პროექტი) (parliament.ge) (ქართულ ენაზე)
Rochlitz, Kathrin, 2015. "Net Pension Replacement Rates." GES-IFO DICE Report 2 / June, pp. 70-72, Munich, Germany. Available at: Net Pension Replacement Rates (ifo.de)
World Bank, 2005. Pension Reform Primer: Issues, Challenges, Options and Arguments in Pension Reform. World Bank Pension Reform Primer Series. Washington, DC. Available at: <http://hdl.handle.net/10986/11241>

Voluntary Private Pension Reform in Georgia

Tamila Nutsbidze

PhD, Professor, Kutaisi University

Tamila.Nutsbidze@unik.edu.ge

Khatuna Nutsbidze

Social Policy Consultant

Abstract

The development of voluntary private pension schemes is important for the establishment of a multi-pillar pension system in Georgia. The importance of the voluntary private pension reform is high both for the institutional development of the pension system and for the development of the workforce and the economy as a whole. Although the development of voluntary private pension schemes in Georgia has a potential, these schemes are primarily intended for high-income workers. As a result, low-income workers and other workers who are not involved in the formally organized employment demand more attention. The current demographic trends, the size of the informal sector and the high number of independent / self-employed workers should especially influence the state policy to promote the creation of pension savings by the workers of this category and the establishment of financial protection mechanisms for them.

Keywords: financial service, voluntary pension, pension reform

JEL: I38

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.13>

For citation: Nutsbidze T., Nutsbidze K. (2023) Voluntary Private Pension Reform in Georgia. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 104-111. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.13>

References

- Asian Development Bank, 2023. "Pension Reform Note,"
- Insurance State Supervision Service of Georgia, 2023. Private Voluntary Pension Insurance and registered Pension Schemes' Statistics. Available at insurance.gov.ge
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2016. "Pension Reform in Georgia," the Report of the Government of Georgia, Tbilisi, Georgia
- National Statistics Office of Georgia, 2023. Statistics, Population and Demography; Employment and Wages. Available at: Population and Demography - National Statistics Office of Georgia (geostat.ge)
- Nutsbidze T., Khatuna Nutsbidze, 2017. "The Challenge of Pension Reform in Georgia: Non-contributory Pensions and Elderly Poverty." *International Social Security Review*. Volume 70, Issue 1, pages 79-108.
- Parliament of Georgia, 2023. Draft Law: „On Voluntary Private Pension.“
- Rochlitz, Kathrin, 2015. "Net Pension Replacement Rates." GES-IFO DICE Report 2 / June, pp. 70-72, Munich, Germany. Available at: [Net Pension Replacement Rates \(ifo.de\)](http://netpensionreplacementrates.ifo.de)
- World Bank, 2005. Pension Reform Primer: Issues, Challenges, Options and Arguments in Pension Reform. World Bank Pension Reform Primer Series. Washington, DC. Available at: <http://hdl.handle.net/10986/11241>

დაგროვებითი პენსიის განვითარების გავლენა საპენსიო პოლიტიკაზე საქართველოში

თამილა ნუცუბიძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი
tamila.nutsubidze@unik.edu.ge

აბსტრაქტი

დაგროვებითი, სავალდებულო და ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების განვითარება ხელს უწყობს საპენსიო ასაკში მუშაკთა ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი საინვესტიციო შესაძლებლობების და დანაზოგების განვითარებას საქართველოში. გრძელვადიან პერსპექტივაში, დაგროვებითი საპენსიო სქემების განვითარება შესაძლებელია მოახდენს გავლენას სახელმწიფოს საპენსიო პოლიტიკაზე; სახელმწიფოს ჩართულობის როლი სოციალურ პოლიტიკაში და მისი სოციალური ხარჯები შესაძლოა შეიცვალოს დემოგრაფიული ტენდენციების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: დაგროვებითი პენსია, საპენსიო რეფორმა, საპენსიო პოლიტიკა

JEL: I38

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.14>

ციტირებისათვის: ნუცუბიძე თ. (2023) დაგროვებითი პენსიის განვითარების გავლენა საპენსიო პოლიტიკაზე საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 112 -120. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.14>

შესავალი: საპენსიო სისტემის ფისკალური რისკები

მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული საპენსიო რეფორმის მეთოდოლოგიის თანახმად, მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემები რომლებიც მოიცავენ სხვა და სხვა ტიპის საპენსიო სქემებს (სახელმწიფოს და კერძოს, სავალდებულოს და ნებაყოფლობითს) უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალურ დაცვას და მუშაკთა სოციალურ დაზღვევას. მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემები წარმოადგენენ ხანდაზმული მოსახლეობის ფინანსური უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმს (World Bank, 2005). სახელმწიფო სოციალური შემწეობის პროგრამებთან ერთად მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემები ქმნიან სოციალური დაცვის მნიშვნელოვან „უსაფრთხოების ბადეს“ („safety net“) არა მხოლოდ ასაკოვანი მოსახლეობისათვის, არამედ, მთლიანობაში საზოგადოებისთვის. სწორედ მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბე-

ბა აუცილებელია ქვეყანაში სამუშაო ძალის განვითარებისთვის, დანაზოგების ზრდისთვის და ადეკვატური საპენსიო შემოსავლებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.

2005 წლიდან, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მიღებით, საქართველოში დაიწყო საპენსიო სისტემის რეფორმირება რომელიც გულისხმობდა პირველი სვეტის, საყოველთაო პენსიის ჩამოყალიბებას. თანმიმდევრულად ვითარდებოდა საპენსიო სისტემა თანამედროვე საქართველოში. დღესდღეობით, სახელმწიფო საყოველთაო სოციალური პენსია არის საპენსიო სისტემის უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბენეფიციართა რაოდენობის და ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ეფექტის გათვალისწინებით, რაც განპირობებულია აღნიშნული პენსიის სოციალური და თაობათაშორისი გადანაწილებითი ფუნქციით.

სახელმწიფო პენსია დღესდღეობით გიცემა დაახლოებით 800,000 საპენსიო

ასაკის მქონე ადამიანზე. მისი ოდენობა პერიოდულად იზრდება რათა საპენსიო სარგებელი იყოს ადეკვატური. თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფო პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი (საშუალო ხელფასთან შეფარდებით) დაახლოებით 23-პროცენტს შეადგენს. ასეთი ნიშნული გარკვეულწილად ადეკვატურია თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფო პენსიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას - სიღარიბის დაძლევის ფუნქციას. სახელმწიფო პენსიის გასაცემად გამოყოფილი საბიუჯეტო ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენენ. ხოლო მისი საპროგნოზო ხარჯი 2060 წლისთვის, 10 პროცენტს მიაღწევს რაც ამავდროულად ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების მესამედს გაუთანაბრდება (Asian Development Bank, 2022). საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული ტენდენციები ხელს უწყობენ ფისკალური საბიუჯეტო რისკების ზრდას და შესაბამისად უქმნიან საფრთხეს სახელმწიფო პენსიის მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში. სახელმწიფო პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტის არსებული ნიშნულის შენარჩუნება მნიშვნელოვან ფისკალურ გამოწვევას წარმოადგენს. დემოგრაფიული ცვლილებები იწვევს პენსიონერთა რაოდენობის ზრდას მთლიან მოსახლეობასთან შეფარდებით. აღნიშნული მაჩვენებელი თანამედროვე მდგომარეობით 20 პროცენტიდან 30 პროცენტამდე გაიზრდება 2070 წლისთვის. ასევე, გაეროს მონაცემების მიხედვით, ორმაგად და უფრო მეტად გაიზრდება ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტი (პენსიონერთა რაოდენობა სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობასთან შეფარდებით) და 2070 წლისთვის 60 პროცენტს მიაღ-

წევს. აღნიშნული ტენდენციები მიუთითებენ ფისკალური რისკების დაძლევის აუცილებლობაზე საქართველოში.

სისტემური რეფორმები: დაგროვებითი საპენსიო სქემების განვითარება

საპენსიო სარგებლის ადეკვატურობის შენარჩუნების და გაზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობა 2018 წლიდან ახორციელებს საპენსიო სისტემის სისტემურ რეფორმებს. საქართველოს საპენსიო სისტემა უკვე სამი ძირითადი სვეტით არის წარმოდგენილი. წამოწყებული რეფორმები ხელს უწყობენ საპენსიო სისტემის ინსტიტუციურ განვითარებას. ცხრილი 1 წარმოადგენს თანამედროვე საპენსიო სისტემას, მის ძირითად კომპონენტებს და მახასიათებლებს.

2018 წელს ძალაში შევიდა კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“. კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საპენსიო სქემაში გაწევრიანება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა მამაკაცს 60 წელი, ხოლო ქალს – 55 წელი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ დასაქმებულთა რაოდენობამ ჯამში შეადგინა 1,359,887. ამავე პერიოდში საპენსიო სააგენტოს სისტემაში რეგისტრირებული დამსაქმებლების რაოდენობაა 94,994. 2022 წლის განმავლობაში საპენსიო სააგენტომ დააკმაყოფილა 1,858 პენსიის მოთხოვნის განცხადება, ხოლო ამავე პერიოდში გაცემულმა პენსიამ/საპენსიო აქტივმა შეადგინა 5,362,489.22 ლარი. ჯამურად, 2019-2022 წლებში პენსიის სახით გაცემულმა თანხამ სულ 9,722,021.67 ლარი შეადგინა. საპენსიო ფონდი იზრდება წლების განმავლობაში. დაგროვებითი პენსიის განვითარების ჯამური მონაცემები

წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ (იხ. ცხრილი 2).

კრიტერიუმები და პარამეტრები	სახელმწიფო სოციალური და დაგროვებითი პენსია		
	სახელმწიფო სოციალური პენსია	დაგროვებითი სავალდებულო პენსია	ნებაყოფლობითი კერძო პენსია
პენსიის მიმღებთა რაოდენობა (მამაკაცები 65+ და ქალები 60+)	მოსახლეობის დაახლოებით 100%	ყველა დასაქმებული და თვითდასაქმებული: 1 858 (2022 წ.)	ფორმალურ სექტორში დასაქმებული: 18 (2023 წ.)
მონაწილეები (2022 წ.)	822 385 (ბენეფიციარები)	1 119 628	15 723
მონაწილეობა	საყოველთაო	ყველა დამსაქმებელი და დასაქმებული; (ნებაყოფლობითი თვითდასაქმებულთათვის)	ნებაყოფლობითი
ხელფასის ჩანაცვლების კოეფიციენტი, %	დაახლოებით 23%	დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე და მიღებულ მოგებაზე	დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე და მიღებულ მოგებაზე
საბიუჯეტო ხარჯი	5%, მშპ (2022 წ.)	დაახლ. 250-300 მლნ.ლ. (2022-2025 წწ.)	0 %

ცხრილი 1. საქართველოს სამ სვეტიანი საპენსიო სისტემა. წყარო: ავტორის მიერ შედგენილი გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის წყარო: „საქართველოს საპენსიო რეფორმა“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016 წ.; სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური, 2023 წ.; სოციალური მომსახურების სააგენტო, 2023 წ.; საქართველოს საპენსიო სააგენტო, 2022 წ.; ფინანსთა სამინისტრო, 2023 წ.; საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2023 წ.

2022 წლის მდგომარეობით საპენსიო ფონდი შეადგენს 1,908 მილიონ ლარს, 265 მლნ ლარის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს დარიცხულ პროცენტს ძირითადად მიღებულს საბანკო დეპოზიტებიდან და სახელმწიფო ობლიგაციებიდან. საპენსიო ფონდის წლიური საინვესტიციო შემოსავალი - 7.3 პროცენტს შეადგენს ამავე პერიოდში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო აქტივების წმინდა ღირებულება 2,947,150,653 ლარს შეადგენდა, საიდანაც საინვესტიციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ამონაგები 436,969,884 ლარია. საპენსიო ფონდის წმინდა ამონაგებმა 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე 40.82%, ხოლო რეალურმა ამონაგებმა ინფლაციის გათვალისწინებით 2,69% შეადგინა. საანგარიშო

პერიოდის ბოლოს, საინვესტიციო პორტფელის 81.2% განთავსებული იყო ლარში, ხოლო 18.8% უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებში (Pensions Agency, 2022)

საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საყოველთაო სახელმწიფო პენსია და სავალდებულო დაგროვებითი პენსია ერთობლივად უზრუნველყოფს საშუალო შემოსავლების მქონე მუშაკებისთვის (35-წლიანი სამუშაო სტაჟის გათვალისწინებით) საშუალო ხელფასის დაახლოებით 37 პროცენტის ჩანაცვლებას (Ministry of Economy and Sustainable Development, 2016). ხელფასის ასეთი ჩანაცვლების კოეფიციენტი, უნდა წარმოადგენდეს ფორმალურ სექტორში დასაქმებული უმრავლესი მუშაკე-

ბისთვის სამუშაო ძალაში ჩართულობის და დაგროვების სტიმულირების მნიშვნელოვან ფაქტორს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მაღალი შემოსავლების მქონე მუშაკე-ბისთვის, უნდა იყოს მიზანშეწონილი და-

მატებით ნაბაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემებში მონაწილეობა და მეტი ადეკვატური ხელფასის ჩანაცვლების კოეფიციენტისკენ მისწრაფვა.

	30.06.2019	31.12.2019	31.12.2020	31.12.2021	30.06.2022	31.12.2022
დარეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა	53,746	61,160	71,600	82,801	88,090	94,994
მონაწილეთა რაოდენობა	825,614	960,443	1,106,527	1,235,902	1,292,264	1,359,887
მონაწილეთა რაოდენობა რომლებმაც დატოვეს საპენსიო სქემა	135,305	164,443	168,895	171,239	172,636	...
აკუმულირებული შენატანების ოდენობა, სულ (მლნ. ლარი)	225.86	489.89	1,059.30	1,715.65	2,101.23	2,583.27
წლიური საინვესტიციო შემოსავალი	5.30%	6.70%	12.90%	9.49%	8.94%	7.3%

ცხრილი 2. დაგროვებითი საპენსიო სქემების განვითარება, ჯამური მონაცემები, 2019 – 2022 წწ. წყარო: ავტორის მიერ შედგენილი საპენსიო სააგენტოს და აზიის განვითარების ბანკის სტატისტიკური და ანალიტიკური მონაცემების გამოყენებით: Asian Development Bank, 2022. "Pension Reform Note"; Pension Agency, 2022. "Annual Report".

2023 წლის 31 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ კანონი. ახალი კანონის „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ მიღებით უქმდება 1998 წელს მიღებული კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ“. ახალი კანონის მიღება მნიშვნელოვანწილად საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებითაა განპირობებული. შესაბამისად, კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროდირექტივებთან, რაც საფუძველს უყრის ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების ინსტიტუციურ განვითარებას; საპენსიო სქემების ორგანიზების, რეგულირების და მათზე ზედამხედველობის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის პოტენციურ შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა რომ საქართველოში არსებული ნაბაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები წარმოადგენენ თანამედროვე საპენსიო სისტემის განუყრელ ნაწილს, მოქმედი ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების როლი ეკონომიკაში არის უმნიშვნელოდ წარმოდგენილი. 2022 წლის მდგომარეობით, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში რეგისტრირებულია ოთხი არასახელმწიფო საპენსიო სქემა, რომელთაგანაც სამი სქემის დამფუძნებლებს წარმოადგენენ სადაზღვევო ორგანიზაციები (სს "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო,, (საპენსიო სქემა რეგისტრირებულია 2008 წ.); სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი,, (საპენსიო სქემა რეგისტრირებულია 2004 წ.); სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი,, (საპენსიო სქემა რეგისტრირებულია 2010 წ.)). ხოლო ერ-

თი სქემა დაფუძნებულია არამზღვეველი იურიდიული პირის მიერ (შპს "საქაერონავიგაცია,, (რეგისტრირებულია 2015 წ.) საკუთარი დასაქმებულები-სათვის. აღნიშნული საპენსიო სქემების მონაწილეთა რაოდენობა 2022 წლის მდგომარეობით, არ აღემატება 15,723 მონაწილეს, ხოლო საპენსიო სარგებლის / ბენეფიტების მიმღებთა რიცხვი უმნიშვნელოდ მცირეა. დღესდღეობით, ის 18 ბენეფიციარს შეადგენს. ამასთან ერთად აღსანიშნავია რომ საპენსიო რეზერვები 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით დაახლოებით 34 მილიონ ლარს აღწევს, რაც ნიშნავს საპენსიო რეზერვების ჯამური მოცულობის გასამმაგებას ბოლო ათი წლის განმავლობაში (Insurance State Supervision Service of Georgia, 2023). ცხრილი 3 აღწერს ნაბაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების განვითარების დინამიკას 2012 წლიდან 2022 წლის ჩათვლით.

აღსანიშნავია რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში იცვლებოდა როგორც საპენსიო სქემების დამფუძნებლები და მათი რაოდენობა, ასევე საპენსიო სქემების მონაწილეთა რიცხოვნობა, რომელსაც შემცირების

მკაფიო ტენდენცია ახასიათებს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2019 წლიდან დაწყებული. აღნიშნული შემცირების ტენდენცია გამოწვეულია დაგროვებითი სავალდებულო პენსიის დანერგვით. აღნიშნული საპენსიო სქემები დე-ფაქტო მისაწვდომია ფორმალურ სექტორში დასაქმებულთათვის. სწორედ ახალი კანონმდებლობის ძალაში შესვლის მიზანია არსებული საპენსიო სისტემის კერძო ნებაყოფლობითი დაგროვებითი პენსიის კომპონენტის ინსტიტუციური რეფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ნებაყოფლობითი პენსიების განვითარებას საქართველოში. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი მასტიმულირებელი ზომები უნდა განხორციელდეს რომ წახალისდეს მუშაკების აქტიური მონაწილეობა კერძო ნებაყოფლობით საპენსიო სქემებში. ასეთი ზომები უნდა მოიცავდეს როგორც მუშაკთა ფინანსური განათლების განვითარებას მაიოპიის (myopia) ტენდენციის შესამცირებლად, ასევე, და რაც უმთავრესია, დამსაქმებლების სტიმულირებას, რათა მოახდინონ მუშაკებისთვის საპენსიო სქემების აქტიური შეთავაზება.

წელი	საპენსიო შენატანები	მონაწილეთა რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა, ვინც იღებს პენსიას	საპენსიო სქემიდან გატანილი სახსრები	საპენსიო რეზერვები წლის ბოლოს	საპენსიო სქემების საინვესტიციო შემოსავალი
2012	2 407 256	18 397	0	990 468	11 289 694	1 006 177
2013	2 779 415	18 909	0	1 866 308	12 924 893	1 117 963
2014	3 542 068	19 632	0	1 897 170	15 289 649	1 144 803
2015	4 730 599	20 653	0	2 056 660	18 831 828	1 369 511
2016	4 065 667	21 822	0	1 936 559	22 221 102	1 863 236
2017	6 385 211	23 077	0	3 209 294	26 740 038	1 997 782
2018	6 652 797	21 924	0	7 710 593	27 604 907	2 472 167
2019	4 182 393	15 957	0	16 405 783	16 724 785	1 616 883
2020	4 906 168	15 842	0	1 430 863	21 948 831	2 002 585
2021	5 333 850	15 790	0	1 557 108	27 236 786	2 355 782
2022	6 059 665	15 723	18	740 315	33 723 584	2 831 804

ცხრილი 3. კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების განვითარება, საპენსიო სქემების ჯამური მონაცემები, 2012 – 2022 წწ. წყარო: ავტორის მიერ შედგენილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, 2023 წ.

როგორც აღნიშნულია ზემოდ, გარკვეულწილად განსხვავებულია ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ძირითადი დანიშნულება. მათი ძირითადი დანიშნულება არის ძირითადად მაღალი შემოსავლების მქონე მუშაკების კეთილდღეობის შენარჩუნება საპენსიო ასაკში. ამ საპენსიო სქემების ასეთი ფუნქცია, როგორც მეთოდოლოგიურად, ასევე საერთაშორისო პრაქტიკით მტკიცდება. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (გაერთიანებულ სამეფოში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გერმანიაში, ბელგიაში, ირლანდიაში) კერძო ნებაყოფლობითი პენსიები სხვა არსებულ პენსიებთან ერთად უზრუნველყოფენ მონაწილეთა ხელფასების ჩანაცვლებას საშუალოდ 60 – 100 პროცენტით. ეს მაჩვენებელი მერყეობს ქვეყნებს შორის, და ადასტურებს დამატებით, ნებაყოფლობითი საპენსიო სქემებში ჩართულობის მიზანშეწონილობას მუშაკებისთვის (Rochlitz, 2015). ეკონომიკის სამინისტროს გრძელვადიანი საპროგნოზო მაკროეკონომიკურ და საფინანსო (აქტივების მართვის მოსაკრებლების და რეალური ამონაგების საშუალო ოდენობის (3,5 პროცენტი)) მაჩვენებლებზე დაყრდნობით (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2016) შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის მაღალშემოსავლიანი მუშაკების (თვიური ხელფასი 2500 ლარიდან და ზემოდ) კერძო დაგროვებითი პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი შესაძლებელია საერთაშორისო პრაქტიკით დადასტურებულ ზემოდაღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებლებს უტოლდებოდეს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების, ისევე როგორც სხვა დაგროვებითი საპენსიო სქემების, ბენეფიციართა ფინანსური შედეგები დამოკიდებულია ძირითადად საპენსიო ბაზრის კონიუნქტურ

რაზე, მაკროეკონომიკურ, და ასევე სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორზე, საპენსიო სქემების მონაწილეთა რაოდენობაზე, განხორციელებული შენატანების მოცულობაზე, აკუმულირებული საპენსიო აქტივების მართვის მიდგომებზე და გრძელვადიან პერიოდში საინვესტიციო მოგების მაჩვენებლებზე. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ასეთი საპენსიო სქემების განვითარების შედეგები დიდწილად არის დამოკიდებული კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებაზე და მათი განვითარების დონეზე.

საპენსიო პოლიტიკა გრძელვადიან პერსპექტივაში: პარამეტრული რეფორმების განხორციელების შესაძლებლობები

საქართველოში, დაგროვებითი (სავალდებულო და ნებაყოფლობითი) საპენსიო სქემების განვითარება დადებითად უნდა აისახოს არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის გაზრდაზე. საქართველოს კანონის პროექტის „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ განმარტებით ბარათში აღნიშნულია რომ, ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა გრძელვადიან პერიოდში დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, მით უფრო, რომ სამომავლოდ სახელმწიფოს ჩართვა სოციალურ უზრუნველყოფაში შესაძლოა შემცირდეს კერძო ნებაყოფლობითი და სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემების წარმატების შემთხვევაში (Parliament of Georgia, 2023).

სახელმწიფოს ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, შესაძლებელია დაინერგოს სხვა და სხვა პარამეტრული რეფორმები რათა მოხდეს სახელმწიფო (სოციალური) პენსიის გონივრული საბიუჯეტო ხარჯის შენარჩუნება და ამასთან ერთად სახელმწიფო (სოციალური) საპენსიო სისტემის ადეკვატურობის და მდგრადობის შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში. შესაძლო პარამეტ-

რული რეფორმებისაგან აღსანიშნავია ორი შემდეგი მიმართულება რომლებსაც განსაკუთრებით უწევს რეკომენდაციას ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები როგორებიც არიან საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. ასეთ პარამეტრულ რეფორმებს შორის აღსანიშნავია: 1) საპენსიო ასაკის ზრდა და 2) საპენსიო სარგებლის (ბენეფიტების) ოდენობის შემცირება ტესტირების (means-testing) მეშვეობით ან / და საპენსიო ხარჯის შემცირება ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილების შედეგად (ისევე, ტესტირების (means-testing) მეშვეობით). აღნიშნული პარამეტრული რეფორმები შესაძლებელია განიხილებოდეს სახელმწიფო პენსიის მზარდი ხარჯის შესაჩერებლად.

საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ საპენსიო ასაკის გაზრდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად წლების განმავლობაში. საპენსიო ასაკის ზრდა მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყანაში, როგორც ტენდენცია, არის მიზანშეწონილი, თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის დაბერების ინტენსიურ პროცესებს. როგორც ზემოდ არის აღნიშნული, მოსახლეობის დაბერება და, ასევე, დამოკიდებულების კოეფიციენტის მნიშვნელოვანი მატება - წარმოადგენს მწვავე დემოგრაფიულ პრობლემას საქართველოშიც.

საპენსიო ასაკის გაზრდა გარკვეულ უპირატესობებს გვიდასტურებს. საპენსიო ასაკის ცვლილებამ - გაზრდამ საქართველოში შესაძლებელია საგრძნობლად შეაჩეროს სახელმწიფო პენსიის საბიუჯეტო ხარჯის ზრდა. ამასთან ერთად, აღნიშნულმა რეფორმამ შესაძლებელია შეამციროს პენსიონერების თანაფარდობა სამუშაო ასაკის მოსახლეობასთან, ესეიგი, შესაბამისად, შემცირდება დამოკიდებულების კოეფიციენტიც. ასევე, აღნიშნული პარამეტრული რეფორმა გაზრდის დასაქმების

მაჩვენებლებს (60 წლის და მეტი ასაკის მქონე ადამიანებში) გრძელვადიან პერსპექტივაში.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, საყურადღებოა ასევე პარამეტრული რეფორმა რომელიც მიზანმიართულია საპენსიო ხარჯების შემცირებაზე ბენეფიციართა ტესტირების (means-testing-ის) მეშვეობით. ასეთი რეფორმის რეზულტატი შესაძლებელია მდგომარეობდეს საპენსიო სარგებლის შემცირებაში გარკვეული კატეგორიის და რაოდენობის ბენეფიციარებისათვის, ან ასევე, მხოლოდ თვით ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილებაში (შემცირებაში). საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ტესტირების მეთოდი გამოიყენება რათა მოხდეს მაღალშემოსავლიანი ბენეფიციარების გამოვლენა და შესაბამისად მათთვის სახელმწიფო სოციალური პენსიის ოდენობის შემცირება ან, გარკვეულ შემთხვევებში, სრულად გაუქმება. აღსანიშნავია რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო სოციალური პენსიის ფუნქციები მნიშვნელოვნად შეიზღუდება, რადგან ასეთი პენსიის ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ სიღარიბის დაძლევის ფუნქციით. ასევე, აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პარამეტრული რეფორმების მნიშვნელოვანი კონტრარგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ ასეთმა რეფორმებმა შესაძლოა შეზღუდონ დასაქმების და დანაზოგების შექმნის სტიმულირება ქვეყანაში.

დასკვნა

წლების განმავლობაში საპენსიო სისტემის განხორციელებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყვეს არა მხოლოდ სიღარიბის დაძლევის მექანიზმის ჩამოყალიბებას ქვეყანაში, არამედ, საპენსიო ასაკში მუშაკთა პოტენციური ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი საინვესტიციო შესაძლებლობების განვითარებას დაგრო-

ვებითი, სავალდებულო და ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების დანერგვის მეშვეობით. გრძელვადიან პერსპექტივაში, დაგროვებითი საპენსიო სქემების განვითარება მოახდენს გარკვეულ გავლენას სახელმწიფოს საპენ-

სიო პოლიტიკაზე; სახელმწიფოს ჩართულობის როლი სოციალურ პოლიტიკაში და მისი სოციალური ხარჯები შესაძლოა შეიცვალოს დემოგრაფიული ტენდენციების ფონის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

- Asian Development Bank, 2023. "Pension Reform Note," Insurance State Supervision Service of Georgia, 2023. Private Voluntary Pension Insurance and registered Pension Schemes' Statistics. Available at სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (insurance.gov.ge)
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2016. "Pension Reform in Georgia," the Report of the Government of Georgia, Tbilisi, Georgia
- National Statistics Office of Georgia, 2023. Statistics, Population and Demography; Employment and Wages. Available at: Population and Demography - National Statistics Office of Georgia (geostat.ge)
- Parliament of Georgia, 2023. Draft Law: „On Voluntary Private Pension.“ „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-2/193/10, ინიცირებული ვარიანტი, საქართველოს კანონის პროექტი) (parliament.ge) (ქართულ ენაზე)
- Pension Agency, 2022. Annual report 2022. Available at: 2022-annual-report.pdf (pensions.ge) (ქართულ ენაზე)
- Rochlitz, Kathrin, 2015. "Net Pension Replacement Rates." GES-IFO DICE Report 2 / June, pp. 70-72, Munich, Germany. Available at: [Net Pension Replacement Rates \(ifo.de\)](http://Net Pension Replacement Rates (ifo.de))
- World Bank, 2005. Pension Reform Primer: Issues, Challenges, Options and Arguments in Pension Reform. World Bank Pension Reform Primer Series. Washington, DC. Available at: <http://hdl.handle.net/10986/11241>

The Impact of the Development of Funded Pensions on Retirement Policy in Georgia

Tamila Nutsubidze

PhD, Professor, Kutaisi University

Tamila.Nutsubidze@unik.edu.ge

Abstract

The implementation of mandatory and voluntary funded pension schemes contributes to the development of long-term investment opportunities and savings in Georgia to ensure the financial security of workers at retirement age. In the long term, the development of the above-mentioned funded pension schemes is likely to influence the state's pension policy. The role of state involvement in social policy and its social spending may change in line with demographic trends.

Keywords: funded pension, pension reform, retirement / pension policy

JEL: I38

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.14>

For citation: Nutsubidze T. (2023) The Impact of the Development of Funded Pensions on Retirement Policy in Georgia. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 112-120. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.14>

References

- Asian Development Bank, 2023. "Pension Reform Note," **Ошибка! Недопустимый объект гиперссылки.**
- Insurance State Supervision Service of Georgia, 2023. Private Voluntary Pension Insurance and registered Pension Schemes' Statistics. Available at insurance.gov.ge
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2016. "Pension Reform in Georgia," the Report of the Government of Georgia, Tbilisi, Georgia
- National Statistics Office of Georgia, 2023. Statistics, Population and Demography; Employment and Wages. Available at: Population and Demography - National Statistics Office of Georgia (geostat.ge)
- Parliament of Georgia, 2023. Draft Law: „On Voluntary Private Pension
- Pension Agency, 2022. Annual report 2022. Available at: 2022-annual-report.pdf (pensions.ge)
- Rochlitz, Kathrin, 2015. "Net Pension Replacement Rates." GES-IFO DICE Report 2 / June, pp. 70-72, Munich, Germany. Available at: [Net Pension Replacement Rates \(ifo.de\)](http://Net Pension Replacement Rates (ifo.de))
- World Bank, 2005. Pension Reform Primer: Issues, Challenges, Options and Arguments in Pension Reform. World Bank Pension Reform Primer Series. Washington, DC. Available at: <http://hdl.handle.net/10986/11241>

ტურისტული ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

გოდერძი შანიძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ქუთაისის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Goderdzi.shanidze@unik.edu.ge

აბსტრაქტი

საქართველოში ტურიზმის განვითარების საკითხი საკმაოდ აქტუალური თემაა, ის ქვეყნისთვის, ეკონომიკური სარგებლის მოტანაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ტურიზმის განვითარებას განსაზღვრავს ღირშესანიშნაობები, ინფრასტრუქტურის მოწყობის დონე, მომსახურების შეთავაზებები, მოგზაურობების ორგანიზება, ტურისტული პროდუქტის ბაზარზე გატანა და ა.შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებით, სხვასთან ერთად, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფებიც იღებენ სარგებელს, რაც სახელმწიფოს ფინანსური ხელშეწყობის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც მაგალითად, ტურისტებისთვის საქონლისა და მომსახურების მიყიდვით ან მცირე საწარმოს ფუნქციონირებით მიიღწევა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2022 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 3.5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. მათივე განცხადებით, 2022 წელს მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის მაჩვენებელს გადააჭარბა და დაფიქსირდა რეკორდული მაჩვენებელი 3,516,634,479 აშშ დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლის აღდგენაა 107.6%-ით.

2022 წელს, საქსტატის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 5.4 მლნ. შემოსვლა დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.9-ჯერ მეტია. ვიზიტების უმეტესობა 57.2% რეგიონულ დონეზე თბილისში განხორციელდა, შემდეგ მოდის აჭარა 45.1% და მცხეთა-მთიანეთი 19%. დანარჩენი რეგიონებიდან ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ქვემო ქართლში 7.9%, სამცხე-ჯავახეთში 7.7%, იმერეთსა 7.5% და კახეთში 5.8%.

ტურისტული ბიზნესი არის მოსახლეობის დასაქმების, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის, ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების, ქვეყანაში მრავალფეროვანი წარმოებისა თუ მომსახურების შექმნის, რეგიონული განვითარების მნიშვნელოვანი წყარო.

იმ ქვეყანას რომელსაც რეალურად გააჩნია ტურისტული პოტენციალი და ფლობს გარკვეულ კონკურენტულ უპირატესობებს, ტურიზმი უნდა იყოს ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი და პრიორიტეტული დარგი.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული ბიზნესი, ტურიზმის პოტენციალი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ტურისტული ნაკადები.

JEL: Z32

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.15>

ციტირებისათვის: შანიძე გ. (2023) ტურისტული ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 121 - 126. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.15>

შესავალი

საქართველოში ტურიზმის განვითარების საკითხი საკმაოდ აქტუალური თემაა, ის ქვეყნისთვის, ეკონომიკური სარგებლის მოტანაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ტურიზმის განვითარებას განსაზღვრავს

ღირშესანიშნაობები, ინფრასტრუქტურის მოწყობის დონე, მომსახურების შეთავაზებები, მოგზაურობების ორგანიზება, ტურისტული პროდუქტის ბაზარზე გატანა და ა.შ.

ტურიზმს, აგრეთვე მნიშვნელოვანი ად-

გილი უჭირავს ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების გაზრდაში. შემოსავლები ნაწილდება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში და ადგილობრივ მოსახლეობას ექმნება შესაძლებლობა დასაქმდნენ ტურიზმის სფეროში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებით, სხვათაგან ერთად, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფებიც იღებენ სარგებელს, რაც სახელმწიფოს ფინანსური ხელშეწყობის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც მაგალითად, ტურისტებისთვის საქონლისა და მომსახურების მიყიდვით ან მცირე საწარმოს ფუნქციონირებით მიიღწევა.

ტურიზმი საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისთვისაც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური განვითარების საშუალებაა. იგი აღნიშნული სექტორისთვის დამატებითი ფინანსური წყაროა და ერთგვარი სტიმული ხდება, ფერმერული მეურნეობის განვითარებისთვის.

ძირითადი ნაწილი

ტურისტულ ბიზნესს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკაში. ტურიზმი ხელს უწყობს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის რეალიზებას, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ავითარებს მცირე ბიზნესებს და ა.შ. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ეს დარგი მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, წარმოადგენს სახელმწიფოს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებით ყველას შეუძლია სარგებელი მიიღოს. ეს განპირობებულია იმით, რომ ადგილობრივებს აქვთ შესაძლებლობა გახდნენ თვითდასაქმებულები, ტურისტული პროდუქტებითა და მომსახურებების რეალიზაციით შეძლონ შემოსავლის წყაროს შექმნა. ამისთვის კი ისინი რთავენ თავიანთ კრეა-

ტიულობას და ტურისტებისთვის ისეთ ბიზნესს ქმნიან, რომელიც მიმზიდველი იქნება განსაზღვრულ რეგიონში, კონკრეტულ დროს.

ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრია ერთ-ერთი სწრაფად აღდგენადი სექტორია მომსახურებებს შორის. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემების მიხედვით, 2021 წელს, აღნიშნული დარგის კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 5.8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგინა +21.7%) და ხელი შეუწყო 289 მლნ სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ის 6.1%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაოდან

გასული წლების კოვიდ-პანდემიამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ტურისტულ ბიზნესს, ფაქტობრივად აღარ იყო მოთხოვნა ტურისტულ სააგენტოებზე, სატრანსპორტო კომპანიებზე, მინიმუმამდე დავიდა კვების ობიექტების, განთავსების საშუალებებისა, და მსგავსი პროფილის ბიზნესის მომხმარებელთა რიცხვი. კომპანიები დარჩა შემოსავლების გარეშე, ფინანსური პრობლემების გადასალახად საჭირო გახდა ხარჯების ოპტიმიზაცია, თანამშრომლების დათხოვნა ან მათი ხელფასების შემცირება. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემების მიხედვით, 100-დან 120 მილიონამდე სამუშაო ადგილი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მაშინ როდესაც 2019 წელს ტურიზმში დასაქმებულთა რიცხვი 330 მლნ-ს აღწევდა (United Nations 2020). მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა საქართველოს ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკის თანახმად, პანდემიის

დასრულების შემდგომ 2022 წლის ივლისის თვეში საქართველოში ჩამოვიდა 718,401 საერთაშორისო მოგზაური. ეს რიცხვი გაზრდილია 2021 წლის ივლისის თვესთან შედარებით 177%-ით. ხოლო 2019 წლის ივლისის მონაცემებს რომ შევადაროთ, ტურისტული ვიზიტები აღდგენილია 80.6%-ით. დასაწყისშივე 2022 წლის პირველ 7 თვეში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 1,668,983 შეადგინა, რაც 162%-ით არის გაზრდილი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2022 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 3.5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. მათივე განცხადებით, 2022 წელს მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის მაჩვენებელს გადააჭარბა და დაფიქსირდა რეკორდული მაჩვენებელი 3,516,634,479 აშშ დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლის აღდგენაა 107.6%-ით.

2022 წელს, საქსტატის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 5.4 მლნ. შემოსვლა დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.9-ჯერ მეტია. ვიზიტების უმეტესობა 57.2% რეგიონულ დონეზე თბილისში განხორციელდა, შემდეგ მოდის აჭარა 45.1% და მცხეთა-მთიანეთი 19%. დანარჩენი რეგიონებიდან ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ქვემო ქართლში 7.9%, სამცხე-ჯავახეთში 7.7%, იმერეთსა 7.5% და კახეთში 5.8%.


ბოლო პერიოდში 2022-2023 წლებში რუსეთ-უკრაინის ომის დროს ძალზედ დიდი რაოდენობით ტურისტები შემოვიდა რუსეთის ფედერაციიდან, ეს უმეტესწილად განპირობებული იყო რუსეთის ფედერაციაში გამოცხადებული მობილიზაციით. ასეთი ტურისტული ნაკადების შე-

მოდინებისას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის შესაძლებელია სასარგებლო იყოს, სახელმწიფოს მართებს უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოს ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე და გარკვეული შეზღუდვები დააწესოს.


ჩვენი ქვეყნის, ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პროგრამა, „აწარმოე საქართველოში“ დიდ სტიმულს აძლევს სასტუმრო ბიზნესით დაინტერესებულ ადამიანებს, რომლებიც აშენებენ ახალ სასტუმროს საქართველოს რეგიონებში, (თბილისისა და ბათუმის გარდა), ახდენენ არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოვებას, აგრეთვე შესაძლებელია უცხოური ბრენდის ქართულ ბაზარზე შემოყვანა, რაც ასევე მოიცავს ფრენშიაზინგის ხელშეკრულებების გაფორმებას სასტუმროს საერთაშორისო ბაზრებზე.

პროგრამის მიზანია ქვეყანაში ტურისტული სეგმენტის (ტურიზმის და ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურების) პოპულარიზაცია, განვითარება, გაფართოება, მომსახურების სერვისის განვითარება, ფინანსური მხარდაჭერა.


სამეცნიერო სტატიის მომზადებისას, კვლევის ფარგლებში ჩავატარე შერჩევითი გამოკითხვა, იმ მიზნით, რომ გამერკვია, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის ბიზნესის განვითარების პერსპექტივები და რამდენად ინფორმირებულია სახელმწიფოს მხრიდან ტურისტული ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების არსებობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 94 რესპონდენტმა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემდეგში გაავაკეთე დასკვნები და რეკომენდაციები. გამოკითხვის შედეგების ილისტრირებისთვის, დიაგრამების სახით წარმოვადგენ რამდენიმე მათგანს.




დიაგრამა 1. გაქვთ თუ არა პირდაპირი შეხება ტურისტულ სექტორებთან წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 2023 წ.



დიაგრამა 4. რამდენად შეუძლია ტურისტული ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკაში წვლილის შეტანა? შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით. წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 2023 წ.



დიაგრამა 2. გაქვთ თუ არა ინფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან ტურისტულ სექტორების ბიზნესისათვის ხელშეწყობის პროგრამების არსებობის შესახებ. წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 2023 წ.



დიაგრამა 3. თქვენი აზრით რამდენად არის საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები? შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით. წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 2023 წ.

კითხვაზე, თვითონ თუ რა ღონისძიებებს მიმართავდნენ საქართველოში უფრო მეტი ტურისტის შემოსაყვანად, რესპონდენტებმა შემოგვთავაზეს სხვადასხვა ინოვაციური იდეები: სხვადასხვა ტრადიციული სეზონური ღონისძიებების დაგეგმვა ტურისტული სააგენტოების ურთიერთთანამშრომლობით; საერთაშორისო კომერციულ პლატფორმებზე უფრო მეტად ვიდეორგოლებით საქართველოს გამორჩეული ადგილების ჩვენება პოტენციური ტურისტებისთვის; ქვეყანაში ინფრასტრუქტურის განვითარება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; მაღალმთიან რეგიონებში მისასვლელი გზების მოწესრიგება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განსათავსებელი ადგილების უზრუნველყოფა; მომსახურების სფეროში დასაქმებული პერსონალის პროფესიული გადამზადება; ტურისტულ სექტორებში, ტურისტებისთვის მომსახურების რეალური ფასების შეთავაზება ა.შ.

ტურისტული ბიზნესი არის მოსახლეობის დასაქმების, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის, ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების, ქვეყანაში მრავალფეროვანი წარმოებისა თუ მომსახურების

შექმნის, რეგიონული განვითარების მნიშვნელოვანი წყარო.

იმ ქვეყანას რომელსაც რეალურად გააჩნია ტურისტული პოტენციალი და ფლობს გარკვეულ კონკურენტულ უპირატესობებს, ტურიზმი უნდა იყოს ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი და პრიორიტეტული დარგი.

დასკვნები

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უფრო მეტად გააცნოს მოსახლეობას ტურისტული ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების არსებობის შესახებ, რათა დაინტერესებული ადამიანები აქტიურად ჩაერთონ მასში.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე და ხელი შეუწყოს დანიშნულების ადგილის ნორმალურ ფუნქციონირებას.

რაც უფრო მეტად მოხდება გაზრდილი ტურისტული ნაკადებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილება ადგილობრივი პროდუქციით, მით მეტი ეკონომიკური სარგებელი ექნება ჩვენს ქვეყანას.

ტურისტული ბიზნესი კვლავაც რჩება ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად.

ქვეყნის დასაქმებისა და ინფლაციის პრობლემების მოგვარებაში ტურისტული ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2021 წ. (ქართული)

The Sustainable Development Goals Report 2020 (ინგლისური)

ტურიზმი საქართველოში 2022 წ. (ქართული)

საერთაშორისო ვიზიტორები საქართველოში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2022 წ. (ქართული)

The Role of Tourism Business in the Development of the Country's Economy

Goderdzi Shanidze

Doctor of Business and Management, Associate Professor,
Kutaisi University, Akaki Tsereteli State University
Goderdzi.shanidze@unik.edu.ge

Abstract

The issue of tourism development in Georgia is a very topical issue, it plays an important role in bringing economic benefits to the country. The development of tourism is determined by sights, the level of infrastructure, service offers, organization of trips, marketing of tourist products, etc.

It is especially noteworthy that with the development of tourism in the country, among others, low-income groups of the population also benefit, which is an important factor in the development strategy of the state's financial support, that can be achieved, for example, by selling goods and services to tourists or by operating a small enterprise.

According to the information of the National Tourism Administration, in 2022, Georgia received 3.5 billion dollars in income from international travel. According to their own statement, the income from travel in 2022 exceeded the figure of 2019 and recorded a record figure of 3,516,634,479 USD, which is a recovery of the similar figure of 2019 by 107.6%.

In 2022, according to Saxstat data, 5.4 million international non-resident travelled to Georgia. The record is 2.9 times higher than the previous year. Most of the visits were made in Tbilisi at the regional level, 57.2%, followed by Adjara with 45.1% and Mtskheta-Mtianeti with 19%. From the rest of the regions, the most visits were made to Kvemo Kartli 7.9%, Samtskhe-Javakheti 7.7%, Imereti 7.5% and Kakheti 5.8%.

Tourism business is an important source of population employment, economic and social progress, inflow of foreign currency in the country, creation of diverse production or services in the country and regional development.

For a country that actually has tourism potential and possesses certain competitive advantages, tourism should be one of the main pillars and priority areas of the country's development strategy.

Conclusions

It is important for the state to inform the population more about the existence of state programs promoting tourism business, so that interested people can actively participate in it.

The state should take care of the infrastructure and facilitate the normal functioning of the destination.

The more the demand arising from the increased tourist flows is satisfied with local products, the more economic benefits our country will have.

Tourism business continues to be one of the driving forces of the country's economy.

The development of tourism business can make a significant contribution to solving the problems of employment and inflation in the country.

Keywords: tourism business; tourism potential; economic development of the country; Contribution of tourism to the development of the country's economy; tourist flows

JEL: Z32

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.15>

For citation: Shanidze G. (2023) The Role of Tourism Business in the Development of the Country's Economy. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 121-126. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.15>

References

- Statistical overview of Georgian tourism in 2021. (Georgian)
- The Sustainable Development Goals Report 2020 (English)
- Tourism in Georgia in 2022 (Georgian)
- International visitors to Georgia. National Tourism Administration of Georgia 2022 (Georgian)

საფრთხის შემცველი ეკონომიკური ზრდა და მწვანე წყალბადი — როგორც უსაფრთხო ალტერნატივა

ალექსანდრე ვაჭარაძე

ასისტენტ პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი
aleksandre.vatcharadze@unik.edu.ge

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულების მანძილზე, მსოფლიომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა განიცადა. გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 1960 წელს 1.38 ტრილიონი აშშ დოლარიდან 2022 წელს 101 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც დაახლოებით 74-ჯერ მეტია. თუმცა, ამ დიდმა ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია გარემოს მასშტაბური დაზიანებები. 2020 წელს CO₂-ის გლობალურმა ემისიამ მიაღწია 34 მილიარდ ტონას, რაც 17-ჯერ მეტია 1900 წლის იმავე მაჩვენებელზე. მსოფლიოში ნახშირორჟანგის (CO₂) გამოყოფა ისეთი ტემპით იზრდება, რომ ჩარევის გარეშე რამდენიმე გრადუსით გაზრდის დედამიწის ტემპერატურას; ეს კი შეაფერხებს ეკონომიკის განვითარებას და გაზრდის დანახარჯებს. მრავალი სახელმწიფო ამ პრობლემის მოგვარებისას ცდილობს ტრადიციული წიაღისეული ენერჯის განახლებადი ალტერნატივებით ჩანაცვლებას. განსაკუთრებით საყურადღებოა, მსოფლიოს ბოლოდროინდელი დაინტერესება *მწვანე წყალბადით*. ამჟამინდელი დაინტერესება განპირობებულია წყალბადის მეშვეობით ენერჯის დიდი ხნის განმავლობაში ეფექტიანი შენახვის შესაძლებლობით. ეს ფაქტი დამატებით მნიშვნელობას სძენს ისეთ განახლებად ენერჯის წყაროებს, როგორცაა: ქარის, მზის და ჰიდრო(რეზერვუარის გარეშე) ენერჯები; რომელთა ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი მხარე „სეზონურობა“ და გამომუშავების საჭიროებისამებრ უუნარობაა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, განახლებადი ენერჯები, გლობალური დათბობა, მწვანე წყალბადი

JEL: Q42

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.16>

ციტირებისათვის: ვაჭარაძე ა. (2023) საფრთხის შემცველი ეკონომიკური ზრდა და მწვანე წყალბადი — როგორც უსაფრთხო ალტერნატივა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 127 - 137. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.16>

შესავალი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, მსოფლიოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციისა და ტექნოლოგიურ წინსვლასთან. უფრო კონკრეტულად, გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 1960 წელს 1.38 ტრილიონი აშშ დოლარიდან 2022 წელს 101 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც დაახლოებით 74-ჯერ მეტია (World Bank..., 2023). თუმცა, ამ დიდმა ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია გარემოს მასშტაბური დაზიანებები, რაც გლობალურ პრობლემად იქცა. გარემოს დაზიანებების სხვადასხვა ტიპებს შორის,

ნახშირორჟანგის (CO₂) ემისია შეადგენს მთლიანი სათბურის აირების (GHGs) 74%-ს, რაც, დიდ წილად უწყობს, ხელს კლიმატის ცვლილებას და გლობალურ დათბობას (Alkhatlan and Javid, 2013). კვლავწარმოების პროცესში ენერგორესურსების მასიური საჭიროების გამო, ქვანახშირის და სხვა წიაღისეული საწვავის გამოყენება თანდათან გაიზარდა, რამაც გამოიწვია გლობალური ნახშირორჟანგის ემისიის ზრდა. 2020 წელს CO₂-ის გლობალურმა ემისიამ მიაღწია 34 მილიარდ ტონას, რაც 17-ჯერ მეტია 1900 წლის იმავე მაჩვენებელზე (Ritchie et al., 2020).

გლობალური დათბობა და გარემოს

დეგრადაცია უარყოფითად ისახება ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA..., 2016) ცნობით, ჰაერის დაბინძურების გამო ყოველდღიურად დაახლოებით 18000 ადამიანი იღუპება. გარდა ამისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO..., 2016) განაცხადა, რომ ყოველწლიურად გარემოს დეგრადაცია (განსაკუთრებით, ჰაერის დაბინძურება) იწვევს ბევრად მეტ სიკვდილიანობას ვიდრე განუკურნებელი დაავადებები.

მსოფლიოში ნახშირორჟანგის(CO₂) გამოყოფა ისეთი ტემპით იზრდება, რომ ჩარევის გარეშე რამდენიმე გრადუსით გაზრდის დედამიწის ტემპერატურას (IEA..., 2019). გლობალური დათბობა კი შეაფერხებს ეკონომიკის განვითარებას და გაზრდის დანახარჯებს. პრობლემასთან საბრძოლველად აუცილებელია მავნე გამონახლოქვის შემცირება, რაც რთული პროცესია. ემისიების შემცირების სირთულე, დიდ წილად, განპირობებულია წიაღისეულ საწვავზე გლობალური დამოკიდებულებით, იქნება ეს ელექტროენერჯის სექტორი, შენობებისა და გათბობის, თუ ტრანსპორტირებისა და მრეწველობის სექტორები.

ამ პრობლემასთან საბრძოლველად, ბევრი სახელმწიფო ცდილობს მწვანე ენერჯის ტექნოლოგიების დანერგვას. განსაკუთრებით საყურადღებოა, მსოფლიოს ბოლოდროინდელი დაინტერესება მწვანე წყალბადით. წყალბადი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ელემენტია პლანეტაზე და მისი განსაკუთრებული ენერჯის შესახებ დიდი ხანია იცის მსოფლიომ. თუმცა წყალბადით ეს ბოლოდროინდელი დაინტერესება განპირობებულია არა როგორც ენერჯის პირვანდელი წყარო; არამედ წყალბადი — როგორც ენერჯის ტრანსპორტირების და დიდი ხნის განმავლობაში მისი ეფექტიანი შენახვის საშუალება.

ამ ფაქტის გათვალისწინებით, დამატებით მნიშვნელობას იძენს ისეთი განახლებადი ენერჯის წყაროები როგორცაა: ქარის, მზის და წყლის (რეზერვუარის გარეშე) ენერჯები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი მხარე „სეზონურობა“ და გამომუშავების საჭიროებისამებრ უუნარობაა.

წინამდებარე მოხსენება მიმოიხილავს მსოფლიოში ბოლოდროინდელ ტენდენციებს ჰიდრო, ქარის, მზის ენერჯებში და მათი ერთ-ერთი ძირითადი ნაკლოვანების აღმოფხვრის გზას მწვანე წყალბადის მეშვეობით. აქვე წარმოდგენილია საქართველოს მიმდინარე მდგომარეობა და პოტენციური განახლებადი ენერჯის ათვისების კუთხით.

მწვანე ენერგეტიკა და წყალბადი

ტერმინი მწვანე ენერგეტიკა და განახლებადი ენერჯის წყაროები ხშირად იხმარებო როგორც სინონიმები, თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებებიც. მაგალითად, „მწვანედ“ ითვლება ქარისა და მზის ენერჯები. თავისი ბუნებით ეს ენერჯები განახლებადიც არის. თუმცა ყველა განახლებადი ენერჯია მწვანე არ არის. მაგალითად: წყალბადის ენერჯია, რომელიც მიიღება წიაღისეული საწვავის გამოყენებით („ნაცრისფერი წყალბადი“); ასევე მძლავრ ჰიდროელექტროსადგურებს, უზარმაზარი წყალსაცავებით, სრულყოფილად „მწვანე“ ენერჯის წყაროს ვერ დავარქმევთ, ვინაიდან ამ კაშხლების ეფექტი ადგილობრივ ეკოსისტემაზე შესაძლოა უარყოფითად მოქმედებს (Ji and Zhang, 2019) თუმცა საშუალო და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურები მიჩნეულია როგორც განახლებად — ისე მწვანე ენერჯად.


ჰიდრო, ქარის, მზის და მწვანე წყალბადის ენერგეტიკული რესურსები, ტრადიციული წიაღისეული ენერჯოწყაროებისგან (ნავთობი, გაზი, ქვანახშირი) განსხვავებით, მოხმარებისას არ აზიანებენ გარემოს ნახში-

რორჟანგის გამოყოფით. ასევე მწვანე ენერჯის წყაროები, როგორც წესი, ბუნებრივად ივსება, განსხვავებით წიაღისეული საწვავის წყაროებისგან, რომელთა კვლავ წარმოქმნას შესაძლოა მილიონობით წელი დასჭირდეს. აგრეთვე ენერჯის მწვანე წყაროების მოპოვება უმეტესად არ საჭიროებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას. დამატებით, აღნიშნული სექტორი ქმნის სამუშაო ადგილებს, განვითარებად ქვეყნებში აფართოებს ენერგეტიკულ ხელმისაწვდომობას და ამცირებს ენერჯის ღირებულებას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საგრძნობლად გაიზარდა განახლებადი ენერგეტიკის წილი ბოლო წლებში. წყლის, ქარისა და მზის დახმარებით ელექტროენერჯის გამომუშავების რაოდენობა დღითიდღე ამყარებს ახალი რეკორდებს (BP...,

2022).

ჰიდროენერგეტიკა

ამ ტიპის მწვანე ენერჯია იყენებს წყლის ნაკადს მდინარეებსა და კაშხლებში ელექტროენერჯის წარმოებისთვის. ჰიდროენერგეტიკა ითვლება ენერჯის მთავარ წყაროდ მწვანე ენერგეტიკაში. ბევრი ჰიდროენერგეტიკული კაშხალი გამოიყენება ელექტროენერჯის გამომუშავების გარდა სხვა მიზნებისთვისაც. მაგალითად, სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის სუფთა წყლით მომარაგება; გამოიყენება დასვენებისა და სატრანსპორტო მომსახურებისთვის. განახლებადი ელექტროენერჯის დაახლოებით 60% გამომუშავდება ჰიდროენერგეტიკის მეშვეობით (BP..., 2022).



დიაგრამა 1. ჰიდროენერჯის წლიური წარმოების რუკა. 2022 წელი. გაზომილი ტერავატ საათებში (TWh) წყარო: International Renewable Energy Agency (IRENA)

ჰიდროენერგეტიკა უზრუნველყოფს დაბალი თვითღირებულებით ელექტროენერჯის გამომუშავებას დიდი ხნის განმავლობაში, თუმცა საწყის ეტაპზე ხასიათდება მაღალი სამშენებლო ხარჯებით. როგორც განახლებადი ენერჯის წყარო, ჰიდ-

როენერგეტიკა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია კომერციული თვალსაზრისით. ენერჯის ეს წყარო უფრო სტაბილურია, ვიდრე მზის ან ქარის ენერჯია. ნავარაუდებია, რომ ჰიდროენერგეტიკა, დარჩება ყველაზე უმსხვილეს მწვანე ენერჯის წყა-

როდ მომდევნო ათწლეულის განმავლობა- ში. (დიაგრამა 1 და 2)




დიაგრამა 2. ჰიდროენერჯის წლიური წარმოება. გაზომილი ტერავატ საათებში (TWh) წყარო: BP Statistical Review of World Energy

ქარის ენერჯია

ქარის ენერჯია იყენებს ჰაერის ნაკადის ძალას ტურბინების დასატრიალებლად. მიღებული მექანიკური ენერჯია კი შემდგომ გარდაიქმნება ელექტროენერჯიად. ქარის ენერჯის წარმოებაში ლიდერი სახელმწიფოებია, აშშ და ჩინეთი. 2001 წლიდან 2022 წლამდე ქარის კუმულაციური სიმძლავრე მთელ მსოფლიოში გაიზარდა 906,000 მეგავატამდე, რაც 37-ჯერ მეტია

2001 წელთან შედარებით (დიაგრამა 3) (IRENA..., 2023). მიუხედავად იმისა, რომ ქარის ტურბინები ძირითადად განთავსებულია ხმელეთზე, ბოლო პერიოდში ტექნოლოგიის დახვეწამ შესაძლებელი გახდა ტურბინების წყალზე განთავსება. ამ მხრივ ჩინეთი ლიდერობს, მას მოსდევს გაერთიანებული სამეფო და გერმანია (GWEC..., 2022).



დიაგრამა 3. დამონტაჟებული ქარის ენერჯის ჯამური სიმძლავრე მსოფლიოში. გაზომილი გიგავატებში (GW)

მზის ენერჯია


განახლებადი ენერჯიის ეს სახეობა იწარმოება ფოტოელექტრული უჯრედების გამოყენებით, რომლებიც მზის შუქს გარდაქმნის ელექტროენერჯიად. ბოლო წლებში მზიდან მიღებული ენერჯიის დირეზულეზა თანდათანობით ეცემა, რამაც გაზარდა მზის პანელებით გამომუშავებული ელექტროენერჯიის რაოდენობა. (დიაგრამა 4)

ჩინეთი არის ლიდერი მზის ენერჯიის წარმოებაში. 2022 წელს ჩინეთის მიერ დამონტაჟებული იქნა 106 გიგავატი, რაც გლობალური ბაზრის 44% შეადგენს. ჩინეთი მიზნად ისახავს რომ 2025 წლისთვის გამომუშავებული ელექტროენერჯიის 33%-ს განახლებადი ენერჯიის წყაროები შეადგენს. გარდა ამისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინ პინმა განაცხადა, რომ 2030 წლისთვის ჩინეთი გეგმავს გამოიმუშაოს 1200 გიგავატზე მეტი მზის და ქარის ენერჯიის სიმძლავრე (Taiyang News..., 2020). ევროკავშირმა, რომელიც ამ სიაში მეორე ადგილზეა, 2022 წელს დაამონტაჟა 38,9 გიგავატი, რასაც მოჰყვება აშშ, დაახლოებით 18,6 გიგავატი

დამონტაჟებული ენერჯიით (BP..., 2022).

მწვანე წყალბადის ენერჯია

საყურადღებოა მსოფლიოს ბოლოდროინდელი დაინტერესება მწვანე წყალბადით. წიაღისეული საწვავის ერთ-ერთი ალტერნატივა არის სწორედ „მწვანე“ წყალბადი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას წყლის ელექტროლიზით, რაც გულისხმობს განახლებადი ელექტროენერჯიის გამოყენებით წყლის დაშლას წყალბადად და ჟანგბადად (ნახშირორჟანგის გამოყოფის გარეშე). სხვადასხვა სექტორებში, მწვანე წყალბადის ენერჯია პირდაპირ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა ქიმიურ პროცესებში, სითბოს მისაღებად, სხვადასხვა სინთეზური საწვავის წარმოებისთვის, ან თუნდაც ელექტროენერჯიად სათბობი ელემენტის (Fuel Cell) მეშვეობით. სწორედ „სათბობი ელემენტი“, რისი წყალბადითაც შესაძლებელია ელექტროენერჯიის მოთხოვნისამებრ წარმოება და შესაბამისად ენერჯიის შენახვა. შენახვის შესაძლებლობა კი მას ხდის ერთადერთ მწვანე ტექნოლოგიად, რომელსაც შეუძლია ენერჯიის შენახვა სეზონების განმავლობაში.



დიაგრამა 4. დამონტაჟებული მზის ენერჯიის სიმძლავრე. გაზომილი გიგავატებში (GW).

წყარო: International Renewable Energy Agency (IRENA)

მრავალი მეცნიერი და ეკონომისტი ვარაუდობს, რომ წყალბადი იქნება მთავარი გამოსავალი კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში (Tarkowski, 2019). მათი არგუმენტებით წყალბადი იქნება ენერჯის პირველადი ტექნოლოგია, სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო მოხმარების წყარო, ასევე სატრანსპორტო საწვავის წამყვანი სახე, განსაკუთრებით, სატვირთო მანქანებისთვის და თვითმფრინავებისთვის. თუმცა ამ მოსაზრებას ასევე ყავს მოწინააღმდეგეებიც; რომლებიც ამტკიცებენ, რომ წყალბადს არ ექნება პრაქტიკული გამოყენება წარმოების მაღალი ხარჯებისა და მისი ელექტორენერჯიად გარდაქმნისას დიდი დანაკარგების გამო (Bossel, 2006). ეს მეცნიერები ამბობენ, რომ ინოვაციური ძალისხმევა უნდა იყოს ფოკუსირებული უშუალოდ განახლებაზე ენერჯიებზე და ბატარეის ტექნოლოგიებზე (Shinnar, 2003).

პრაქტიკული გამოსავალი კი მდგომარეობს ამ ორ უკიდურეს პოზიციას შორის (Tarkowski, 2019). წყალბადის წარმოებისა და გარდაქმნის თანდაყოლილი არაეფექტიანობა მიუთითებს იმაზე, რომ ყველაფერი, რის ელექტროფიკაციაც შეიძლება განახლებადი ენერჯის გამოყენებით, უნდა მომარაგდეს ელექტორენერჯით. თუმცა, არსებობს უამრავი სფერო, სადაც განახლებადი ენერჯია შუამავლის გარეშე — პირდაპირ ვერ იქნება გამოყენებული, სწორედ წყალბადს აქვს პოტენციალი შეასრულოს შუამავლის ეს ფუნქცია, ვინაიდან ის ენერჯის უფრო მოქნილი სახეა და უფრო მრავალმხრივია მისი ამა თუ იმ ფორმით გამოყენების შესაძლებლობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბარია ჰიდრო, მზის და ქარის ენერჯიებზე, როგორც ენერჯის პირვანდელ წყაროებზე, ხოლო წყალბადზე, როგორც ენერჯის შემნახველ ტექნოლოგიაზე. მოგეხსენებათ, მზის, ქარის და მწვანე ჰიდრო (წყალსაცავის გარეშე) ენერჯიები გამომუშავების „სეზონურობით“ ხასიათ-

დებიან, რაც დიდი გამოწვევაა ენერჯორესურსებზე მზარდი მოთხოვნის პირობებში. თუმცა თანამედროვე კვლევებმა შესაძლებელი გახადა ამ პრობლემის მოგვარება მწვანე წყალბადის საშუალებით. არაპიკური მოთხოვნის დროს, მზის, ქარის და ჰიდრო ენერჯიები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წყლის დასამლელად ელექტროლიზის მეშვეობით და გამოთავისუფლებული წყალბადი დიდი ხნის განმავლობაში ეფექტიანად შეინახოს (მაგალითად, მიწისქვეშა საცავში). შემდეგ კი პიკური მოთხოვნის დროს მოხდეს უკუპროცესი და სათბობი ელემენტის (Fuel Cell) გამოყენებით, კონტროლირებად გარემოში, წყალბადისა და ჟანგბადის შერევით გამოთავისუფლებული ენერჯია გადავაქციოთ ელექტორენერჯიად. დღეისთვის ეს პროცესი ენერჯის გარკვეულ დანაკარგებს გულისხმობს, თუმცა მკვლევარებისა და მეცნიერების ბოლოდროინდელი დაინტერესება დამამიძებნებელ შედეგებს გვპირდება.

საქართველო და მწვანე ენერჯეტიკა


პატარა განვითარებადი სახელწიფობისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელია მწვანე ენერჯეტიკის ხელშეწყობა და განვითარება. მართალია, გლობალურ დათბობაში საქართველოს როლი მიზერულია და ნახშირორჟანგის გამოყოფის კუთხით საბჭოთა კავშირის დაშლის დროინდელ მის მოცულობასაც ვერ დაბრუნებია (დიაგრამა 5), თუმცა მდგრადი ეკონომიკური ზრდა განვითარების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა, თავისი ჰიდროელექტროგენერაციის პოტენციალის მხოლოდ 20% იყენებს (ბიზნეს მედია საქართველო..., 2019) და ამ ფონზე, მისი ელექტორენერჯის იმპორტი წლიდან წლამდე იზრდება. რაც შეეხება ქარის და მზის ენერჯიებს, საქართველოში მხოლოდ ერთი 20.7 მეგავატიანი სადგური ფუნქციონირებს, რომელიც 2016 წლის დეკემბერში ამოქმედდა; ხოლო მზის

ენერჯის ათვისების კუთხით, ჯერაც არ გვაქვს სახელმწიფო მნიშვნელობის სადგური.

მართალია, ელექტროენერჯიაში იმპორტის წილი დიდი არ არის (საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო..., 2023). მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით წიაღისეულ საწვავზე, სადაც დიამეტრალურად განსხვავებული სიტუაციაა. ამასთან, ელექტროენერჯის იმპორტის მცირე საჭიროება განპირობებულია ადგილობრივი თბოელექტროსადგურების გამომუშავების ხარჯზე, რომლებიც მუშაობენ სრულად იმპორტირებულ წიაღისეულ საწვავზე. ამ ფაქტების გატვალისწინებით, საქართველო „ენერჯო დამოკიდებულია“ და ღია ყველა იმ საფრთხეების მიმართ რასაც ენერჯო დამოკიდებულება გულისხმობს (პოლიტიკური თუ ეკონომიკური არასტაბილურობა). გამომდინარე აქედანაც, მწვანე ენერჯეტიკის განვითარებას აქვს გადამწყვეტი როლი არა მარტო უწყვეტი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად (რომელიც პარალელურად არ

დააზიანებს გარემოს), არამედ ქვეყნის ენერჯოდამოუკიდებლობის საკითხში. ვინაიდან, მწვანე ენერჯეტიკა უპირველესად “ადგილობრივ” სუფთა და განახლებადი ენერჯეების შესწავლა-განვითარებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, საქართველოც ჩართულია მწვანე ენერჯეტიკის განვითარების პროცესში. 2020 წლის 21 მაისს საქართველომ მიიღო ახალი კანონი ენერჯოეფექტურობის შესახებ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე..., 2020), რაც დაეხმარება ქვეყანას გახდეს უფრო ენერჯოეფექტური და შეიტანოს თავისი წვლილი კლიმატის ცვლილების კუთხით. მიღებული კანონით განისაზღვრა, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის, მრეწველობის და სხვა სექტორების ვალდებულებები ენერჯოეფექტურობის ხელშეწყობის, მოხმარებისა და განვითარების კუთხით.



დიაგრამა 5: CO2-ის გამოყოფა საქართველოში (მეგატონა). წყარო:
https://edgar.jrc.ec.europa.eu/report_2022

ასევე, 2023 წლის ივნისში ხელი მოეწერა შეთანხმებას რომლის თანახმადაც გერმანიის მთავრობა საქართველოს გამოუყოფს 1.3 მილიონ ევროს რათა მოხდეს მწვანე წყალბადის კუთხით საქართველოს პოტენციალის შესწავლა და მწვანე წყალბადის განვითარების ხელშეწყობა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო..., 2023). შეთანხმებას, ორი ქვეყნის მთავრობების ჩართულობის ფონზე, ხელი მოაწერეს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკმა. ხელშეკრულების თანახმად, იგეგმება არა მხოლოდ საქართველოში მწვანე წყალბადის პოტენციალის შეფასება, არამედ დაგეგმილია საპილოტე პროექტის განხორციელებაც, რომელიც ითვალისწინებს მწვანე წყალბადის მისაღებად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას. ამ პროექტის დასკვნით ფაზაში შესაძლებელი იქნება, რამდენიმე ქალაქში ვიხილოთ წყალბადზე მომუშავე საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

დასკვნა

ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ მსოფლიომ განიცადა მაშტაბური ეკონომიკური ზრდა. თუმცა, ამ მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია გარემოს დაბინძურების ასევე მაშტაბური ზრდა, რაც გლობალურ პრობლემად იქცა. გარემოს დაბინძურება საფრთხეს უქმნის მომავალ თაობებს ისეთი ეკოლოგიური პრობლემების გამოწვევით, როგორცაა გლობალური დათბობა, საკვების დაბინძურება, ტყის განადგურება და სხვ. გარდა ამისა, გარემოს დაბინძურებას მოაქვს საზოგადო-

ებისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემები, როგორცაა ჯანდაცვის დამატებითი ხარჯები და შრომის პროდუქტიულობის დანაკარგები; ყოველივე ეს, შესაბამისი ჩარევის გარეშე, საფრთხეს შეუქმნის სამომავლო ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას.

გამომდინარე აქედან, წიაღისეული ენერჯის (ქვანახშირი, ნავთობი, გაზი) ჩანაცვლება სუფთა, მწვანე, უსაფრთხო და ეფექტიანი ენერგომომარაგების სისტემებით მთელ მსოფლიოში მდგრადი განვითარების მთავარ მიზნად იქცა. უფრო კონკრეტულად, ბოლოდროინდელ კვლევებში განახლებადი ენერჯიები მწვანე წყალბადის ენერჯის გათვალისწინებით, მიჩნეულია მთავარ გასაღებად, როგორც ნახშირორჟანგის ემისიის პიკის, ისე ნახშირორჟანგის ნეიტრალიტეტის მისაღწევად. საუბარია წყალბადის ენერჯიაზე როგორც ენერჯის შენახვის შესაძლებლობაზე, რომელიც თავიდან აგვარიდებს მზის, ქარის და მცირე/საშუალო ჰიდროსადგურების „სეზონურ“ ცვალებადობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ მწვანე ენერჯეტიკის ხელშეწყობის გზაზე, 2020 წელს მიიღო კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ, ხოლო 2023 წლის ივნისში ხელი მოაწერა პროექტს, რომლის მიხედვითაც, გერმანიის სახელმწიფოს ხელშეწყობით, საქართველოში იგეგმება მწვანე წყალბადის მისაღებად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და წყალბადზე მომუშავე საზოგადოებრივი ტრანსპორტის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიზნეს მედია საქართველო, აუთვისებელი სიმდიდრე – ჰიდროგენერაციის ნორვეგიული მაგალითი საქართველოსთვის, 2019, <https://bm.ge/ka/article/autvisebeli-simdidre--hidrogeneraciis-norvegiuli-magaliti-saqartvelostvis-/56436> (გადამოწმებულია 04.10.2023)

- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორი 2010-2022 წლებში, 2023, <https://www.transparency.ge/ge/post/sakartvelos-elektroenergetikis-sektori-2010-2022-clebshi> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023, <https://www.economy.ge/?page=news&nw=2272&s=romeo-miqautadze-saqartvelo-rogorc-evropis-energetikuli-gaertianebis-wevri-chartulia-mwvane-wyalbadis-teqnologiis-ganvitarebis-processhi> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ, 2020, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=1> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- Alkhatlan, K., Javid, M., (2013). Energy consumption, carbon emissions and economic growth in Saudi Arabia: An aggregate and disaggregate analysis, *Energy Pol.*, 62:1525–1532
- Bossel U., (2006). Does a hydrogen economy make sense?, *Proc IEEE* 94:1826-1837.
- BP, “Statistical Review of World Energy 2022”, <https://www.bp.com/content/dam/bp/business-sites/en/global/corporate/pdfs/energy-economics/statistical-review/bp-stats-review-2022-full-report.pdf> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- GWEC, Global Wind Energy Council (2022), “Global Wind Report 2022”, <https://gwec.net/global-wind-report-2022/> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- IEA. International Energy Agency, (2016). “World Energy Outlook 2016.” <https://www.iea.org/reports/world-energy-outlook-2016> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- IEA. International Energy Agency, (2019). Global CO2 Emissions in 2019 Analysis. <https://www.iea.org/articles/global-co2-emissions-in-2019> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- IRENA. International Renewable Energy Agency (2023), “Renewable energy statistics 2023” <https://www.irena.org/Publications/2023/Jul/Renewable-energy-statistics-2023> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- Ji, Q., Zhang, D., (2019). How much does financial development contribute to renewable energy growth and upgrading of energy structure in China?, *Energy Pol.* 128:114–124.
- Ritchie, H., Roser, M., Rosado, P., (2020). CO₂ and greenhouse gas emissions, *Our world in data*.
- Shinnar R., (2023). The hydrogen economy, fuel cells, and electric cars. *Technol Soc* 25:455-476.
- Taiyang News (2020). “China Aims For Over 1,200 GW Wind & Solar Power By 2030” <https://taiyangnews.info/markets/china-aims-for-over-1200-gw-wind-solar-power-by-2030/> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- Tarkowski R., (2019). Underground hydrogen storage: characteristics and prospects, *Renew Sustain Energy Rev* 105: 86-94
- World Bank, World Bank national accounts data, 2023. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG> (გადამოწმებულია 04.10.2023)
- WHO, World Health Organization, (2016). “Ambient air pollution: a global assessment of exposure and burden of disease.” <https://apps.who.int/iris/handle/10665/250141> (გადამოწმებულია 04.10.2023)

Dangerous Economic Growth and Green Hydrogen as a Safe Alternative

Aleksandre Vatcharadze

Assistant professor, Kutaisi University
aleksandre.vatcharadze@unik.edu.ge

Abstract

During recent decades, the world has experienced significant economic growth. Global gross domestic product (GDP) has grown from US\$1.38 trillion in 1960 to US\$101 trillion in 2022; an increase of about 74 times. However, this great economic growth has led to massive environmental pollution. In 2020, global CO₂ emissions reached 34 billion tons, which is 17 times higher than the same figure in 1900. The emission of carbon dioxide (CO₂) in the world is increasing at such a rate that without intervention it will increase the temperature of the earth by several degrees. Global warming will hinder economic development and increase costs. To combat this problem, many countries are trying to replace traditional fossil energies with renewable alternatives. Of particular note is the world's recent interest in *green hydrogen*. The current interest is due to the possibility of efficient long-term energy storage. This fact adds additional importance to such renewable energy sources as: wind, solar and hydro (without reservoir) energies; One of the main disadvantages of which is "seasonality" and inability of production according to demand.

Keywords: Economic Growth, Renewable Energy, Global Warming, Green Hydrogen

JEL: Q42

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.16>

For citation: Vatcharadze A. (2023) Dangerous Economic Growth and Green Hydrogen as a Safe Alternative. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 127 - 137. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.16>

References

- Business Media Georgia, Unexploited wealth – Norwegian example of hydrogeneration for Georgia, 2019, <https://bm.ge/ka/article/autvisebeli-simdidre--hydrogeneraciis-norvegiuli-magaliti-saqartvelostvis-/56436> (verified 04.10.2023)
- International Hardship Georgia, Georgia's Electric Power Sector 2010-2022, 2023, <https://www.transparency.ge/ge/post/sakartvelos-elektroenergetikis-sektori-2010-2022-clebshi> (verified 04.10.2023)
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2023, <https://www.economy.ge/?page=news&nw=2272&s=romeo-miqautadze-saqartvelo-rogorc-evropis-energetikuli-gaertianebis-wevri-chartulia-mwvane-wyalbadis-teqnologiis-ganvitarebis-processhi> (verified on 04.10.2023)
- Legislative Herald of Georgia, Law of Georgia on Energy Efficiency, 2020, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=1> (verified 04.10.2023)
- Alkhatlan, K., Javid, M., (2013). Energy consumption, carbon emissions and economic growth in Saudi Arabia: An aggregate and disaggregate analysis, *Energy Pol.*, 62:1525–1532
- Bossel U., (2006). Does a hydrogen economy make sense?, *Proc IEEE* 94:1826-1837.
- BP, "Statistical Review of World Energy 2022", <https://www.bp.com/content/dam/bp/business-sites/en/global/corporate/pdfs/energy-economics/statistical-review/bp-stats-review-2022-full-report.pdf> (verified on 04.10.2023)
- GWEC, Global Wind Energy Council (2022), "Global Wind Report 2022", <https://gwec.net/global-wind-report-2022/> (verified on 04.10.2023)
- IEA. International Energy Agency, (2016). "World Energy Outlook 2016." <https://www.iea.org/reports/world-energy-outlook-2016> (verified 04.10.2023)
- IEA. International Energy Agency, (2019). Global CO₂ Emissions in 2019 Analysis. <https://www.iea.org/articles/global-co2-emissions-in-2019> (verified 04.10.2023)
- IRENA. International Renewable Energy Agency (2023), "Renewable energy statistics 2023" <https://www.irena.org/Publications/2023/Jul/Renewable-energy-statistics-2023> (verified 04.10.2023)
- Ji, Q., Zhang, D., (2019). How much does financial development contribute to renewable energy growth and upgrading of energy structure in China?, *Energy Pol.* 128:114–124.
- Ritchie, H., Roser, M., Rosado, P., (2020). CO₂ and greenhouse gas emissions, Our world in data.
- Shinnar R., (2023). The hydrogen economy, fuel cells, and electric cars. *Technol Soc* 25:455-476.
- Taiyang News (2020). "China Aims For Over 1,200 GW Wind & Solar Power By 2030"

<https://taiyangnews.info/markets/china-aims-for-over-1200-gw-wind-solar-power-by-2030/> (verified on 04.10.2023)

Tarkowski R., (2019). Underground hydrogen storage: characteristics and prospects, *Renew Sustain Energy Rev* 105: 86-94

World Bank, World Bank national accounts data, 2023.

<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG> (verified on 04.10.2023)

WHO, World Health Organization, (2016). "Ambient air pollution: a global assessment of exposure and burden of disease." <https://apps.who.int/iris/handle/10665/250141> (verified on 04.10.2023)

მუნიციპალიტეტების დელეგირებული ფუნქციები და მათი განხორციელების მექანიზმები, როგორც ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტი (აჭარის მაგალითზე)

ნატალია ძიძიგური

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი
ndzidziguri7@gmail.com

აბსტრაქტი

ადგილობრივი ხელისუფლება მზად უნდა იყოს მეტი ფუნქციის შესასრულებლად სათანადო დაფინანსებით, რათა ეფექტური მართვა განახორციელოს კვალიფიციური სამთავრობო მექანიზმის არსებობის პირობებში. მუნიციპალიტეტმა ყველა რესურსი უნდა გამოიყენოს საკუთარი შემოსავლების გასაზრდელად. საქართველოს აქვს პოტენციალი განავითაროს თანამედროვე, ინკლუზიური, გამჭვირვალე და მოქალაქეებზე ორიენტირებული ადგილობრივი ხელისუფლება. მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ორგანიზაციების მუშაობის ოპტიმიზაცია და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური მართვა. დელეგირებული უფლებამოსილების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლება წარმატებული საჯარო ადმინისტრირების ქვაკუთხედაა.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი ხელისუფლება, დელეგირება, დეცენტრალიზაცია, ეფექტური მართვა, საჯარო მმართველობა

JEL: R19

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.17>

ციტირებისათვის: ძიძიგური ნ. (2023) მუნიციპალიტეტების დელეგირებული ფუნქციები და მათი განხორციელების მექანიზმები, როგორც ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტი (აჭარის მაგალითზე). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 138 - 146. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.17>

გლობალური სოციალურ-პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და ტექნოლოგიური ცვლილებები გამოწვევებდა იქცა თანამედროვე სახელმწიფო მმართველობით სისტემებისთვის. თანამედროვე კონცეპციები ახალი საჯარო მენეჯმენტი (“new public management”) და ხელმძღვანელობა (“governance”) ყურადღებას ამახვილებენ საჯარო მართველობის ეფექტურობაზე, პოლიტიკურ პლურალიზმზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფლებამოსილების დელეგირებას ხელისუფლების ქვედა დონეზე, უფრო დაბალანსებული ძალაუფლების გადანაწილებაზე, პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე, განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობის გაზრდაზე.

(Трофимова, 2011)

მეცნიერები თვლიან, რომ ეფექტიანი

სახელმწიფო მართვისთვის აუცილებელია სახელმწიფო მართვის რესურსების და მეთოდების შეხამება არსებულ შესაძლებლობებსა და რისკებთან. სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევის აუცილებლობისა და ზომის განსაზღვრა არის ეფექტიანი სახელმწიფო მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი. (ჩიხლაძე, რუსაძე, 2018)

ეფექტიანი მმართველობა განიხილება როგორც რეგიონების წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი, რადგან იგი ხელს უწყობს უნარების განვითარებას, ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ბუნებრივ, ასევე ხელოვნურად შექმნილ გარემოს და იმ „არახელშესახებ სარგებლებს“, როგორცაა შრომის ბაზარი, საჯარო ინსტიტუციები, მოქმედების წესები, ცოდნა და ფასეულობები. (პაიკი, როდრიგეს-პოუს, 2020)

საქართველოში 2019 წლიდან მიმდინარეობს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება. დეცენტრალიზაცია როგორც ერთ-ერთი მართვის მეთოდი, არც დემოკრატიულია და არც ლიბერალური, მას მხოლოდ გარკვეულ პირობებში შეუძლია ამგვარი გარდაქმნა, ის როგორც ჩვეულებრივი ტექნიკური ინსტრუმენტი ნეიტრალურია და სხვადასხვა პოლიტიკურ ვითარებაში მას შეუძლია სხვადასხვა ამოცანების გადაჭრა.

2019 წლის OECD-ის მოხსენება Making Decentralisation Work: a Handbook for Policy-Makers” „დეცენტრალიზაციის განხორციელება: სახელმძღვანელო პოლიტიკის შემქმნელებისთვის“ ფოკუსირებულია იმაზე, რომ არ შეიძლება დაისვას საკითხი, თავისთავად რამდენად კარგია ან ცუდია დეცენტრალიზაცია, მაგრამ მისი შედეგები - დემოკრატიის, ეფექტურობის, ანგარიშვალდებულების, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების თვალსაზრისით, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის შემუშავებული და განხორციელებული დეცენტრალიზაცია. (ძიძიგური, 2020)

საქართველოს კონსტიტუციის მე-IX თავი და საქართველოს ოგრანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-III თავი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, როგორც საკუთარ ისე დელეგირებულს. საკუთარი უფლებამოსილება წარმოადგენს კოდექსით დადგენილი უფლებამოსილებას, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს ესენია: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; ადგილობრივი

მოსაკრებლების ამოღება; მუნიციპალური ნარჩენების მართვა და სხვა.

მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებას წარმოადგენს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები გაწერილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე 17 მუხლში.

ადგილობრივი თვითმმართველობაზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დელეგირებულ უფლებამოსილებებს წარმოადგენენ:

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონით თვითმმართველ ერთეულებზე დელეგირებულია: გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, მათ შორის, ცხოველთა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლოსააღმზრდელო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და დაავადებების გავრცელების პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; ეპიდსაშიშროებისას პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება და პირველადი ეპიდკვლევების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება

ბა; პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა. „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცალკეული უფლებამოსილებები. ამ უფლებამოსილებას ახორციელებენ მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ორგანიზაციები – საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს ცენტრები. მუნიციპალიტეტის მიერ ამ უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებაზე დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონით მუნიციპალიტეტებზე დელეგირებულია: სამხედრო-სააღრიცხვო კომისიის შექმნა, მისი შემადგენლობის დამტკიცება და მოქალაქეთა (წვევამდელთა, რეზერვისტთა) სამხედრო აღრიცხვა; • გამწვევი კომისიის შექმნა, მისი შემადგენლობის დამტკიცება და მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელზე ზედამხედველობა. რეზერვისტთა და სამობილიზაციო რესურსების (რეზერვის ოფიცერთა, რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა და ტექნიკის) აღრიცხვის ორგანიზება; ეროვნული გვარდიის რეზერვისტების შერჩევა, მოზიდვა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გაგზავნა; რეზერვისტთა გამოძახება და შემკრებ პუნქტებში მიყვანის ორგანიზება. ამ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მუნიციპალიტეტების გამგეობებში/მერიებში, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – რაიონის გამგეობებში სპეციალური სტრუქტურული ერთეულებია შექმნილი.

დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონით მუნიციპალიტეტებს დელეგირებული აქვთ, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად, დევნილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტა

„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ კანონით დელეგირებულია სამხედრო სასაფლაოების სახელმწიფო აღრიცხვა, მათი დაცვა, კეთილმოწყობა და, დაზიანების შემთხვევაში, აღდგენა; საძიებო და სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩენილი დაღუპული მეომრის დაუმარხავი ნეშტის დაკრძალვა; გადაწყვეტილების მიღება სამშობლოს დაცვისას დაღუპული მეომრის ნეშტის გადასვენების შესახებ; სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შემდგომ გარდაცვლილი მეომრის დაკრძალვის ხარჯების გაღება; სამშობლოს დამცველთა გმირობასთან დაკავშირებული ცალკეული ტერიტორიების, ადგილებისა და მემორიალური ობიექტების კეთილმოწყობისათვის ხარჯების გაღება. ამ უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტები ახორციელებენ თავისი სტრუქტურული ერთეულების, უმთავრესად, სოციალური და კეთილმოწყობის სამსახურების მეშვეობით.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებულია ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერება და აღდგენა, რაზეც დარგობრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სა-

მინისტრო.

2016 წლის 1 აგვისტოდან, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონის შესაბამისად, სახელმწიფო პროექტის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი: საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ადგენს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე უტყუარად დგინდება მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობა; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგენს განცხადებას მიწის ნაკვეთზე დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, თუ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია ადმინისტრაციული ორგანოს/ თანამდებობის პირის ან მუნიციპალიტეტის ან/და მმართველობის ორგანოს მონაწილეობით.

2016 წლის 3 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე ორგანული კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტის დამადასტურებელ ცნობას, რომელიც შესაძლებელია იყოს საქართველოს მოქალაქეობის კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გასცემენ მუნიციპალიტეტის გამგებელთან/მერთან არსებული პირის მუნიციპალიტეტის ტერი-

ტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიები, მათთვის შესაბამისი განცხადებით მიმართვიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე, შესაძლებელია გადასცეს მუნიციპალიტეტს შემდეგი უფლებამოსილებები: საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საიმიგრაციო ვიზის გასაცემად საჭირო დოკუმენტაციის მიღება და სამგზავრო დოკუმენტში ვიზის დატანა, ან საქართველოს ვიზის ელექტრონულად გაცემა, D3 კატეგორიის და D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზების მოქმედების ვადის გასაგრძელებლად საჭირო დოკუმენტაციის მიღება. დარგობრივ ზედამხედველობას ამ უფლებამოსილებების შესრულებაზე ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

2016 წლის 31 ივლისიდან ამოქმედდა კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, რომლის მიხედვით, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელთან/მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია. კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისა და აღნიშნული კანონით დადგენილი წესით. დარგობრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით, საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის ამ უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, ხოლო დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას დებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ კანონის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათთვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეიმუშავენ უწყებრივ სამოქმედო გეგმებს, უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. (ლოსაბერიძე, კანდელაკი, 2019:77-85)

სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული უფლებამოსილებები ადგილობრივ თვითმმართველობაზე ჩვენ განვიხილეთ **ქალაქ ბათუმის** მუნიციპალიტეტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა დანარჩენ მუნიციპალიტეტზე „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონით“ დელეგირებული ფუნქციების განხორციელების მაგალითზე.

საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-IX თავი განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილებებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში, სადაც გაწერილია შესაბამისი სამინისტროების კომპეტენცია საზოგადოებრივ სფეროში, მთავრობის კომპეტენცია, მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენციები აღნიშნულ სფეროში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საზოგადოებრივი ჯანმრთელო-

ბის დაცვის სფეროში დელეგირებული უფლებამოსილებები გაწერილია პროგრამით „სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა“ (პროგრამული კოდი 0603), რომლის ბიუჯეტი 2017 წელს 586.4 ათასი ლარი იყო, ხოლო 2023 წელს შეადგინა 950.1 ათას ლარი. პროგრამა ითვალისწინებს: ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარულ მონიტორინგს, დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებებს და უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა სრულად ფინანსდება ქალაქ ბათუმის ბიუჯეტიდან და სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული უფლებამოსილებებისთვის განსახორციელებელი სახსრები არ გამოიყოფა.

თავდაცვის სფეროში დელეგირებული უფლებამოსილებები მუნიციპალიტეტისთვის მოიცავს რეზერვისტების და წვევამდელების ტრასპორტირების ხარჯებს (პროგრამული კოდი 0106). 2017 წელს თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 12.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11.8 ათასი ლარი. 2023 წელს თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებულია 20.000 ათასი ლარი, აღნიშნულ მომსახურებაზე ხარჯი იკლებს, რადგან დაფინანსება დამოკიდებულია წვევამდელთა რაოდენობაზე. (ბათუმის ბიუჯეტი 2017,2023)

ამ შემთხვევაშიც, პროგრამა სრულად ფინანსდება ქალაქ ბათუმის ბიუჯეტიდან და სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული უფლებამოსილებებისთვის განსახორციელებელი სახსრები არ გამოიყოფა.

ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით დელეგირებული უფლებამოსილებების შესრულებისთვის, ქალაქ ბათუმის სერვისების სააგენტოში შექმნილია „ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭე-

რის“ განყოფილება. სერვისების სააგენტოს აღნიშნული განყოფილების ფუნქციონირებისათვის წელიწადში გათვალისწინებული აქვს დაახლოებით 120 000 ათასი ლარი. (ბათუმის ბიუჯეტი 2023)

ქალაქ ბათუმის მაგალითზე შესწავლილი დელეგირებული ფუნქციის შესასრულებლად გაწეული ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პროგრამით „სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა“ მივიღეთ, რომ 2017 წელს ერთ სულ მოსახლეზე დაიხარჯა 3,64 ლარი, 2023 წელს აღნიშნული დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე 5,3 ლარია. (geostat.ge)

ჯამში, დელეგირებული უფლებამოსილებების შესრულებისთვის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წლიურად დაახლოებით 970 000 ათას ლარი იხარჯება, რაც 2023 წლის მიხედვით ბათუმის ბიუჯეტის შემოსავლების 35%

აქედან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ ბათუმის მერია ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად შესაბამისად ზრდის დაფინანსების მოცულობას აღნიშნული მიმართულებით, მაგრამ ამავდროულად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი დელეგირებული უფლებამოსილებები სრულად ფინანსირდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ეს აკნინებს ადგილობრივ მმართველობას, აზიანებს ადგილობრივ ბიუჯეტს და რიგ შემთხვევაში უკარგავს როგორც ხარისხს შესასრულებელ საჯარო სერვის ისე მიზნობრიობას. გამონთავისუფლებული სახსრები, შეიძლება უშუალოდ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განსახორციელებელ მომსახურებაზე გადაანაწილდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან აქამდე არ ყოფილა მკაფიოდ გაწერილი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსის

ოდენობის გაანაგარიშების წესი და მექანიზმები. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 აგვისტოს №327 დადგენილებით გაიწერა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების ოდენობის გაანგარიშების წესი, რომელიც ამოქმედდა ა/წ 1 სექტემბერს. ჩვენ ვიტოვებთ იმედს, რომ ეს დადგენილება სათანადო შედეგების მომტანი იქნება სამთვრობო ურთიერთობის გაჯანსაღებისთვის.

ამასთან ერთად, ჩვენ გავანალიზებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონით“ დელეგირებული ფუნქციის შესასრულებლად გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა 2017 და 2023 წლებში და მათი შესრულებისთვის გაწეული ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე. (იხ. ცხრილი)

ანალიზიდან ჩანს, რომ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის შემცირების პარალელურად იზრდება აღნიშნული დელეგირებული ფუნქციის შესასრულებლად გათვალისწინებული დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. გაწეული ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე მერყეობს 1,5 ლარიდან 9,1-მდე, ამასთანავე გამოიკვეთა, რომ ხარჯების უმეტესი წილი მოდის თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაზე.

ჩვენ ვარაუდობთ, რომ როგორც ბათუმის, ისე დანარჩენ აჭარის ა/რ მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დელეგირებული ფუნქციის შესრულების დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი ხარჯებით და გამოდის, რომ ამ შემთხვევაშიც მუნიციპალიტეტებზე სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად შესაბამისი თან-

ხები არ გამოიყოფა .

ამ პრობლემის გადაჭრის გზად ჩვენ გვესახება, პირველ რიგში მოქნილი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, მუნიციპალიტეტის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების შესასრულებლად მისაღები თანხების მოთხოვნის პროცედურების გამარტივება, გარკვეულ საჯარო სერვისების წარმატებით განხორციელებისათვის ინტრამუნიციპალური თანამშრომლობის

გაძლიერება და გააქტიურება.

ქვეყნის სიძლიერეს წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტური მართვა, ბუნებრივი რესურსების პოტენციალის გონივრულად გამოყენება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის ხელშეწყობა, რეგიონის დივერსიფიკაცია, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და სხვა.

მუნიციპალიტეტი	წელი	მოსახლეობის რაოდენობა (ათასი კაცი)	დაფინანსება (ლარი)	გაწეული ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე 2017 /2023 წწ (ლარი)
ქობულეთი	2017	73 600	110,329	1,5
ქობულეთი	2023	70 400	260,511	3,7
ხელვაჩაური	2017	51 800	89,000	1,7
ხელვაჩაური	2023	52 900	113,145	2,1
ქედა	2017	16 800	56,800	3,4
ქედა	2023	16 500	128 400	7,8
შუახევი	2017	15 100	72, 360	4,8
შუახევი	2023	14 800	134, 366	9,1
ხულო	2017	25 000	0	-
ხულო	2023	27 600	142,357	5,1

ცხრილი. დელეგირებული ფუნქციის შესასრულებლად აჭარის ა/რ მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი დაფინანსება 2017 და 2023 წლებში და მათი შესრულებისთვის გაწეული ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე (წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის სამსახურის <https://www.geostat.ge/> და შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის მონაცემებზე დაყრდნობით)

დასკვნა

სახელმწიფოს მხრიდან სხვა და სხვა დონეებზე დელეგირებული ფუნქციების ეფექტურად, კვალიფიციურად, ხარისხიანად და ხარჯეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია: მოქნილი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, დელეგირებული ფუნქციის შესასრულებლად შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსის არსებობა, ეფექტური, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე მმართველობითი სტრუქტურის და კვალიფიციური კადრების, ასევე ძლიერი კონტროლის და ზედამხედველობის სისტემის არსებობა, სისტემატური

უკუკავშირი შესაბამის დარგობრივ სტუქტურებთან, ხარისხობრივი ინდიკატორების დანერგვა/გააქტიურება და სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის არსებობა.

ადგილობრივი თვითმმართველობა მზად უნდა იყოს: მეტი ფუნქციების შესასრულებლად სათანადო დაფინანსებით, განახორციელოს ეფექტიანი მმართველობა კვალიფიციური საჯარო მექანიზმის არსებობით, მუნიციპალიტეტი უნდა იყენებდეს ყველა რესურს, რათა გაზარდოს საკუთარი შემოსავლები და საბოლოო ჯამში შესაბამის დონეზე პოზიციონირებდეს სამთავრო-

ბო ურთიერთობებში.

საქართველოს გააჩნია პოტენციალი, რათა ჩამოყალიბდეს თანამედროვე, ინკლუზიური, გამჭირვალე და მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობა.

სასურველია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ოპტიმიზაცია, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური განკარგვისთვის, დელეგირებული უფლებამოსილებების ეკონომიკური ეფექტიანობის გაუმჯობესება, წარმატებული

საჯარო მმართველობის ქვაკუთხედა.

საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის წარმატებით ჩატარება, რეგიონული განვითარების გაძლიერება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ფართო მონაწილეობა დემოკრატიული პროცესების წარმოებაში, სამაგალითო უნდა გახდეს აფხაზეთისა და სამჩაბლოს რეგიონებისთვის, რათა გაერთიანების შემდეგ, გატარებული რეფორმების წარმატება მათი მხრიდან მხარდაჭერისა და გაზიარების საფუძველი გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

ლოსაბერიძე დ., კანდელაკი კ., აბულაძე მ., (2016) „ადგილობრივი თვითმმართველობა“, გვ. 77-85 URL: <https://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2016/12/Local-Governance.pdf>

პაიკი ე., როდრიგეს-პოუს ა., ტომენი ჯ., (2020) რეგიონული განვითარების შესახებ - ცოდნა და გამოცდილება - თარგმანების სერია, ინსტიტუტები - მთავრობა და მმართველობა. თბილისი, გვ.11

ჩიხლაძე ნ., რუსაძე ნ., (2018) „მთავრობის ზომისა და ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულების განსაზღვრის საკითხისათვის“ ეკონომისტი №4 . თბილისი, თსუ გვ. 71-80

ძიძიგური ნ., საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის თანამედროვე გამოწვევები თბილისი, 2020 №1 ჟურნალი ეკონომისტი (tsu.ge)

ძიძიგური ნ., „პოლიტიკით ნაკარნახევი კრიზისი“ თბილისი, 2022 №4) ჟურნალი ეკონომისტი (tsu.ge)

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“

საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების ოდენობის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ № 327

ქალაქ ბათუმის ბიუჯეტი 2017წ, 2023წ URL: <https://batumi.ge/ge/?page=show&sec=49>

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2017წ, 2023წ URL: <https://keda.gov.ge/>

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017წ, 2023წ URL: <https://kobuleti.gov.ge/>

შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2017წ, 2023წ URL: <http://www.shuakhevi.gov.ge/?m=2>

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2017წ, 2023წ URL: <https://khulo.gov.ge/news/5408>

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2017წ, 2023წ URL: <https://www.khelvachauri.gov.ge/>

Трофимова И., Децентрализация государственного управления и особенности центр-локальных отношений в европейских странах. *Сравнительная политика*. 2011; 2(4(6)):35-44.) [https://doi.org/10.18611/2221-3279-2011-2-4\(6\)-35-44](https://doi.org/10.18611/2221-3279-2011-2-4(6)-35-44)

OECD, 2019, Report “Making Decentralisation Work: a Handbook for Policy-Makers” www.oecd.org/cfe/regional

Delegated Functions of Municipalities and Mechanisms for Their Implementation as an Important Element of Institutional Development (Using the Example of Adjara)

Natalia Dzidziguri

Doctoral student, Kutaisi University
ndzidziguri7@gmail.com

Abstract

Local government must be ready to perform more functions with proper funding, in order to carry out effective management in the presence of a qualified government mechanism. The municipality must use all resources to increase its own income and, ultimately, position itself at the appropriate level in relations with the authorities. Georgia has the potential to develop modern, inclusive, transparent and citizen-focused local government. It is advisable to optimize the work of organizations created by the municipality and rationally manage budget funds. Increasing the economic efficiency of delegated authority is the cornerstone of successful public administration.

Keywords: local government, delegation, decentralization, effective management, public administration

JEL: R19

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.17>

For citation: Dzidziguri N. (2023) Delegated Functions of Municipalities and Mechanisms for Their Implementation as an Important Element of Institutional Development (Using the Example of Adjara). International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 138-146. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.17>

References

- Losaberidze D., Kandelaki K., Abuladze M., (2016) "Local Self-Government", pp 77-85
- Pike E., Rodríguez-Pows A., Tommen J., (2020) On the Regional Development - Knowledge and Experience - Translation Series, Institutions - Government and Governance; Tbilisi, p. 11)
- Chikhladze N., Rusadze N., "On the issue of determining the dependence of government size and economic growth", *Economist* No. 4. 2018, Tbilisi, TSU p. 71-80
- Dzidziguri N., Contemporary challenges of the decentralization process in Georgia, Tbilisi, 2020 No. 1
- Dzidziguri N., "Crisis dictated by politics" Tbilisi, 2022 No. 4, journal "Economist" (tsu.ge)
- Constitution of Georgia <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
- Organic Law of Georgia "Local Self-Government Code"
- Law of Georgia "On Health Protection"
- Law of Georgia "On Military Obligation and Military Service"
- Resolution of the Government of Georgia "On approval of the rules for calculating the amount of appropriate material and financial resources for the implementation of the authority delegated by the state authority to the municipality" No. 327, 2023, 2023)
- Batumi Budget in 2017, 2023 URL: <https://batumi.ge/ge/?page=show&sec=49>
- Keda Municipality Budget in 2017, 2023 URL: <https://keda.gov.ge/>
- Kobuleti Municipality Budget in 2017, 2023 URL: <https://kobuleti.gov.ge/>
- Shuakhevi Municipality Budget in 2017, 2023 URL: <http://www.shuakhevi.gov.ge/?m=2>
- Khulo Municipality Budget in 2017, 2023 URL: <https://khulo.gov.ge/news/5408>
- Khelvachauri Municipality Budget in 2017, 2023 URL: <https://www.khelvachauri.gov.ge/>
- Trofimova I., Decentralization of public administration and peculiarities of center-local relations in European countries. *Comparative Politics*. 2011; 2(4(6)):35-44. [https://doi.org/10.18611/2221-3279-2011-2-4\(6\)-35-44](https://doi.org/10.18611/2221-3279-2011-2-4(6)-35-44)
- OECD, 2019, Report "Making Decentralisation Work: a Handbook for Policy-Makers" www.oecd.org/cfe/regional

წარმატების ინტელექტუალური საფუძვლები

ემზარ ჯულაყიძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Emzar.julakidze@unik.edu.ge

ელიზბარ ბარბაქაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

elizbar_barbakadze@yahoo.com

აბსტრაქტი

ინტელექტი, ზოგადად, ადამიანის აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. როგორც წესი, მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები უფრო ნიჭიერები არიან და შესაბამისად, წარმატების მიღწევის მაღალი შანსიც უნდა ჰქონდეთ. თუმცა, უამრავი კვლევით დასტურდება, რომ წარმატების მიღწევაში გადამწყვეტია არა იმდენად ზოგადი ინტელექტი, არამედ ემოციური ინტელექტი და მასში - სოციალური კომპონენტი. საუბარია მენეჯერის იმ უნარებზე, რომლებიც საკუთარი და სხვების გრძობების, საქციელისა და ფიქრების გაგება-გააზრებას და შესაბამის მოქმედებას გულისხმობს. ჩვენს მიერ, მცირე და საშუალო საწარმოთა 300-ზე მეტი მენეჯერის ანკეტური გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ წარმატების მიღწევაში, პერსონალურ ინტელექტზე მოდის 22%, ხოლო სოციალურზე - 78%; გავზომეთ, ასევე, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის დამთავრებული კურსის სტუდენტთა სოციალური ინტელექტი. ბუნებრივია, გამოიკვეთა ლიდერები. ისინი აღმოჩნდნენ ის სტუდენტები, რომლებიც მართლაც გამოირჩევიან საუკეთესო პრეზენტაციული უნარებით, ლოგიკური აზროვნებით და დისკუსია/დებატებში ჩართულობის მაღალი ხარისხით. გვჯერა - ისინი მართლაც მიაღწევენ დიდ წარმატებებს. კვლევამ გამოკვეთა ასევე ყველაზე ამბიციური და ყველაზე მოკრძალებული მომავალი მენეჯერები. ანუ, ისეთები რომლებიც თვლიან, რომ მათში მეტია წარმატების შანსი, ვიდრე ამას სხვები ამჩნევენ და ისეთები, რომლებშიც სხვები ხედავენ უფრო მეტ შესაძლებლობას, ვიდრე ამას თვითონ გრძნობს. თუმცა, აღნიშნულის პრაქტიკულ დადასტურებას - დრო დასჭირდება.

საკვანძო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, სოციალური ინტელექტი, ემოციების მართვა, მენეჯერული ამბიციები

JEL: M1, M12

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.18>

ციტირებისათვის: ჯულაყიძე ე., ბარბაქაძე ე. (2023) წარმატების ინტელექტუალური საფუძვლები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 147 - 151. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.18>

ინტელექტი, ზოგადად, ადამიანის პიროვნული თვისებაა, რომელიც მისი აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. როგორც წესი, მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები უფრო ნიჭიერები არიან და შესაბამისად, წარმატების მიღწევის მაღალი შანსიც უნდა ჰქონდეთ. თუმცა, უამრავი კვლევით დადასტურდა, რომ მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები სჯობიან საშუალო ინტელექტის მქონე ადამიანებს სამუშაო დროის მხოლოდ 20%-

ის განმავლობაში. აღნიშნულ ანომალიას ყურადღება პირველად დოქტორ დანიელ გოლმანმა მიაქცა და სწორედ მან შემოიტანა ტერმინი „ემოციური ინტელექტი“ (ემოციური ინტელექტი 2019). ეს არის ადამიანთა ემოციების მოსმენის, აღქმის, გააზრების, თითოეულისათვის კონკრეტული სახელის დარქმევის, მათი მართვისა და სასიკეთოდ გამოყენების უნარი.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ტიპის იმასაც, რომ ადამიანის მაღალ ინ-

ტელექტს (IQ – Intelligence quotient) არანაირი კავშირი აქვს მის ემოციურ ინტელექტთან (EI - Emotional intelligence; თუმცა, აღნიშნავენ როგორც EQ) და მეტიც, მხოლოდ ემოციური ინტელექტით აიხსენება ის, თუ რატომ აღწევნენ წარმატებას ისეთი ადამიანები, რომელთაც არც თუ ისე დიდი გამოცდილება და არც თუ ისე მაღალი დონის განათლება აქვთ. უფრო ზუსტად, საუბარია მენეჯერის იმ უნარებზე, რომლებიც საკუთარი და სხვების გრძნობების, საქციელისა და ფიქრების გაგება-გააზრებას და შესაბამის მოქმედებას განაპირობებს.

როგორც ცნობილია, დოქტორ დ. გოლმანმა ემოციური ინტელექტი დაჰყო პერსონალურ და სოციალურ კომპონენტებად (ემოციური ინტელექტი 2019). თუმცა, ინტელექტი შესაძლოა დავყოთ ასევე - როგორც განწყობისა და ემოციების შეგრძნება (აღქმა) და როგორც მათი მართვის უნარი (ჯულაყიძე 2019: 34). შესაბამისად, მივიღებთ: საკუთარი თავის აღქმის; საკუთარი თავის მართვის; სხვა ადამიანთა ემოციების აღქმისა და სხვა ადამიანთა ემოციების მართვის უნარებს.

იმ მიზნით, თუ რომელი უნარია უფრო მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევაში, ჩვენს მიერ ჩატარდა ანკეტური გამოკითხვა მცირე და საშუალო საწარმოთა მენეჯერებში, მათ განკარგულებაში არსებული ბიზნესის პერსპექტივებსა და წარმატებებზე. გამოკითხული იყო 300-ზე მეტი რესპოდენტი (ქ. ქუთაისისა და იმერეთის მხარეში). კერძოდ, კითხვაზე - რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი: შეიცნო საკუთარი განწყობა და ემოციები, შეიცნო სხვისი განწყობა და ემოციები, მართო საკუთარი განწყობა და ემოციები, თუ მართო სხვისი განწყობა და ემოციები? აღმოჩნდა, რომ მენეჯერთა უმეტესობა (63%) ყველაზე მნიშვნელოვნად თვლის - სხვისი განწყობისა და ემოციების მართვის უნარს. ხოლო, დანარჩენი უნარების მნიშვნელობა კი ასე გა-

დანაწილდა: მართო საკუთარი განწყობა და ემოციები (20%); შეიცნო სხვისი განწყობა და ემოციები (15%). შეიცნო საკუთარი განწყობა და ემოციები (2%). თუ მიღებულ შედეგებს შევაჯამებთ, მისი ძირითადი კომპონენტების (პერსონალური და სოციალური) პოზიციიდან, მივიღებთ რომ, ჩვენი კვლევით, წარმატების მიღწევაში პერსონალურ ინტელექტზე მოდის 22%, ხოლო სოციალურ ინტელექტზე - 78%. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ მიერ წამოწყებული ბიზნეს-საქმიანობის პროფილს არ შეესაბამება რესპოდენტთა 77%-ის განათლება და 64%-ის წინამორბედი გამოცდილება (ბარბაქაძე ე. 2018: 53). რაც ზემოაღნიშნულ ანომალიას კიდევ უფრო ამყარებს.

გაგვიჩნდა ასეთი კითხვა - არის თუ არა შესაძლებელი იმის პროგნოზირება, თუ რამდენად წარმატებული იქნება დღევანდელი სტუდენტი, იმ ფონზე, როცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინდივიდთა წარმატება სამსახურში დამოკიდებულია 80%-ით EQ-ზე, მხოლოდ 20%-ით IQ-ზე? და რაც მთავარია, ეს დასკვნა ეხება ადამიანებს ყველა ტიპის ორგანიზაციაში, ფაქტობრივად - მენეჯერთა ყველა დონეს (ხოსიტაშვილი 2014).

თუ ინტელექტის მაღალი დონე ეხმარება მენეჯერებს რთული საკითხების გარკვევაში და მათ ოპტიმალურ გადაჭრაში, სოციალურ ინტელექტს აღწერენ, როგორც ისეთი უნარების ფლობას, როგორცაა სოციალური ინფორმირებულობა, სოციალური ალღო და არსებულ სოციალურ გარემოში საუკეთესო გადაწყვეტილების არჩევის უნარი. სამეურნეო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ რაც უფრო მაღალი თანამდებობა უკავია ადამიანს, მისი როგორც მენეჯერის ეფექტიანობაში უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სოციალური ინტელექტი. მხოლოდ ამ ნიჭს აქვს „ინტერპერსონალური რენტგენის“ გადაღების უნარი. მათ შეუძლიათ ადამიანების წაკითხვა მაშინაც

კი, თუ ეს ადამიანები თავიანთი გრძნობებისა და ფიქრების დამალვას ცდილობენ (სიმსივე 2017).

შესაბამისად, შეიძლება გავაკეთოდ მნიშვნელოვანი დასკვნა - ადამიანის სოციალური ინტელექტი ბევრად უფრო განაპირობებს მის წარმატებას, ვიდრე პროფესიული ცოდნა და გამოცდილება. მეტიც, პროფესიული ცოდნა და გამოცდილება შეიძლება განვიხილოთ როგორც მენეჯერობის „აუცილებელი პირობები“, მაგრამ არასაკმარისი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მენეჯერს არ აქვს მაღალი დონის სოციალური ინტელექტი, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს საკმაო განათლება, აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, შეუძლია ბრწყინვალე იდეების გენერირება და ა.შ., ესენი მაინც არ არის საკმარისი პირობა იმისა, რომ მისგან მივიღებთ უმაღლესი დონის ხელმძღვანელს. შესაბამისად, გაჩნდა მეორე კითხვაც - შესაძლებელია თუ არა მისი განვითარება? კვლევების თანახმად, სოციალური ინტელექტი გაცილებით მაღალი აქვთ შედარებით ასაკოვან ადამიანებს, ვიდრე ახალგაზრდებს (ემოციური ინტელექტი 2019), რაც ადასტურებს იმას, რომ მისი განვითარება შესაძლებელია.

თავდაპირველად, რომლითაც ცდილობდნენ გაეზომათ სოციალური ინტელექტი იყო „ჯორჯ ვაშინგტონის სოციალური ინტელექტის ტესტი“. იგი რამდენიმე სუბტესტად იყოფოდა, საბოლოოდ კი - ერთიანდებოდა და დგინდებოდა ჯამური ქულა. ცალკეული სუბტესტები ზომავდა ისეთ უნარებს, როგორცაა: სოციალური სიტუაციების განსჯა; სახელებისა და სახეების დამახსოვრება; ადამიანის ქცევაზე დაკვირვება; სიტყვების მიღმა არსებული მენტალური მდგომარეობის ამოცნობა; სახის გამომეტყველების მიხედვით მენტალური მდგომარეობის ამოცნობა; სოციალური ინფორმაცია და იუმორის გრძნობა. დღეისათვის კი მაღა-

ლი პოპულარობით სარგებლობს დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ შექმნილი ტესტი (პიტერ ნორთჰაუზი 2010: 46). ამ კითხვარის მიხედვით, შესაძლებელია შევავასოთ როგორც საკუთარი უნარები, ასევე გამოვიყენოთ იგი ძირეული და შუალედური დონის მენეჯერთა შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად, რაც საშუალებას მოგვცემს თითოეულ მათგანს შეურჩიოთ ისეთი თანამდებობრივი პოზიცია, სადაც მაქსიმალური იქნება მისი პროდუქტიულობა.

ინსტრუქციის მიხედვით ამა თუ იმ ინდივიდზე კითხვარი უნდა შეავსოს როგორც ინდივიდმა საკუთარ შესაძლებლობებზე (ანუ, განახორციელოს თვითშეფასება), ასევე რამდენიმე სხვამ, ვინც კარგად იცნობს მას (ანუ, განახორციელოს ანონიმური შეფასება). იგი მოიცავს რაოდენობრივ შეფასებას (1-დან 5 ქულამდე) შემდეგი 14 მახასიათებლებლის მიხედვით (პიტერ ნორთჰაუზი 2010: 47): კომუნიკაბელურობა; გამჭრიახობა; თავდაჯერებულობა; თვითრწმენა; შეუპოვრობა; პრინციპულობა; სანდოობა; საიმედოობა; მეგობრულობა; კეთილსინდისიერება; სოციალურობა; შრომისმოყვარეობა; ტოლერანტობა; ემპათიურობა (სხვების კარგად ესმის).

აღნიშნული კითხვარით და შემოთავაზებული მეთოდით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებიდან შეირჩა ისეთი 21 სტუდენტი, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც, კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. თითოეულმა მათგანმა შეავსო ერთი თვითშეფასების ანკეტა და შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5-5 ანონიმური შეფასების კითხვარი.

შედეგად, თითოეული სტუდენტისათვის მისი თვითშეფასებისა და ყველა გარე შემფასებლის ქულების საშუალო არითმეტიკულის მსგავსება-განსხვავებით შეგვიძ-

ლია გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორ ხედავს ის საკუთარ სოციალურ ინტელექტს და როგორ აღიქვამენ ამას სხვები. ანუ, რამდენად განსხვავდება მათი ხედვები სხვების ხედვებისაგან და როგორი არიან სხვის თვალში. ანუ, ამ ინსტრუმენტის მეშვეობით შესაძლებელია შეაფასო საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები და განსაზღვრო ის მახასიათებლები, სადაც ჩვენი და ჩვენი შემფასებლების მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა, ან პირიქით - რადიკალურად განსხვავდება.

ასეთი ანალიზით შესაძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი სტუდენტი ფლობს შედარებით მაღალ რეიტინგს ჯგუფში, რომელი მათგანია ყველაზე ამბი-

ციური და რომელი ყველაზე მოკრძალებული. ანუ, ისეთები რომლებიც თვლიან, რომ მათში მეტია სოციალური ინტელექტი, ვიდრე ამას სხვები ამჩნევენ და ისეთებიც, რომლებშიც სხვები ხედავს უფრო მეტ შესაძლებლობას, ვიდრე ამას თვითონ გრძნობს. თუმცა, აღნიშნულის პრაქტიკულ დადასტურებას - დრო დასჭირდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა კი ისაა, რომ უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა იმ სტუდენტებმა, რომლებიც გამოირჩევიან ლოგიკური აზროვნებით და დისკუსია/დებატებში ჩართულობის მაღალი ხარისხით. მჯერა - ისინი მართლაც მიაღწევნ დიდ წარმატებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ემოციური ინტელექტი 2019: EQ - ემოციური ინტელექტი. ROI-ჯგუფი. <https://www.roigroup.ge/eq/> ჯულაყიძე ე. (2019) ლიდერობის უმნიშვნელოვანესი უნარი - სოციალური ინტელექტი. აწსუ მოამბე, № 2(14), გვ. 33-36.
- ბარბაქაძე ე. (2018) მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები (მონოგრაფია) ქუთაისი, აწსუ, 156 გვ.
- ხოსიტაშვილი (2014) ნამდვილად განსაზღვრავს ინტელექტი წარმატებას? <https://edu.aris.ge/news/namdavid-gansazrvavs-intelekti-warmatebas.html>
- სიმსივე ა. (2017) სოციალური ინტელექტი. <http://intermedia.ge>
- პიტერ გ. ნორთჰაუზი. (2010) ლიდერობა: თეორია და პრაქტიკა. დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი, 375 გვ. (ქართულენოვანი გამოცემა). <http://mastsavlebeli.ge/uploads/books/10books/7.pdf>

Intellectual Basis of Success

Emzar Julakidze

Doctor of Economics, Professor, Akaki Tseretli State University
Emzar.julakidze@unik.edu.ge

Elizbar Barbakadze

Doctor of Business Administration
elizbar_barbakadze@yahoo.com

Abstract

Intelligence, usually represent basic mind of human psychology. As a rule, people who have highly intelligence are cleverer and therefore they have a chance to achieve success. Though, researcher approved that to achieve success need not only general intelligence, also emotional intelligence and social component. Hold a discussion about manager skills, which means others feels, behavior and understand their thoughts and relevant operations. Researcher of Small and middle enterprise's more than 300 managers are done by questionnaire. It seems that, in achieve success, on personal intelligence it gets 22, but on social - 78. We have also measured Business Administration Master student's social intelligence. Naturally, we have found leaders. They are those students who have presentation, logical and discussion skills. We believe that they will really achieve success. According to the research, we have explored the most ambitious leaders, who think that they have more chances of success than others consider they have, and the modest leaders, who do not take their opportunities seriously and however are perceived clever and successful people by others. Although, these statements need to be proven by time and experience.

Keywords: Emotional Intelligence, Social Intelligence, Managing Emotions, Managerial Ambitious

JEL: M1, M12

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.18>

For citation: Julakidze E., Barbakadze E. (2023) Intellectual Basis of Success. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 147-151. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.18>

References

- Emotional intelligence 2019: EQ - emotional intelligence. ROI-group. <https://www.roigroup.ge/eq/>
- Julakidze E. (2019) The most important leadership skill - social intelligence. Tssu Moambe, No. 2(14), p. 33-36.
- Barbakadze E. (2018) The main directions of perfecting the methodology of development of governance decisions (monograph) Kutaisi, CSSU, 156 p.
- Khositashvili (2014) Does intelligence really determine success? <https://edu.aris.ge/news/namdvilad-gansazvravs-inteleqti-warmatebas.html>
- Simsive A. (2017) Social intelligence. <http://intermedia.ge>
- Peter G. Northhouse. (2010) Leadership: Theory and Practice. Western Michigan University, 375 p. (Georgian edition). <http://mastsavlebeli.ge/uploads/books/10books/7.pdf>

წარმატებული მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევა - ზრუნვა პერსონალის განვითარებაზე

ემზარ ჯულაყიძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Emzar.julakidze@unik.edu.ge

შალვა ჯულაყიძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო
უნივერსიტეტი
sjulakidze@gmail.com

აბსტრაქტი

თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის მიუხედავად, მაღალგანვითარებული პერსონალი იყო, არის და ყოველთვის იქნება ორგანიზაციული წარმატების შეუცვლელი ფაქტორი. თუმცა, პერსონალის განვითარების ორი ძირითადი პრაქტიკიდან ის მიმართულება, რომელიც არსებული პერსონალის სწავლებას ემხრობა, უდაოა, რომ უფრო თანამედროვე მიდგომაა. ისმის კითხვა - რას ნიშნავს პერსონალის განვითარება? პერსონალის განვითარება, ჩვენი აზრით, პირველ რიგში ნიშნავს მათი კომპეტენციის ამაღლებას და მასთან ერთად ორგანიზაციაში ჯანსაღი კორპორატიული კულტურის დამკვიდრებას, რადგან კონკურენტებზე კვალიფიციური პერსონალი, მათი შესაძლებლობების უკეთ გამოყენების უნარი არის წარმატებული სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. თუმცა, პერსონალის განვითარება, როგორც წარმატებული მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევის საბოლოო შედეგი უნდა იყოს კომპანიის საკვანძო კომპეტენციის ამაღლება, რადგანაც სწორედ უნიკალური შესაძლებლობები აძლევს კომპანიას შანსს გამოიყენოს სასიკეთო საბაზრო გარემოებები, მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას და განვითარდეს. ცხადია, რომ საკვანძო კომპეტენციების შექმნა არ არის მარტივი საქმე. ვითარებას ართულებს ისიც, რომ მისი შექმნა, როგორც წესი, შეუძლებელია. ამ საქმეში წარმატებულ კომპანიას შესაძლებლობების კოპირებაც არ იძლევა შედეგს. ის კომპანიაში უნდა შეიქმნას და იქვე უნდა განვითარდეს. ბევრი მტკიცება არ სჭირდება, ასევე, იმის დასაბუთებასაც, რომ სტრატეგიასთან შეხამებული კორპორატიული კულტურა ძლიერი იარაღია მისი წარმატებული რეალიზების საქმეში. შესაბამისად, იმ მიზნით, რათა არ შემცირდეს მენეჯმენტის ზრუნვა პერსონალის განვითარებაზე და კომპანიის კომპეტენციის უწყვეტ ამაღლებაზე, მართებულად მიგვაჩნია, რომ კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიქმნას და მნიშვნელოვანი რანგი გააჩნდეს მისი ფუნქციონირების ისეთ პრიორიტეტებს, რასაც შესაძლოა „სტრატეგიული კომპეტენციები“ და „სტრატეგიული კულტურა“ დავარქვათ. ჩვენი აზრით, მათ გარეშე კომპანიის გრძელვადიანი განვითარება შეუძლებელია. ასეთ სტრუქტურების შექმნა კი - მათზე დაკისრებული მიმართულებით მნიშვნელოვან ცოდნას დააგროვებს, რასაც დღეს გადაწყვეტი მნიშვნელოვან აქვს კომპანიის განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: პერსონალის განვითარება, ორგანიზაციული სწავლება, კორპორატიული კულტურა, სტრატეგიული კომპეტენცია

JEL: M1, M11

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.19>

ციტირებისათვის: ჯულაყიძე ე., ჯულაყიძე შ. (2023) წარმატებული მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევა - ზრუნვა პერსონალის განვითარებაზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 152 - 156. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.19>

თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის მიუხედავად, ადამიანი იყო, არის და ყოველთვის იქნება ასეთი პროგრესის

მთავარი ინიციატორი, განმახორციელებელი, განვითარებული და მასთან ერთად ორგანიზაციული წარმატების შეუცვლელი

ფაქტორი (ჯულაყიძე 2019: 218). მეტიც, როდესაც ადამიანურ კაპიტალზე და კომპანიის პერსონალზე, როგორც რესურსზე ვსაუბრობთ, მთელი პრინციპულობით უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციის სასურველი მიზნის მიღწევაში ამ რესურსის როლის არა თუ დაკნინება, მეორე პლანზე გატანა კი ბუმერანგით უბრუნდება ორგანიზაციის წინსვლასა და განვითარებას, მისი მიზნებისა და სტრატეგიების აღსრულებას. ანუ, წარმატების ერთადერთი პირობა, დღეს, ესაა - ზრუნვა პერსონალის განვითარებაზე.

თუმცა, როდესაც ორგანიზაციული პერსონალის განვითარების აუცილებლობაზე, როგორც წარმატებული მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია აღინიშნოს მისი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული, ორი ძირითადი პრაქტიკა. კერძოდ, მენეჯერთა ერთი ნაწილი, სასურველ პერსონალში უკვე არსებულ ცოდნას, გამოცდილებასა და უნარებს ეძებს; პერიოდულად აცხადებენ ვაკანსიებს და დაუნდობლად ათავისუფლებს არაკვალიფიციურებს. ცხადია, ასეთი პრაქტიკა დაუყოვნებელ შედეგებზე, ან უკიდურეს შემთხვევაში, უახლოეს პერსპექტივაზეა ორიენტირებული; მეორენი კი, არსებულ პერსონალს ყველაზე მნიშვნელოვან რესურსად მიიჩნევს და მის განვითარებას (სწავლებას) ემხრობა. უდაოა, რომ ეს უკანასკნელი უფრო თანამედროვე მიდგომაა.

ისმის კითხვა - როგორ უნდა მოახერხოს მენეჯერმა სწავლების ხელშემწყობი ორგანიზაციის შექმნა და საერთოდ, რას ნიშნავს პერსონალის განვითარება? კიდევ უფრო სიზუსტით თუ ვიტყვით - კონკრეტულად რა მიმართულებაში უნდა ჩაიდოს მეტი ინვესტიცია, რომ რაც შეიძლება მაღალი იყოს მისი ეფექტიანობა? სწავლების თეორეტიკოსმა პიტერ სენჯმა (მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის სლოანის

ბიზნეს სკოლის ორგანიზაციული სწავლების ცენტრის დირექტორი და მენეჯმენტის პროფესორი) შეიმუშავა წარმატებული მენეჯმენტის ხუთი ძირითადი კონცეპტუალური მიმართულება, რომლებიც სწავლების მასტიმულირებელი ორგანიზაციის შესაქმნელადაა საჭირო. ესენია: მიზანსწრაფული ადამიანები, რომელიც გულისხმობს პერსონალში რწმენის, სტრატეგიული ხედვის, სწავლის სურვილისა და ნებისყოფის განვითარებას; მიზანსწრაფული ორგანიზაცია, როგორც მისი უკვდავების გარანტი; დახვეწილი აზრობრივი მოდელები, რათა გამოირიცხოს უსაფუძვლო, არასწორი და გაუაზრებელი დასკვნები; მეტი გუნდური გადაწყვეტილებები და სისტემური აზროვნება, რომლის მიხედვით - მთავარია მოვლენებს შორის კავშირების განსაზღვრა და არა ცალკეული მოვლენის არსის დადგენა (Peter Senge's 2005).

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, პერსონალის განვითარება, ჩვენი აზრით, პირველ რიგში ნიშნავს მათი კომპეტენციის ამაღლებას და მასთან ერთად ორგანიზაციაში ჯანსაღი კორპორატიული კულტურის დამკვიდრებას, რადგან კონკურენტებზე კვალიფიციური პერსონალი, მათი შესაძლებლობების უკეთ გამოყენების უნარი არის წარმატებული სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. მეტიც, საკმაოდ ბევრ დარგსა და ინდუსტრიაში (მაგ., სამედიცინო მომსახურება, ავტო ტექ. მომსახურება და მრავალი სხვა) პერსონალის კომპეტენცია და კორპორატიული კულტურა, ფაქტობრივად, მომხმარებელთა მოზიდვის, საწარმოო სიმძლავრის უკეთ გამოყენების, კომპანიის მწარმოებლობის ამაღლებისა და მისი წარმატების უცილობელ ნაწილადაც შეიძლება ჩაითვალოს.

თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ კომპანიის განვითარებაში პერსონალის კომპეტენციისა და კორპორატიული კულტურის

როლსა და მნიშვნელობაზე, პრინციპული განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პერსონალის კომპეტენცია შეიძლება წაადგეს ან არ წაადგეს კომპანიის განვითარებას, კულტურა კი - ან ეხმარება ან ხელს უშლის სტრატეგიის რეალიზებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერსონალის სასურველი კომპეტენცია ყოველთვის დაკავშირებულია იმ სამუშაოსთან, რაც კომპანიას სჭირდება. შესაბამისად, კომპეტენციის შეფასება უნდა მოხდეს კომპანიის მიზნებიდან და განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე; ხოლო, კორპორატიული კულტურის შეფასება კი - იმ პოზიციიდან თუ რამდენად შესაბამისობაშია ის კომპანიის განვითარების სტრატეგიასთან (ჯულაყიძე 2022: 84).

პერსონალის განვითარების აუცილებლობა, როგორც წარმატებული მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევის საბოლოო შედეგი კომპანიის კომპეტენციის ამაღლებაა, რომელშიც იგულისხმება კომპანიის შესაძლებლობის ზრდა, მიღებული ტექნოლოგიათა სრულყოფით, პერსონალის ხანგრძლივი სწავლებითა და გამოცდილების დაგროვების შედეგად. ამასთან, როგორც ცნობილია, კომპანიის კომპეტენცია ორ ძირითად ჯგუფად იყოფა - როგორც სტანდარტული და როგორც საკვანძო. სტანდარტული კომპეტენცია არის იმ ტექნოლოგიების, უნარების, ცოდნისა და ჩვევების ნაკრები, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას დააკმაყოფილოს სამომხმარებლო ბაზრის სადღეისო მოთხოვნები; საკვანძო კომპეტენცია კი ისეთი აქტივია, რომელიც კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს. ეს არის საქმიანობის ის სახე, რაც გადამწყვეტია კომპანიის სახვალის არსებობისათვის. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარების სტრატეგიის რეალიზების საქმეში, რადგანაც სწორედ უნიკალური შესაძლებლობები აძლევს კომპანიას შანსს გამოიყენოს სასიკეთო სა-

ბაზრო გარემოებები, მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე და განვითარდეს.

ცხადია, რომ საკვანძო კომპეტენციების შექმნა არ არის მარტივი საქმე. ვითარებას ართულებს ისიც, რომ მისი შექმნა, როგორც წესი, შეუძლებელია. ამ საქმეში წარმატებულ კომპანიათა შესაძლებლობების კოპირებაც არ იძლევა შედეგს. ის კომპანიაში უნდა შეიქმნას და იქვე განვითარდეს. შედეგად კი, პერსონალის შექმნილი ახალი უნარ-ჩვევები, ცოდნა და გამოცდილება თანდათანობით ტრანსფორმირდება კომპანიის შესაძლებლობებში. მათგან კი ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც უნიკალურობით ხასიათდება, საკვანძო კომპეტენციებს განავითარებს. სწორედ, ასეთი, საკვანძო კომპეტენციების დაგროვებითაა შესაძლებელი კონკურენტებზე დომინირება, რაც კომპანიის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს.

ბევრი მტკიცება არ სჭირდება ასევე, იმის დასაბუთებასაც, რომ სტრატეგიასთან შეხამებული კორპორატიული კულტურა ძლიერი იარაღია მისი წარმატებული რეალიზების საქმეში. მაგალითად, თუ რესურსთა მომჭირნეობა მხარდაჭერილია პერსონალის კულტურის მხრიდან, ბუნებრივია, იგი ხელს შეუწყობს დანახარჯების მინიმიზაციის სტრატეგიის წარმატებულ რეალიზებას. შეუსაბამობა კი - რადიკალურად ცვლის სურათს.

თუმცა ისიც ცხადია, რომ კორპორატიული კულტურა, ანუ ის ატმოსფერო რომელიც ორგანიზაციაში სუფევს, ასე იოლად არ იცვლება. საქმე იმაშია, რომ თითოეული კომპანია თავის კორპორატიულ კულტურას ქმნის, რომელიც მისი დაარსების დღიდან ყალიბდება პერსონალის აზროვნებაში, მათ საერთო ჩვევებში და საბოლოო ანგარიშით, ამ ორგანიზაციის ტრადიცია ხდება. ამასთან, რაც უფრო მეტხანს მუშაობს

ადამიანი მოცემულ ორგანიზაციაში, მით უფრო ძლიერია მასზე დამკვიდრებული კულტურის ზეგავლენა. ადამიანებს კი, მათი კონსერვატული ბუნებიდან გამომდინარე, უჭირთ მათთან განშორება (ჯულაყიძე 2022: 84).

არადა, თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი მუდმივად ცვლადი გარემო და კონკურენციის ინტენსივობა, კომპანიის მენეჯმენტს აიძულებს ადეკვატური ცვლილებები შეიტანოს კორპორატიულ კულტურაშიც. საქმე იმაშია, რომ ყველა ახალი პრობლემა, ახალი მიზნები და სტრატეგია, ახალი ფასეულობები, ახალი მანქანა-დანადგარები, ტექნოლოგიის სრულყოფა, მენეჯმენტის ახალი მიდგომაც კი - ადეკვატურ კორპორატიულ კულტურას ითხოვს და რომელიც მენეჯმენტის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

კორპორატიული კულტურის გაჯანსაღების გზაზე წარმატებულ მენეჯერთა პირველი ნაბიჯი უნდა იყოს იმის განსაზღვრა, თუ კულტურის რომელი ასპექტები შეესაბამება სტრატეგიას და რომელი არა; შემდგომ კი იმ ასპექტების საჯაროდ გაცხადება, რომელთა შეცვლაც აუცილებელია და იმ ასპექტების დამკვიდრებაზე ზრუნვა, რომელიც უკეთ შეესაბამება სტრატეგიას. მასში შეიძლება მოისაზრებოდეს: ორგანიზაციის განვითარებისადმი მიდგომების, წესების, პროცედურებისა და მოტივაციის სისტემის გადახედვა; იმ თანამშრომლების საჯარო შექება, რომლებიც მხარს უჭერენ

შეთავაზებულ სიახლეს; იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა და თხოვა თანამდებობიდან, რომელთაც არ სურთ ძველ კულტურასთან გამოთხოვება; ისეთი მენეჯერებისა და სპეციალისტების დაქირავება, რომლებიც სასურველი თვისებებით ხასიათდებიან და მიზანმიმართულად გამოდგებიან. და საერთოდ, სისტემატიური პრეზენტაცია იმისა, თუ რატომ არის აუცილებელი ახალი კულტურის დამკვიდრება.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ როგორც პერსონალის კომპეტენციის ამაღლება, ასევე ჯანსაღი კორპორატიული კულტურის დამკვიდრება რთული პროცესია, მაგრამ არა შეუძლებელი. იმ მიზნით, რათა არ შემცირდეს მენეჯმენტის ზრუნვა პერსონალის განვითარებაზე და შედეგად კომპანიის კომპეტენციის უწყვეტ ამაღლებაზე, მართებულად მიგვაჩნია, რომ კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი რანგი გააჩნდეს და სათანადო დაფინანსება გამოეყოს მისი ფუნქციონირების ისეთ პრიორიტეტებს, რასაც შესაძლოა „სტრატეგიული კომპეტენციები“ (სინერჯი ჯგუფი 2017) და „სტრატეგიული კულტურა“ დავარქვათ. ჩვენი აზრით, დღეს, მათ გარეშე კომპანიის გრძელვადიანი განვითარება შეუძლებელია. ასეთ სტრუქტურების შექმნა კი - მათზე დაკისრებული მიმართულებით მნიშვნელოვან ცოდნას დააგროვებას, რასაც დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

სინერჯი ჯგუფი 2017 სტრატეგიის შესაბამისი სტრუქტურა. ელრესურსი:

<http://www.synergy.ge/article/> მოძიებულია 25.05.22.

ჯულაყიძე ე. (2019) ლიდერობა და მოტივაციის მართვა, ქუთაისი, აწსუ - 252 გვ.

ჯულაყიძე ე. (2022) კომპანიათა სიცოცხლისუნარიანობა და ორგანიზაციული არქიტექტურა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარების“ აბსტრაქტების კრებული. ბათუმი, ბსუ.

https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_16504_1.pdf

Peter Senge's Learning Organizations. (2005) სწავლებადი ორგანიზაციები და განვითარების 5 დისციპლინა <https://neoinight.wordpress.com/2005/11/03/5-cornerstones-of-learning-organizations-by-peter-senge/>

Modern Challenge of Successful Management – Caring for Staff Development

Emzar Julakidze

PhD on Economics, Professor, Akaki Tsereteli State University

Emzar.julakidze@unik.edu.ge

Shalva Julakidze

PhD on Economics, Associated Professor, International Black Sea University

sjulakidze@gmail.com

Abstract

Despite technological revolution, highly developed staff was, is, and will always be unchanged factor of an organizational success. However, from the two main practices of advancing the staff, the way, which considers educating the workforce, is, undeniably, the better tactic. Here comes the question – what does developing the staff mean? In our opinion, it means, firstly, improving competence and establishing healthy corporation culture in the organization, since the personal more qualified than competitors and the aptitude to use their abilities efficiently is the most important prerequisite of developing a successful strategy. Nevertheless, burgeoning the manpower,

It is clear, that creating key components is not easy. It is not buyable, which makes the situation way more complicated. Even coping the successful companies does not give a result. It must be created in the company and developed there too. Visibly, Corporate culture combined with strategy is a powerful weapon in the process of success. Therefore, in case of not quitting caring for staff and nonstop development of the company's competence by management, we believe it is reasonable to generate the following priorities in the organizational structure which we can name as "strategic competences" and "strategic culture". In our opinion, without those the long-term development of the company is impossible. Creating those kinds of structures will accumulate important knowledge in the direction assigned to them, which has crucial meaning for development of the company nowadays.

Keywords: developing the staff, organizational education, corporate culture, strategic competence.

JEL: M1, M11

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.19>

For citation: Julakidze E., Julakidze S. (2023) Modern Challenge of Successful Management – Caring for Staff Development. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 152-156. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.19>

References

Synergy Group 2017, Structure corresponding to strategy. E-resource: <http://www.synergy.ge/article/> retrieved on 25.05.22.

Julakidze E. (2019) Leadership and motivation management, Kutaisi, ISU - 252 p.

Julakidze E. (2022) Corporate viability and organizational architecture. Collection of abstracts of the International Scientific Conference "Global Challenges of Economy and Business and Sustainable Development". Batumi, BSU. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_16504_1.pdf

Peter Senge's Learning Organizations. (2005) Learning Organizations and the 5 Disciplines of Development <https://neoinight.wordpress.com/2005/11/03/5-cornerstones-of-learning-organizations-by-peter-seng/>

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების პრობლემები თანამედროვე საქართველოში

ბორის ჭიჭინაძე

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Borkach2020@gmail.com

აბსტრაქტი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა თანახმად ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით, სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებმა უნდა დაადგინონ თვითმმართველობების საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები. ადგილობრივი თვითმმართველობებში საბიუჯეტო დამოუკიდებლობის და მუნიციპალური ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიმართულებით კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი რუსეთ-უკრაინის ომის და მსოფლიოში მიმდინარე არაპროგნოზირებადი პროცესების გათვალისწინებით. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშავონ შიდა და გარე რისკებზე გათვლილი ეკონომიკური პოლიტიკა. აუცილებელია გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობების საჯარო მოხელეთა კომპეტენცია და შესაბამისად გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლების წილი მთლიან მუნიციპალურ ბიუჯეტში. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი ადგილობრივ ბიზნეს-სექტორს, რათა დამატებით შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშავონ ისეთი ადგილობრივი განვითარების გეგმები, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ადგილობრივ შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს ადგილობრივ თვითმმართველობებში მცხოვრები მოქალაქეების მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ადგილობრივი განვითარების გეგმების შედგენისას მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული უცხოეთის განვითარებული ქვეყნების, ადგილობრივი თვითმმართველობების გამოცდილება. საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ადგილობრივმა თვითმმართველობებმა დააფუძნონ ერთობლივი საწარმოები უცხოეთის დამეგობრებულ ქალაქებთან ერთად. უნდა მოხდეს გამოცდილების ურთიერთგაზიარება და თანამედროვე ევროპული სიახლეების და ინოვაციების საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში დანერგვა. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი ადგილობრივ თვითმმართველობებში კორუფციის, ნეპოტიზმის და ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის შემცირების მიმართულებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ადგილობრივ თვითმმართველობებში არის საჯარო მოხელეთა დაბალი კომპეტენცია, ადგილობრივი ინიციატივების ნაკლებობა, წარმატებული საჯარო მოხელეების დაუფასებლობა. შექმნილი მდგომარეობა მნიშვნელოვნად აუარესებს ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობის ხარისხს და პროფესიონალი კადრების ადგილობრივი თვითმმართველობებიდან გადინებას უწყობს ხელს. მდგომარეობას ართულებს ის, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში (ისევე როგორც მთელ ქვეყანაში) მნიშვნელოვნადაა გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობა. თუ შექმნილ მდგომარეობას არ დავუპირისპირეთ გამართული და ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკა, მაშინ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება უახლოეს მომავალში, რამაც შეიძლება ეროვნულ კატასტროფამდე მიგვიყვანოს. მსოფლიოში და რეგიონში შექმნილი მდგომარეობა ძალიან არაორდინალურია, გამომდინარე აქედან ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ შეიმუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკაც არაორდინალური და გარე და შიდა რისკებზე გათვლილი უნდა იყოს.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა, საკუთარი უფლებამოსილება, დელეგირებული უფლებამოსილება, საბიუჯეტო პრობლემები

JEL: R59

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.20>

ციტირებისათვის: ჭიჭინაძე ბ. (2023) ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების

პრობლემები თანამედროვე საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 157 - 168. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.20>

შესავალი

ყველა ქვეყნის ადგილობრივ თვითმმართველობებს, მათ შორის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს, გააჩნიათ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად ადგილობრივ თვითმმართველობებს გააჩნიათ:

- ა. საკუთარი უფლებამოსილებები;
- ბ. დელეგირებული უფლებამოსილებები.

კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარ უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ დამოუკიდებლად საკუთარი პასუხისმგებლობით. დელეგირებული უფლებამოსილება არის ზემდგომი ორგანოს (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა) უფლებამოსილება, რომელიც თვითმმართველობებს გადაეცემა კანონის საფუძველზე ან კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

ძირითადი ტექსტი

თვითმმართველობების საკუთარი უფლებამოსილებები საკმაოდ ვრცელია. ქვემოთ მოვიყვანთ იმ უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელებასაც ადგილობრივი თვითმმართველობები ეფექტურად ვერ ახდენენ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი უფლებამოსილებებია:

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება,

დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება; საქართველოს მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში აღნიშნული საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება მნიშვნელოვანი ხარვეზების ფონზე მიმდინარეობს. გამომდინარე იქედან რომ მუნიციპალიტეტებს აქვთ ძალიან მცირე ადგილობრივი, საკუთარი შემოსავლები (ადგილობრივი შემოსავლების წილი მთლიან ადგილობრივ ბიუჯეტში 15-18 %-ია), ამიტომ ბიუჯეტების პროექტის შედგენაც ცენტრალური ხელისუფლების მითითებითა და რეკომენდაციებით მიმდინარეობს. კრიტიკას ვერ უძლებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის და შეფასების პრაქტიკაც. ფაქტიურად არ არსებობს ის კრიტერიუმები რომლის საშუალებითაც მოხდებოდა ბიუჯეტის შეფასება. ხშირ შემთხვევაში ბიუჯეტის შესრულების დროს ადგილი აქვს სუბიექტურ მიდგომებს, რითაც მნიშვნელოვნად ილახება მუნიციპალიტეტების ინტერესები. პრობლემებია ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების განკარგვის მიმართულებით, რადგანაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის ხარისხი, საბიუჯეტო სახსრების განკარგვისას ძალიან დაბალია. მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი დამოუკიდებელი ბიუჯეტების არ-არსებობის გამო მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებაზე არიან დამოკიდებულნი.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით;

აღნიშნული საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას მუნიციპალიტეტები ფაქტიურად ვერ ახორციელებენ, ადგილობრივი წყლის, ტყის და მიწის რესურსების არ-არსებობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო 2016 წლის 1 იანვრამდე მოემზადებინა და საქართველოს პარლამენტისათვის წარედგინა შესაბამისი კანონპროექტი ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლისა და მიწის რესურსების განსაზღვრის მიზნით, ამ დრომდე შესრულებული არ არის და აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტები ვერ ახორციელებენ კანონმდებლობით დაკისრებულ საკუთარ უფლებამოსილებებს. ასეთი მიდგომით კიდევ უფრო ილახება მუნიციპალიტეტების უფლებები და ისინი ვერ ახდენენ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული იმ ძირითადი უფლებამოსილების გამხორციელებას, როგორცაა ადგილობრივ მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი ადგილობრივი სერვისების მიწოდება, რითაც მუნიციპალიტეტები შორდება საკუთარ მოსახლეობას. იმედია საქართველოს მთავრობის მიერ დაჩქარდება ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება.

3. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით. მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ამჟამად საქართველოს მუნიციპალიტეტების კომპეტენციები ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების შემოღების კუთხით მეტად სავალალოა და კრიტიკას ვერ უძლებს. მუნიციპალიტეტებში არ არსებობს არანაირი ადგილობრივი გადასახადები, გარდა ერთი ქონების გადასახადი-

სა, რომლის შემოღების ვალდებულება ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების კუთხით ფიქციას წარმოადგენს. კარგი იქნება თუ ამ მიმართულებით საქართველოს მუნიციპალიტეტებში დაინერგება ევროპული და ამერიკული გამოცდილება და შემოღებული იქნება ადგილობრივი სამემოსავლო გადასახადი, ასევე დღეს მოქმედი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან (მოგება) ნაწილი დარჩება ადგილობრივ ბიუჯეტებში. სავსებით შესაძლებელია განხორციელდეს და დაინერგოს ეს ინოვაციური მიდგომები მუნიციპალიტეტებში, თუნდაც ცენტრიდან მისაღები ტრანსფერების (სპეციალური, კაპიტალური, მიზნობრივი) პროპორციულად შემცირების ხარჯზე, რადგანაც ასეთი მიდგომით მნიშვნელოვნად გაიზრდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაინტერესება ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების დივერსიფიკაციის მიმართულებით და მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ანგარიშვალდებულებას ადგილობრივი მოსახლეობის და ბიზნეს-სექტორის მიმართ. ასევე აუცილებელია ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა მოახდინოს ისეთი სფეროებიდან გადასახადების ადმინისტრირება, რომელი სფეროებიდანაც შემოსავლების სამსახური ფაქტიურად ვერ ახდენენ გადასახადების ამოღებას. კერძოდ ასეთი სფეროებია: ბინის გამქირავებლები, ტრანსპორტით მომსახურების (მათ შორის ტაქსი) განმახორციელებელი პირები, ავტომანქანების შემკეთებელი პირები, რეპეტიტორები და სხვა. ამჟამად ამ კუთხით არსებული მდგომარეობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. შექმნილი მდგომარეობით კი მნიშვნელოვნად ილახება მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო-საფინანსო ინტერესები. იმედია ამ სფეროში არსებული მდგომარეობის გამოსწორებით დაინტერესდება

მთავრობა და მიღებული იქნება ისეთი კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის ხარისხს აღნიშნული მიმართულებით.

4. მუნიციპალიტეტების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;

საჭიროა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მუნიციპალიტეტებში დღეს არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. არ არსებობს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, შესაბამის სფეროში არ არის განსაზღვრული საჭირო ნორმები და წესები. არ არსებობს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია, მათ შორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები, არ არის დადგენილი განაშენიანების რეგულირების წესები. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 10 წელზე მეტია რაც მიმდინარეობს საუბრები ამ მიმართულებით, მდგომარეობა მუნიციპალიტეტებში ძალიან რთულია და ფაქტიურად მუშაობაც კი არ არის დაწყებული ამ კუთხით. შექმნილი მდგომარეობა მნიშვნელოვნად აუარესებს მუნიციპალიტეტების მდგომარეობას, ხელს უწყობს უკანონო მშენებლობების წამოწყებას, მათ შორის მრავალსართულიან ბინებზე უკანონო მიშენებებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. აუცილებელია მუნიციპალიტეტებმა ამ კუთხით მოიძიონ როგორც საბიუჯეტო ასევე არასაბიუჯეტო თანხები, რათ შეადგინონ ეს გეგმები, რაც უფრო პროგნოზირებადს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის მათ შემდგომ ფუნქციონირებას. ასეთი გეგმების შედგენის შემდეგ მუნიციპალიტეტების საქმიან-

ობა არ იქნება ქაოსური და მნიშვნელოვნად შეიცვლება დღეს არსებული მანკიერი პრაქტიკა აღნიშნული მიმართულებით.

5. მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა;

ამ კუთხით მუნიციპალიტეტებში მეტად მძიმე მდგომარეობაა. მწირი საბიუჯეტო შემოსავლების და დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზის გამო მუნიციპალიტეტები ეფექტურად ვერ უზრუნველყოფენ ნარჩენების გატანას და მართვას. აუცილებელია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტების მდგომარეობა, რათა მათ მოახდინონ ამ მეტად მნიშვნელოვანი და მოსახლეობისათვის საჭირობო საკითხის ოპერატიულად მოგვარება. აღნიშნული მიმართულებით კიდევ უფრო რთულად დგას საქმე მუნიციპალიტეტების სოფლის ტერიტორიებზე. მუნიციპალიტეტები მწირი საბიუჯეტო შემოსავლების და არასაკმარისი სპეციალური ტექნიკის გამო ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობიდან მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების გამოტანას. შექმნილი მდგომარეობა უარყოფითად აისახება მოსახლეობის საერთო კეთილდღეობაზე და მათ სამართლიან გულისწყრომას იწვევს. საჭიროა მთავრობის ხელშეწყობით სწრაფად შეიცვალოს მუნიციპალიტეტებში ამ მიმართულებით, დღეს არსებული მძიმე მდგომარეობა.

6. წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალანრიების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;

ამ კუთხით მუნიციპალიტეტებში მდგომარეობა მეტად რთულია. მუნიციპალიტეტები ვერ ახდენენ საკუთარი მოსახლეობის უზრუნველყოფას სასმელი წყლით და ვერ უზრუნველყოფენ სამელიორაციო სისტემის განვითარებას. „ადგი-

ლობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად მუნიციპალიტეტები სასმელი წყლის მიწოდებას და წყალანირებით მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიატი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებას და წყალანირების მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიატი მიმწოდებელი არ ახორციელებს. ამჟამად სასმელი წყლისა და წყალანირებით მომსახურებას უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სერვისების მიწოდება მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს, მდგომარეობა სულ სხვაა და მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ამ უფლებამოსილების განხორციელებას. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მეტად მძიმედ არის საქმე სასმელი წყლის მიწოდების კუთხით, საერთოდ კრიტიკას ვერ უძლებს მუნიციპალიტეტებში წყალანირების მდგომარეობა. შექმნილი მდგომარეობა სასწრაფოდ საჭიროებს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან შესაბამის რეაგირებას. კიდევ უფრო რთულად არის საქმე ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების განვითარების მიმართულებით. მუნიციპალიტეტები საბიუჯეტო სახსრების არ-არსებობის გამო ვერ უზრუნველყოფენ ამ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. სამელიორაციო მეურნეობის განვითარებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. საჭიროა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო თანხებით ადგილებზე ყოველწლიურად ხდება მოსახლეობისთვის სასმელი წყლის წყაროების და წყალთა სისტემების შეკეთება, ან ახლის შექმნა, მაგრამ რთულად არის საქმე საქართველოს ადგილობრივ თვითმმარ-

თველობებში უკვე შექმნილი წყალთა სისტემების კონტროლის და სასმელი წყალის ხარისხის მონიტორინგის მიმართულებით.

7. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

მოუწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზის გამო თვითმმართველ თემებში ამ კუთხით მდგომარეობა საგანგაშოა. აღნიშნულ სფეროში მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება ხორციელდება მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებში, ხოლო თვითმმართველ თემებში ეს საკითხი კვლავ ღიად არის დარჩენილი. მიუხედავად ცენტრალური მთავრობის მრავალი მცდელობისა და დაპირებისა ამ საჭირობოტო თემის გადაწყვეტა არ ხდება, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივი ხელისუფლებები ვეღარ ახდენენ გარკვეული კატეგორიის პირებისათვის (ომის მონაწილეები, ინვალიდები, უსინათლო პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები და სხვა) მგზავრობის მომსახურების ნაწილობრივ სუბსიდირებას, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს, შექმნილი მდგომარეობით კი მნიშვნელოვნად ილახება მუნიციპალიტეტების უფლებები, დამოუკიდებლად, თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ განახორციელოს ეს მეტად მნიშვნელოვანი საკუთარი უფლებამოსილება. არსებული კუთხით შექმნილი მდგომარეობა ასევე მნიშვნელოვან ფინანსურ ზიანს აყენებს ადგილობრივ ბიუჯეტებს, რაც გამოიხატება ტრანსპორტის სფეროში მომუშავე პირების მხრიდან ბიუჯეტში ძალიან მწირი თანხების მობილიზებით, სატრანსპორტო მომსახურების ტარიფის ხელოვნურად ზრდით და სხვა. საკითხი საჭიროებს სამართლებრივ მოგვარებას, რა-

თა სწრაფად შეძლონ თვითმმართველმა თემებმა კანონმდებლობით მათზე დაკისრებული საკუთარი უფლებამოსილების შესრულება.

8. გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

თვითმმართველ თემებში აღნიშნული მიმართულებით მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. არასწორი და დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზის გამო ისინი ვერ ახდენენ გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირებას. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ქაოტურად მიმდინარეობს გარე ვაჭრობები, ხშირ შემთხვევაში გარე ვაჭრობის მიმდევარი პირები მნიშვნელოვნად უშლიან ხელს ადგილობრივი მოქალაქეების სამართლიან უფლებას გადაადგილდნენ ქალაქის ქუჩების ტროტუარებზე. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ფაქტიურად ვერ უზრუნველყოფენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას. საჭიროა ამ მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვანი გააქტიურება, რათა გაიზარდოს ადგილობრივი მთავრობების კომპეტენციები და შესაძლებლობები გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების მიმართულებით. მუნიციპალიტეტებში დღეს არსებული მდგომარეობა ადგილობრივი მოქალაქეების სამართლიან გულისწყრომას იწვევს. საკითხის მოგვარება უკვე ათეულია წლებია არ ხდება.

9. გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სფეროში შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ბაზა მოწესრიგებულია, მუნიციპალიტეტებში მდგომარეობა მაინც რთულია. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში გარე რეკლამის გან-

თავსება რეგულირებული არ არის. ქაოტურად ახდენენ სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთი რეკლამების განთავსებას მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, სანაცვლოდ კი ადგილობრივ ბიუჯეტებში საერთოდ არ იხდიან თანხებს. საკითხი ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან საჭიროებს სამართლებრივ მოგვარებას და ადმინისტრირების გამკაცრებას.

10. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კუთხით საკანონმდებლო ბაზა შეიძლება ითქვას, რომ მოწესრიგებულია, ხშირად მუნიციპალიტეტები დამოუკიდებლად ვერ ახდენენ ამ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. ხშირად თბილისში რეგისტრირებული იურიდიული პირები (სს„სილქნეტი“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“ და სხვა) სარგებლობენ მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული ქონებით (ელ.ენერჯის ბოძები, სიგნალის გადამცემი აპარატურა და სხვა), მაშინ როცა ადგილობრივ ბიუჯეტებში არაფერს არ იხდიან. საჭიროა ამ კუთხით დაიხვეწოს ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა და ადგილობრივი საკრებულოების მიერ დადგინდეს საფასურის ის ოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადონ კერძო კომპანიებმა ადგილობრივი ქონების სარგებლობის უფლებისათვის. საკითხის სამართლებრივად მოგვარების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი, ასევე ლეგალური სახე მიეცემა ადგილებზე ამ კომპანიების საქმიანობასაც.

11. შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

აღნიშნული საკითხი თითქმის ყველა

მუნიციპალიტეტში მოუგვარებელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის მოგვარება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს, ისინი მაინც ვერ ახდენენ ამ საკითხის გადაწყვეტას. შინაური ცხოველების ყოლის წესები დადგენილი არ არის, რაც მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის ადგილობრივ მოქალაქეებს. საჭიროა ამ კუთხით გაზიარებულ იქნას უცხოეთის გამოცდილება და სწრაფად მოხდეს ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური და სამართლებრივი დახმარებით მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა, ასევე უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტა.

12. სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

აღნიშნული კუთხით საქართველოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდგომარეობა რთულია. მუნიციპალიტეტები ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფენ სასაფლაოების მოწყობას და მათ მოვლა-პატრონობას. შექმნილი მდგომარეობა ხელს უწყობს სასაფლაოების ტერიტორიების ქაოტურად გამოყენებას, რაც ადგილობრივი მოქალაქეების სამართლიან გულისწყრომას იწვევს. აუცილებელია მუნიციპალიტეტებმა როგორც საკუთარი ასევე მოზიდული არასაბიუჯეტო თანხებით მოახდინონ უკვე არსებული სასაფლაოების მოწყობა და მათი მოვლა-პატრონობა. ბევრ მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პრობლემებია შექმნილი ახალი სასაფლაოების მოწყობის კუთხით, რადგანაც მიწების უმრავლესობა უკვე პრივატიზებულია კერძო და იურიდიულ პირებზე, გამომდინარე აქედან სწრაფადაა აუცილებელი მუნიციპალიტეტებმა თავის საკუთრებაში დაირეგისტრირონ ის სასოფლო და არასასოფლო მიწები, რომლებიც შემდეგ გამოყენებული იქნება

სასაფლაოების მოწყობისათვის. საკითხი მეტად აქტუალურია და ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან სწრაფ რეაგირებას მოითხოვს.

13. უსახლკართოთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;

საქართველოს მუნიციპალიტეტებში ამ კუთხით მდგომარეობა რთულია. ბევრ მუნიციპალიტეტში არათუ თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხი, არამედ უსახლკართოთა რეგისტრაციაც კი არ არის განხორციელებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების საკუთარი უფლებამოსილებაა, მდგომარეობა მაინც რთულია. ხშირად მუნიციპალიტეტები მწირი ადგილობრივი შემოსავლების გამო ვერ უზრუნველყოფენ ამ საკითხის გადაწყვეტას. საჭიროა ამ საკითხის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტებმა მოიძიონ როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო თანხები და სწრაფად მოახდინონ ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა. საკითხის გადაწყვეტისას მუნიციპალიტეტებმა უნდა გამოიყენონ უცხოეთის გამოცდილება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის დააფუძნონ ადგილობრივი არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირები, რომელსაც ეყოლება თავისი ხელმძღვანელები და ორგანიზებულად მოხდება უსახლკარო პირების მომსახურება. საკითხი საჭიროებს სამართლებრივ მოგვარებას, რათა კიდევ უფრო არ გართულდეს მუნიციპალიტეტებში არსებული უსახლკარო პირების სოციალური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ხშირად უსახლკარო მოქალაქეებს ღია ცის ქვეშ უხდებათ ღამის გათევა, რაც კიდევ უფრო აუტანელს ხდის მათ მდგომარეობას.

14. დამატებული ღირებულების გადასახადის ადგილობრივი თვითმმართველო-

ბების ბიუჯეტებში განაწილება

2019 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად ირიცხება ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით აკრეფილი დამატებული ღირებულების გადასახადის 19 %. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადასახადიდან მობილიზებული თანხების ოდენობა აჭარბებს გათანაბრებითი ტრანსფერიდან შემოსულ თანხებს, საჭიროა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობა მაინც არ გაზრდილა. ადგილობრივი თვითმმართველობები კვლავ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ფინანსებზე არიან დამოკიდებულნი და ხშირ შემთხვევაში გადასახადების განაწილების აღნიშნულმა სისტემამ კიდევ უფრო შეამცირა ადგილობრივი თვითმმართველობების მოტივაცია დამატებული ღირებულებით დასაბეგრი ბაზის გაზრდის მიმართულებით.

15. ადგილობრივი თვითმმართველობების პრიორიტეტების და განვითარების გეგმების შედგენა

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები (მერიები) ყოველწლიურად, ბიუჯეტის პროექტის მომზადებასთან ერთად ადგენენ თვითმმართველობის პრიორიტეტების გეგმას და წარუდგენენ ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებს (საკრებულოებს). საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვნადაა დაკნინებული საკრებულოების როლი და ისინი არ მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობების პრიორიტეტების გეგმების შედგენაში, მაშინ როცა, მოქმედი კანონმდებლობით საკრებულოები წარმომადგენენ ადგილებზე პოლიტიკის გამტარებელ ძირითად

ორგანოებს. ეს საკითხი საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას.

16. ადგილობრივ თვითმმართველობებში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი (მერია) და წარმომადგენლობითი (საკრებულო) ორგანოები პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივ თვითმმართველობებში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მდგომარეობა ადგილებზე რთულია. სირთულე ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ თვითმმართველობების უმრავლესობას არ გააჩნიათ ადგილობრივი განვითარების გეგმები. ხშირ შემთხვევაში არსებული განვითარების გეგმები ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოქალაქეების მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები ვერ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას თვითმმართველობებში, უმუშევრობის, ინფლაციის, გასული და შემოსული ინვესტიციების, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის და დანაშაულის დონის მაჩვენებლების შესახებ.

17. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თა-

ნასწორობის ხელშეწყობის, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტებს გარდა კანონით გასაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებებისა, უფლება აქვთ იზრუნონ ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტაზე, მდგომარეობა ადგილებზე კრიტიკას ვერ უძლებს. ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტები მწირი ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების გამო ვერ ახდენენ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში რთულად არის საქმე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ასევე მასობრივი სპორტის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის და გარემოს დაცვის ხელშეწყობის კუთხით. არასაკმარისი საბიუჯეტო თანხების გამო მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვას და ინოვაციური განვითარების მხარდაჭერას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მუნიციპალიტეტებში ხშირ შემთხვევაში პრობლემაა საკუთარი უფლებამოსილებების შესრულების მიმართულებით. საკითხი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან, რეგიონული ხელისუფლების მონაწილეობითა და მხარდაჭერით საჭიროებს სწრაფად მოგვარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ უფრო გართულებულია მუნიციპალიტეტებში ამ კუთხით დღეს არსებული მდგომარეობა, რაც ადგი-

ლობრივი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააუარესებს, მთლიანობაში საფრთხე დაემუქრება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სტაბილურ და მდგრად განვითარებას.

გარდა ზემოდ აღნიშნული საკუთარი უფლებამოსილებისა მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ დელეგირებული უფლებამოსილებებიც. დელეგირებული უფლებამოსილების წესი და პირობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის თანახმად;

18. სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, აგრეთვე საქართველოს ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით;

პრაქტიკაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტებზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ხდება ძირითადად უფლებამოსილების დელეგირება საზოგადოებრივი ჯანდაცვის და წვევამდელი პირების სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის მიმართულებით, სწორედ ამ უფლებამოსილებების დელეგირებას ახდენენ ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებები ადგილობრივი მუნიციპალიტეტებზე. მუნიციპალიტეტებზე შეიძლება ასევე მოხდეს სხვა უფლებამოსილებების დელეგირებაც. საჭიროა აღინიშნოს, რომ უფლებამოსილებების დელეგირებისას ფორმდება ხელშეკრულება, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენელმა და მუნიციპალიტეტის მერმა. ხელშეკრულებას კი ამტკიცებს საკრებულო სრული შე-

მადგენლობის უმრავლესობით. საქართველოს მუნიციპალიტეტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებამდე შესაბამის სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შორის არ ფორმდება ხელშეკრულება, ასევე არ ხდება ხელშეკრულების დამტკიცება ადგილობრივი საკრებულოების მხრიდან. საკითხი საჭიროებს სამართლებრივ მოგვარებას. საჭიროა გაიზარდოს ამ კუთხით მუნიციპალიტეტების უფლებები, ასევე გაიზარდოს ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების პასუხისმგებლობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წინაშე.

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დელეგირებული უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით განახორციელოს. ცენტრალური ხელისუფლებიდან უფლებამოსილების დელეგირებისას ასევე აუცილებელია იმავე ხელშეკრულებით განისაზღვროს ის სამინისტრო, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას გაუწევს სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას.

დასკვნა

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა თანახმად ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში შესაბამისი ნორმატიული აქტით დაადგინონ სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები. საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ

უძლებს და საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა;

ადგილობრივ თვითმმართველობებში საბიუჯეტო დამოუკიდებლობის და მუნიციპალური ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიმართულებით კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი რუსეთ-უკრაინის ომის და მსოფლიოში მიმდინარე არაპროგნოზირებადი პროცესების ფონზე. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშავონ შიდა და გარე რისკებზე გათვლილი ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა გამოიყენონ რეგიონში ამ მიმართულებით არსებული მდიდარი სამეცნიერო პოტენციალი;

ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი უფლებამოსილების დროულად და სრულყოფილად განხორციელების მიზნით, აუცილებელია გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობების საჯარო მოხელეთა კომპეტენცია და შესაბამისად გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლების წილი მთლიან მუნიციპალურ ბიუჯეტში;

ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, საკუთარი უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად გამოიყენონ უცხოეთის განვითარებული ქვეყნების, დამეგობრებული ქალაქების გამოცდილება. საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის მიზნით მოახდინონ ერთობლივი ბიზნეს-სუბიექტების დაფუძნება და გამოცდილების ურთიერთგაზიარება;

ადგილობრივმა თვითმმართველობებმა საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად გააფართოონ თანამშრომლობა ადგილობრივ ბიზნეს-სექტორთან. შეადგინონ ადგილობრივი მნიშვნელობის ბიზნეს-გეგმები და გეგმე-

ბის რეალიზება განახორციელონ ერთობ-
ლივი (კერძო და მუნიციპალური) ფინანს-
სებით;

ქვეყანაში შექმნილი მძიმე დემოგრაფი-
ული მდგომარეობიდან გამომდინარე ად-
გილობრივმა თვითმმართველობებმა საკუ-
თარი და მოზიდული ფინანსური რესურ-
სების ხარჯზე შეიმუშავეს ადგილობრივი
დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯო-
ბესების გეგმები, ასევე განახორციელონ
მოქალაქეების დასაქმების ხელშემწყობი
ღონისძიებები;

მსოფლიოში და რეგიონში შექმნი-

ლი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური
მდგომარეობიდან გამომდინარე, ადგი-
ლობრივმა თვითმმართველობებმა მაქსიმა-
ლურად იზრუნონ ადგილობრივი შემო-
სავლების დივერსიფიცირებაზე და ზრდა-
ზე, გამომდინარე აქედან ეფექტურად ხარ-
ჯონ ბიუჯეტში მობილიზებული ფინანსე-
ბი;

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატა-
რებელი ადგილობრივ თვითმმართველო-
ბებში ნეპოტიზმის, კორუფციის და ჩრდი-
ლოვანი ეკონომიკის დონის შემცირების
მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი

ჭიჭინაძე ბ., (2017) „ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების პრობლემები პერსპექ-
ტივები“, აკაკი წერეთლის ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი., 2017

www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

Development Problems of Local Self-Governments in Modern Georgia

Boris Chichinadze

Doctor of Economics, Akaki Tsereteli State University
Borkach2020@gmail.com

Abstract

In accordance with the requirements of the "Local Self-Government Code", for the purpose of equal socio-economic development of the entire territory of the country, the relevant state authorities should establish relevant state standards and technical regulations in the field of self-governments' own and delegated powers. In local self-governments, the issue of budgetary independence and sustainable development of the municipal economy is even more difficult considering the Russia-Ukraine war and the unpredictable processes taking place in the world. Based on the current situation, local self-governments should develop an economic policy designed for internal and external risks. It is necessary to increase the competence of civil servants of local self-governments and accordingly to increase the share of local self-governments' own revenues in the total municipal budget. Local self-governments, in order to ensure the implementation of their powers, should support the local business sector as much as possible in order to additionally create new jobs. Local self-governments should develop such local development plans that take into account local capabilities as much as possible and ensure sustainable socio-economic development of citizens living in local self-governments. When drawing up local development plans, the experience of foreign developed countries and local self-governments should be used as much as possible. If necessary, local self-governments of Georgia should establish joint ventures with friendly foreign cities. Mutual sharing of experience and introduction of modern European innovations and innovations in local self-governments of Georgia should be done as much as possible. There are important measures to be taken in local self-governments, in the direction of reducing corruption, nepotism and shadow economy.

One of the important problems in local self-governments is low competence of civil servants, lack of local initiatives, underestimation of successful civil servants. The created situation significantly worsens the quality of work of local self-governments and promotes the outflow of professional staff from local self-governments. The situation is further complicated by the fact that the demographic situation in the local governments (as well as in the whole country) has significantly deteriorated. If we do not confront the created situation with a sound and effective demographic policy, then the situation will become even more complicated in the near future, which may lead to a national catastrophe. The situation created in the world and in the region is very unusual, hence the socio-economic policy developed by the local self-governments is also unusual and should be calculated on external and internal risks.

Keywords: local self-government, own authority, delegated authority, budgetary problems

JEL: R59

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.20>

For citation: Chichinadze B. (2023) Development Problems of Local Self-Governments in Modern Georgia. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 157-168. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.20>

References

Code of Local Self-Government of Georgia

Tax Code of Georgia

Budget Code of Georgia

Chichinadze B., (2017) "Problems of development of local self-governments, perspectives", Akaki Tsereteli

Kutaisi University Publishing House, Kutaisi

www.geostat.ge - National Statistical Service of Georgia

ეთნოეკონომიკის ზოგიერთი საკითხი

დავით შავიანიძე

ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქუთაისის უნივერსიტეტი
david.shavianidze@atsu.edu.ge

გიორგი ღავთაძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
george.gavtadze@atsu.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომში, ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, განხილულია ეთნო-ეკონომიკის საინტერესო საკითხები. კერძოდ:

მიზეზები სასოფლო დასახლებების დაცლის პროცესის დაწყებისა, რომელიც ახლაც მიმდინარეობს, თუმცა სათავეს იღებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან; შრომასაქმიანობაში ერთმანეთის გვერდით დგომის სურვილიანი წესის უარყოფის შედეგები; პირადი ეკონომიკურყოფითი და სოციალური მდგომარეობის გაკეთილშობილების („შემდგომად ცხოვრება“) თანამედროვე საშუალებების ინტეგრირება ყოველდღიურობაში.

სოფლის დაცლისა და ტრადიციული მეურნეობის გაუქმების მიზეზებად გვევლინება შემდეგი:

1. „ხალხისეული ცხოვრების“, მეურნეობის მართვის ტრადიციული, დროით გამოცდილი მდგომარეობის უგულვებლყოფა.

2. ტრადიციული ადგილობრივი სათემო მმართველობის გაუქმება, მაგალითად, „მახვშის“ ინსტიტუტის ჩანაცვლება „ხრიკის მცოდნე, ხელფასიანი“ მამასახლისებით.

3. ერთობის, ერთმანეთისთვის შრომის ეტაპობრივი ჩანაცვლება მიდგომით „ჩემი იყოს“. ვგულისხმობთ, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების მოწესრიგების გზაზე მივიწყებულ იქნა ერთმანეთისთვის „უანგარო დახმარების წესი“;

4. „კანონისმიერად აღიარებული“, თუმცა ადამიანის შესაძლებლობა გაუთვალისწინებელი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობები. რწმენის მამლიერებელი „ბეგარის“ ჩანაცვლება „კანონის მუხლით შენზე მოწერილი შეუსაბამო ნატურით“;

5. ღმერთისთვის „ხელმოწყობილი ბედნიერების“ თხოვნის ჩვეულების მივიწყება.

ვლინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური კეთილდღეობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამების ამოქმედებამდე, პიროვნება, თემი თავად იყო ორიენტირებული მიედო უკეთესი ყოფა და „ეკონომიკურად წელგამართულებს“ გაენაწილებინათ „სარგებელი“ საკუთარი ოჯახისა და მტერ-მოყვარის საჭიროებისთვის.

კომპლექსური კვლევის საფუძველზე ირკვევა ტერმინების: „ნამახი“, „ცუდი მეორშაბათე“, „გამვება“ და „სიმშვიდე“, „ბეგარა“ ისტორიული მნიშვნელობა; ასევე, „რწმენიანი და გათვლილი შრომით“ მიღებული უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის სახელი - „შედარებით უკეთესი ყოფა“.

საკვანძო სიტყვები: ეთნოეკონომიკა, სათემო მმართველობა, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები, ეკონომიკური ყოფა

JEL: Z13

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.21>

ციტირებისათვის: შავიანიძე დ., ღავთაძე გ. (2023) ეთნოეკონომიკის ზოგიერთი საკითხი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 169 - 177. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.21>

ქართული და უცხოური ისტორიული წყაროები, ეთნოგრაფიული მასალები, ჩვე- ნამდგე მოღწეული ეროვნული ზეპირსიტყვიერება და ხალხის მეხსიერება, ეს ერთგავ-

რი „მუზეუმ-არქივი“, ადასტურებს, რომ საქართველო ყოველთვის იყო აგრარული, ძირითადად, სამიწათმოქმედო მეურნეობის ქვეყანა. დომინირებდა მოსაზრება, რომ ძლიერი სოფელი, მთლიანად სახელმწიფოს სიძლიერეს განაპირობებდა და პირიქით.

კომპლექსური კვლევით ირკვევა, რომ ქართული ცხოვრების წესის ჩამომშლელი, „სოფლის დაცლის ხელშეწყობილი პროცესი“ არც თუ ახლო წარსულში, დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან დაიწყო და დღესაც (მიზეზები: ადამიანის საჭიროებასთან შეუსაბამო სოციალური პირობების არარსებობა; თანამედროვე ტექნოლოგიების შრომის პროცესში ინტეგრირების სხვადასხვა მიზეზით განპირობებული შესაძლებლობების ნაკლებობა; შემოსავლის, დოვლათის მომცემი საქმიანობით მიღებული სარგებლის მიღების ინტენსივობისა და მოცულობის სიმცირე და ა.შ.) გრძელდება.

გასული, აღნიშნული პერიოდის მსგავსად აწმყოშიც მიმდინარეობს სოფლის მასიური დაცლის, ტრადიციული მეურნეობის მოშლის პროცესი.

ქართული ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების ამსახველი და მისი ჩამომშლის მიზეზების შემსწავლელი მასალების მოძიება, არაერთი წლის განმავლობაში ხდებოდა ისტორიული საქართველოს სხვადასხვა მხარეში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ძირითადად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიმდინარეობისას.

ერთობილი კვლევა დავაფუძნეთ კიდევ ეთნოგრაფიული მასალებს. შევუდარეთ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენამდე და ჩვენს მერე დაბეჭდილ მსგავსს.

აშკარად იკვეთება ქვეყნის ამა, თუ იმ რეგიონის წარმომადგენლების ეკონომიკური თვალთახედვების მსგავსება ფიზიო-

კრატიულ შეხედულებებთან, რომელიც ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი გამორჩეული მიმართულებაა. აღნიშნულის მიზეზად, საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანული მოძღვრების დომინირება შეიძლება განვიხილოთ. იგი ზეგავლენას ახდენდა საქართველოს მოსახლეობის არამხოლოდ რწმენით, იდეოლოგიურ, ცნობიერებით და მსოფლმხედველობით საფუძვლებზე, არამედ მათი ეკონომიკური აზროვნების სტილზეც. ამასთან, საკუთარი ინდივიდუალურობის არდაკარგვის პირობებში, ეკონომიკური შედეგების მისაღწევად, ქართველი, ყოველთვის ანიჭებდა უპირატესობას ერთობლივ ქმედებებს, პასუხისმგებლობის გაზიარებას,

1. ზემოაღნიშნული არაერთი კვლევით არის დადასტურებული. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიგვაჩინა აკადემიკოს ვასილ ჩანტლადის კვლევები, დაკავშირებული შოთა რუსთაველისა და სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკურ შეხედულებებთან. ეს უკანასკნელი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ „ამ შრომაში დასაბუთებულია იმ დროისათვის პროგრესული დებულება სულხან-საბა ორბელიანისა, რომლითაც იგი 70 წლით წინ უსწრებს ფიზიოკრატიული მიმართულების მამამთავარს – ფრანსუა კენეს. შედეგად, პოლიტიკური ეკონომიის ენციკლოპედიის რედაქციამ ენციკლოპედიაში შეიტანა სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ფიზიოკრატიული სკოლის წინამორბედი თავისი ეკონომიკური შეხედულებებით“ (ხელაია გ. 2007).

აღნიშნულით იმის თქმას ვცდილობთ, რომ ჩვენი კვლევა დავაფუძნეთ, ერთი მხრივ, იმ ეთნოგრაფიულ მასალებს (მასალების თავმოყრა შესაძლებელი გახდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთნოგრაფიული და ჩვენი ინდივიდუალური ექსპედიციების ფარგლებში - ხაზი ჩვენია) და, მეორე მხრივ,

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და შესაბამისი გამოკვლევების შედეგების ანალიზს.

ამრიგად, ეთნოეკონომიკის თვალსაზრისით საინტერესო ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსური კვლევით დასტურდება უდავო და საყოველთაო ჭეშმარიტება, რომ „სარფიანი ცხოვრების მომცემი შრომა“. ირკვევა უკვე თითქმის აღარ არსებული ცოდნის შესახებ, რომ საზრდო მიწის დამუშავებით, სამეურნეო საქმიანობის უკეთ სწავლის მიზნით, მუყაითობით, მეზობელმოკეთისთვის გვერდით დგომის სურვილით უზრუნველყოფ შენ შედარებით კეთილდღეობას.

ეთნოგრაფიული მასალები:

„ქონი რომ მოგედო, გქონოდა, უნდა გემრომა იქ, სადაც გაძლევდა შენი საცხოვრისისი გარემო, სოფლის მეურნეობაში, თუ შინამრეწველობაში“ (იგულისხმება „შინამეურნეობა“) (მთხრობელი, გ. არუთინოვი. თელავი. 2014).

„ცდილობდნენ სინდისიანი საშუალება შრომით მიეღოთ შედეგად უკეთესი ყოფა, რომ ეფექტით წელგამართულებს გაენაწილებინათ საკუთარ ოჯახსა და მტერმოყვარეზე. ამ ყველაფერს წინაპარი ყოფითობის დაგეგმილ მოწესრიგებას არქმევდა“ (მთხრობელი, გ. კომლაძე. სავანე. 2004).

ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლების შემქმნელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული ჩვენეული მასალებით ირკვევა „ხალხის ცხოვრების პოლიტიკის“ მიზანი, მაქსიმალურად მოესპოთ „არავისთვის სასურველ-მისაღები უსახსრობა“. ამ გაზაზე, ერთმანეთის გვერდით დგომით შრომით, განმტკიცებული კავშირებით უზრუნველყოფდნენ ეკონომიკურ და სოციალურ დაცვას, სხვათა უფრო „სარფიანად ცხოვრების საშუალებას“; ირკვევა, რომ ერთმანეთის გვერდით დგომა და ამით შემოსავალისა და მოგების უზრუნველყოფა „სურვილიანი წესი იყო“

(მთხრობელი, ლ. ბურჯალიანი. ლეჩხუმი. ორბელი. 2000).

ცნობილია რუსობის პერიოდის პოლიტიკის, საბჭოთა კავშირში განხორციელებული აგრარულ რეფორმის შესახებ. წვრილ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობებად (კოლმეურნეობა) გარდაქმნის გზაზე ხელისუფლებამ, უხეში და ძალადობრივი მეთოდებით, გლეხობას წაართვა ადგილ-მამულები, მიწა, პირუტყვი. შედეგად, მივიღეთ „რა იცი კიდევ რა დრო დადგება, რომ უარესი არ იქნება“-ს შიში, გააქტიურდა უკეთესის პირობებისთვის სოფლიდან ქალაქს თავშეფარების ტენდენცია. შესაბამისად, „ხალხი მოემზა და ატოვებდა, დღესაც ატოვებს“ მევენახეობას, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას.

ეთნოგრაფიული მასალები:

ლენჯერის თემის სოფელ ქაშვეთის მკვიდრი ვახტანგ ფილფანის გადმოცემით, მისი სამშოს „დუაშერების“ წევრ ფიფი ფილფანს და მის მეუღლე მაგრაფინეს მოჰყავდათ იმდენი ხორბალი, რომ ახალ მოწეულ მოსავალს ახვედრებდნენ სავსედ ხის „კიდობნებს“. მთხრობელის თქმით, სავარაუდოდ ეკონომიურადაც ხარჯავდნენ, მაგრამ რაოდენობას მაინც სათესი მიწის ოდენობა განაპირობებდა. ქაშვეთის მკვიდრი, ისლამ ფილფანის მშობლებსაც მართა გულედანს და მაქსიმე ფილფანსაც იგივე „მეთოდი“ ჰქონიათ. „რა იცი რა დრო დადგება“-ს შიშით არ ანებებდნენო ბებია და ბაბუა ბევრი ახალი ფქვილის ხარჯვას თანამედროვეთ ოჯახში. მოგვიანებით, მაგრამ მაინც ახდა ბებიათა შიში. 1990-იანი წლების სიღუბლეში, სამოქალაქო ომში ჩათრეულ ქვეყანაში ყველანაირი გაჭირვების ჟამს მოჰყავდა ჩვენც მოგვყავდა პური, „დედულების“ ნათესავისგან, თამაზ გულედანისგან გადანახული ხორბლის თესლით. მერე ხორბლის მოწევაც, მოსაწვი იარაღებიც და „კალოც“ ჩაბარდა ისტორიას. კოლმეურ-

ნება რომ იყო, მაშინ დიდ კალოს ვაკეთებდით და მეტი იყრებოდა. სახლის კალოში თუკი ორ მარხილს ვყრიდით, იქ ათ მარხილსაც ვყრიდით და მეტსაც. მაშინ ხუთ-ექვს უღელს მივაყენებდით, ხარებს და ბრუნავდნენ. უკვე, ისინი ტრიალებდნენ კალოში, კიდევაც ადრე იღეწებოდა და ადრე ნიავდებოდა“ (მდრ.: წმინდა ილია მართალი წერდა: ჩვენი ძალღონე, ჩვენი ცხოვრებისა და ვინაობის, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე – მიწა და გუთანია.) (ლენჯერი. ვ. ფილფანი. 2015).

„კოლაფსი შეიძლება დადგეს ნებისმიერი შენგან გაუთვლელი ქმედებით. უნდა გახსოვდეს, რომ ფულის შოვნას შრომა უნდა. მთავარია გახსოვდეს, რომ ქართველი სულ მუდამ სოფლის მეურნეობით ცხოვრობდა, სხვასაც აცხოვრებდა ნებით, შემთხვევით, თუ იძულებით შემოხეტებულს თავის მიწით. უნდა გახსოვდეს, რომ სხვათა მეგობართა, თუნდაც ვითომ მეგობართა პოლიტიკის ბოლომდე მინდობაც იგივეს, ყოფის დასრულებას, ქვეყნის დაცლას მოგიტანს. აგერ ჩვენ ტყეებს, მიწას ჩინელები დაედვენ“ (მთხრობელი, ა. მჟავანაძე. ვანი, სოფ. ბზვანი. 2014).

მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა ყველგან: მამათელი მთხრობელი სილიბისტრო როყვას თქმით, ღარიბი ოჯახი ჰქონდათ, თუმცა არ შიმშილობდნენ. ამისთვის შრომობდნენ. საჭირო რაც იყო ჰქონდათ „ტანი მთელი, მუშა ოჯახი და წესიერი“. ეკონომიკური მდგომარეობა შეიმჩნეოდა იმაშიც, რომ უცხო სტუმრისათვის ღომის ჩალა ჰქონდათ „მისასვენებლად“, შინაურისთვის კი სიმინდის ჩალა (ნიკოლაიშვილი, 2019:99).

XX საუკუნის 50 წლებში ბაღდათის სოფელ ზეგანიდან შედარებით ვაკეში ჩამოსახლებული სანდრო გორგოდეს ჩამოსახლების მიზეზად ჰქონია ის, რომ „განათლებულ სოფელში“ უნდოდათ ეცხოვრათ,

„ცოლ-შვილს კარგად ეცხოვრა“. ამ „კარგად ცხოვრების“ მაძიებელი მთხრობელი ადარებს ზეგანის მეურნეობის და ცხოვრების პირობებს ახალი საცხოვრისისას და მოსწონს ახალი: „რგვალი კრამიტის და ყავრის“ სახურავი ჩანაცვლებულია „იფერი“ ან „მარსელის კრამიტით“. „ჩოჩიალა ურმების ნაცვლად ახლა ყველა ოჯახში მანქანა მიყენებული“. „კოდების წისქვილები“ „დოლაბის წისქვილებმა“ ჩანაცვლა (ცაგარეიშვილი, 2017:27-28).

XIX-XX საუკუნეების მიჯნის სინამდვილეს ასახავს გვიმრაღაურის მკვიდრი ოლია ჩხაიძის „საჩივარიც“: „გეიკრიფა ყოლკაცი. ახალგაზდებს აღარ უნდებიენ აქოურობა“ არა, თუ მუშაობა „ფეხი ფეხზე გადადობილა არ უნდა აქანა ყოფნა. აფერს არც აკეთებენ, არც ეინტერესებათ, არც უნდებიენ (ნიკოლაიშვილი, 2019:134).

მდრ.: ჯერ კიდევ 1964-1965 წლის იმერეთის, ბაღდათის სოფლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე პროფესორი ჯულიეტა რუხაძეც წერდა, რომ მთიანი სოფლებიდან ბარის სოფლებში ჩამოსახლების ხელის შემწყობად მიაჩნია გზის გასწვრივ ჩამოსახლება, მაიკაოვსკსა და ქუთაისის შორის მიმოსასვლელზე ცხოვრება (ცაგარეიშვილი, 2019:215-261).

ფინანსური ანაზღაურების მოტივაციის საშუალებად გამოყენებით, გაუქმდა ადგილობრივი, სათემო მმართველობა და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა რეჟიმის ინტერესის გამტარებელმა ორგანოებმა. აღნიშნულს ადასტურებს ფულის მომარჯვებით, „საშუალება-ხერხის, ხრიკის მცოდნე“ მამასახლისების, მდივანბეგების, „ათასი ჯურის ჩინოვნიკების“ დანიშვნა. „ურთიერთობების გაკანტორებამ“ სულიერ ერთობას ჩანაცვლა „მხოლოდ ჩემი იყოს“ მიდგომა (მთხრობელი, კლ. ცინდელიანი. ნაკრა. 2016). ჩანაცვლდა „მახვებები“, რომლებიც სხვებთან დათათბირების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით,

უანგარო ერთგულებით ემსახურებოდნენ თემს. „რუსების, რუსკომუნისტების და კომუნისტი ქართველების, გაყიდულები მუდამ იყვნენ, შემოსეულმა და პირადულ სანაცვლოზე გაცვლილმა აქტიურმა მხარდაჭერამ მოსპო მახვშის მმართველობა (მთხრობელი, გ. გიგანი. ზესხო. 2011).

ჩვენი მოსაზრება: ცნობილია, რომ შეფასებითი კატეგორია ფული, თავის სახმარი ღირებულებითა და იშვიათი ხასიათით, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ურთიერთობათა სტაბილურობას. უნდა ვიფიქროთ, რომ კომუნისტური ხელისუფლების მიერ, ფინანსური ანაზღაურება გამოყენებული იქნა მოტივაციის საშუალებად. (მოტივაცია ფიზიკურ-ფსიქიკური აქტივობაა, მიზნისკენ სწრაფვა, მართვის პროცესის მიმართულების მიცემა) თქმა იმისა, რომ მიღებული, ფული იმდენი იყო, ადამიანს საკუთარ ტარდიციულზე უარი ეთქვა, შეცდომა იქნება. თუმცა ფაქტია, რომ ადგილობრივი, სათემო მმართველობის ნაცვლად გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა რეჟიმის ინტერესის გამტარებელმა ორგანოებმა. ანუ, „იშვიათი მნიშვნელობა-ფუნქციის“, სახმარი ღირებულების შეფასებითი კატეგორია ფული, მაინც გახდა მოტივატორი. სახეზეა დემოტივაციაც. ადამიანთა დიდ ნაწილს არ სურდა „გამართული, სისხლხორციელი“ მმართველობის გაუქმება. მნიშვნელოვანია, რომ ეს ნაწილიც არ იყო „ამ ხელოვნურად გაჩენილი შემოსავლის გარეშე“. **შდრ.:** მკვლევრების ინტერესი დღემდე მაღალია ფულის, დემოტივაციურ ხასიათზე. მეცნიერთა ნაწილი ემხრობა იმას, რომ ფული უფრო დემოტივატორია და ნეგატიური გავლენა აქვს ადამიანის ჩართულობაზე (კოპალიანი და სხვა, 2023).

საყოფაცხოვრებო, ტრადიციული ნივთების (მაგ, „მახვშის სკამი“) დამზადების საქმე ერთ-ერთი შემოსავლის წყარო იყო. თუმცა ბევრ შემთხვევაში, ზოგ ნივთზე გა-

დამწყვეტი იყო უსასყიდლობა.

ეთნოგრაფიული მასალები:

„დღეს სკამის დამზადება შეიძლება ძვირი კი არაა, მაგალითად ასი დოლარი, მაგრამ ამ მცირეს არქონებაცაა და ვერ გაზადებინებენ. სასაჩუქრედ დიდებულია, თუმცა მასალა ჭირს. ნაძვის მასალა ნაკლები ღირს. თელა ძალიან ძვირი ღირს“ (მთხრობელი, ზ. ჭკადუა, ლახამულა. 2017).

„მე ჩემ სოფელში ყველა გარდაცვლისთვის ვამზადებდი „სასახლეს“ უფასოდ. ვიღაც ფულს ღებულობს. გაწეული მუშაობის საზღაური უნდა აიღო, მაგრამ სხვა რაღაცებიც მესმის ხის ხელობა და იქ ვღებულობ. იქაც არავის ვწვავ. რაც არ აქვს ადამიანს, იმას, რომ მოთხოვ, ღმერთი რას გიზამს? თუ შენსაზე დადექი და არ მიხვდი კაცის საჭიროებას და „ხელშეწყულობას“ უსახელოც და საერთოდ უშემოსავლოც დარჩები. სახელიანს ვიღაცა მოგიხედავს, უსახელოს და უშემოსავლოს გაუჭირდება (მთხრობელი, კ. გოგოლაშვილი. ოკრიბა, კურსები. 1998წ).

აღნიშნული მასალები მიგვანიშნებენ აქტივობაზე, როცა ფასდება ნედლეული, გასაყიდად ითვალისწინება შენი შრომის პროდუქტი. ანუ საზღაური მიწოდებული საქონლის (სამუშაოს) გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული ფულადი ან ნივთობრივი ანაზღაურებაა (მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, 2004).

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ქართველის ცხოვრების წესი ქრისტიანულის სადარი იყო. ბუნება, რომელსაც „**სხვათა უანგარიშოდ გვერდით დგომის ჰქვიოდა**“ სხვა არაფერია, თუ არა ქრისტეს აღმსარებლობის მიმდევრობა. თუმცა მოხდა ის, რომ „სულის და პატიოსნების გაყიდვაზე გათვლილი ნაწილი ფულმა **გააყოფოჩა**, „**მაღალი**“ **გახდა**, **გაამპარტავანა**. მივიღეთ მდგომარეობა, როცა გაგვიატეხურდა მხოლოდ საკუთარის უპირატესობა, მივიწყა სიკეთე და ქველმოქმედების ბედნიერება.

„მიჩრებულმა“ და ადამიანისგან მიღებული, საკუთარის ზედმეტად დამფასებლობის გზამ მარტო დატოვა ადამიანი პრობლემებთან“ (მთხრობელი, ნ. დოგრაშვილი. ბაღდათი. ზეგანი. 1995).

ირკვევა, რომ ხელფასის, ეკონომიკური და სხვადასხვა, ფინანსური სარგებლის მომტანი, ანაზღაურებადი სამუშაოს გარეშე დღეს უკვე ცხოვრება წარმოუდგენელია; ადამიანთა დიდ ნაწილში დაიკარგა თანაგრძნობის და გვერდით დგომის უნარები, გახდა „მოწყალეების“ შემყურე და ამ „დახმარების მიღების საფუძველზე მორჩილი“.

ეთნოგრაფიული მასალა:

„დღეს ყველას ყველაფერი მზა უნდათ. იშოვნება. საყიდელი ფული არ იშოვება, მაგრამ ფულისთვის მუშაობა ურჩევნიათ, ვიდრე მაგალითად სოფელში. არ უნდათ სოფელში მოწვენილის რეალიზებით მიღებული შემოსავალი, ურჩევნიათ საზღაურად მიღებული ფული. შეიძლება მართალიცაა, მაგრამ სოფელი, ქვეყანას რა ეშველება შენგან უპატრონოს, სხვის ხელში? გაღებულია კარები რომ გახვიდე. იცლება ქვეყანა და ტრადიცია ივიწყება. გამოგზავნილი ფული ქვეყნის ფიზიკურ-სულიერი სიმაგრე, ვერც მატერიალური ვერაა. ვერაა, რადგან როცა არ ქმნი, გამოგზავნილი ილევა. რა ვიცი, ორი მხარე აქვს ყველაფერს“ (მთხრობელი, ხ. ღურჭუმაძე. ლეჩხუმი, ნასპერი. 2015).

სადავო არაა, რომ აწმყოს საქართველოში მთავარი პრობლემა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. თუმცა ვეჭვობთ, რომ მეურნეობის გარეშე, უცხოეთიდან გამოგზავნილის, სხვათაგან დახმარების საფუძველზე შექმნილი უკეთესი ყოფა არ ნიშნავს ეკონომიკური დემოკრატიის გზაზე დგომას.

ცნობილია, რომ საქართველოს მთაში დღემდეა შემორჩენილი საეკლესიო და სახატო მიწები, რომ სვანური თემი მჭიდროდაა დაკავშირებული თავის ტერიტორიაზე

მდებარე, ტრადიციული სამეურნეო ყოფის, სულიერი სფეროს მაკოორდინირებელ და მაკონსოლიდირებელ ცენტრ ეკლესიასთან“ (გუჯაეჯიანი, 2008: 369).

მცირემიწიან მთაში სარიტუალო მარცვლეულის მოსაყვან მიწებთან ერთად თითქმის აღარ რჩებოდა ვარგისი მიწა. ამის მიუხედავად, სალოცავის მიწაზე რომ რამეს არ გაემართლებინა, „ბეგარას საკუთარი სახლობისთვის მონაწევს“ მართმევენ. აღნიშნულით „რწმენა ნარჩუნდებოდა. ურწმენობა კი უწესობა და უკეთურებაა. დღესაც თითქოს ვინახავთ, მაგრამ დაცლილ სოფელში რას შეინახავ? (მთხრობელი, ვ. ცინდელიანი, ნაკრა. 2017).

თემის ამ „წესრიგის“ ჩანაცვლება, „გული არ გაიტეხოთ და მსგავსი, თუმცა შენი შესაძლებლობის გაუთვლელი“, „ნატურით“ ზღვევის სახელმწიფო კანონმდებელთაგან შემოღებული წესი გვაგონებს კანონისმიერ ვალდებულებითი-სამართლებრივი ურთიერთობის წყაროს. ანუ, ერთი პირი უფლებამოსილებით ითხოვს მეორე პირისგან ზიანის ანაზღაურებას.

ეთნოგრაფიული მასალა:

„მთავრობის სამართლით განსაზღვრული შეუსაბამო თანხით („ნატური“) ზღვევის შესახებ გეტყვიან არა მხოლოდ აქ ხევში, ფშავსა და სვანეთში, ხევსურეთში, ყველგან საქართველოში. ფასს, ნატურ გადასახდს, საზღაურის შესახებ გადაწყვეტდა სამართალი და გადაიხდიდი საქონლით და ა.შ. ფულითაც. ეს გადასახადი იოლი არ იყო, მაგრამ არც ისეთი, რომ მოესპე. თემი ისე იზამდა, რომ შენ შეცდომაც გარძნობინებდა და არ გადაგაყოლებდა. მერე შეცვალეს ახლებმა. გრძელდება ასე“ (მთხრობელი, ჟ. ხაიკაშვილი. ყაზბეგი. აგვისტო, 1993).

კვლევამ დაადასტურა, რომ ყველგან საქართველოში, შემორჩენილი სხვადასხვა დროს შესასრულებელი საკულტო-მითოლოგიური წეს-რიტუალები, შესრულების

ტრადიციები, სასოფლო, სალოცავები, დღემდე ასრულებენ ღვთაებისათვის ნაყოფიერების სათხოვნელ, ოჯახის შვილიანობისა და ახალი სულის შემოსვლის/„ბედნიერობის“ რიტუალებს. დაწესებული იყო და გარკვეულ დღეებში იცავდნენ კიდეც აკრძალვებს. მაგალითად, სამეგრელოში „თუთაშხა ორშაბათი“ შენი ოჯახისთვის და პირადისთვის კარგი დღეა, მაგრამ არ დაიწყებდნენ იმ საქმის კეთებას, „რაც რაღაცის ოჯახიდან გარეთ გატანას მოითხოვდა, თუ პირიქით, უნდა ყოფილიყო კი“. ყვებიან და ამბობენ, რომ გაჭირვების საჭიროებამ მოგვავიწოვებია ორშაბათის, ოთხშაბათის და პარასკევის ნაკიან, ეშმაკის დღეებად მოხსენიება. საქართველოში ყველგან სწამდათ ავი თვალისა და ავი ფეხისა. საქმეზე მიმავალ ადამიანს აუცილებლად „**კარგ ფეხს**“ დაახვედრებდნენ, „რომ გაემარჯვა“.

მსგავსი რიტუალები და დღესასწაულები, საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში, მომავალი თაობების მრავლობასა და ოჯახის ფუძე-კერას სავსეობას ემსახურებოდა.

ეთნოგრაფიული მასალა ოკრიბიდან:

„რწმენა იყო მატერიალური კეთილდღეობის წყაროც. ჭირნახულის უხვად მოყვანის უზრუნველსაყოფად, დასაცავად ხალხი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა, რწმენით თავს გადაირჩენდა“ (მთხრობელი არიადნა ფორჩხიძე-გაბადაძე, ორპირი, 1993წ).

ეთნოგრაფიული მასალა რაჭიდან:

„სჯულში რწმენა იგულისხმება, ჩვეულებაში კი თემში მიღებული წესის, ნორმის დაცვა. ორივეთი ერთად თავს გაიტანდი, გადაირჩენდი“ (მთხრობელები: დ. ჭოხონელიძე, რაჭა, სოფ. თხმორი, 1994.) იგივეს გეტყვიან ყველგან საქართველოში.

აღნიშნულს ეხმაურება ბალს ზემო სვანეთში დადასტურებული ტერმინები: „**ნაძახი**“, „**ცუდი მეორშაბათე**“, „**გაშვება**“ და

„**სიმშვიდე**“.

ნაძახი დამახული ძაფია მთიულურში (ქვთსკ, 1974:416). დამახებას, „ცუდის მომტან დანაძახებს“ აღნიშნავს სვანურ მეტყველებაში. „გიორგობა დღეს ცუდად მიგვაჩინა ვინმეს დამახება. საქონელს რომ ნაკლებობა არ ექნეს მურიანი წყლით გაწუწავენ“ (ეკ. ფილფანი, ლენჯერი. 1995; ლ. ზურაბიანი. 2013 წელი. ლენტეხი. ჟახუნდერი).

„**ცუდი მეორშაბათე**“ - „**ცუდი თვალის და ფეხის**“ ადამიანს, „**გაშვება**“ „**გაცემას**“ აღნიშნავს, „**სიმშვიდე**“, კი **კარგად და მრავლად ყოფნის** მნიშვნელობით გამოიყენება სვანურში. ორშაბათი, ხუთშაბათი და შაბათიც სვანებს „**საციქველის**“ გაცემისათვის ცუდ დღედ მიაჩნიათ, მით უფრო ახალ მთვარეზე. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს რძის ნაწარმის კარში „**გაშვებას**“/„**გაცემასაც**“ არავინ „**ჩაიდენდა**“. შაბათს და ხუთშაბათს და ორშაბათს კარში არავის არ გაუზღავნიდნენ მარცვალს და ფქვილს“.

ვფიქრობთ, ათეიზმის ხანაში და დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქის ერთი და იგივე მეთოდების გამოყენებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ბევრი ადამიანი დარწმუნდა საკუთარ ყოვლისშემძლეობაში. დავით ჩახვაშვილი, ქვეცნობიერში არსებულ რწმენას, თავისებურ დაზღვევას ეძახის და დასძენს, რომ, სადღაც ადამიანი ფიქრობდა: „**იქნებ მართლაც რაღაც არსებობს?**“ (ჩახვაშვილი, 2001).

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ეს ე.წ. „**დაზღვევა**“ ადამიანისგან საკუთარი ტრადიციის მივიწყება, გაუკეთესებული ეკონომიკური მდგომარეობისთვის ყოვლისშემძლეობის დარქმევია.

დასკვნა.

სახელმწიფოს მიერ სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების აღებამდე, თემი თავად იყო პასუხისმგებელი მისი წევრების უკეთეს ყოფაზე, რათა „წელგამართულებს“ „სარგებელი“ გაენაწილებინათ საკუთარი

ოჯახისა და მტერ-მოყვარის საჭიროების-თვის. შეიძლება, ერთი შეხედვით ვიფიქროთ, რომ ე.წ. „კოლექტიური პასუხისმგებლობის“ პირობებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის არეალი იკარგება და შედეგად ვიღებთ „მასობრივ უპასუხიმგებლობას“. თუმცა, თემის შემთხვევაში, ეს უნდა აღვიქვათ, როგორც „ხამს მოყვარე მოყვარისათვის“ პრინციპის რეალიზება და ერთმანეთის მიმართ ზრუნვის გამოხატულება.

ზემოთქმულს შეიძლება დავამატოთ თანამედროვე ფინანსური ურთიერთობის - „დაზღვევის“ მაშინდელი გაგების საკითხიც, როდესაც თემის წევრი მზად იყო გაეზიარებინა „მოყვასის“ ცხოვრებასთან დაკავშირებული რისკები, თანაც, ყოველგვარი სარგებლის გარეშე. ეს იმიტომ, რომ პირადად მისი და მისი ოჯახის კეთილდღეობას, ასევე, „დაზღვეული“ იყო თემის სხვა

წევრების მხრიდან. აღნიშნულის მაგალითებად შეიძლება გავიხსენოთ, ე.წ. „ნადი“; მესაფლავეობა მორიგეობით; სოფლის ნახირის მწყემსვა მორიგეობით; ე.წ. „სადილის“ მიტანა ოჯახში, რომლის წევრიც გადაიცვალა, ასევე მორიგეობით და ა.შ.

შედეგად, ამ ყველაფერს, „რწმენით და გათვლილ-გახედული შრომით“ მიღებულ „შედარებით უკეთეს ყოფას“ შეიძლება ვუწოდოთ „თემის ეკონომიკა“. მართალია, იგი ზოგად-ეკონომიკური კანონების მოქმედებას ექვემდებარებოდა, მაგრამ მასში გამოკვეთილი იყო ადგილობრივი საზოგადოების მორალური და სოციალური ყოფითი თავისებურებები, რომელთა ფორმირებაში გადამწყვეტ როლს რელიგია და ისტორიულად ფორმირებული ტრადიციები ასრულებდა. სწორედ ამ ვითარების აღსაწერად გამოვიყენეთ ტერმინი „ეთნო-ეკონომიკა“.

გამოყენებული ლიტერატურა

- გურგენიძე ვ. (2023), მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.] <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23474> დადასტურება 6.10.2023).
- გუჯეჯიანი რ. (2008), ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან (სვანეთი), თბ., „უნივერსალი“, 2008
- კოპალიანი ვ, ჩომახიძე ელ, ზუბაშვილი ა. (2023), „მოტივაცია და დემოტივაცია ფულით“ - ციკლიდან #Finოსოფიური დღიურები ვ. კოპალიანი, ელ. ჩომახიძე, ა. ზუბაშვილი. ფულის ფსიქოლოგიური არსი. <https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/726> (დადასტურება 6. 10. 2023).
- ნიკოლაიშვილი ელ. (2019), მოთხრობები გურიის ახლო წარსულიდან. დიალექტური ტექსტების კრებული, შემდგენელი ელ. ნიკოლაიშვილი, თბ. 2019
- ქოსტკ, შემდგენელი ალ. ლლონტი, 1974
- ცაგარეიშვილი თ. (2019), ცოცხალი ისტორიები. ჯულიეტა რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები. რედაქტორი თ. ცაგარეიშვილი. 2019. გვ.27-28).
- ხელაია გ. (2007) <https://geoeconomics.ge/?p=2627>
- ჩახვაშვილი დ. (2001), XX საუკუნე და „ოპიუმი ხალხისათვის“ <http://geoeconomics.ge/?p=421> <http://dictionary.css.ge/content/motivation>
- მოხელის სამაგიდო ლექსიკონი (2004) გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.] <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23474> დადასტურება 6.10.2023

Some Issues of Ethno-Economics

David Shavianidze

Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi University
david.shavianidze@atsu.edu.ge

George Gvartadze

Doctor of Economics, Professor, Akaki Tsereteli State University
george.gvartadze@atsu.edu.ge

Abstract

In the paper, based on a complex analysis of ethnographic materials, interesting issues of ethno-economics are discussed. In particular:

The reasons for the beginning of the process of emptying rural settlements, which is still ongoing, but originates from the last quarter of the 19th century; the consequences of rejecting the willing rule of standing next to each other in labor-activity; Integrating modern means of ennobling personal economic and social status ("living affordably") into everyday life.

The following are the reasons for the emptying of the countryside and the abolition of traditional farming:

1. neglecting traditional, time-tested approaches to "people's life", farm management;
2. Abolition of traditional local community governance, for example, replacement of the "Makhvshi" institution with "trickster-savvy, salaried" administrators;
3. The gradual replacement of unity, work for each other with the approach "to be mine". We mean that on the way to economic security, the "rule of unselfishness help" was forgotten.
4. "legally recognized" binding relationships that did not take into account human capacity. Replacing the faith-boosting "begar" with "an inappropriate natural tax imposed on you by law";
5. Forgetting the habit of asking God for "provided happiness".

It is revealed that before the government launched various economic programs to raise social welfare, the individual and the community themselves were oriented to get a better life and distribute the "benefit" to their family and external needs.

On the basis of complex research, the historical meaning of the terms: "Scream", "Bad Monday", "Letting go" and "Peace", "Begara" is revealed; Also, the name of a better economic condition obtained by "faithful and calculated work" - "comparatively better being".

Keywords: Ethno-Economics, Community Governance, Obligation-Legal Relations, Economic Existence

JEL: Z13

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.21>

For citation: Shavianidze D., Gvartadze G. (2023) Some Issues of Ethno-Economics. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 169-177.

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.21>

References

Gurgenidze V. (2023), Officer's Desk Dictionary / United Nations Development Programme; [Next: Samson Uridia and others; Ed.: Vazha Gurgenidze] - Tb., 2004 - 483 p.- ISBN 99940-0-063-2: [F.A.]

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23474> (Confirmation 6.10.2023).

Gujejian R. (2008), From The History Of The Mentality Of Georgian Mountaineers (Svaneti), "University", 2008

Kopaliani K, Chomakhidze EL, Zubashvili A. (2023), "Motivation and demotivation with money" - cycle of #Finosophical diaries K. Kopaliani, E. Chomakhidze, A. Zubashvili. Psychological essence of money.

<https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/726> (Confirmation 6. 10. 2023).

Nikolaishvili E. (2019), Stories from the recent past of Guria. A collection of dialect texts, compiled by E. Nikolaishvili, Tb.

KKTSK, compiled by Al. Ghlonti, 1974

Tsagareishvili T. (2019), Living Stories. Ethnographic records of Julieta Rukhadze. Editor T. Tsagareishvili. 2019. p. 27-28).

Khelaia G. (2007) <https://geoeconomics.ge/?p=2627>

Chakhvashvili D., (2001), XX century and "opium for the people" <http://geoeconomics.ge/?p=421>

<http://dictionary.css.ge/content/motivation>

Officer's Desk Dictionary (2004) United Nations Development Programme; [Next: Samson Uridia and others; Ed.: Vazha Gurgenidze] - Tb., 2004 - 483 p ISBN 99940-0-063-2: [F.A.]

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23474> (Confirmation 6.10.2023)

მეფუტკრეობის პროდუქტების ექსპორტი: ბაზრის დეტალური ანალიზის და ბრენდის პოზიციონირების მნიშვნელობა

ვახტანგი თაქთაქიძე

ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
vakhtangtaktakidze@gmail.com

ცისკარა ზარანდია

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tsiskarazarandia@gmail.com

აბსტრაქტი

ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გასაძლიერებლად და საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებისათვის აუცილებელია ამ ბაზრების მრავალმხრივი საფუძვლიანი ანალიზი. სტატიაში განხილულია ბაზრის სეგმენტაციის, მომხმარებელთა პრეფერენციების, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების, სამართლებრივი რეგულაციების, პროდუქციის სერტიფიცირების, ტექნოლოგიური ინოვაციებისა და კონკურენციის გავლენა შესაბამისი მარკეტინგული და ბრენდინგის სტრატეგიების შემუშავებაზე, რაც ხელს შეუწყობს ქართული მეფუტკრეობის მაღალი ხარისხის პროდუქტების საერთაშორისო ბაზრებზე ეფექტიან პოზიციონირებას და ექსპორტის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: მეფუტკრეობა, ბაზრის ანალიზი, ექსპორტი, ბრენდინგი, საკანონმდებლო ჩარჩო

JEL: O13, O38, Q13, Q17

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.22>

ციტირებისათვის: თაქთაქიძე ვ., ზარანდია ც. (2023) მეფუტკრეობის პროდუქტების ექსპორტი: ბაზრის დეტალური ანალიზის და ბრენდის პოზიციონირების მნიშვნელობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 178 - 184. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.22>

შესავალი

საერთაშორისო ბაზრები თავისი მრავალი შესაძლებლობებითა და გამოწვევებით მოითხოვს მისი რთული მექანიზმების დეტალურ ანალიზს, განსაკუთრებით ისეთი გამოუყენებელი პოტენციალის მქონე დარგისათვის, როგორცაა ქართული მეფუტკრეობა. უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ბაზრების დეტალური ანალიზი ქართული მეფუტკრეობის ექსპორტის პოტენციური ზრდისათვის. მრავალმხრივი ანალიზი აუცილებელია ამ ბაზრებზე დასამკვიდრებლად და ქართული მეფუტკრეობის ხარისხიანი და უნიკალური პროდუქტებისათვის საკუთარი ნიშის შესაქ-

მნელად.

მეფუტკრეობის პროდუქტების საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის საჭიროა ბაზრის სეგმენტაციის, მომხმარებელთა პრეფერენციების და კონკურენტული გარემოს შესწავლა. ასევე საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების, სამართლებრივი რეგულაციებისა და პროდუქციის სერტიფიცირების კუთხით არსებული კრიტერიუმებისა და მოთხოვნების დადგენა.

ბაზრის დეტალური ანალიზი ქმნის ბრენდინგისა და მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავების საფუძველს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქართული მეფუტკრეობის საექსპორტო პოტენციალის

ზრდასთან.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების შესახებ ბეგდარაშვილის სამაგისტრო ნაშრომში ხაზგასმულია ბაზრის სექტორების და მათი სპეციფიკური მახასიათებლების დეტალური გააზრების მნიშვნელობა. ბაზრის დეტალური ანალიზისას ფუნდამენტურია მისი ზომისა და სექტორტაციის შესწავლა. თითოეულ საექსპორტო მიმართულებას ახასიათებს ბაზრის დინამიკის უნიკალური კომბინაცია, რომელიც განაპირობებს პროდუქტის სპეციფიკაციის, მარკეტინგისა და განაწილების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომებს (ბეგდარაშვილი, 2019: 60).

ბაზრის სხვადასხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მომხმარებელთა ქცევის, საჭიროებებისა და პრეფერენციების გაგება ძირითად როლს თამაშობს ფუტკრის პროდუქტების შერჩევაში. ამიტომ ბაზრის ანალიზის აუცილებელი კომპონენტია სამომხმარებლო პრეფერენციების კვლევა. მომხმარებელთა პრეფერენციები დინამიური ბუნებისაა, რაც განაპირობებს პროდუქციის ხარისხის, შეფუთვისა და ბრენდის ბაზრის მოლოდინებთან შესაბამისობის აუცილებლობას (გიორგაშვილი, 2020: 35). პროდუქტების მომხმარებელთა მოლოდინებთან შესაბამისობა ზრდის ბაზრის მიმზიდველობას და უზრუნველყოფს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების კონკურენტულ უპირატესობას.

სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის და შესაბამისობის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. თითოეულ ბაზარს აქვს უნიკალური მარეგულირებელი გარემო, სპეციფიკური სტანდარტებით, სერთიფიკატებით და საკანონმდებლო მოთხოვნებით, რომლებიც არეგულირებენ ბაზარზე

წვდომას და ოპერირებას. მარეგულირებელი ჩარჩოს ანალიზი უზრუნველყოფს, რომ მეფუტკრეობის პროდუქტები შეესაბამებოდეს არსებულ მოთხოვნებს (Набиева, 2022).

მეფუტკრეობის გლობალურ სამყაროში, კონკურენტები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას ბაზრის ნიშების დასაკავებლად და საკუთარი ბრენდის დომინირებისათვის. კონკურენტების სტრატეგიების, ძლიერი და სუსტი მხარეების დეტალური შესწავლა იძლევა ბაზართან დაკავშირებული გამოწვევებისა და პერსპექტივების დადგენის შესაძლებლობას. იგი განსაზღვრავს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების სტრატეგიულ პოზიციონირებას, ხაზს უსვამს მათ კონკურენტულ უპირატესობებს და აყალიბებს სტრატეგიებს ბაზარზე დომინირების გასაძლიერებლად (ქიქიაშვილი, 2019:22-63).

საექსპორტო პოტენციალის განმსაზღვრელი ფაქტორია აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკა. ევროპული თაფლის ბაზრის შესწავლა ნათელს ჰფენს იმპორტის/ექსპორტის ტენდენციების, ტარიფებისა და სავაჭრო ხელშეკრულებების როლს ბაზრის შესაძლებლობების ჩამოყალიბებაში. ინფორმაცია სავაჭრო ნაკადებისა და ბაზარზე დაშვების პირობების შესახებ იძლევა საფუძველს სავაჭრო სტრატეგიების შემუშავებისთვის, რომელიც ითვალისწინებს ბაზრის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. იგი განსაზღვრავს პოტენციურ საექსპორტო მიმართულებებს, სავაჭრო პარტნიორობას და ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს (აჩელაშვილი, 2019: 49).

ამკარაა ტექნოლოგიური ინოვაციების როლი ფუტკრის პროდუქტების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდაში. ტექნოლოგიური მიღწევები წარმოებაში, გადამამუშავებასა და შეფუთვაში ზრდის პროდუქტის ხარისხს და მიმზიდველობას.

ინოვაციების ხელშეწყობით ხორციელდება მეფუტკრეობის პროდუქტების დიფერენციაცია მაღალკონკურენტულ საერთაშორისო ბაზრებზე. პროდუქტების განვითარებასა და მარკეტინგში ტექნოლოგიების ინტეგრირება ზრდის ბაზარზე პროდუქციის ცნობადობას და მიმზიდველობას, ზრდის საექსპორტო პოტენციალს (Santana

De Figueirêdo..., 2015).

ბაზრის დეტალურ ანალიზსა, მარკეტინგისა და ბრენდინგის სტრატეგიებს და საერთაშორისო ბაზარზე ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების პოზიციონირებას შორის არსებული ურთიერთკავშირი სქემატურად შესაძლებელია შემდეგი სახით გამოვხატოთ:



სქემა N 1. ბაზრის ანალიზისა და მარკეტინგისა და ბრენდინგის სტრატეგიებს შორის ურთიერთკავშირი. წყარო: სქემა შემუშავებულია ავტორების მიერ

ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობს სწორი ბრენდინგი და მარკეტინგული სტრატეგიები. ემპირიულ მტკიცებულებებზე და ინოვაციურ პრაქტიკაზე დაფუძნებული ყოვლისმომცველი მიდგომა აუცილებელია საერთაშორისო ბაზრის სირთულეების დასაძლევად.

ძლიერი ბრენდის - პროდუქტის ცნობადობის - შექმნა უმნიშვნელოვანესი. მეფუტკრეობის პროდუქციის ორგანულ წარმომავლობას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ბაზარზე მომხმარებლის არჩევანის ფორმირებისას. აუცილებელია ქართული

ფუტკრის პროდუქტების ბრენდინგისას ხაზი გაესვას მათ ხარისხსა და ბუნებრივ წარმოშობას. ბრენდინგი უნდა ეფუძნებოდეს პროდუქციის ავთენტურობას, ქვეყნის განუმეორებელ ბუნებას, ხელუხლებელ პეიზაჟებს, ქართული მთის რუხი ფუტკრის უნიკალურობასა და მეფუტკრეობის ტრადიციულ მეთოდებს (Ceylan..., 2019; Gençer..., 1999; Kara..., 2012; ბოკუჩავა, 2019)

თანამედროვე მარკეტინგი წარმოუდგენელია ციფრული ონლაინ პლატფორმების გარეშე, ისინი მნიშვნელოვანია დეტალური ინფორმაციის გავრცელებისათვის. გლობალურ დონეზე ციფრული მარკეტინგის ინ-

სტრუქტურების გამოყენების სტრატეგიული მიდგომა, მათ შორის SEO, სოციალური მედია და „კონტენტ“ მარკეტინგი, აუცილებელია ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის (Hussen, 2023; ფილფანი, 2020: 47).

მომხმარებელთა პრეფერენციების გაგება აგრეთვე მნიშვნელოვანი მარკეტინგული ამოცანაა. გემოვნება, ბრენდის აღქმა და შეფუთვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომხმარებლის არჩევანზე. ამრიგად, ბაზრის კვლევაზე დაფუძნებული მომხმარებელთა პრეფერენციების მიხედვით, მარკეტინგული სტრატეგიების ადაპტაცია ხელს შეუწყობს ქართული ფუტკრის პროდუქტების შესვლას და დამკვიდრებას საერთაშორისო ბაზრებზე.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და პარტნიორობა ბრენდის ავტორიტეტის გაძლიერების აუცილებელი წინაპირობაა (გიორგაშვილი, 2020: 48). საერთაშორისო სერთიფიკატები და აკრედიტაცია ემსახურება პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების დადასტურებას. გარდა ამისა, საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოებთან შესაბამისობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ნდობის გასამყარებლად და ბაზარზე შესვლის გასაადვილებლად (Bero, 2017).

მარკეტინგში ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრაცია - მონაცემთა ანალიტიკა და ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვანი ელემენტებია მარკეტინგის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. იგი საშუალებას იძლევა გაკეთდეს მომხმარებლისათვის პერსონიზირებული, მიზანმიმართული შეთავაზებები და რეკლამა. ამიტომ, მარკეტინგულ სტრატეგიებში ტექნოლოგიების ჩართვა აუცილებელია ინვეს-

ტიციების დაბრუნების (ROI) ოპტიმიზაციისა და ქართული მეფუტკრეობის პროდუქტებზე საერთაშორისო წვდომის გაფართოებისთვის (Novelli..., 2021).

დასკვნა

ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების საექსპორტო პოტენციალი ხასიათდება არსებული გამოწვევებითა და შესაძლებლობებით. ამ პროდუქტების საერთაშორისო ბაზარზე დასამკვიდრებლად, აუცილებელია, ბაზრის ანალიზი გლობალური მომხმარებლის მოთხოვნების, ბაზრის სემენტაციის, კონკურენტული გარემოს კვლევის შესაბამისად. რაც ქმნის ბრენდინგისა და ინოვაციური მარკეტინგის სტრატეგიების შემუშავებისათვის საფუძველს, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების მიმზიდველობას საერთაშორისო დონეზე - აყალიბებს უნიკალურ საბაზრო ნიშას.

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოებასა და მარკეტინგში ასევე სტრატეგიული აუცილებლობაა. მეფუტკრეობის ნატურალურ პროდუქტებზე მზარდი გლობალური მოთხოვნა ქმნის დიდ პოტენციალს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების ექსპორტისათვის კონკურენტულ საერთაშორისო ბაზარზე.

ამდენად, ქართული მეფუტკრეობის მომავალი წარმატება, დარგის საექსპორტო პოტენციალის გამოყენება, დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზრებზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, შემუშავებული მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- აჩელაშვილი ნ. (2019). ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე). თბილისი. [თსუ]. გვ. 46-61. <https://openscience.ge/handle/1/616> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- ბეგდარაშვილი თ. (2019). საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები და პერსპექტივები საერთაშორისო ვაჭრობაში. თბილისი. [თსუ]. გვ. 1-82. <https://openscience.ge/handle/1/859> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- ბოკუჩავა ბ. (2019). საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში საქონლის ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი. თბილისი. [თსუ]. გვ. 14-27. <https://openscience.ge/handle/1/782> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- გიორგაშვილი გ. (2020). ექსპორტის მხარდაჭერის თანამედროვე სახელმწიფო სისტემა. თბილისი. [კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი]. გვ. 35-48. <https://openscience.ge/handle/1/1996> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- ჟიჟიაშვილი ზ. (2019). საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტის პერსპექტივები ევროკავშირის ბაზარზე. თბილისი. [თსუ]. გვ. 22-63. <https://openscience.ge/handle/1/864> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- ფილფანი ბ. (2020). საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მარკეტინგის როლი ექსპორტის განვითარებაში. თბილისი. [კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი]. გვ. 44-52. <https://openscience.ge/handle/1/2044> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Набиева, А. Р. (2022). РАЗВИТИЕ РЫНКА ПРОДУКЦИИ ПЧЕЛОВОДСТВА В РЕГИОНАХ РОССИИ. Научно-Теоретический Журнал, 1, 3–11. <https://www.ruc.su/upload/medialibrary/8aa/p9thoixzv3ozy39eigzhjkoo0jsed053.pdf> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Bero, U. (2017). Approaching the Pollinator Problem Through Human-Bee Relations: Perspectives & Strategies in Beekeeping. <http://dx.doi.org/10.20381/ruor-20791> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Ceylan, A., Sevin, S., & Özgenç, Ö. (2019). Histomorphological and histochemical structure of the midgut and hindgut of the Caucasian honey bee (*Apis mellifera caucasica*). Turkish Journal of Veterinary and Animal Sciences, 43(6), 747–753. <https://doi.org/10.3906/vet-1906-55> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Gençer, H. V., & Firatli, Ç. (1999). Morphological Characteristics of the Central Anatolian (*A. m. anatoliaca*) and Caucasian (*A. m. caucasica*) Honey Bees. Turkish Journal of Veterinary & Animal Sciences, 23(7), 107–114. <https://journals.tubitak.gov.tr/veterinary/vol23/iss7/17> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Hussen, A. W. (2023). Beekeeping Practices, Challenge and Honey Marketing in West Guji Zone, Oromia Regional State, Ethiopia. Journal of Indigenous Knowledge Development Studies, 5(1), 26–48. <http://ejol.aau.edu.et/index.php/JIKDS/article/view/8583>
- Kara, A., Kara, M., & Sezgin, E. (2012). Importance of Caucasian Honeybee and Its Characteristics as a Gene Resource. Journal of Agricultural Science and Technology, 2(10A), 1197–1202. <https://www.researchgate.net/publication/290338723> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Novelli, S., Vercelli, M., & Ferracini, C. (2021). An Easy Mixed-Method Analysis Tool to Support Rural Development Strategy Decision-Making for Beekeeping. Land, 10(7), 675. <https://doi.org/10.3390/land10070675> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Santana De Figueirêdo, H., & Santana De Figueirêdo Junior, J. H. (2015). Assessment of strategies for value chains using an extended Structure-Conduct-Performance (SCP) framework: an application to the honey business in Brazil. <https://library.wur.nl/WebQuery/wurpubs/492595> (გადამოწმებულია 05.10.2023).

Exporting Beekeeping Products: Importance of Detailed Market Analysis and Brand Positioning

Vakhtang Taktakidze

The Student of the Doctoral Program of Economics, Samtskhe-Javakheti State University
vakhtangtaktakidze@gmail.com

Tsiskara Zarandia

Doctor of Economics, Professor, Samtskhe-Javakheti State University
tsiskarazarandia@gmail.com

Abstract

In an era of globalization, the export potential of a country's products is not just a measure of its economic prowess, but also a reflection of its ability to understand and adapt to the complex tapestry of international market dynamics. This is particularly true for niche sectors such as beekeeping, where the quality of the product is as vital as the strategies employed to market and sell it. This paper delves into the intricacies of market analysis, branding, and marketing strategies that are pivotal to elevating Georgian beekeeping products in the global market.

At the core of this analysis is the market size and segmentation. For Georgian beekeeping to thrive, it is imperative to recognize and strategize according to the unique market dynamics that each export destination presents. This involves not only an understanding of the specific demands of each segment but also the nuanced approach required in product specification, marketing, and distribution. The beekeeping products must resonate with the target consumer's behavior, needs, and preferences, which are dynamic and vary significantly across different markets.

The quality of Georgian bee products, including their packaging and branding, needs to be aligned with these market expectations. There exists a dual challenge: first, to ensure the products' compliance with customer expectations, which in turn magnifies market attractiveness, and second, to maintain a competitive edge that is essential for the products to stand out in a crowded marketplace.

Legal and regulatory frameworks cannot be overlooked as they form the bedrock for market entry and operations. A comprehensive understanding of the regulations, standards, certifications, and legal requirements is necessary to navigate the complexities of international trade. This understanding is not just about ensuring compliance but also about turning these regulations into strategic advantages by using them to guarantee and communicate the quality and safety of Georgian bee products.

Competition analysis is another pivotal element. In a global market, competitors employ varied strategies to dominate market niches and assert their brand presence. An in-depth study of these strategies and an assessment of competitors' strengths and weaknesses enable Georgian beekeeping stakeholders to identify gaps in the market, carve out a unique position, and capitalize on the competitive advantages inherent to Georgian beekeeping—such as traditional methods and the unique Georgian mountain gray bee.

The dynamics of international trade are ever-changing, influenced by trends in import/export, tariffs, and trade agreements. A strategic approach that encompasses these factors is crucial for developing robust trading strategies. This approach helps in identifying potential export destinations, establishing trade partnerships, and exploring market diversification opportunities, thereby enhancing the export potential of Georgian bee products.

Technological innovation is a game-changer in this sector. Advances in manufacturing, processing, and packaging can significantly improve product quality and market appeal. The integration of technology in product development and marketing strategies not only differentiates Georgian bee products in the competitive international market but also augments their visibility and attractiveness, leading to increased export potential.

The role of correct branding and marketing strategies cannot be overstated. Branding should be reflective of the intrinsic quality and natural origin of Georgian bee products. The brand narrative should tell the story of Georgia's rich landscapes and traditional beekeeping heritage, which are compelling differentiators in the international market. Moreover, the use of modern digital marketing platforms is indispensable. A strategic approach that includes search engine optimization (SEO), social media, and content marketing is essential for creating brand awareness on a global scale.

Consumer preferences play a critical role in shaping marketing strategies. Understanding what consumers value—be it taste, brand perception, or packaging—enables the adaptation of marketing strategies to meet these preferences, thereby facilitating the entry and establishment of Georgian bee products in international markets.

Furthermore, cooperation with international organizations and institutions can provide Georgian beekeeping products with the much-needed brand authority. International certifications and accreditations serve as a testament to the quality and safety of the products. Compliance with legal and regulatory frameworks builds

consumer trust, which is indispensable for market entry and sustainable operations.

Lastly, integrating innovative technologies in marketing—such as data analytics and artificial intelligence—can significantly enhance marketing effectiveness. These technologies allow for more personalized, targeted marketing campaigns, optimizing the return on investment and expanding the global reach of Georgian beekeeping products.

In conclusion, the export of Georgian beekeeping products requires a multifaceted strategy that includes deep market analysis, innovative branding, and agile marketing strategies, all underpinned by an understanding of international trade dynamics and technological advancements. This strategic approach will not only ensure the sustainable entry of Georgian bee products into the global market but also secure a lasting competitive advantage.

Keywords: Beekeeping, Market analysis, Export, Branding, Legal framework

JEL: O13, O38, Q13, Q17

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.22>

For citation: Taktakidze V., Zarandia T. (2023) Exporting Beekeeping Products: Importance of Detailed Market Analysis and Brand Positioning. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 178 - 184. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.22>

References

- Achelashvili N. (2019). The impact of export diversification on the growth of the country's economy (on the example of Georgia). Tbilisi. [TSU]. p. 46-61. <https://opscience.ge/handle/1/616> (Verified on 05.10.2023).
- Begdarashvili T. (2019). Georgia's export opportunities and prospects in international trade. Tbilisi. [TSU]. p. 1-82. <https://opscience.ge/handle/1/859> (Verified on 05.10.2023).
- Bokuchava b. (2019). Statistical analysis of the export of goods from Georgia to EU countries. Tbilisi. [TSU]. p. 14-27. <https://opscience.ge/handle/1/782> (Verified on 05.10.2023).
- Giorgashvili G. (2020). Modern state system of export support. Tbilisi. [International University of the Caucasus]. p. 35-48. <https://opscience.ge/handle/1/1996> (Verified on 05.10.2023).
- Zhizhiashvili Z. (2019). Prospects for the export of agricultural products of Georgia to the European Union market. Tbilisi. [TSU]. p. 22-63. <https://opscience.ge/handle/1/864> (Verified on 05.10.2023).
- Filfan b. (2020). Georgia's export potential and the role of marketing in export development. Tbilisi. [International University of the Caucasus]. p. 44-52. <https://opscience.ge/handle/1/2044> (Verified on 05.10.2023).
- Nabieva, A. R. (2022). Development Of The Market For Beekeeping Products In The Regions Of Russia. *Scientific-Theoretical Journal*, 1, 3–11. <https://www.ruc.su/upload/medialibrary/8aa/p9thoixzv3ozy39eigzhjkoo0jsed053.pdf> (Verified on 05.10.2023).
- Bero, U. (2017). Approaching the Pollinator Problem Through Human-Bee Relations: Perspectives & Strategies in Beekeeping. <http://dx.doi.org/10.20381/ruor-20791> (Verified on 05.10.2023).
- Ceylan, A., Sevin, S., & Özgenç, Ö. (2019). Histomorphological and histochemical structure of the midgut and hindgut of the Caucasian honey bee (*Apis mellifera caucasia*). *Turkish Journal of Veterinary and Animal Sciences*, 43(6), 747–753. <https://doi.org/10.3906/vet-1906-55> (Verified on 05.10.2023).
- Gençer, H. V., & Firatlı, Ç. (1999). Morphological Characteristics of the Central Anatolian (*A. m. anatoliaca*) and Caucasian (*A. m. caucasica*) Honey Bees. *Turkish Journal of Veterinary & Animal Sciences*, 23(7), 107–114. <https://journals.tubitak.gov.tr/veterinary/vol23/iss7/17> (Verified on 05.10.2023).
- Hussen, A. W. (2023). Beekeeping Practices, Challenge and Honey Marketing in West Guji Zone, Oromia Regional State, Ethiopia. *Journal of Indigenous Knowledge Development Studies*, 5(1), 26–48. <http://ejol.aau.edu.et/index.php/JIKDS/article/view/8583> (Verified on 05.10.2023).
- Kara, A., Kara, M., & Sezgin, E. (2012). Importance of Caucasian Honeybee and Its Characteristics as a Gene Resource. *Journal of Agricultural Science and Technology*, 2(10A), 1197–1202. <https://www.researchgate.net/publication/290338723> (Verified on 05.10.2023).
- Novelli, S., Vercelli, M., & Ferracini, C. (2021). An Easy Mixed-Method Analysis Tool to Support Rural Development Strategy Decision-Making for Beekeeping. *Land*, 10(7), 675. <https://doi.org/10.3390/land10070675> (Verified on 05.10.2023).
- Santana De Figueirêdo, H., & Santana De Figueirêdo Junior, J. H. (2015). Assessment of strategies for value chains using an extended Structure-Conduct-Performance (SCP) framework: an application to the honey business in Brazil. <https://library.wur.nl/WebQuery/wurpubs/492595> (Verified on 05.10.2023).

მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური ეფექტები

ვახტანგი თაქთაქიძე

ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტი, სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
vakhtangtaktakidze@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მეფუტკრეობაში ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების ეკონომიკურ გავლენა, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი (AI), Machine Learning (ML) და Internet of Things (IoT). შესწავლილია ბალანსი საწყის ინვესტიციებსა და ინვესტიციების „ამოღებას“ (ROI)-ს, ოპერაციულ მასშტაბურობას, ბაზრის კონკურენტუნარიანობას და მთავრობის პოლიტიკის გავლენებს შორის. ხაზგასმულია ყოვლისმომცველი ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა სარგებლის ოპტიმიზაციისათვის და მეფუტკრეობის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევისათვის.

საკვანძო სიტყვები: მეფუტკრეობა, ინოვაციური ტექნოლოგიები, ინვესტიციები, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური ეფექტიანობა.

JEL: O13, O32, O33, O38

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.23>

ციტირებისათვის: თაქთაქიძე ვ. (2023) მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური ეფექტები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 185 - 191. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.23>

შესავალი

მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოჩენა წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს ძველ, მრავალსაუკუნოვან სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად აამაღლოს დარგის ეკონომიკური ეფექტიანობა. უახლესი ტექნოლოგიების, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი (AI), Machine Learning (ML) და Internet of Things (IoT), გამოყენების ეკონომიკური ასპექტები ერთი მხრივ დაკავშირებულია გაზრდილ საწყის ინვესტიციებთან, მეფუტკრეობის გადამზადებისა და სწავლების და ასევე დამატებით საოპერაციო ხარჯებთან. ხოლო მეორე მხრივ - საფუტკრის მართვის მაღალ ეფექტიანობასთან, საკუთრივ: გაზრდილ პროდუქტიულობასთან, ხარისხის ამაღლებასთან და შრომითი ხარჯების დაზოგვასთან.

თანამედროვე ტექნოლოგიების მეფუტკრეობაში ეფექტიანად დანერგვისათ-

ვის, მით უფრო მცირე მეფუტკრეობისათვის, მნიშვნელოვანია შესაბამისი სახელმწიფო ინტერვენციები, კერძოდ, ადეკვატური მარეგულირებელი და საკანონმდებლო, ნორმატიული ჩარჩოს ჩამოყალიბება და ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით, დარგის ფინანსური წახალისება.

ინოვაციური ტექნოლოგიები მეფუტკრეობაში განაპირობებს არა მხოლოდ საწარმოო პროცესის სრულყოფას, არამედ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდას. რეალურ დროში ბაზრის ანალიტიკის, შესაბამისი რელაციური მონაცემთა ბაზების გამოყენება ქმნის მთლიანად დარგის მართვის ახალ სიმაღლეზე აყვანის პერსპექტივას.

ძირითადი ტექსტი

მეფუტკრეობის ეკონომიკური ეფექტი პირდაპირ კავშირშია დარგში არსებულ ტექნოლოგიურ წინსვლასთან. ინოვაციები და ციფრული ტრანსფორმაციები ზრდის

პროდუქტიულობას, ოპერაციულ ეფექტიანობასა და ბაზრის კონკურენტუნარიანობას, მაგრამ ასევე თან ახლავს გარკვეული ეკონომიკური გამოწვევები და ბარიერები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია, ტექნოლოგიების ეფექტიანად ინტეგრაციისა და ოპტიმიზაციისთვის (Huet..., 2022; Singh..., 2023).

ინვესტიციებს თანამედროვე ტექნოლოგიებში აქვს ფუნდამენტური ეკონომიკური მნიშვნელობა. ხელოვნური ინტელექტი, Machine Learning (ML) და Internet of Things (IoT) - ტექნოლოგიები მეფუტკრეობაში ინტეგრაციისათვის საჭიროებენ მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს. საწყისი კაპიტალური და მიმდინარე საოპერაციო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებასთან, გასათვალისწინებლად აუცილებელი ეკონომიკური ასპექტებია (Bunde..., 2016; Rumman..., 2021; Никулина..., 2022).

თუმცა, ინვესტიციის დაბრუნება („ამოღება“) (ROI) ხაზს უსვამს ამ ტექნოლოგიური ინტეგრაციის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას. ფუტკრის ოჯახების გაუმჯობესებული მართვა, პროდუქტიულობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება იწვევს დადებით ROI-ს, რაც გულისხმობს რომ ეკონომიკური სარგებელი აღემატება დაკავშირებულ ხარჯებს (Жилин, 2009). შრომის ინტენსიური პროცესების ავტომატიზაცია იწვევს შრომის ხარჯების დაზოგვას და ოპერაციული ეფექტიანობის გაზრდას (Усенко..., 2020).


მეფუტკრეობის ოპერაციების მასშტაბურობა, ხელს უწყობს ტექნოლოგიურ ინტეგრაციას და წარმოაჩენს სხვა ეკონომიკურ ასპექტს. ტექნოლოგია საშუალებას აძლევს მეფუტკრეებს გააფართოვონ თავიანთი ოპერაციები, უკეთ მართონ მეტი რაოდენობის სკა და შეაღწიონ ბაზრის უფრო ფართო სეგმენტებში, რის შედეგადაც იზ-

რდება შემოსავალი და მომგებიანობა (Senchuk..., 2022; Vural..., 2009).

ეკონომიკური შედეგები არ არის წრფივი და დამოკიდებულია ცვლადებზე, როგორცაა ოპერაციის მასშტაბი, ინტეგრირებული სპეციფიკური ტექნოლოგიები და არსებული ბაზრის დინამიკა (Vapa-Tankosić..., 2020). მცირე ზომის მეფუტკრეებს შეიძლება შეექმნათ პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობასთან. მათ ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები და სუბსიდიები ეკონომიკური სირთულეების დასაძლევად (გიორგაშვილი, 2020).

მეფუტკრეთა სწავლებას და განვითარებას, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიების დანერგვასთან, ასევე აქვს ეკონომიკური შედეგები (Adgaba..., 2014). თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ოპტიმიზაციისთვის სპეციალიზებული სწავლების საჭიროება მოითხოვს გარკვეული ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან (Чепик, 2007).

ტექნოლოგიები აძლიერებს ბაზარზე კონკურენციას. იგი საშუალებას აძლევს მეფუტკრეებს აწარმოონ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ხარისხის პროდუქტები, გააუმჯობესონ ბრენდინგი და განახორციელონ ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიები, რაც იწვევს ბაზრის გაფართოებას და ეკონომიკური შემოსავლების ზრდას (Vaziritabar..., 2016). მონაცემთა ანალიზისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, ბაზრის ტენდენციების რეალურ დროში დადგენისა და შესაბამისი რეაგირების შესაძლებლობა მეფუტკრეებს საშუალებას აძლევს ოპტიმიზაცია გაუკეთონ ფასების სტრატეგიებს და გააუმჯობესონ მომგებიანობა (Сурбаева, 2012).



სქემა N 1. მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური ასპექტები და შედეგები. წყარო: სქემა შემოუშავებულია ავტორის მიერ

სახელმწიფო პოლიტიკა და მარეგულირებელი ჩარჩო ასევე გავლენას ახდენს ტექნოლოგიის ეკონომიკურ შედეგებზე მეფუტკრეობაში. პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს ტექნოლოგიების ინტეგრაციას, უზრუნველყოფს ფინანსურ წახალისებას და ხელს უწყობს ინოვაციებისთვის ხელსაყრელ გარემოს, აუმჯობესებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობას (Albore et al., 2019; Набиева, 2022).

უფრო ფართო ეკონომიკურ კონტექსტში, მეფუტკრეობაში ტექნოლოგიების ინტეგრაცია ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. სამუშაო ადგილების შექმნა, ფუტკრის პროდუქტების გაზრდილი ღირებულება და ბაზრის ახალი სეგმენტების გაჩენა არის მაკროეკონომიკური სარგებელი, რომელიც გამოწვეულია მეფუტკრეობის ტექნოლოგიური განვითარებით (Delena..., 2021).

დასკვნა

ამდენად, მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციური ეკონომიკური შედეგები მრავალმხრივი და დინამიურია. ისინი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა საფუტკრის მასშტაბი, ბაზრის დინამიკა, პოლიტიკური გარემო და გამოყენებული ტექნოლოგიების დანიშნულება. რამდენადაც მეფუტკრეობის დარგი აგრძელებს ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის გზას, ყოვლისმომცველ ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც მოიცავს ხარჯებისა და სარგებლის შეფასებას, ინვესტიციების „ამოღებას“ (ROI) და ფართო მაკროეკონომიკურ შედეგებს, აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ამგვარად მიღებული გადაწყვეტილება იწვევს ეკონომიკური სარგებლის ოპტიმიზაციასა და თანამდვი პრობლემების ეფექტის შერბილებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- გორგაშვილი გ. (2020). ექსპორტის მხარდაჭერის თანამედროვე სახელმწიფო სისტემა. თბილისი. [კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი]. <https://openscience.ge/handle/1/1996> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Жилин, В. В. (2009). ПОВЫШЕНИЕ ЭФФЕКТИВНОСТИ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ПРОЦЕССОВ В ПЧЕЛОВОДСТВЕ (теория, методология, практика) [Башкирский институт социальных технологий (филиал) Академии труда и социальных отношений]. <https://www.dissercat.com/content/povyshenie-effektivnosti-proizvodstvennykh-protsessov-v-pchelovodstve-teoriya-metodologiya-p> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Набиева, А. Р. (2022). РАЗВИТИЕ РЫНКА ПРОДУКЦИИ ПЧЕЛОВОДСТВА В РЕГИОНАХ РОССИИ. Научно-Теоретический Журнал, 1, 3–11. <https://www.ruc.su/upload/medialibrary/8aa/p9thoixzv3ozy39eigzhjko0j0sed053.pdf> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Никулина, О. В., & Ледовской, М. А. (2022). Анализ развития отрасли пчеловодства в России: выявление проблем и поиск резервов для повышения конкурентоспособности на международной арене. Региональная Экономика и Управление, 1–10. <https://cyberleninka.ru/article/n/analiz-razvitiya-otrasli-pchelovodstva-v-rossii-vyyavlenie-problem-i-poisk-rezervov-dlya-povysheniya-konkurentosposobnosti-na> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Субаева, А. (2012). Повышение экономической эффективности производства продукции пчеловодства. – Ульяновская ГСХА «им. П.А. Столыпина». <https://e.lanbook.com/book/133748> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Усенко, Л. Н., & Чепик, А. Г. (2020). ЭКОНОМИЧЕСКИЕ И ОРГАНИЗАЦИОННО-УПРАВЛЕНЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ РАЗВИТИЯ ПЧЕЛОВОДСТВА В РОССИИ. ВОПРОСЫ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ, 74–83. <https://cyberleninka.ru/article/n/ekonomicheskie-i-organizatsionno-upravlencheskie-problemy-razvitiya-pchelovodstva-v-rossii> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Чепик, А. Г. (2007). Повышение эффективности развития пчеловодства в Российской Федерации: теория, методология и практика. <https://www.dissercat.com/content/povyshenie-effektivnosti-razvitiya-pchelovodstva-v-rossiiskoi-federatsii-teoriya-metodologiy> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Adgaba, N., Al-Ghamdi, A., Shenkute, A. G., Ismaiel, S., Al-Kahtani, S., Tadess, Y., Ansari, M. J., Abebe, W., & Abdulaziz, A. (2014). Socio-economic analysis of beekeeping and determinants of box hive technology adoption in the kingdom of saudi arabia. JAPS: Journal of Animal & Plant Sciences, 24(6). <https://citeseerx.ist.psu.edu/document?repid=rep1&type=pdf&doi=889fef1aa338a9ab02e187921cbd648564bc4ca3> (გადამოწმებულია 05.10.2023).
- Albore, A., Anshiso, D., & Abraham, G. (2019). Adoption and intensity of adoption of beekeeping technology by farmers: The case of Sheko Woreda of Bench-Maji Zone, South West Ethiopia. Ukrainian Journal of Ecology, 9(3), 103–111. <https://cyberleninka.ru/article/n/adoption-and-intensity-of-adoption-of-beekeeping-technology-by-farmers-the-case-of-sheko-woreda-of-bench-maji-zone-south-west> (გადამოწმებულია 05.10.2023).
თუმცა საგადასახადო გადამხდელთა შინაგანი ლოიალურობა დაბეგვრის მიმართ ჯერ კიდევ მყიფე და სათუთაა, მ.შ. იმიტომაც რომ ტრადიციულად ისევ მაღალია მოსახლეობის უნდობლობა ზოგადად სახელმწიფოს მიმართ, რისი დაძლევაც მხოლოდ თანდათან გრძელვადიანი ხელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედებით არის შესაძლებელი. გადამხდელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ გრძნობს საკმარის მორალურ პასუხისმგებლობას საგადასახადო დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით. ცალკეული პირები, რისკების სათანადო შეფასების საფუძველზე, აირჩევიდა გადასახადისაგან თავი არიდებას, თუ მოძებნიდა კანონმდებლობის წინააღმდეგობრივ განმარტებებს და საგადასახადო ადმინისტრირების სუსტ ადგილებს.

ამიტომ, საგადასახადო სისტემის რეფორმირების ღონისძიებები სხვადასხვა, მ.შ. დაბეგვრის ლიბერალიზაციის მიმართულებით, უნდა ითვალისწინებდეს ზე-

მოთაღწერილ რისკებს. საჭიროა თითოეული დაგეგმილი ნოვაციის ფისკალური და სხვა შედეგების წინასწარ შეფასება გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთან, აუცილებელია, რომ ღონისძიებები არ იწვევდეს გადასახადის გადამხდელთა მოტივაციის არასწორი მიმართულებით განვითარებას. ქვემოთ ვისაუბრებთ საგადასახადო სისტემის რეფორმირების რამდენიმე მიმართულებაზე, რომლებიც ამგვარი რისკების განვითარების საშიშროებას უკავშირდება.

წლების განმავლობაში საგადასახადო სისტემაში მიმდინარე რეფორმებს თანსდევდა წინა პერიოდებში დაგროვილი საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერის ღონისძიებები. ასეთი საკმაოდ ფართომასშტაბიანი საგადასახადო ამნისტიები განხორციელდა 2011, 2014, 2016, 2018 წლებში საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად. ჩამოწერა ძირითადად შეეხო არალიარებულ ან ვადაგასულ დავალიანებებს. 2015-2019 წლებში ჩამოწერას დაექვემდებარა 68 ათასზე მეტი გადამხდელის 3,5 მლრდ ლარზე მეტი დავალიანება.

საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა ერთის მხრივ ობიექტური გარემოებით იყო განპირობებული. საგადასახადო ადმინისტრირება გათავისუფლდა ამოღების თვალსაზრისით უპერსპექტივო დავალიანებების ტვირთისაგან. მაგრამ, მეორე მხრივ, საგადასახადო ვალდებულებების ჩამოწერის ღონისძიებებისათვის განმეორებადი და განგრძობადი ხასიათის მიცემა გრძელვადიანი თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე ფისკალური რისკების მატარებელია. მსოფლიო გამოცდილებაც ადასტურებს, რომ მსგავსი მექანიზმების პერმანენტული გამოყენება იწვევს ნეგატიურ ფისკალურ შედეგებს, რადგან შეუძლია საზოგადოების საგადასახადო მორალის სერიოზულად შერყევა. ამიტომაც, ჩვეულებრივ, ასეთი პროგრამები წარმოადგენს ხოლმე დროის ფარგლებით შეზღუდულ ღონისძიებებს,

სადაც ხასგასმით არის დეკლარირებული ამ ღონისძიების ერთჯერადი ხასიათი.

საგადასახადო ამნისტიები, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ისინი ხშირად მეორდება, ახალისებს არაკონკურენტულ გარემოს და იწვევს უსამართლობის შეგრძნებას კეთილსინდისიერ გადამხდელეებში. მათაც უძლიერდებათ მოტივაცია, რომ გადასახადების კანონისმიერად გადახდის ნაცვლად, დაელოდოს საგადასახადო ამნისტიის იოლად პროგნოზირებად მორიგ ეტაპს. იქმნება დესტრუქციული მოლოდინები, რაც იწვევს გადასახადის გადამხდელთა ქცევის მოდელის ტრანსფორმირებას არასწორი მიმართულებით. ამიტომაც, დროთა განმავლობაში, საგადასახადო ამნისტიის ყოველი ახალი ეტაპის შემდეგ, კეთილსინდისიერ გადამხდელთა რაოდენობა სულ უფრო იკლებს, ხოლო საპატიებელ საგადასახადო დარღვევათა მასშტაბები სულ უფრო იზრდება. პრობლემა რომ სახეზეა, ამას ისიც ადასტურებს, რომ იმავე 2015-2019 წლების შუალედში (როცა 3,5 მლრდ მეტი ლარის საგადასახადო დავალიანება ჩამოიწერა) მთლიანი საგადასახადო დავალიანებები მხოლოდ 1,8 მლრდ ლარით შემცირდა. ანუ ამავე პერიოდში ამოუღებელი საგადასახადო დავალიანება კიდევ 1,7 მლრდ ლარით გაიზარდა (უფლისაშვილი, 2021).

საგადასახადო სისტემაში მიმდინარე რეფორმების შემადგენელი ნაწილად იქცა ასევე ღონისძიებები ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცედურების გამარტივების კუთხით. გადამხდელეებს, რომელთაც დღგ-ს გადასახადში წარმოეშვათ ზედმეტად გადახდილი თანხა, მნიშვნელოვანი ბარიერისა და დაყოვნების გარეშე, თითქმის ავტომატურ რეჟიმში, შეეძლოთ გადასახადის უკან დაბრუნებას ბიუჯეტიდან. 2019-2021 წლებში გადამხდელთა მიერ ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხების ოდენობამ 2,3 მლრდ ლარს გადაა-

ჭარბა.

მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებამ საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით გარკვეული სიმწელებიც წარმოშვა. ცალკეულმა არაკეთილსინდისიერმა პირებმა ისარგებლეს იმით, რომ საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა ჯერ კიდევ არ იყო სინქრონიზირებული ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცედურების გამარტივების საფრთხეებთან. წარმოიქმნა ფიქტიური პირები, რომლებიც ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის გზით დიდი ოდენობის ჩასათვლელი დღგ-ს თანხას უქმნიდნენ ე.წ. „შემსყიდველელ“ პირებს, რომლებიც ავტომატური დაბრუნების წესით ცდილობდნენ მის დაბრუნებას ან გამოყენებას საკუთარი საგადასახადო ვალდებულებების დასაფარავად.

ასეთმა სიტუაციამ გაზარდა რისკები სახელმწიფო შემოსავლების მობილიზების კუთხით. ამან მოითხოვა დამატებით შრომითი და დროითი რესურსები საგადასახადო კონტროლის ღონისძიებებზე მზარდი ოდენობის ასეთი შემთხვევების სამართავად. საგადასახადო ადმინისტრირების თანამედროვე პირობებში, საგადასახადო ინფორმაციის ელექტრონიზაციის მაღალი ხარისხი გარკვეულად აადვილებს კონტროლს, მაგრამ პრობლემა გააღრმავა მცდელობათა მასშტაბებმა. ამასთან, საგადასახადო ორგანოებს დამდგარი სამართალდარღვევების შედეგების აღმოფხვრაზე უფრო უწევდათ მუშაობა, ვიდრე მსგავსი პრობლემების წარმოქმნის პრევენზიაზე.

ვფიქრობთ, რომ პრევენციული სისტემების შექმნამ და ამოქმედებამ აღნიშნული რისკების შესამცირებლად გარკვეულად დაავიანა. ასეთ ღონისძიებებში ვგულისხმობთ: კანონშესაბამისობის რისკების იდენტიფიცირების და მართვის პროცესის დანერგვას, გადამხდელის შეფასების კრიტერიუმების დახვეწას, რეგისტრირებულ საგადასახადის გადამხდელთა საინფორმაციო ბაზის სრულყოფას, ასევე „კვალიფიციური“ და „არაკვალიფიციური“ დღგ-ს გა-

დამხდელის სტატუსების შემოღებას და არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელთათვის ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის და მიღებული ანგარიშ-ფაქტურებით ჩათვლის განხორციელების უფლების შეზღუდვას.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ასევე სააქციო პოლიტიკის პრობლემატური საკითხებზე, განსაკუთრებით თამბაქოს ნაწარმის დაბეგრასთან დაკავშირებით. ბოლო წლებში აქციზის განაკვეთები მკვეთრად გაიზარდა. ერთი მხრივ, ამის მიზეზია ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები თამბაქოს მოხმარების შესამცირებლად, აგრეთვე ტარიფების ეტაპობრივი გაზრდის ვალდებულებები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. მეორე მხრივ სახეა ფისკალური მოტივაცია - ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, აქციზი საქართველოში არის ერთადერთი საერთო-სახელმწიფო გადასახადი, რომლის განაკვეთის გაზრდა შესაძლებელია რეფერენდუმის გარეშე.

ამის შედეგად, 2011 წლის შემდეგ მკვეთრად დაბეგრის ტვირთი თამბაქოს მოხმარებაზე გაიზარდა - ჩვენი შეფასებით 5-6-ჯერ. აღნიშნულმა კი გამოიწვია მთელი რიგი არასასურველი შედეგები. მართალია ოფიციალური სტატისტიკით შემცირდა თამბაქოს ნაწარმის ადგილობრივი წარმოება და იმპორტი, სინამდვილეში გაიზარდა თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდის და არალეგალური მიმოქცევის შემთხვევები. ეს ფაქტი დასტურდება არამარტო ემპირიული დაკვირვებებით, ასევე სტატისტიკური მონაცემებითაც - მკვეთრად გაზრდილი აქციზურ მარკებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების და სისხლის სამართლის დანაშაულებების დაფიქსირებული რაოდენობა (უფლისაშვილი, 2022).

საქმე იმაშია, რომ მოთხოვნა თამბაქოს ნაწარმზე გამოირჩევა მაღალი არაელასტიურობით, რომელიც ფასების გაზრდაზე

ნაკლებად რეაგირებს. თუკი მაინც, სხვადასხვა მეთოდით, მ.შ. აქციზის გაზრდით ხდება სიგარეტის გაძვირება გონივრულ ფარგლებს ზემოთ, მყისვე ჩნდება ძლიერი მოტივაცია და საკმაოდ მალევე იმართება საქონელის მოწოდების არალეგალური არხები.

მხედველობაშია მისაღები უაქციო სიგარეტით ვაჭრობაში მონაწილე მხარეთა მოტივირებულობის მაღალი ხარისხი. მწვევლებისათვის თამბაქო წარმოადგენს აუცილებელი მოხმარების საქონელს, რომლის აქციზით დაბეგრული ფასები უახლოვდება მწვეველთა საბიუჯეტო შესაძლებლობების საზღვრებს. მეორე მხრივ, შესაძლო მოგების მაღალი მარჟა უაქციო საქონელით კონტრაბანდაზე და ვაჭრობაზე, ააქტიურებს ადამიანთა საკმაოდ ფართო წრეს, რომელთათვის მისაღებია ამ უკანონო ბიზნესთან დაკავშირებული რისკების არსებული დონე. გასათვალისწინებელია, რომ აქციზის ტვირთი გაცილებით ნაკლებია სომხეთში, რუსეთში და თვითაღიარებულ აფხაზეთშიც, რომელთანაც ნაკლებად კონტროლირებადი ნაცრისფერი ტერიტორიული ზონები გვაკავშირებს. თამბაქოს ნაწარმი კი გამოირჩევა მაღალი თანაფარდობით სასაქონლო ერთეულის ღირებულებასა და მის მასას/მოცულობას შორის, რის გამოც ის განსაკუთრებით მიზიდველია, როგორც კონტრაბანდის საგანი.

ასეთი მაღალი დესტრუქციული ეკონომიკური დაინტერესებულობის პირობებში სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების ადმინისტრაციული ქმედებები ნაკლებად ქმედითია. უფრო მეტიც, კონტრაბანდის რისკები სამომავლოდ ააქტიურებს კორუფციის რისკებსაც. ამასთან, ასეთი სიტუაციის ხანგრძლივი ვადით შენარჩუნება ცუდ გავლენას ახდენს გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო მორალზე, აფერხებს გადასახადის გადახდის კულტურის დანერგვას, და როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს ნეგატიურ ფისკალურ შედეგებს.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ საგადასახადო სისტემის რეფორმირების დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას დაბეგვრის ტვირთის მიმართ გადასახადის გადამხდელთა მზაობის ხარისხი. ამასთან, ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ სწორი პოზიტიური თუ ნეგატიური სტიმულების მიცემის გზით გადასახადის გადამხდელთა მოტივაცია და მთლიანად საზოგადოების განწყობები გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარდეს სასურველი მიმართულებით.

აუცილებელია საგადასახადო კანონმდებლობის და ადმინისტრირების სისტემის რეფორმირება გაგრძელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

- საგადასახადო ადმინისტრირების პროცედურების შემდგომი გამარტივება. ელექტრონულ სერვისების კიდევ უფრო გაძლიერება. არ არის გამართლებული დამატებითი (მით უმეტეს არასაგადასახადო სახის) რეგულაციების შემოღება გადამხდელთათვის;
- დაბეგვრის დაბალი ნაკვეთების შენარჩუნება. საგადასახადო კულტურის არსებული დონის პირობებში მაღალი განაკვეთები გადამხდელებს ჩრდილოვანი ოპერაციებისკენ უბიძგებს, რითაც ძირს

ეთხრება გადასახადებისადმი მათ ლოიალურობას;

- საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერების საკითხებში. ასეთი, მით უმეტეს განგრობადი ხასიათის პრეცედენტები ამახინჯებს გადამხდელთა მოტივაციას;
- საჭიროა საგადასახადო კანონმდებლობაში და ადმინისტრირებაში არსებული სუსტი ადგილების ამოვსება. ეს ეხება არა მხოლოდ ზედმეტობების დაბრუნების პროცედურებს, ასევე დაბეგვრის სპეციალური რეჟიმებით და რიგი შეღავათებით უკანონოდ სარგებლობის შესაძლებლობებს;
- მნიშვნელოვანია საზოგადოებაში საგადასახადო პრაქტიკის სტაბილურობის აღქმის დამკვიდრება. საჭიროა გადასახადების სავალდებულობის, კანონით რეგულამენტირებულობის, უნიფიცირებულობის, სამართლიანობის და სხვა პრინციპების დაცვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში საზოგადოების საგადასახადო კულტურა გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარდება სწორი მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, URL: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3> (ხელმისაწვდომია 17.10.2023);
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი (კოდიფიცირებული) (სსკ), URL: <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=204> (ხელმისაწვდომია 17.10.2023);
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წლიური ანგარიშები, URL: <https://rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1> (ხელმისაწვდომია 17.10.2023);
- უფლისაშვილი, გ. (2021). საქართველოს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი, "ეკონომიკური პროფილი", ტომი 16, 1 (21), ON SOME PROBLEM ISSUES RELATED TO LIBERALIZATION OF THE TAX SYSTEM IN GEORGIA, Economic Profile, Volume 16, Issue 1(21), 2021, URL: <http://economicprofile.org/pdf/f903b66020df2dc2f852e4afc70ebe3b.pdf> (ხელმისაწვდომია 17.10.2023);
- უფლისაშვილი, გ. (2022). საქართველოს სააქციზო პოლიტიკის პრობლემური საკითხები, "ეკონომიკური პროფილი", ტომი 17, 1 (23), PROBLEMATIC ISSUES OF THE EXCISE POLICY OF GEORGIA, Economic Profile, Volume 17, Issue 1(23), 2022, URL: <http://economicprofile.org/pdf/Guram%20Uplisashvili.pdf> (ხელმისაწვდომია 17.10.2023);
- Birger Nerré. Tax Culture: A Basic Concept for Tax Politics, URL:

On Some Problematic Issues of the Tax System Development and Tax Culture Formation in Georgia

Guram Uplisashvili

Doctor of Economics, Associate Professor, Kutaisi University
guram.uphisashvili@unik.edu.ge

Abstract

The presentation focuses on development issues in tax system of Georgia and the formation of tax culture.

Forms of relations between tax administration bodies and taxpayers are part of the tax system. The results of the functioning of the tax system depend not only on the tax legislation and the quality of tax administration, but also on citizen mindsets, their law-abiding behavior, their readiness for the established tax burden, and public tax culture. It goes without saying that different societies differ from each other in their specific tax culture.

A necessary condition for building the tax system of any country is to base it on certain principles. These are the principles of legality, responsibility, uniformity, justice, stability, cost-effectiveness and so on. When building a tax system, attention should be paid to characteristics of the tax culture typical of the local society.

The paper discusses some of the problematic issues identified in the process of reforming the tax system of Georgia, which are related to the current stage of tax culture development. We focused on the risks that were identified in terms of writing off tax debts, measures to simplify the procedures for repayment of overpaid tax, as well as increasing the excise rates. Research has shown that these specific measures have negative fiscal consequences in both the short and long term and have a negative impact on taxpayers' tax morality.

We believe that the degree of readiness of taxpayers for the tax burden should be taken into account when planning the reform of the tax system. In addition, tax system formation and tax administration measures should be planned in such a way that by providing the right positive or negative incentives, the motivation of taxpayers and the attitudes of society as a whole will develop in the desired direction in the long term.

It is necessary to continue reforming the tax legislation and the administration system under the following conditions:

- Further simplification of tax administration procedures. Further strengthening of electronic services. Introduction of additional (especially non-tax) regulations for payers is not welcomed;
- Maintaining low tax rates. Under the conditions of the current level of tax culture, high rates push taxpayers to shadow operations, thereby undermining their sense of loyalty to taxes;
- Care should be taken in matters of tax debt write-offs. Such precedents, especially those of a continuous nature, distort the motivation of the payers;
- There is a need to eliminate weak points in tax legislation and administration. This applies not only to the procedures for repayment of overpaid tax, but also to the possibilities of illegally using special taxation regimes and a number of benefits;
- It is important to establish a perception of the stability of tax practices in society. It is necessary to adhere the principles of the mandatory nature of taxes, regulation by law, uniformity, justice and other principles. Only in this case, public tax culture will develop in the right direction in the long term.

Keywords: taxes, tax system, tax culture, tax administration.

JEL: H2, O17

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.27>

For citation: Uplisashvili G. (2023) On Some Problematic Issues of the Tax System Development and Tax Culture Formation in Georgia. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 219-228 . DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.27>

References

- Organic Law of Georgia on Economic Freedom, URL: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3> (accessed on 17.10.2023);
Tax Code of Georgia (codified) (SCC), URL: <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=204> (accessed 17.10.2023);
Annual reports of the Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia, URL: <https://rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1> (available on 17.10.2023);

Uplisashvili, G. (2021). ON SOME PROBLEM ISSUES RELATED TO LIBERALIZATION OF THE TAX SYSTEM IN GEORGIA, Economic Profile, Volume 16, Issue 1(21), 2021, URL : <http://economicprofile.org/pdf/f903b66020df2dc2f852e4afc70ebe3b.pdf> (accessed on 17.10.2023);
Uplisashvili, G. (2022). PROBLEMATIC ISSUES OF THE EXCISE POLICY OF GEORGIA, Economic Profile, Volume 17, Issue 1(23), 2022, URL: <http://economicprofile.org/pdf/Guram%20Uplisashvili.pdf> (accessed 17.10.2023);
Birger Nerré. Tax Culture: A Basic Concept for Tax Politics, URL: <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0313592608500117> (accessed 17.10.2023);

ადამიანური კაპიტალის ფორმირების თანამედროვე ტენდენციები

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი
naira.virsaladze@atsu.edu.ge

მალვინა ყიფიანი

ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი
mavlina.kiphiani@unik.edu.ge

აბსტრაქტი

ადამიანურმა კაპიტალმა საზოგადოების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილებები განიცადა. დღეს ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის მაღალი ხარისხის მქონე ადამიანური კაპიტალი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოთხოვნი რესურსია. ცოდნა, განათლება, ჯანდაცვა, ცხოვრების ხარისხი და წამყვანი სპეციალისტების როლი, ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველი გახდა.

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის დღიდან ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემა არის უწყვეტი რეფორმების პროცესში. ის ჯერ კიდევ საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რათა მიუახლოვდეს საერთაშორისოდ აღიარებულ შეფასების სისტემას. ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდებმა მიიღონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება. მოწინავე ქვეყნების გამოცდილების შესწავლის მიზნით, გაცვლითი პროგრამების მეშვეობით, ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნა, რომელიც ახალგაზრდებისათვის დიდი გამოცდილების მომტანია. ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასევე პროფესიულ განათლებას. იგი შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს და ნებისმიერი ასაკის ადამიანს, აითვისოს ის პროფესია, რომელიც საშუალებას მისცემს სწრაფად დასაქმდეს, მიიღოს ანაზღაურება და თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

კოვიდ პანდემიამ კიდევ უფრო მძაფრად და აშკარად წარმოაჩინა სამუშაო ძალასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა კვალიფიციური კადრების უკმარისობა. ქართული შრომის ბაზარი სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას ვერ აკეთებს მოთხოვნი პროფესიებისა და სპეციალობების მიმართ. ჯერ კიდევ ვერ მოხდა „გადატვირთვა“ სწავლების თანამედროვე უნარებისა და ჩვევების მქონე კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად. ჯერ კიდევ იზოლირებულად, ცალ-ცალკე მუშაობს უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული სასწავლებლები და მათი რეალური დამსაქმებლები. სამწუხაროდ, ხშირად აცდენილია ორივე მხარის მიზნები და ამოცანები.

სერიოზული გადასახედია მისაღები გამოცდებით უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხი ქულების მინიმალური ზღვარის გაზრდა. საკითხი პირდაპირ უკავშირდება ადამიანური კაპიტალის ხარისხობრივი მაჩვენებლის გამოყენებას. საშუალო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი რთულად იმკვიდრებს თავს ან ვერ საქმდება პროფესიით. ეს სერიოზული პრობლემაა და დროულ გადახედვას მოითხოვს. ცნობილია, რომ რაც მეტი თანხები იხარჯება უმაღლესი განათლების მიღებაზე, მით უფრო უკეთესი შედეგია ეროვნულ ეკონომიკაში. განათლებული სამუშაო ძალა მით უკეთეს შედეგს იძლევა. მაღალი ხარისხის ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებას და ადგილზე დამაგრებას არანაკლები ზრუნვა ჭირდება სათანადო განათლების მიღების შემდეგაც. ასეთი სპეციალისტები დაბალი ანაზღაურების გამო მიდიან საზღვარგარეთ. სწორედ ამ პროცესს ემახიან „ინტელექტის გადინება“, რომელიც ძალიან ნაცნობი პროცესია საქართველოსათვის.

ადამიანური კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენების თვალსაზრისით ბოლო წლებია, განსაკუთრებით წინ წამოიწია ინკლუზიურმა სწავლებამ. მას ორმაგი დატვირთვა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ მორალური მხარე გაცილებით მეტია ასეთი კატეგორიის ადამიანებისთვის, მაგრამ სუფ-

თა ეკონომიკური თვალსაზრისით და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, იგი არანაკლები მნიშვნელოვანი საკითხია. ინკლუზიურ განათლებასთან ერთად, დღეს დიდი როლი ენიჭება ხანდაზმული ადამიანების დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების, პროფესიონალიზმის გამოყენებას. სწორედ ამ კატეგორიის ადამიანები ქმნიან „ვერცხლის ეკონომიკას“. მათი როლი საკმაოდ სერიოზული და მნიშვნელოვანია დემოგრაფიულად დაბერებული საზოგადოების სრულფასოვანი ეკონომიკური განვითარებისათვის.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და მეცნიერების მიღწევათა ფონზე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის ყოველდღიურად როგორც რადიკალურად, ასევე თვისობრივად სრულიად ახალი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური კაპიტალის უწყვეტ განვითარებას. სიახლეების გამოწვევების შესაბამისად აუცილებელია ახლებური და მოთხოვნის შესაბამისი ტენდენციების ჩამოყალიბება და თანმიმდევრული დამკვიდრება.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, ცოდნის ეკონომიკა, პროფესიული და ინკლუზიური განათლება, ინტელექტის გადინება, ვერცხლისფერი ეკონომიკა

JEL: O15

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.28>

ციტირებისათვის: ვირსალაძე ნ., ყიფიანი მ. (2023) ადამიანური კაპიტალის ფორმირების თანამედროვე ტენდენციები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 229 - 239. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.28>

შესავალი

ადამიანური კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საქმეში მნიშვნელოვნად უპირობო და ძირითადი ეკონომიკური რესურსია. მისი უპირატესობა და გადამწყვეტი როლი ყურადღების ცენტრში მოექცა ეკონომიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლის ზრდასთან ერთად. შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის სამუშაო ძალა, რომელიც თანამედროვე კონკურენციის პირობებში განათლების დონით, შემოქმედებითი პოტენციალით და მრავალმხრივი განვითარებით რეალურად და სწრაფად იცვლება.

სწორედ ისეთი ქვეყნები გახდნენ მსოფლიო ეკონომიკის ლიდერები, რომლებმაც განსაკუთრებული ადგილი და როლი დაუთმეს ინოვაციური ეკონომიკის გამოწვევებს. წინა პლანზე წამოწიეს ადამიანური კაპიტალის მნიშვნელოვანი კომპონენტები - ცოდნა, განათლება, ჯანდაცვა, ცხოვრების ხარისხი და კვალიფიციური, წამყვანი სპეციალისტების როლი.

საკითხი საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისათვის. ხარისხიანი ადამიანური კაპიტალის

ფორმირება, ჩამოყალიბება და განვითარება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც კომპლექსურად ვითარდება მისი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები (განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, ფიზიკური მდგომარეობის, დემოგრაფიული სიტუაციის, ადამიანური განვითარების ინდექსის და სხვა...). უნდა ითქვას, რომ კონკურენტუნარიანობაში განსაკუთრებულ და გადამწყვეტ როლს თამაშობს სამუშაო ძალის განათლების ფაქტორი.

ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სერიოზული რეფორმები იქნა გატარებული, რომელმაც მნიშვნელოვანი სიახლეები და ცვლილებები გამოიწვია მთლიანად საგანმანათლებლო სისტემაში. მიუხედავად მთელი რიგი მიღწევებისა და წარმატებებისა, საქართველოს განათლების სისტემა ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი პრობლემების და გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდა სხვადასხვა კრიზისული სიტუაციების შექმნის დროს.

წარმოდგენილ თემაში სწორედ აღნიშნულ პრობლემებზე და მათი შედარებით მოსალოდნელ „შემსუბუქებაზე“ გვაქვს სა-

უბარი.

ძირითადი ტექსტი

ადამიანური კაპიტალის ცნება ფართო ეკონომიკური კატეგორიაა. იგი ადამიანური ფაქტორისა და ადამიანური რესურსის ცნებების განვითარება და განზოგადებაა. ადამიანური კაპიტალის იდეას საფუძველი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩაეყარა. საუკუნეების მანძილზე, თეორიული თვალსაზრისით, ადამიანური კაპიტალი განიხილებოდა მხოლოდ განვითარების სოციალურ ფაქტორად და თვლიდნენ, რომ ინვესტიციები ალზრდაში, განათლებაში არაპროდუქტიული და ძვირადღირებული იყო.

ეკონომიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლის ზრდამ შეცვალა დამოკიდებულება ადამიანური კაპიტალისადმი. ყურადღების ცენტრში მოექცა თვისობრივად ახალი სამუშაო ძალის შექმნის პრობლემატიკა. საწარმოო პროცესების ავტომატიზაციამ და რთულად სამართავი მექანიზმების ამოქმედებამ, კონკურენციის გაზრდამ, მოითხოვა ადამიანური კაპიტალის სხვა ხარისხი, მისი განათლების დონის ზრდა, შემოქმედებითი პოტენციალისა და ყოველმხრივი განვითარების აუცილებლობა. შესაბამისად რადიკალურად შეიცვალა ადამიანური კაპიტალისა და მისი განათლებისადმი დამოკიდებულება და შეხედულება. ამ მიმართულებით კვლევებიც გააქტიურდა და ადამიანური კაპიტალი თანამედროვე ეკონომიკის - ცოდნის ეკონომიკის განვითარების კომპლექსურ ფაქტორად იქცა.

ადამიანური კაპიტალის თანამედროვე კონცეფცია მსოფლიო ეკონომიკური და სოციალურ-ფილოსოფიური აზრის განვითარების კანონზომიერი შედეგია. იგი ერთიან თეორიად ჩამოყალიბდა „ჩიკაგოს სკოლის“ წარმომადგენელთა ფუნდამენტურ შრომებში, რასაც ხელი შეუწყო გან-

ვითარებული ქვეყნების ეკონომიკურმა ზრდამ. ამ თეორიის საფუძველების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის გამო ამერიკელ ეკონომისტებს თეოდორ შულცს (1979 წელს) და გარი ბეკერს (1992 წელს) ნობელის პრემია მიენიჭათ. მათ ჩამოაყალიბეს ადამიანური კაპიტალის ვიწრო განმარტება, რომელიც თანდათან დაიხვეწა და გაფართოვდა.

ამჟამად, ადამიანური კაპიტალის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე ყალიბდება და იხვეწება შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების წარმატებული განვითარების პარადიგმა. სწორედ ამ თეორიაზე დაყრდნობით ევროპის განვითარებულმა ქვეყნებმა დროის მოკლე მონაკვეთში მოახდინეს უპირატესად რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა, ამის ნათელი მაგალითია შვეიცარია, შვედეთი, ფინეთი, სინგაპური, ნიდერლანდები, გერმანია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, დანია და კანადა. სწორედ ეს იყო პასუხი ადამიანური კაპიტალის თეორიასა და პრაქტიკაზე და მის გამოწვევებზე, ინოვაციური ეკონომიკის ცოდნის ეკონომიკის გამოწვევებზე. სწორედ ეს ქვეყნები არიან მსოფლიოში ლიდერთა ათეულში ადამიანური კაპიტალის მაჩვენებლის მიხედვით.

მეცნიერების განვითარებამ, ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებამ, კიდევ უფრო წინ წამოსწია ადამიანური კაპიტალის კომპონენტები - ცოდნა, განათლება, ჯანდაცვა, ცხოვრების ხარისხი და წამყვანი სპეციალისტების როლი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და მისი მდგრადი განვითარების საფუძველი. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ადამიანური კაპიტალის ნაკადების თავისუფალმა გადაადგილებამ კიდევ უფრო დააჩქარა მაღალი ტექნოლოგიების განვითარება და ათვისება, ხელი შეუწყო ადამიანური კაპიტალის ცოდნისა და გამოცდი-

ლების ზრდას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ამჟამად, მაღალი ხარისხის ადამიანური კაპიტალის მქონე ქვეყნებს ჰყავთ მსოფლიო დონის კონკურენტუნარიანი პროფესიონალები ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში.

ეროვნულ დონეზე ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია ეროვნული ეკონომიკური სისტემის, განათლების, ჯანდაცვის, კულტურისა და ფიზიკური განვითარების მდგომარეობა, დემოგრაფიული სიტუაცია და სხვა. ხარისხიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთდროულად კომპლექსურად ვითარდება ადამიანური კაპიტალის ყველა ფაქტორი.

კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე, იგი უზრუნველყოფს დინამიკურ ეკონომიკურ ზრდას, მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს. ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს განათლების ფაქტორები. ადამიანის ცოდნა და უნარები გავლენას ახდენს სახელმწიფო ინსტიტუტების და კომპანიების განვითარებაზე, რაც საბოლოო ჯამში ასახვას პოულობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეში.

განათლებული, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბება საგანმანათლებლო სისტემაში ხდება. საგანმანათლებლო პროცესის მაღალი ხარისხი კი ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძირითადი ფაქტორია. პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის ინოვაციურ-ეკონომიკურ განვითარებას არის კვალიფიციური კადრების მზარდი დეფიციტი. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი უმაღლეს სასწავლებლებს უჭირავს,

რომლებმაც უნდა უზრუნველყონ თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლების პროგრამები და მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უნდა პასუხობდეს თანამედროვე ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკის მოთხოვნებს.

გარკვეული დამახასიათებელი ტენდენციებით მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი საქართველოში.

დავიწყოთ იქიდან, რომ ადამიანური კაპიტალის ფორმირების ძირითად წყაროს ნებისმიერ ქვეყანაში წარმოადგენს მოსახლეობა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2010-2022 წლებში საქართველოს მოსახლეობა 1,7 %-ით (63.4 ათ. კაცით), ხოლო შობადობის დონე 23.4%-ით არის შემცირებული. შესაბამისად, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 14.6 - დან 11.4 პრომილემდე, ხოლო შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2.0-დან - 1.8 მდე შემცირებული, რაც მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფს. ქვეყანაში შობადობის შემცირების ფონზე 65 წელს ზევით მოსახლეობის ხვედრითი წილი 14.2 %-დან 15.6 %-მდე გაზრდილი, რაც კიდევ უფრო აჩქარებს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესს და ზრდის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დატვირთვის კოეფიციენტს. შობადობის შემცირებას ხელს უწყობს არა მარტო ეკონომიკური სიდუხჭირე და მასიური უმუშევრობა, არამედ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვა ქვეყანაში ემიგრაცია. ამჟამად უცხოეთში იმყოფება ჩვენი ქვეყნის კვალიფიციური, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი. დაბალი შრომის ანაზღაურების გამო საქართველოს მოქალაქეები არჩევანს აკეთებენ უცხო ქვეყანაში იმუშაონ შედარებით დაბალ თანამდებობაზე. რაც

შეეხება სასწავლებლად ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ქვეყნიდან წასულ ახალგაზრდებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სამშობლოში საერთოდ აღარ ბრუნდებიან. ეს კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და შესაბამისად, ხელს უშლის ეროვნული მაღალკვალიფიციური ადამიანური კაპიტალის ფორმირებას.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში დღეს ადამიანური კაპიტალის ფორმირებას ემსახურება უმაღლესი და პროფესიული განვითარების ინსტიტუტების მრავალფეროვანი ერთობლიობა. თავდაპირველად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, ქვეყანაში მრავალი კერძო, ფასიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩამოყალიბდა, თუმცა დროთა განმავლობაში ეს პროცესები დარეგულირდა კანონმდებლობით. 2022/2023 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა 19 სახელმწიფო და 43 კერძო უმაღლესი დაწესებულება, 2009/2010 სასწავლო წელთან შედარებით მათი რიცხვი 2,5-ჯერ შემცირდა, სტუდენტთა რიცხოვნობა კი პირიქით 1,6-ჯერ გაიზარდა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სტუდენტების უმრავლესობას სტატუსი აქვს შეჩერებული არა აკადემიური, არამედ ფინანსური დავალიანების გამო და მათი მხოლოდ 15,9% ახერხებს სწავლის დროულად დამთავრებას. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ახალგაზრდების დიდი ნაწილი არა მარტო სასწავლებელს, არამედ ქვეყანას ტოვებს და ერთვებიან მიგრაციულ პროცესებში. ამ პრობლემის მასშტაბურობის გამო საქართველოს პრემიერის გადაწყვეტილებით (2023 წელი, სექტემბერი) 300 000 სტუდენტს ფინანსური დავალიანების მოხსნით საშუალება მიეცათ აღედგინათ სტატუსი.

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის

დღიდან ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემა უწყვეტი რეფორმების პროცესშია. მაგრამ გატარებული რეფორმების მიუხედავად ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო, რათა მიუახლოვდეთ საერთაშორისოდ აღიარებულ შეფასების სისტემას და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დიპლომები რეიტინგული გახდეს.

ამჟამად ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა მიიღონ ისეთი განათლება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. მოწინავე ქვეყნების გამოცდილების შესწავლის მიზნით, გაცვლითი პროგრამების მეშვეობით, ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნა, რომელიც ახალგაზრდებისათვის დიდი გამოცდილების მომტანია. სტუდენტები ეცნობიან მათი სწავლების სისტემას, პრაქტიკული მეცადინეობების თავისებურებებს, რაც კიდევ უფრო ეხმარებათ თეორიული ცოდნის რეალიზაცია მოახდინონ პრაქტიკაში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი პროგრამებით საქართველოდან გაგზავნილ სტუდენტთა რიცხვი ძალიან მცირეა, 2022-2023 სასწავლო წელს სულ გაგზავნილ იქნა 723 სტუდენტი. როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, გაცილებით მაღალი და დინამიურია განათლების მიღების მიზნით ქვეყანაში შემოსულთა რიცხვი. 2022/2023 სასწავლო წელს უცხოეთიდან სულ შემოსულია 25 069 სტუდენტი.

უცხოეთიდან ჩამოსული სტუდენტების უმრავლესობა აზიის განვითარებადი ქვეყნებიდანაა (ინდოეთი, აზერბაიჯანი, ერაყი) სადაც აღიარებულია საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დიპლომი. ეს, ერთის მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ქვეყნის განათლების

სისტემა საკმაოდ მაღალ დონეზეა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ დაინტერესებას და საქართველოში განათლების მიღების მსურველთა ზრდას ადგილი არ ექნებოდა, მაგრამ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში გაცილებით დაბალია სწავლის საფასური, რაც კიდევ უფრო ზრდის სხვა ქვეყნებიდან სწავლის მსურველთა რიცხოვნობას. ამ უკანასკნელი ფაქტორის გავლენა რომ შემცირდეს საჭიროა განათლების სისტემაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება, საქართველო კიდევ უფრო მეტად უნდა ჩაერთოს განათლების დონის ამაღლების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, სტუდენტების გაცვლით პროგრამებში, კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი, რომ არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების ახალგაზრდებისათვის გახდეს საქართველოში განათლების მიღება სასურველი, არამედ განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებისთვისაც.

მართალია უმაღლესი განათლება პრიორიტეტულია, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის უპირველესია პროფესიული განათლება, რადგან იგი უშუალოდ კავშირშია მოსახლეობის მასობრივ დასაქმებასთან, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, სიღარიბის დაძლევისა და უმუშევრობის შემცირებასთან. უმუშევრობის მაღალი დონე და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. იმისათვის, რომ დასაქმების მსურველს გააჩნდეს ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნა და უნარები, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფესიულ განათლებას. იგი შესაძლებლობას აძლევს არა მარტო ახალგაზრდებს, არამედ მაღალი ასაკის ადამიანებს აითვისოს სასურველი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესია, სწრაფად დასაქმდეს და თავისი წვლილი შეიტანოს როგორც ოჯახის მატე-

რიალური უზრუნველყოფის, ისე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ადამიანური რესურსების განვითარება და ქვეყანაში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებებზე ბევრად უფრო ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა ინკლუზიურ ზრდაში.

მიგვაჩნია, რომ ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და სრულყოფის თვალსაზრისით, მთელი რიგი საკითხებია გადასაწყვეტი და ახლებურად „დასანახი“. თანამედროვე მოთხოვნებისათვის ფეხის აწყოება და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, მეტი ქმედითი და რეალური ღონისძიებების გატარება საჭირო.

ახლებურ მიდგომას მოითხოვს ახალგაზრდებში პროფესიის არჩევისადმი დამოკიდებულება. უმაღლესი განათლების მიღება ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ, ისევ მშობლების პრიორიტეტია. აქცენტის გაკეთება არ ხდება ისეთ პროფესიაზე, რომელიც თავისი დამახასიათებელი უნარ-ჩვევებით რეალური დასაქმების საშუალებას მიცემს ადამიანს და, რომელიც გაცილებით დროის მოკლე მონაკვეთში, თანაც ნაკლები ფინანსური დაიხარჯებით იქნება ათვისებული. პრიორიტეტად უნდა იქცეს არა უმაღლესი განათლების დიპლომი, არამედ პროფესია, როგორც დასაქმების რეალური შესაძლებლობა.

კოვიდ პანდემიამ კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა ჩვენს ქვეყანაში კვალიფიციური კადრების უკმარისობა და მოთხოვნადი პროფესიებისადმი „მოკრძალებული“ დამოკიდებულება. ფაქტია, რომ საქართველოს შრომის ბაზარი სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას ვერ აკეთებს მოთხოვნადი

პროფესიებისა და სპეციალობების მიმართ. ჯერ კიდევ „გადატვირთვა“ ვერ მოხდა სწავლების თანამედროვე უნარებისა და ჩვევების მქონე კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად; ჯერ კიდევ იზოლირებულად, ცალ-ცალკე მუშაობს უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული სასწავლებლები და მათი რეალური დამსაქმებლები. სამწუხაროდ, ხშირად აცდენილია ორივე მხარის მიზნები და ამოცანები. (ვირსალაძე, ყიფიანი, 2022)

მიუხედავად იმისა, რომ წლებია დასაქმების საკითხი და საკმარისი სამუშაო ადგილები პირველ პრობლემად რჩება, მთელ რიგ პროფესიათა საკმაოდ დიდი დეფიციტია აქტიურ ეკონომიკურ სექტორებში (მშენებლობები, კომპიუტერული ტექნოლოგიების მართვა, საზოგადოების, სასტუმროების, მარკეტინგული და სავაჭრო ობიექტების ქსელების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და მომსახურების რემონტებისა და სხვა ...). აქვე გვინდა შევეხოთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ახალგაზრდების ჩარიცხვას ეხება. ბოლო წლებია ამ თემაზე ხშირად ისმის შენიშვნები და კრიტიკული მოსაზრებანი, მაგრამ სამწუხაროდ „ქარავანი მიდის“... ეროვნული გამოცდების შემოღებით თავდაპირველად ძალიან ბევრი პრობლემა იქნა მოხსნილი და აღმოფხვრილი, მაგრამ უკვე კარგა ხანია დადგა დრო, ყურადღება მიექცეს მისაღები გამოცდებით უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხი ქულების მინიმალურ ზღვარს. ბარიერის გადალახვით ჩარიცხული აბიტურიენტები ორიენტირებული არიან არა სწავლის ხარისხზე, არამედ დიპლომის მიღებაზე. შესაბამისად, დაბალია მათი აკადემიური მოსწრება, სწავლაზე გაწეული დანახარჯებიც ფუჭია და ვერ იძლევა სათანადო შედეგს. დაბალი შეფასების მქონე დიპლომირებული ახალგაზრდები ვერ ერგებიან

საკუთარი პროფესიის სფეროს, ვერ პოულობენ იქ თავის ადგილს და საქმდებიან დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოზე, რომელსაც საერთოდ არ ჭირდება უმაღლესი საბაკალავრო პროგრამის დამთავრება. ეს საკითხი ძალზე მტკივნეულად აღიქმება, მაგრამ აუცილებელია მასზე დაფიქრება და მისი დროული მოგვარება. იგი უნდა გადაწყდეს არა აბიტურიენტთა მშობლების სასარგებლოდ და დასამშვიდებლად, არამედ ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით. დიპლომირებულ სამუშაო ძალასთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია კიდევ ერთი საკითხის შესახებ აქცენტის გაკეთება, რომელიც სწორედ ადამიანური კაპიტალის ხარისხობრივი მაჩვენებლის გამოყენებას ეხება. ცნობილია, რომ რაც მეტი თანხები იხარჯება უმაღლესი საგანმანათლებლის მიღებაზე, ეროვნულ ეკონომიკაში ასეთი კატეგორიის სამუშაო ძალა მით უკეთეს შედეგს იძლევა. უდაოა ის ფაქტი, რომ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სიმდიდრეა, როგორც მისი დამსაქმებლისთვის, ასევე ზოგადად ქვეყნისათვის, რადგან ის შრომის საუკეთესო შედეგს „დებს“. მაგრამ, ჩვენი ქვეყნის რეალობაში უფრო ხშირად ასეთი სპეციალისტები დაბალი ანაზღაურების გამო მიდიან ქვეყნიდან, ანუ ხდება „ინტელექტის გადინება“, რომელიც სამწუხაროდ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოში. ასე, რომ მაღალი ხარისხის ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებას და ადგილზე დამაგრებას არანაკლები ზრუნვა ჭირდება სათანადო განათლების მიღების შემდეგაც (ვირსალაძე, 2022).

ადამიანური კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენების თვალსაზრისით ბოლო წლებია, განსაკუთრებით წინ წამოიწია ინკლუზიურმა სწავლებამ. მას ორმაგი დატვირთვა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ მორალური მხარე გაცილებით მეტია ასეთი კატეგორიის ადამიანებისთვის, მაგრამ სუფ-

თა ეკონომიკური თვალსაზრისით და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა მიეცეს საშუალება აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩასართავად. მხოლოდ სოციალური დახმარების მექანიზმები არ უნდა იყოს მათკენ მიმართული. პირიქით, სახელმწიფო უნდა ეცადოს მათი შესაძლებლობების მიხედვით გახადოს ისინი აქტიური. მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ზრდის მიერ მოტანილი სიკეთით ისარგებლოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. ე.ი. მოხდეს ეკონომიკის ინკლუზიური საყოველთაო ზრდა. მისასალმებელია, რომ ამ მიმართულებით ბოლო წლებში წარმატებით მიმდინარეობს რამდენიმე სამთავრობო სოციალური პროგრამები და პროექტები, მოქმედებს საგრანტო მექანიზმებიც. მაგრამ აუცილებელია მათი მასშტაბების გაზრდა და გაფართოება.

და ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვან საკითხს გვინდა შევეხოთ, რომელიც ადამიანური კაპიტალის „ხვალინდელ“ დღეს ეხება. ბოლო პერიოდში დემოგრაფიები და ხალხთმოსახლეობის მკვლევარები „დემოგრაფიულ დაბერებასთან“ ერთად უკვე აქტიურად ხმარობენ ტერმინს „ვერცხლისფერი ეკონომიკა“. საუბარია ადამიანური კაპიტალის იმ კატეგორიაზე, რომელიც 65 წლის ზემოთაა, მაღალი კვალიფიკაცია აქვს, პროფესიონალია, და მისი დატვირთვა აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობაში კვლავაც გაბედულად შეიძლება. აღნიშნულის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ავთანდილ და ვლადიმერ სულაბერიძეები: „სამუშაო ასაკის მოსახლეობის მოსალოდნელი შემცირების შედეგად წარმოქმნილ დემოგრაფიული დეფიციტის პირობებში კიდევ უფრო გაიზრდება ხანდაზმულთა დემოგრაფიული დატვირთვა, ... შესაბამისად გაიზრდება დემოგრაფიული დეფიციტის სოციალურ ფასი, რაც

მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოქმნის მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საბიუჯეტო სახსრების მოძიებაში... ხანდაზმული ადამიანები ახლა მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან ეკონომიკაში და მათი როლი კიდევ უფრო გაიზრდება უახლოეს წლებში, ... განსაკუთრებით დაბალი შობადობის პირობებში. შესაბამისად „ვერცხლის ეკონომიკა“— განისაზღვრება, როგორც ბაზარი, რომელიც ვითარდება არა მხოლოდ დაბერებული მოსახლეობის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის, მნიშვნელოვანი ხდება და წარმოადგენს ახალი ბიზნესის შესაძლებლობებს. ხანდაზმული ადამიანები მნიშვნელოვანი როლს ასრულებენ დაგროვილი ცოდნის გადაცემაში. მათი პროფესიული გამოცდილება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას და განვითარებას. „ვერცხლის ეკონომიკა— უნდა განვიხილეთ ორი ძირითადი ასპექტი: ეკონომიკა ხანდაზმული ადამიანებისთვის და ეკონომიკა ხანდაზმულ ადამიანებთან ერთად“. (სულაბერიძე ავთ., სულაბერიძე ვლ., 2023)

დასკვნა

ადამიანური კაპიტალი, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლების ძირითადი მახასიათებლების ჩამოყალიბებასა და გაუმჯობესებაზე ქვეყანაში არსებული სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები და ინსტიტუტები ახდენენ გავლენას, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საქმეში. სწორედ ამ სტრუქტურების გამართული, თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევებისადმი თანმიმდევრული პროცესები განაპირობებს მაღალ ხარისხოვანი სამუშაო ძალის, კვალიფიციური და განათლებული კადრების მომზადებას. ამ პროცესისათვის აუცილებელ და დამახასიათებელ თვისებად უნდა იქცეს მკვეთრად გამოხატული განათლების სისტემის ერთიანი მექანიზმი, რომელიც შეძ-

ლებს მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას შრომის ბაზარზე. როგორ ზემოთ აღნიშნეთ „ქართული შრომის ბაზარი სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას ვერ აკეთებს მოთხოვნადი პროფესიებისა და სპეციალობების მიმართ; ჯერ კიდევ „გადატვირთვა“ ვერ მოხდა სწავლების თანამედროვე უნარებისა და ჩვევების მქონე კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად; ჯერ კიდევ იზოლირებულად, ცალკე მუშაობს უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული სასწავლებლები და მათი რეალური დამსაქმებლები. სამწუხაროდ, ხშირად აცდენილია ორივე მხარის მიზნები და ამოცანები“.

სეროზულ გადახედვას და შესაბამის ცვლილებებს საჭიროებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხი მინიმალური ქულების ზღვარის სიდიდე. რადგან ასეთი დაბალი რეიტინგით ჩარიცხული აბიტურიენტები სრულფასოვნად ვერ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებელში. დაბალი კვალიფიკაციის გამო ვერ ერგებიან პროფესიულ სამუშაოს და გაცილებით დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოზე ეწყობიან. დიპლომირებულ სამუშაო ძალასთან დაკავშირებულია მეორე სახის პრობლემაც. დაბალი ანაზღაურების გამო ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის

საზღვარგარეთ და ერთვება „ინტელექტის გადინების“ პროცესში, რომელიც სამწუხაროდ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული ძალიან ნაცნობია საქართველოსათვის. ასე, რომ მაღალი ხარისხის ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებას და ადგილზე დამაგრებას არანაკლები ზრუნვა ჭირდება სათანადო განათლების მიღების შემდეგაც“. მეტი ხელშეწყობა და მხარდაჭერა სახელმწიფოდან საჭირო ინკლუზიური სწავლების ფართო მასშტაბიანი პროგრამებისა და პროექტების განხორციელების საშუალებით. რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა მოიცვას ამ სფეროში, რათა მარტო სოციალური დახმარება არ უნდა იყოს მათი ცხოვრებისეული პრობლემებისაგან გადარჩენის წყარო.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საქმეში ხანდაზმული ადამიანების (65 წელს +) პროფესიონალიზმის, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების აქტიური გამოყენება.

ამდენად, ადამიანური კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკური რესურსის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და მისი ფორმირება სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების გამართულ, გეგმაზომიერ და გონივრულ მიდგომებს მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

ვირსალაძე ნ., ყიფიანი მ., დასაქმების ზრდა-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უპირობო გარანტი., აწეს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID-19 პანდემიის კონტექსტი", 2022 წ.

ვირსალაძე ნ., „ხალხთმოსახლების ეკონომიკა და ეკონომიკური დემოგრაფია“, ლექციების კურსი, გვ: 86-87 , აწეს, 2022 წ.

სულაბერიძე ავთ., სულაბერიძე ვლ., „დემოგრაფიული დაბერება და „ვერცხლისფერი ეკონომიკა“, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“, (7-8 ოქტომბერი, 2023, თბილისი) , გვ: 116-118

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოფიციალური ინფორმაცია, 2020 წ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ოფიციალური ინფორმაცია,

2020 წ.

Modern Trends of Human Capital Formation

Naira Virsaladze

Doctor of Economics, Associated Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi University

naira.virsaladze@atsu.edu.ge

Malvina Kipiani

Associated Professor, Kutaisi University

mavlina.kipiani@unik.edu.ge

Abstract

Human capital has undergone significant qualitative changes along with the development of society. Today, high-quality human capital is the most important and sought-after resource for economic growth and development. Knowledge, education, health care, quality of life and the role of leading specialists became the basis of sustainable development of the country. Since gaining independence and transitioning to a new economic system, the higher education system of our country is in the process of continuous reforms. It still needs significant changes to come closer to an internationally recognized grading system. It is most important for the country that young people receive education in accordance with international standards. In order to study the experience of advanced countries, students of higher educational institutions are sent to different countries of the world through exchange programs, which bring great experience to young people. Professional education is also of special importance for the development of human capital. It gives an opportunity to young people and people of any age to acquire a profession that will allow them to be quickly employed, get a job and contribute to the economic development of the country.

The Covid-19 pandemic has brought to the fore an important workforce issue such as the shortage of skilled workers. The Georgian labor market cannot respond quickly and adequately to the professions and specialties in demand. There has not yet been a "reset" of teaching to prepare a skilled workforce with modern skills and habits. Higher education, vocational schools and their real employers still work separately. Unfortunately, the goals and objectives of both parties are often missed.

Increasing the minimum score for admission to higher education programs through entrance exams is a serious consideration. The issue is directly related to the use of qualitative indicators of human capital. A specialist equipped with average knowledge finds it difficult to establish himself or cannot work in the profession. This is a serious problem and requires a timely review. It is known that the more money spent on higher education, the better the results in the national economy. An educated workforce yields better results. Keeping high-quality human capital and anchoring it in place requires no less care even after receiving proper education. Such specialists go abroad because of low pay. This process is called "intelligence drain", which is a very familiar process for Georgia.

In terms of maximizing the use of human capital, in recent years, inclusive education has especially advanced. It has a double load. It can be said that the moral side is much more for this category of people, but from a pure economic point of view and from the interests of the country, it is no less important issue. Together with inclusive education, today a great role is assigned to the use of accumulated knowledge and experience of older people, professionalism. It is this category of people who create the "silver economy". Their role is quite serious and important for the full-fledged economic development of the demographically aging society.

Against the background of the development of modern technologies and the achievements of science, for the economic growth and development of the country, a completely new importance is assigned to the continuous development of human capital every day, both quantitatively and qualitatively. In accordance with the challenges of news, it is necessary to establish and consistently establish new and demand-related trends.

Keywords: Human Capital, Knowledge Economy, Professional and Inclusive Education, Intelligence Outflow, Silver Economy.

JEL: O15

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.28>

For citation: Virsaladze N., Kipiani M. (2023) Modern Trends of Human Capital Formation. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 229 - 239. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.28>

References

Virsaladze N., Kifiani M., Employment growth is an unconditional guarantor of economic development and raising the well-being of the population, International scientific-practical conference of the ISU "New challenges of the labor market: the context of the COVID-19 pandemic", 2022.

Virsaladze N., "Economics and Economic Demography of Population", course of lectures, p. 86-87, TSU, 2022
Sulaberidze Aut., Sulaberidze Vl., "Demographic aging and "silver economy", Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Paata Gugushvili Institute of Economics, Shota Rustaveli National Science Foundation; Collection of materials of the international scientific conference: "Problems of the development of the world and national economy in view of the pandemic and the Russia-Ukraine war", (October 7-8, 2023, Tbilisi), pp. 116-1.

National Statistical Service of Georgia, official information, 2020

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, official information, 2022.

ტექნიკის მაღაზიათა ქსელის მარკეტინგული სტრატეგიები, მეგატექნიკის მაგალითზე

ირაკლი კინწურაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

irakli.kintsurashvili@atsu.edu.ge

შურა უკლება

მოწვეული სპეციალისტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Shura.ukleba@atsu.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთ სოლიდურ კომპანიას „მეგატექნიკის“ მაღაზიათა ქსელს, რომელმაც მარკეტინგისა და მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სერიოზულ წარმატებებს მიაღწია და საოჯახო ტექნიკის საქონლის ბაზარზე ერთ-ერთი მოწინავე კომპანია გახდა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ფირმის მიერ გადადგმული ნაბიჯები, გამოყენებული მარკეტინგული სტრატეგიების გამოკვლევა და საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოჩენილი სიმკვლეების დაძლევის გზების ძიება. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა ამ სფეროში მოქმედა კომპანიებმა განახორციელონ ისეთი ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ფართო მასების საოჯახო ტექნიკით მომარაგების საქმეს, აღსანიშნავია, რომ მომხმარებლები რომლებიც შეიძენენ რომელიმე კომპანიისაგან საქონელს ან მომსახურებას შეღავათიანი პირობებით, მომავალში ანხორციელებენ განმეორებით შესყიდვას და თანდათან ხდებიან მოცემული კომპანიის მუდმივი კლიენტები.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ მართვის თანამედროვე სისტემაზე, რამაც საშუალება მისცა აღნიშნულ კომპანიას გამხდარიყო წარმატებული. აქ საუბარია თანამშრომელთა გადამზადებისა და სახელფასო ანაზღაურების სისტემაზე, ასევე მეგატექნიკის მაღაზიებში მომუშავე პერსონალზე. ყურადღებაა გამახვილებული აგრეთვე საბარათე სისტემაზე, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ ბარათის წარმომდგენს შეუძლია ისარგებლოს დაწესებული შეღავათებით მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღსანიშნავია ისიც, რომ მეგატექნიკამ ერთ-ერთმა პირველმა შესთავაზა მომხმარებელს ონლაინ შესყიდვები და ონლაინ 0%-იანი განვადებები, რამაც ფართე გამოხმაურება ჰპოვა მომხმარებლებში.

ნაშრომში დამუშავებულია რეკომენდაციები და წინადადებები, რომელთა გათვალისწინება საშუალებას მისცემს აღნიშნულ კომპანიას კიდევ უფრო გაზარდოს გაყიდვების მოცულობა და გამოყონ კიდევ ახალი საბაზრო სეგმენტები რომელიც გააფართოვებს მეგატექნიკის საქონლით დაინტერესებულთა ბაზარს.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგული კვლევა, სეგმენტი, მომხმარებელი, მეგატექნიკა, საოჯახო ტექნიკა, ბაზარი, ბრენდი.

JEL: M31

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.29>

ციტირებისათვის: კინწურაშვილი ი., უკლება შ. (2023) ტექნიკის მაღაზიათა ქსელის მარკეტინგული სტრატეგიები, მეგატექნიკის მაგალითზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 240 - 244. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.29>

დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენები, საწარმოთა შორის კონკურენტული ურთიერთობები, მოითხოვენ მწარმოებელთა ბაზარსა და მომხმარებლებზე ორიენტაციას. მართვის ასეთი მეთოდი კი მოითხოვს საწარმოთა

სტრატეგიულ და მიზნობრივ მართვას. ქვეყანაში დღეისათვის არსებული ეკონომიკური მდგომარეობა მეწარმეებისაგან მოითხოვს წარმოებებში დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგიები, შეისწავლონ და გამოიყენონ თანამედროვე მარკეტინგისა და მენეჯმენტის პრინციპები. ზოგადად ფირმების სასაქონლო პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ მოხმარების, მოთხოვნისა და მოთხოვნილებების, მათი ცვლილების ხასიათისა და თავისებურებების შესწავლა. ამ ჯგუფების საქონლისადმი მოთხოვნის სპეციფიკის გამოვლენა. ყველა იმ ფაქტორის დადგენა, რომლებიც გავლენას ახდენენ მოთხოვნისა და მოთხოვნილებების ფორმირებაზე. დღეისათვის მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის მისაღები სასაქონლო პოლიტიკის გატარება, რისი მიღწევაც შეიძლება უპირველეს ყოვლისა მარკეტინგული კვლევებით.

ქართულ ბაზარზე, ამგვარ წარმატებულ კომპანიას წარმოადგენს "მეგატექნიკის" მაღაზიათა სავაჭრო ქსელი. საქართველოში მისი პირველი მაღაზია გაიხსნა 1997 წელს. თავდაპირველად, იგი კორეული კომპანია DAEWOO-ს ოფიციალური წარმომადგენელი იყო საქართველოში. ბაზარზე სამ წლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ "მეგატექნიკამ" გაფართოება დაიწყო და იაპონური კომპანია JVC-ის ოფიციალური წარმომადგენლობით საქართველოს ბაზარზე ისეთი ბრენდები შემოიტანა, როგორცაა : JVC, LG, SAMSUNG, SHARP, TOSHIBA, HITACHI, PANASONIC, PHILIPS და სხვა.

თუ გადავხედავთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, 2003 წლისთვის "მეგატექნიკა" ერთ-ერთი სოლიდური კომპანია იყო, რომელსაც JVC-ის სახელით იცნობდა ქართველი მომხმარებელი. პოპულარობის ზრდასთან ერთად, კომპანია თანდათან

ზრდიდა სავაჭრო ქსელს და 2004 წელს საქართველოში "ჯი-თი-სი"-ის ქსელში "მეგატექნიკის" ახალი მაღაზია გახსნა. მაღალი კონკურენციის პირობებში კი, "მეგატექნიკამ" შესძლო ქართულ ბაზარზე ლიდერობის შენარჩუნება. 2005 წელს კომპანიის სავაჭრო ქსელს კიდევ ერთი მაღაზია შეემატა, რომელიც "მეგალაინშია" განთავსებული.

2006 წელს "მეგატექნიკამ" ქ. თბილისში კიდევ ერთი მაღაზია გახსნა, რომელიც მომსახურების მაღალი დონით, ბრენდების ფართო არჩევანით და ქართულ ბაზარზე თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანით გამოირჩევა სხვა კონკურენტი ფირმებისგან.

2007 წელს "მეგატექნიკა" გახდა სონის და ელექტროლოჯის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. ამავე წელს მეგატექნიკა იღებს ხარისხის მართვის სერთიფიკატს ISO 9001-2000 ინგლისური კომპანია "Global Certification"-სგან. 2008 წელს მეგატექნიკა გახდა Fagor-Mastercook-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. 2009 წელს კი TOSHIBA-ის ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში. 2010 წელს თბილისში გაიხსნა მეგატექნიკის კიდევ ორი მაღაზია. 2012 წელს თბილისში მეგატექნიკის კიდევ ერთი მაღაზია გაიხსნა. 2013 წელს ქ. ქუთაისში გაიხსნა მეგატექნიკის მაღაზია, ასევე 2013 წელს ქ. რუსთავში გაიხსნა მეგატექნიკის რიგით მეშვიდე ფილიალი.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ "მეგატექნიკა" ფართოდ იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს და პირველად საქართველოში მომხმარებელს საშუალება მისცა ვებ-გვერდის საშუალებით მიიღოს ინფორმაცია და შემდეგ, "ონლაინ-მაღაზიის" დახმარებით შეიძინოს ნებისმიერი პროდუქცია ონლაინ 0%-იანი განვადებით. გარდა ამისა, კომპანია ცდილობს, სისტემატიურად მონარაგოს ქართული ბაზარი თანამედროვე

ტექნოლოგიური მიღწევების პროდუქციით. სანდოობა, მრავალწლიანი გამოცდილება და მომსახურების მაღალი დონე კი, სულ უფრო ზრდის "მეგატექნიკის" კლიენტთა რიცხვს.

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა ქ. ქუთაისში, მეგატექნიკის მაღაზიაში, 7-დღის განმავლობაში გამოვკითხეთ 100 მომხმარებელი, რომლებმაც განახორციელეს სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის შეძენა. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა უმეტესობა ყურადღებას ამახვილებდა თანამედროვე მოცემულობის მქონე ტელევიზორების შეძენაზე, ასევე მომხმარებელთა სოლიდურმა ნაწილმა შეიძინა მაცივრები და სარეცხი მანქანები, ყურადღებას იმსახურებდა სიმფერის გაზქურები. გამოიყო ახალგაზრდა

მომხმარებელთა სეგმენტი, რომელთაც წარმოადგენდნენ სტუდენტები და თინეიჯერები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებდნენ ნოუთბუქებზე, აიპადებზე, ჯიპადებზე და თანამედროვე ანდროიდის ტიპის მობილურ ტელეფონებზე.

მეგატექნიკის მაღაზიაში გამოფენილი საოჯახო ტექნიკიდან ჩვენ გამოვყავით ტელევიზორები და სარეცხი მანქანები, რომლებიც ყველაზე მეტი რაოდენობით გაიყიდა. აღნიშნული ტექნიკა დავყავით 3 ჯგუფად: მაღალფასიან, საშუალოფასიან და შედარებით იაფფასიან საქონლად და მოვახდინეთ სხვადასხვა ფირმის ერთგვაროვანი საქონლის ზომის, მონაცემების და ფასის მიხედვით შედარება.

ფირმის სახელწოდება	42 დიუმიანი	32 დიუმიანი
SAMSUNG	1499 ლ	699 ლ
LG	1399 ლ	749 ლ
HISENSE	599 ლ	399 ლ

ცხრილი 1. სხვადასხვა ფირმების SMART ტელევიზორების ფასების შედარება

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ სხვადასხვა ბრენდების ერთგვაროვანი, ერთი და იმავე მონაცემების მქონე led - ტელევიზორები განსხვავდებიან ფასებით, რაც საშუალებას აძლევთ მომხმარებლებს მიიღონ დადებითი გადაწყვეტილებები და განახორციელონ შესყიდვები.

სარეცხ მანქანებზე დაკვირვებამაც და გამოკითხულთა ანალიზმაც იგივე შედეგი მოგვცა, რაც SMART ტელევიზორებზე დაკვირვებამ. აქაც გამოიყო სეგმენტი მაღალფასიანი, საშუალოფასიანი და შედარებით იაფფასიანი. მომხმარებლები აქაც დაიყო სამ ნაწილად და მათაც განახორციელეს სასურველი შესყიდვები.

კვლევამ გვიჩვენა, რომ მომხმარებლები კეთილგანწყობილნი არიან კომპანიის მიერ შეთავაზებული საქონლის მიმართ და

აღნიშნავენ, რომ აქ მათ შეუძლიათ შეიძინონ საოჯახო ტექნიკა შედარებით იაფ ფასებითა და გამარტივებული საბანკო მომსახურების დახმარებით, რაც გამოიხატება 0%-იანი განვადებით ნებისმიერ საოჯახო ტექნიკაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ მაღაზიას აქვს გაფორმებული საქმიანობითი ხელშეკრულება რე-ბანკთან, რომლის განვადების ბარათის მეშვეობით, შესაძლებელია საქონლის შეძენა სულ რამოდენიმე წუთში ყოველგვარი ლოდინისა და ბანკთან დაკავშირების გარეშე, რაც კიდევ უფრო ამარტივებს საქონლის შეძენას. ამასთანავე, მაღაზიათა ქსელში წარმოდგენილი არჩევანი, მომხმარებელს საშუალებას აძლევს სხვადასხვა ფასში შეიძინონ სხვადასხვა ფირმის მიერ შეთავაზებული ერთგვაროვანი საქონელი. (იხ. ცხრ. 1, 2)

ფირმის სახელწოდება	7 - კვ.	5 - 6კვ.
SAMSUNG	829ლ	769ლ
LG	1099ლ	999ლ
HISENSE	725ლ	569ლ

ცხრილი 2. სარეცხი მანქანების ფასების შედარება

გამოკითხულთა ნაწილმა, რომლებმაც შეიძინეს მაღალფასიანი სარეცხი მანქანები განმარტავდნენ, რომ ისინი ენდობიან ფირმის ლოგოს (სახელწოდებას) და ამიტომ არჩევენ გადაიხადონ უფრო მეტი და მიიღონ მეტი ფსიქოლოგიური დაკმაყოფილება, ისინი ფიქრობდნენ, რომ SAMSUNG-ისა და LG-ის სარეცხი მანქანები უფრო საიმედო საოჯახო ტექნიკას წარმოადგენს და ამიტომ აკეთებდნენ შესაბამის არჩევანს. რაც შეეხება უფრო მცირეფასიან შემსყიდველთა სეგმენტს - ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ ჰქონდათ HISENSE-ის ფირმაზე ინფორმაცია, ზოგიერთ მათგანს უკვე ჰქონდა შემენილი აღნიშნული ფირმის სხვა ტექნიკა და კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მათ სამომხმარებლო თვისებებზე, ამიტომ უაზრობად თვლიდნენ მეტის გადახდას მაშინ, როცა საშუალება ჰქონდათ შეეძინად იდენტური საქონელი ბევრად იაფად.

აღნიშნულმა კვლევამ გვიჩვენა და კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ არსე-

ბობენ ფირმის ლოგოს ერთგული მომხმარებლები, რომლებიც უპირატესობას მაინც რომელიმე კონკრეტულ ფირმას ანიჭებენ და მოცემულ მომენტში მზად არიან გადაიხადონ უფრო მეტი სასურველი ფირმის საქონლის შესაძენად, თუმცა გამოიყო მეორე სეგმენტიც, რომლებიც მზად არიან საქონელი შეაფასონ არა ფირმის სახელწოდების მიხედვით, არამედ მისი სამომხმარებლო თვისებების გათვალისწინებით და ისარგებლონ შეთავაზებული იაფი ფასით.

კვლევის პერიოდში მეგატექნიკის მაღაზიაში სხვა მრავალი სახის საოჯახო ტექნიკაც გაიყიდა. მომხმარებლები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ შენამქნ საქონელზე, აღნიშნავდნენ მომსახურების მაღალ დონეს, სერვისსა და ასევე მომავალ საგარანტიო მომსახურებას და რომ, სამომავლოდ ისევ აპირებდნენ მოსვლას მეგატექნიკის მაღაზიაში სხვა ტექნიკის შესაძენად, აღნიშნავდნენ, რომ მეგატექნიკის მაღაზიათა ქსელი, ერთ-ერთი წარმატებული კომპანიაა საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

ი. კინწურაშვილი „მარკეტინგი“ ქუთაისი გამომცემლობა ხანძთა 2012
 ი. კინწურაშვილი მარკეტინგი - საერთაშორისო მარკეტინგის პრინციპები. ქსუ - ს გამომცემლობა 2007
 ი. კინწურაშვილი მარკეტინგი - „თეორია და პრაქტიკა“ ქსუ- ს გამომცემლობა 1997
 ფ. კოტლერი, გ. ამსტრონგი. „მარკეტინგის საფუძვლები“ თბ. 2013 მე - 14 გამოცემა.
 თ.ზურაბიშვილი. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 <http://old.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvleveshi.pdf>
 ფ. კოტლერი, ამსტრონგი „მარკეტინგი“ 2008
 გ. შუბლაძე. „მარკეტინგის საფუძვლები“ თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“. 2009
 ნ. თოდუა „მარკეტინგი“ თბილისი 2009
 ა. სოხაძე „მარკეტინგი“ ქუთაისი 2011

Hardware Marketing Network Store Strategies on the Example of Megatechnique

Irakli Kintsurashvili

Doctor of Economics, Associated Professor, Akaki Tsereteli State University

irakli.kintsurashvili@atsu.edu.ge

Shura Ukleba

Invited Specialist, Akaki Tsereteli State University

Shura.ukleba@atsu.edu.ge

Abstract

In the work, the special attention is paid on one of the solid companies in Georgia "Mega technique" store network, which succeeded greatly using modern technologies of marketing and management. It is one of the first companies on the market of household goods.

The purpose of this research is to discuss every step, used marketing strategies and hardness the coped with. It is emphasized that for the country's economical development, companies should do their best to provide consumers with wide range of household technologies. It's clear that the customer, who purchases goods in this network with some discount, will repeatedly visit this store and buy something different next time. Thus they become their permanent clients.

In this work it's highlighted how this company succeeded using modern system of management. This means, training the staff and system of salary payment, we should pay attention to the card system. that means a discount in the whole country. Mega technique was the first to offer online purchase and online 0% postponement that was approved widely by the customers.

There are some demands to purchase good with preferences, though there exist well-known brands that customers will buy without hesitation

There are also processed some recommendations and statements. If this company foresees them, it can increase the size of selling and expand the network of this store on the market.

Keywords: Marketing Research, Segment, Consumer, Mega-Technique, Household Equipment, Market, Brand.

JEL: M31

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.29>

For citation: Kintsurashvili I., Ukleba S. (2023) Hardware Marketing Network Store Strategies on the Example of Megatechnique. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 240-244. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.29>

References

- I. Kintsurashvili "Marketing" Kutaisi publishing house Khandza 2012
- I. Kintsurashvili Marketing - principles of international marketing. KSU Publishing House 2007
- I. Kintsurashvili Marketing - "Teoriadapraktika" KSU Publishing House 1997
- F. Kotler, G. Armstrong. "Basics of Marketing" ch. 2013 14th edition
- T. Zurabishvili. Qualitative Methods in Social Research, Center for Social Sciences, 2006
<http://old.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlevebshi.pdf>
- F. Kotler; G. Armstrong. "Marketing" 2008
- G. Shubladze. "Fundamentals of Marketing" Tbilisi, Publishing House "Universal". 2009
- N. Todua "Marketing" Tbilisi 2009.
- A. Sokhadze "Marketing" Kutaisi 2011

მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის წარმოების ქართული პრაქტიკა და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებები

პანტელეიმონ (პაატა) კლდიაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი
panteleimon.kldiashvili@unik.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოში მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის წარმოების მდგომარეობა ქვეყნის მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ჩრჩხლში. გაანალიზებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის წარმოების მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნები, ასევე შეფასებულია შესაბამისი ქართული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა და პრაქტიკაში მათი იმპლემენტაციის ხარისხი. გამოვლენილია ქვეყანაში მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის ეფექტიანი წარმოების წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები და ჩამოყალიბებულია მოსაზრებები მათი ეტაპობრივი დაძლევისათვის, რაც ჩვენი აზრით, უზრუნველყოფს ეროვნული პრაქტიკის ეტაპობრივ დაახლოებას შესაბამის ევროპულ პრაქტიკასთან.

საკვანძო სიტყვები: მუნიციპალური სტატისტიკა; რეგიონული სტატისტიკა; ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება.

JEL: R1

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.30>

ციტირებისათვის: კლდიაშვილი პ. (2023) მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის წარმოების ქართული პრაქტიკა და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 245-253. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.30>

შესავალი

„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, რომელიც 2014 წელს გაფორმდა, აკისრებს საქართველოს სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას სხვადასხვა, მათ შორის სტატისტიკის წარმოების მიმართულებით. კერძოდ, შეთანხმების მე-5 კარის, მე-4 თავი მთლიანად ეძღვნება აღნიშნულ მიმართულებას და მისი პირველივე მუხლი (286) ადგენს: „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სტატისტიკის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს დროული, საერთაშორისო დონეზე შესადარისი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების

უზრუნველყოფის გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. მოსალოდნელია, რომ მდგრადი, ეფექტიანი და პროფესიონალურად დამოუკიდებელი ეროვნული სტატისტიკის სისტემა საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებს, ბიზნესებსა და გადაწყვეტილებების მიმღებთ მიაწვდის რელევანტურ ინფორმაციას, რაც საშუალებას მიცემთ, მის საფუძველზე მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ეროვნული სტატისტიკის სისტემა დაიცავს გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს“, სტატისტიკის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის, მათ შორის, „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის“ გათვალისწინებით, ეროვნული სტატისტიკის სისტემის ევროპის სტატისტიკის ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისო-

ბაში მოყვანის მიზნით“ (ასოცირების შესახებ შეთანხმება; 2014).

გამომდინარე იქედან, რომ დღესდღეობით ეროვნული სტატისტიკის სისტემის ერთერთი ყველაზე სუსტი ნაწილი არის რეგიონული და განსაკუთრებით მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების მიმართულება, გადაწყვეტით წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში სწორედ ამ მიმართულების შეფასება მოვახდინოთ ასოცირების შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებთან მიმართებაში. სრულყოფილი შეფასებისათვის კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ერთი მხრივ, განვიხილოთ რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების კუთხით ევროკავშირის რეგულაციების მოთხოვნები, ხოლო მეორე მხრივ, შესაბამისი ქართული კანონმდებლობა და ნორმატიული ბაზა, ისევე როგორც არსებული პრაქტიკა.

კვლევის მიზანი: მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის წარმოების სისტემის შეფასება საქართველოში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების კონტექსტში.

რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ევროპული და ქართული სისტემის ანალიზი

რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის სიმწირე და ცალკეულ შემთხვევებში არარსებობა, მნიშვნელოვნად აფერხებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას როგორც საჯარო სექტორისათვის (მ.შ. რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები), ისე ბიზნეს სუბიექტების, მათ შორის პოტენციური ინვესტორებისა და ფიზიკური პირებისათვის.

გამომდინარე აქედან, ქვეყანაში რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ეფექტიანი, თანამედროვე ევროპული სტანდარტის შესაბამისი სისტემის დაწერგვა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი

არა მხოლოდ ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულების ფორმალური შესრულებისათვის, არამედ რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე საჯარო, ბიზნეს და სამოქალაქო პროექტების ეფექტიანი დაგეგმვისათვის და მათი განხორციელებით მიღებული შედეგების ობიექტური შეფასებისათვის. შესაბამისად, ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულება განხილული უნდა იქნეს, როგორც ამ უკანასკნელის უზრუნველყოფის მექანიზმი. თავის მხრივ, ეროვნული სტატისტიკის სისტემის გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებთან“ და სტატისტიკის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის, მათ შორის, „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსთან“ და ყოველწლიურად განახლებად „სტატისტიკური მოთხოვნების კრებულთან“ შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის, აუცილებელი საწყისი პირობა არის ეროვნული კანონმდებლობის მათთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამასთან, შესაბამისობის ხარისხის შეფასებისათვის, პირველ რიგში აუცილებელია ზუსტად გავერკვეთ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული, ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნებში, ხოლო შემდეგ გავავლოთ პარალელები ეროვნულ კანონმდებლობასთან და არსებულ პრაქტიკასთან (კლდიაშვილი, ოყრეშიძე, 2023).

გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები“ ადგენს ოფიციალური სტატისტიკის 10 ფუნდამენტურ პრინციპს (ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები; 2014), რომელსაც ეფუძნება მსოფლიოს არაერთი ქვეყნის და მათ შორის ევროკავშირის შესაბამისი ნორმატიული ბაზა. ერთერთი ძირითადი დოკუმენტი, რომელსაც ევროპის კავშირი ამ მიმართულებით პრაქტიკაში იყენებს, არის „ევროპის სტატისტიკის

პრაქტიკის კოდექსი“. მის პრეამბულაშია აღნიშნულია, რომ ის არის თვითრეგულირების ინსტრუმენტი და ეფუძნება 16 პრინციპს, რომელიც მოიცავს ინსტიტუციურ გარემოს, სტატისტიკურ პროცესებსა და სტატისტიკურ შედეგებს (ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი; 2017). გარდა ამისა, ევროსტატის მიერ ყოველწლიურად გამოიცემა „**სტატისტიკური მოთხოვნების კრებული**“, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებსა და ინსტრუქციებს სტატისტიკის წარმოების შესახებ. ის ასევე იძლევა სტატისტიკის წარმოების ძირითადი საცნობარო ინფორმაციის მიმოხილვას, თითოეული სტატისტიკური დომენის მოკლე აღწერას და სტატისტიკის შედგენისთვის მიმდინარე სამართლებრივი აქტებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების ნუსხას, აგრეთვე მეთოდოლოგიურ ინფორმაციას. ყველა აღნიშნული ინფორმაცია დალაგებულია ძირითადი სტატისტიკური დარგებისა და ქვედარგების, ასევე მიმართულებების მიხედვით. მოქმედ 2023 წლის დოკუმენტში სხვა დარგებთან ერთად არის დარგი ნომერი 4: გარემო და მრავალ დომენური სტატისტიკა, რომლის ქვედარგი - 4.2. რეგიონული და გეოსივრცითი სტატისტიკური ინფორმაცია, თავის მხრივ, წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

„4.2.1. რეგიონული სტატისტიკა და მისი კოორდინაცია:

- ა) რეგიონული შრომის ბაზრის სტატისტიკა
- ბ) რეგიონული სტატისტიკა ტიპოლოგიების მიხედვით
- გ) სოფლის მეურნეობის სტატისტიკა
- დ) ბიზნესის სტატისტიკა
- ე) გარემოსდაცვითი სტატისტიკა
- ვ) მეცნიერება და ტექნოლოგია
- ზ) ტურიზმის სტატისტიკა
- თ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობა
- ი) განათლება) დემოგრაფია და მიგრაცის სტატისტიკა

ციის სტატისტიკა

ლ) საინფორმაციო საზოგადოების სტატისტიკა

- 4.2.2. ქალაქების (City) სტატისტიკა;
- 4.2.3. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GISCO);
- 4.2.4. NUTS კლასიფიკაციის მართვა;
- 4.2.5. მიწათსარგებლობისა და მიწის საფარის სტატისტიკა“ (სტატისტიკური მოთხოვნების კრებული; 2023).

მეთოდოლოგიაში, ქალაქების სტატისტიკის (4.2.2) თავში სახელმძღვანელო მითითებები მოცემულია ცალკე დოკუმენტის სახით, რომელიც ადგენს ქალაქების შესახებ დასამუშავებელი სტატისტიკური ინფორმაციის ნუსხას, შემდეგი სახით:

- „ქალაქების დემოგრაფიული სტატისტიკა
 - მოსახლეობა ასაკისა და სქესის მიხედვით
 - მოსახლეობა დაბადების ადგილისა და მოქალაქეობის მიხედვით
 - საყოფაცხოვრებო სტატისტიკა
 - საცხოვრებელი ადგილი
- ქალაქების სოციალური სტატისტიკა
 - საცხოვრისი
 - ჯანმრთელობა
 - დანაშაული
- ქალაქებში ცხოვრების ეკონომიკური ასპექტები
 - შრომის ბაზრის სტატისტიკა
 - დასაქმება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით
- განათლებისა და ტრენინგების სტატისტიკა ქალაქებში
 - ჩართულობა განათლების სისტემასა და ტრენინგში
 - განათლების დონის მაჩვენებლები
- გარემოსდაცვითი სტატისტიკა ქალაქებში
 - ჰაერის ხარისხი
 - ნარჩენების მართვა
 - მიწათსარგებლობა

- ტრანსპორტის და გადაადგილების სტატისტიკა ქალაქებში
- კულტურა და დასვენება
- ტურიზმის სტატისტიკა ქალაქებში“ (სტატისტიკური მოთხოვნების კრებული; 2023).

წარმოდგენილი დოკუმენტები, იძლევიან ამომწურავ ინფორმაციას თუ რას უნდა მოიცავდეს ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, რომელიც იკრიბება, მუშავდება და ქვეყნდება სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების მიერ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში. ასევე, იძლევიან მეთოდოლოგიას და სახელმძღვანელო მითითებებს, თუ როგორ უნდა მოხდეს შესაბამისი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გამოქვეყნება. გამომდინარე აქედან, ნათელია თუ რასთან შესაბამისობა უნდა უზრუნველყოს საქართველომ ეტაპობრივად, როგორც ასოცირების შეთანხმების მონაწილე ქვეყანამ.

ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში სტატისტიკის წარმოებას არეგულირებს არის საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, ასევე სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული აქტები, მათ შორის: შინაგანაწესი, სამსახურის ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

კანონის დეკლარირებული მიზანია „ოფიციალური სტატისტიკის გაეროს ფუნდამენტური პრინციპებისა და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის შესაბამისად, აგრეთვე სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე ქვეყანაში დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფა“ (საქართველოს

კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; 2009 წ; მუხლი 1, პუნქტი 1). აღნიშნული მიზანი გამომდინარეობს და სრულად შეესაბამება იმ ვალდებულებებს რაც ქვეყანას ასოცირების შეთანხმებით აქვს აღებული ამ მიმართულებით.

კანონი „განსაზღვრავს ოფიციალური სტატისტიკის არსს, მიზნებსა და პრინციპებს, ადგენს სტატისტიკის წარმოებისა და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამართლებრივ საფუძვლებს, ოფიციალურ სტატისტიკაზე პასუხისმგებელ ორგანოთა სისტემას და მათ ფუნქციებს“ (საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; 2009 წ; მუხლი 1, პუნქტი 2).

ცალსახად უნდა ითქვას, რომ კანონით დადგენილი პრინციპები სრულად ემთხვევა გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს.

კანონით, ქვეყანაში სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება ხდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ, რომლის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს ასევე კანონი ადგენს, ხოლო კონკრეტული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულებით. აღნიშნული დებულება ასევე ადგენს საქსტატის საქმიანობის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, მმართველობით სისტემას და სტრუქტურას, რომელიც შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს მოიცავს:

- „სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტი;
- საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- შიდა აუდიტის დეპარტამენტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი;

- ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი;
- ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი;
- სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი;
- სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტი;
- მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი;
- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი“ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება; 2013 წ.; მუხლი 7, პუნქტი 2).

სამსახურის დებულებაში მოცემულია თითოეული დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები, რომლებიც კიდევ უფრო დეტალურად წარმოდგენილია შესაბამისი დეპარტამენტის დებულებაში. გარდა დეპარტამენტებისა, საქსტატის სტრუქტურაში ასევე წარმოდგენილია 11 ტერიტორიული ორგანო, მათ შორის დედაქალაქსა და 10 რეგიონულ ცენტრში, რომელთა ფუნქციები ასევე დეტალურად არის გაწერილი მათსავე დებულებაში.

საქსტატის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებების გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ არცერთ მათგანს, ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალში არ აქვს რეგიონული და/ან მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ფუნქცია.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს სტატისტიკური სამუშაოების წლიურ პროგრამას და სამუშაოების მოცულობას. აღნიშნული დოკუმენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც საქსტატის წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთი მხრივ, ადგენს შესასრულებელი სამუშაოს ნუსხას, ინფორმაციის წყაროს, საიდანაც მოხდება ინფორმაციის მიღება და ინსტრუმენტს, რომელსაც იყე-

ნებს ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად, ასევე ინფორმაციის მიღების პერიოდულობას, შემსრულებელ უწყებას და დამუშავებული ინფორმაციის გავრცელების ვადებს, ხოლო მეორე მხრივ, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას - ცალკეული დარგებისა და მიმართულებების მიხედვით იმ მაჩვენებლების ნუსხას, რომელიც დამუშავებული და გამოქვეყნებული უნდა იქნეს საქსტატის მიერ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მთავრობის მიერ დამტკიცებული წლიური პროგრამები, სხვადასხვა სტატისტიკურ მიმართულებებთან ერთად ასევე მოიცავს ცალკე განყოფილებას სახელწოდებით: „სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეგიონების მიხედვით“. მასში მოცემულია სტატისტიკური ინფორმაციების ნუსხა, რომელიც მუშავდება და ქვეყნდება რეგიონულ ჭრილში, თუმცა აღნიშნულ პროგრამებში არაფერია ნათქვამი მუნიციპალურ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების შესახებ.

მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში საქსტატის მიერ ხდება როგორც რეგიონული, ისე მუნიციპალური სტატისტიკის დამუშავება. უფრო მეტიც, 2023 წლის 13 თებერვალს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამართა „რეგიონული და მუნიციპალური პორტალის“ პრეზენტაცია. სამსახურის განცხადების შესაბამისად „პორტალი ევროკავშირის, დანიისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში მომზადდა და მისი მიზანია მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკური შესაძლებლობების განვითარება, სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე განვითარების ღონისძიებების დაგეგმვასა და მონიტორინგს. პორტალი შე-

სადღეობლობას იძლევა შედარდეს ძირითადი მაჩვენებლები, როგორც რეგიონების ასევე მუნიციპალიტეტების დონეზე. პორტალზე არსებული 80-მდე მაჩვენებელი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა: მოსახლეობა და დემოგრაფია, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა, მშენებლობა, ტურიზმი, ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტორი და სხვა“.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პორტალის შექმნა წინადადგმული ნაბიჯია, როგორც ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით, ისე საქართველოს კანონით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ დეკლარირებული მიზნების სრულყოფილი რეალიზაციისათვის. ასევე უდავოა ის გარემოება, რომ რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის გამართული სისტემის არსებობა მნიშვნელოვნად დაეხმარება ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე მოქმედ არაერთ აქტორს როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში, უფრო ეფექტიანად, ობიექტურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა და ასეთივე ინფორმაციით შეაფასონ განხორციელებული პროექტების/აქტივობების შედეგები.

პორტალი სხვა შესადღეობლობასთან ერთად, საშუალებას იძლევა მოხდეს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების შედარება სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით, თუმცა ისიც უნდა აღნიშნოს, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო არაერთი მაჩვენებელი (მაგალითად: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, უმუშევრობის დონე და ა.შ.), რომლებიც მოცემული და შესაბამისად შესადარისი არის რეგიონების დონეზე, არ არის მოცემული/შესადარისი მუნიციპალიტეტების ჭრილში. ასევე, პორტალზე მუნიციპალი-

ურ დონეზე არ არის წარმოდგენილი არაერთი სხვა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც წარმოდგენილია რეგიონულ დონეზე. ასეთი მაჩვენებლების კატეგორიას მიეკუთვნება ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები საქმიანობის სახეების, საკუთრების ფორმისა და საწარმოთა ზომის მიხედვით; ფასებისა და ინფლაციის ამსახველი მაჩვენებლები და ა.შ. ცალკეული მიმართულების მაჩვენებლები (მაგალითად სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები) წარმოდგენილია როგორც რეგიონულ ისე მუნიციპალურ ჭრილში, თუმცა მათი დეტალიზაციის ხარისხი და მომცველობა მუნიციპალურ დონეზე გაცილებით დაბალია რეგიონულ დონესთან შედარებით.

რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალის ყველაზე ობიექტური შემფასებლები შეიძლება იყვნენ მისი უშუალო მომხმარებლები - რეგიონული და მუნიციპალური საჯარო სტრუქტურები, კერძო სექტორი (ბიზნესი და არასამთავრობო ორიგანიზაციები), მკვლევარები/აკადემიური წრეების წარმომადგენლები. შესაბამისად, ჩვენს მიერ მოხდა მათთან ჩალმავებული ინტერვიუების ორგანიზება და მიღებული ინფორმაციების გაანალიზება, რის შედეგადაც გამოიკვეთა:

- ყველა რესპოდენტი მიესალმება რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალის შექმნას და მიიჩნევენ, რომ ამით გაიზარდა შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- რესპოდენტების უმეტესობა თვლის, რომ პორტალზე წარმოდგენილი ინფორმაცია, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში მწირია და აუცილებელია მისი ეტაპობრივი შევსება;
- საჯარო სტრუქტურების წარმომადგენლები გამოთქვამენ სურვილს, რომ პორ-

ტალზე ინფორმაცია მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში, წარმოდგენილი იყოს, არა თუ მუნიციპალურ, არამედ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული/ადმინისტრაციული ერთეულების დონეზეც, რაც საშუალებას მისცემთ მათ უფრო ეფექტიანად დაგეგმონ ადგილობრივი პროგრამები და პროექტები. ასევე, მათი აზრით, პორტალის ეფექტურობას გაზრდის მისი რეალურ დროში დაკავშირება სხვა სახელმწიფო უწყებების, მათ შორის საჯარო, სამოქალაქო და სამეწარმეო რეესტრის ბაზებთან;

- აკადემიური წრეების წარმომადგენლები მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ პორტალზე მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე წარმოდგენილი იქნეს იგივე ინფორმაცია, რაც ეროვნულ დონეზეა, რათა შესაძლებელი იყოს ინფორმაციის სრული შესადარისობა როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ჭრილში. ისინი ასევე ხაზს უსვამენ, მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის წარმოების ევროპულ სისტემასთან შესაბამისობის მიღწევის მნიშვნელობას;
- ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ხშირად უწევთ ისეთი ინფორმაციების ალტერნატიული გზებით (მარკეტინგული/ბიზნეს კვლევები) მოპოვება რეგიონის თუ მუნიციპალიტეტის დონეზე, რაც ევროკავშირის ქვეყნებში ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების მიერ მუშავდება და საჯაროდ ქვეყნდება. იგივე პრაქტიკის ქვეყანაში დამკვიდრების შემთხვევაში კი ბიზნესი თავიდან აიცილებდა დამატებით ხარჯებს, რომელსაც სწევს აღნიშნული ინფორმაციების ალტერნატიული გზებით მოპოვებისათვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევებიდან, მათ შორის

მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ანალიზიდან და არსებული პრაქტიკის შეფასებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ:

- ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ზოგად პრინციპებს, სრულ თანხვედრაშია შესაბამის ევროპულ კანონმდებლობასთან და ამდენად ამ ნაწილში ასოცირების შეთანხმებით ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულება შეიძლება სრულყოფილად შესრულებულად ჩაითვალოს;
- რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის ხარისხი ქვეყანაში აშკარად ჩამოუვარდება შესაბამის ევროპულ ანალოგებს. ამ მხრივ შესაბამისობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტრუქტურული და/ან ტერიტორიული ერთეულის ან ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებში გაიწეროს რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ფუნქცია. ხოლო მეორე რიგში, სტატისტიკური სამუშაოების წლიურ პროგრამაში, რომელსაც საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, მუხლის - „სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეგიონების მიხედვით“, მსგავსად დაემატოს მუხლი - „სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალიტეტების მიხედვით“ და დამუშავდეს სათანადო მეთოდოლოგიები მუნიციპალური სტატისტიკური ინფორმაციების შეკრების, დამუშავების და გამოქვეყნების შესახებ;
- რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკური პორტალის შექმნა, შესაბამისი სტატისტიკის წარმოების კუთხით

აშკარად წინადადებულ ნაბიჯს წარმოადგენს, ვინაიდან მისი ამოქმედებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამ მხრივ მანამდე არსებული მდგომარეობა, თუმცა აქვე აუცილებლად აღსანიშნავია პორტალის შემდგომი სრულყოფისა და შევსების აუცილებლობა. პირველ ეტაპზე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუნიციპალურ დონეზე იგივე სტატისტიკური ინფორმაციების არსებობა, რაც ამაჟამად წარმოდგენილია რეგიონულ დონეზე; მეორე ეტაპზე, მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი იგივე სტატისტიკური ინფორმაციების არსებობა, რაც წარმოდგენილია ეროვნულ

დონეზე; მესამე ეტაპზე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის წარმოების სისტემის სრული შესაბამისობა თანამედროვე ევროპულ პრაქტიკასთან;

- მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის ეფექტიანი წარმოებისათვის სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს რელევანტური ცენტრალური და ადგილობრივი საჯარო უწყებების რესურსები, შექმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა საჭირო მხარის ეფექტურ ჩართულობას და შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

კლდიაშვილი პ. ოყრეშიძე ლ. „რეგიონული სტატისტიკის წარმოების ევროპული სისტემის ანალიზი“; საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია; 2023 წ.; ბმული:

<http://economists.ge/ka/publications/147-mdgradi-epeqtiani-da-propesionalurad-damoukidebeli-regionuli-statistikis-sistemis-advokatureba-saqartveloshi> (უკანასკნელი გადამოწმების თარიღი: 18.10.2023)

„ასოციაციების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“; 2014 წ.; ბმული:

<https://matsne.gov.ge/document/view/2496959> (უკანასკნელი გადამოწმების თარიღი: 18.10.2023);

„ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები“; გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; რეზოლუცია ნომერი: A/RES/68/261, 29 იანვარი 2014 წ.; ბმული:

<https://unstats.un.org/unsd/dnss/gp/fundprinciples.aspx> (უკანასკნელი გადამოწმების თარიღი: 18.10.2023);

ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი; ევროპის კავშირი, 16 ნოემბერი, 2017 წ.; ბმული:

<https://ec.europa.eu/eurostat/documents/4031688/8971242/KS-02-18-142-EN-N.pdf/e7f85f07-91db-4312-8118-f729c75878c7> (უკანასკნელი გადამოწმების თარიღი: 18.10.2023);

სტატისტიკური მოთხოვნების კრებული; ევროპის კავშირი, 2023 წ.; ბმული:

<https://ec.europa.eu/eurostat/documents/3859598/16262350/KS-GQ-23-008-EN-N.pdf/ad5a933a-307b-11e0-f3a7-2f49feee3c32> (უკანასკნელი გადამოწმების თარიღი: 18.10.2023);

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; საქართველოს პარლამენტი; 11 დეკემბერი, 2009 წ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90946?publication=14> (უკანასკნელი გადამოწმების თარიღი: 18.10.2023);

საქართველოს მთავრობის დადგენილება ნომ.: 406, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ; საქართველოს მთავრობა; 31 დეკემბერი, 2013 წ. ბმული:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2179200?publication=0> (უკანასკნელი გადამოწმების თარიღი: 18.10.2023);

საქართველოს მთავრობის დადგენილება ნომ.: 180, სტატისტიკური სამუშაოების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ; საქართველოს მთავრობა; 25 იანვარი, 2023 წ. ბმული:

<https://www.geostat.ge/media/51086/statsamushaota-programa-2023.pdf> (უკანასკნელი გადამოწმების თარიღი: 18.10.2023)

Georgian Practice of Producing Municipal and Regional Statistics and Obligations under the Agreement on Association with the European Union

Panteleimon (Paata) Kldiashvili

Doctor of Business Administration, Professor, Kutaisi University

panteleimon.kldiashvili@unik.edu.ge

Abstract

The article discusses the state of production of municipal and regional statistics in Georgia in terms of the country's obligations under the Association Agreement with the European Union. The requirements of the regulatory documents for the production of municipal and regional statistics in the member states of the European Union have been analyzed, as well as the relevant Georgian legislative and the degree of their implementation in practice have been evaluated. The main challenges facing the effective production of municipal and regional statistics in the country are identified and opinions are formulated for their gradual overcoming, which in our opinion ensures the gradual convergence of the national practice with the corresponding European practice.

Keywords: Municipal Statistics, Regional Statistics, Association Agreement with the European Union.

JEL: R1

DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.30>

For citation: Kldiashvili P. (2023) Georgian Practice of Producing Municipal and Regional Statistics and Obligations under the Agreement on Association with the European Union. International Scientific Conference "Human Capital, Institutions, Economic Growth". Proceedings. Kutaisi University. pp. 245-253. DOI: <https://doi.org/10.52244/c.2023.11.30>

References

- Kldiashvili P. Okreshidze L. "Analysis of the European system of production of regional statistics"; Association of Young Economists of Georgia; 2023; Link: <http://economists.ge/ka/publications/147-mdgradi-epeqtiani-da-professionalurad-damoukidebeli-regionuli-statistikis-sistemis-advokatireba-saqartveloshi> (date of last verification: 18.10.2023)
- "Association Agreement between Georgia on the one hand and the European Union and the European Atomic Energy Union and their member states on the other hand"; 2014; Link: <https://matsne.gov.ge/document/view/2496959> (last verification date: 18.10.2023);
- "Fundamental principles of official statistics"; United Nations; Resolution No.: A/RES/68/261, January 29, 2014; Link: <https://unstats.un.org/unsd/dnss/gp/fundprinciples.aspx> (date of last verification: 18.10.2023);
- European Statistics Code of Practice; European Union, November 16, 2017; Link: <https://ec.europa.eu/eurostat/documents/4031688/8971242/KS-02-18-142-EN-N.pdf/e7f85f07-91db-4312-8118-f729c75878c7> (date of last verification: 18.10.2023);
- Collection of statistical requirements; European Union, 2023; Link: <https://ec.europa.eu/eurostat/documents/3859598/16262350/KS-GQ-23-008-EN-N.pdf/ad5a933a-307b-11e0-f3a7-2f49fee3c32> (date of last verification: 18.10.2023);
- Law of Georgia "On Official Statistics"; The parliament of Georgia; December 11, 2009 Link: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90946?publication=14> (date of last verification: 18.10.2023);
- Resolution of the Government of Georgia No.: 406, on the approval of the statute of the legal entity under public law - the National Statistical Service of Georgia; Government of Georgia; December 31, 2013 Link: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2179200?publication=0> (date of last verification: 18.10.2023);
- Resolution of the Government of Georgia No.: 180, on the approval of the 2023 program of statistical works; Government of Georgia; January 25, 2023 Link: <https://www.geostat.ge/media/51086/statsamushaota-programa-2023.pdf> (date of last verification: 18.10.2023)

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დაკავალონება

ლევან იოზაძე

ქალაქის ზომა 1/8

ნაბეჭდი თაზახი 16

დაიბეჭდა ი.მ. „მარიამ იოზაძის“ მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ა
ტელ. 579-10-13-23; 592-02-25-55; 599-18-20-98



ქუთაისის უნივერსიტეტი
KUTAISI UNIVERSITY
RIE@UNIK.EDU.GE
2023